

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ԳՐԱԴԱՐԱՆ

ԵՌԵՎԱՆ

10

694/
1964/4



Է
Յ
Կ
Մ
Զ
Յ
Յ
Կ
Ո

1964



სილსაქი



1696

შინაარსი

ირაპლი აბაშიძე — უკრაინული ლიტერატურის დეკადა 3

პოეზია

პავლო ტიჩინა — ლექსები 4

მამსიმ რილსკი — სამშობლო. ლექსი 7

მიკოლა ბაშანი — თმოგვის გზაზე. ლექსი 8

მიხაილო სტელმასი — საფუტკრეში ლექსი 11

სტეფანე ოლეინიკი — ჩემს ძმებს, ქართველებს! ლექსი 12

ოლექსა ნოვიცკი — მიფრინავენ წეროები. ლექსი 13

ვიტალი კოროტიჩი — ლექსები 17

დმიტრო პავლიჩკო — სონეტები 15

ლიუბომირ დმიტარკო — ლექსები 20

მიხეილ ლარმონტოვი — ლექსები 81

10

ოქტომბერი

1964


გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურონალი

საპარტველოს ალკა ც. ბ-სა და მხარალთა კავშირის ორგანო

პროზა

გრიგოლ ძოწენიძე — წაღღუნა. ნო- 28
ველა



კლავდია დევდარიანი — ძველი ფუძე. რომანი	36
ემანუილ ფივიზინი — ჯარისკაცი, შვი- ლი ჯარისკაცისა. მოთხრობა. გაგრ- ძელება	58



ქრიჭიკა და პუბლიცისტიკა

ნოდარ ნათაძე — ქართლური სოფლის ჩანახატები	88
ნუგზარ წერეთელი — ახალგაზრდა გმი- რის პრობლემა თანამედროვე ქარ- თულ ახალგაზრდულ პოეზიაში	94
ვასილ კიკნაძე — დუბლიორი თუ დუბ- ლიკატი?	108
ნათელა მნაშვილი — „ზარზმის ზმა- ნება“	111
ბეჟან ბარდაველიძე — პოეტის აღსა- რება	117
რამაზ ფერაძე — „შენთვის ჩამოველ ბარადა“	127




მეცნიერება და გეჟნიკა

დ. ცუპარნიკი — როგორ აღმოაჩინეს ამერიკა. დასასრული	129
---	-----



ნარკვევი

ივარი ტაბიძე — მამლები ყვიან ში- რაქში	148
ყოველი მხრიდან	156



რ ე დ ა ქ ტ ო რ ი კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

გურამ გვერდწითელი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯი-
კიძე (პ/მგ მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ჭავჭავანიძე, ვახტანგ ჭეღლი-
ძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.

უკრაინული ლიტერატურის დეკადა

1964 წლის ოქტომბრის პირველ ნახევარში საქართველოში ეწეობა მოძმე უკრაინის მხატვრული ლიტერატურის დეკადა. მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება ამ დღეების ღირსეულად შეხვედრისათვის, განსაკუთრებით ქართველი მწერლები.

ჩვენ გვჯერა, რომ უკრაინის მხატვრული სიტყვის დეკადა ისეთივე ზეიმით ჩატარდება ჩვენს რესპუბლიკაში, როგორც თავის დროზე ქართული პოეზიის დეკადა უკრაინაში და რუსული პოეზიის დეკადა ჩვენში შარშანწინ.

უკრაინისა და საქართველოს კულტურულ ურთიერთობას ძველი, დიდებული ტრადიციები აქვს. ამ ტრადიციული მეგობრობის ამზავი საქვეყნოდაა ცნობილი და ჩვენც ყოველ ასეთ ხელსაყრელ შემთხვევაში სიამოვნებით ვლაპარაკობთ ხოლმე მასზე. მაღლიერებით ვიგონებთ ჩვენს წინაპრებს, რომელთაც ამ მეგობრობას საფუძვლები დაუდეს და სათავე მისცეს. თვალს ვავლებთ ყველაფერს, რაც ამ საქმეში გაკეთებულა და მივდივართ წინ ამ მეგობრობის კიდევ უფრო განსამტკიცებლად და გასაღრმავებლად.

ისიც საქვეყნოდაა ცნობილი, რომ ეს ჭეშმარიტად საამაყო ტრადიციები, ეს ძველი დიდებული მეგობრობა ჩვენს დროში კიდევ უფრო გაფართოვდა და გამდიდრდა. ამ საქმეს დიდი ამაგი დასდეს ჩვენმა უკრაინელმა და ქართველმა საბჭოთა მწერლებმა და ხელოვნების მუშაკებმა. მათ კიდევ უფრო აამაღლეს იგი დიდ სახალხო საქმეებამდე, აქციეს იგი ჩვენი ამ ორი ქვეყნის, უკრაინისა და საქართველოს ხალხთა მეგობრობის სიმტკიცის ერთ-ერთ მთავარ ძალად.

საქართველოში უკრაინული ლიტერატურის ახლანდელი დეკადაც ამის დიდებული დადასტურებაა.

მთელი ჩვენი ქვეყანა მსურვალედ მიესალმება მოძმე უკრაინელი ხალხის წარმოგზავნილებს — უკრაინელი მწერლობის გამოჩენილ ოსტატებს.


რომელს არ უნდა შევეხოთ ნელა, —
სიტყვა გახდება შენი მორჩილი,
სხვადასხვა არის და მაინც ყველა
ერთი ძირისგან არის მოჭრილი.

პირველად სიტყვა ძნელად ჩერდება, —
ხელში საწრთობად მოიმწყვდევ ვიდრე,
უცებ ამოხეთქს და აჟღერდება
და უცხო ენაც გახდება მკვიდრი.

და განა იგი ხმებია მარტო,
სიტყვა უგულო და ცარიელი?
შიგ არის შრომა და აზრი ფართო,
ხალხთა ოჯახის გრძნობა ძლიერი.

ტყუთა ხმაც, ველთა შრიალი მშვიდი,
სიო რომ არხევს ცხოვრების ტალღებს,
ენა — ქვეყნების ცოცხალი ხიდი,
დასაბამიდან აერთებს ხალხებს.

ასე: სიტყვები სიტყვებს ჰშველიან,
მდიდრდება შენი ენაც ქებული,
ამის ურყევი საფუძველია
ხალხთა ერთობა გამარჯვებული.



ორდენის მიღებაზე

დააჯილდოვა ხალხმა პოეტი...
რა მეთქმის? ის, რომ — მზად ვარ
ყოველთვის:
ერთი გზით, ერთად მასთან ვიარო
და მისი ბედი გავიზიარო.

მასთან დავიწყე დავაჟაკაცება,
სიმხნე, სიმღერა და აღტაცება.
მაღალი რწმენის შეუბღალავად
ძნელ გზაზე ვივლი დაუღალავად.

მაშ, როგორ? არა... ამ დროს, არ მინდა
გვაგდე დაზაფრულ ბალახ-აბზინდას,
მინდა ლითონის ხმას გავძახებდე
და მტერს შიშისგან აცახცახებდე.

ისე რთულია გარდაუვალი
ძალთა განწყობა, მდგომარეობა,
რომ შეიძლება, — დღესა თუ ზვალე.
ძირფესვიანად შესძრას ევროპა.

ხალხი კი ამ დროს მეტყვის: პოეტო,
თუ გინდა ლექსი ჩვენს გულს მოედოს,—
დაე, მაგარი იყოს რკინაზე
და მასთან ჰქონდეს მდელოს სინაზეც.

ლითონის ხმა და მდელოს შრიალი,
ვერობის ცათა კვამლის რიალი, —
შემოქმედების თემად გახადე
და ხმაშეწყობილ ლექსად დახატე.

და გააჩადე ხმაცეცხლიანი,
ისეთი ლექსი ძარღვებიანი,
რომ მისი მძლავრი ძარღვების ძგერა
ისმოდეს ბრძოლის უკვდავ სიმღერად...

ჰოი, უსაზღვრო ჩემო მამულო,
მიწავ, ცის მაღლით გადანამულო,
შენი გულმკერდი ძგერს აყვავებით
და მზის შუქია შენი მკლავები.

გვეაღერებდა, გვათბობს ლაღი მზე,
გულს გმირობისკენ უხმობს, აღვიძებს:
მეც რახანია გამოვიძინე, —
ჰა, გველიც მოდის ჩვენსკენ სისინით...

ამ დროს კი, ამ დროს, არა, არ მინდა, —
რომ დავემსგავსო ბალახ-აბზინდას,
ან იარაღი როგორ დაფყარო,
როცა გაიყო ორად სამყარო?


და ხალხსაც ქვეყნის ბედი აწუხებს,
აზრს მიდასტურებს და მიპასუხებს:
ლექსიც, მრისხანედ ამოძახილი,
შხამ-ნესტარს ჰკვეთდეს, როგორც
მახვილი.

მასში ცოცხლობდეს თვითონ ბუნებაც,
ხალხის გულისთქმა, ფიქრი, გუნება.
გულუხვი მიწის ხმა დღევანდელი,
კრემლის ვარსკვლავთა მკვიდრი ნათელი,

ძალ-ღონით სავსე შემოქმედება,
მგზნებარე ცეცხლად გულს რომ ედება...
დე, მისი მძლავრი ძარღვების ძგერა
ისმოდეს ხალხის უკვდავ სიმღერად!

თარგმნა ალიო მირცხულავამ





მაქსიმ რილსკი დაიბადა 1895 წელს კიევიში, ცნობილი უკრაინელი საზოგადო მოღვაწისა და სწავლულ-ეთნოგრაფის ოჯახში. სწავლობდა კიევის გიმნაზიაში. 1910 წლიდან სისტემატურად იბეჭდებოდა უკრაინულ ჟურნალ-გაზეთებში. სამამულო ომის წლებში დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა. 1943 წელს აირჩიეს უკრაინის აკადემიის ნამდვილ წევრად. ორჯერ დააჯილდოვეს სახელმწიფო პრემიით. 1945 წელს აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მაქსიმ რილსკი გარდაიცვალა 1964 წელს.

სამშობლო

შენი დიდება გაიმის
კეთილი შრომის, წინსვლის,
გვახარებს შენი მაისი,
მარადისობის ღირსი.

ჩვენ უცხო მიწის ღიმილიც
გვინახავს შუქთა მფენი,
მაგრამ ვცოცხლობდით ტკივილით
და სიხარულით შენით.

გული ხარ, ყველა უგულოს
თავს დაატყდები რისხვით,
ასი სიმღერა გუგუნებს
და იქ შენი ხმაც ისმის.

სიცოცხლე არ დააცალოს,
დედის რძე ექტეს შხამად,
ვინც სხვა მიწაზე გატყვეალოს,
ზურგი გაქციოს წამით.

წამომდგართ შენი მიწიდან
მამულის შუქი გვიცავს.
მამულის მკერდი გვიზიდავს,
როგორც ანთეოსს მიწა.

თარგმნა არჩილ სულაკაურიძე





მიკოლა ბაქანი დაიბადა 1904 წელს ქალაქ კამენც-პოდოლსკში, სამხედრო ტომოგრაფის ოჯახში. ბავშვობისა და ყრმობის წლები გაატარა ქალაქ უზანში, სადაც იგი 1318 წლამდე სწავლობდა გიმნაზიაში. აქ იგი პირველად გაეცნო ვლ. მაიაკოვსკის ლექსებს და უკრაინულ ენაზე თარგმნა მისი პოემა „შარვლიანი ღრუბელი“. 1926 წ. გამოვიდა მ. ბაქანის ლექსების პირველი კრებული „17 პატრული“.

დიდი სამამულო ომის დროს იმყოფებოდა ფრონტზე. მისი რედაქტორობით პარტიზანებისა და ოკუპირებული მოსახლეობისათვის გამოდიოდა გაზეთი „მშობლიური უკრაინა“.

1943 წლიდან მიკოლა ბაქანს ეჭირა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის

თანამდებობა. 1946 წლიდან 1949 წლამდე იყო უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 1951 წლიდან მ. ბაქანი უკრაინის აკადემიის ნამდვილი წევრია. 1946 წელს იგი აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ომის წლებში დაწერილი პოეტური ნაწარმოებებისა და ლექსების ციკლისათვის „ინგლისური შთაბეჭდილებანი“ მ. ბაქანს მიეკუთვნა სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება. იგი დაჯილდოებულია ლენინის ორი ორდენით, წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

მიკოლა ბაქანმა უკრაინულ ენაზე თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და დავით გურამიშვილის „დავითიანი“.

თმობვის გზაზე

მ. ჩ.

ცხელოდა, მაგრამ სიცხეს ვუძლებდით.
ოფლმა დაგვასხა და მოვიქანცეთ,
მზიან ბილიკებს და გზას უძველესს
ჩვენ მივყვებოდით კვლავ თმოგვისაკენ.

იწვა ნაპრალი და ამ ნაპრალზე
და კბოდეებზე სხივის დაცემა
ჰგავდა მკვლელობას, სხივი საბრალო
გადამსხვრეული მიზარბაცებდა.

იდგა სიჩუმე. გზა მიიწევდა,
როგორც ნაზი ხმა, ხეების ჩრდილში,
და ცა კრთებოდა თითქოს მიწაზე
მოახლოვებულ შფოთვით და შიშით.

დაეფრთხო გველი ბალახის შრიალს,
ცვიოდა კენჭი და მისი ჩქამი
კვლავ აფხიზლებდა ხეობას მტვრიანს
და ხორშაკივით დიოდა ჟამი.

თითქოს ჰაერში დადნა სპილენძი
და გარდასულის წმინდა კარიბჭეს
სტუმარს უღებდა აქ მასპინძელი
და იგონებდა ძველ სიღარიბეს;

შომშილს და წყურვილს, შმაგი ცხენებით
ხალხის ჟღერას და თურქის სატევარს,
იმ უსასტიკეს ჟამს ახსენებდა,
რაც ყურს ესმის და თვალს ეხატება.

ჩვენ მივდიოდით. გათავდა ხევი,
მთა აისვეტა და გზა უეცრად
ზევით გაიქცა, გაიქცა ზევით
და დაღუმებულ ცას შეუერთდა.

იმ მთის სიმაღლეს, ფერს და მუსიკას
მსგავსებას ვერვინ მოუძებნიდა,
ჩვენ ლეგენდებში უხმოდ, უსიტყვოდ
ასე შევედით ლურჯი მთებიდან.

და დავინახეთ რაღაც საზარი,
ის გვიღობავდა გზასა და სავალს,
და ეგდო ასე — უზარმაზარი
გაქვავებული ვულკანის ლავა.

ვით ბარბაროსის გვირგვინი, სავსე
ძვირფასი თვლებით, იქ წამოხრილი
ბრწყინავდა კბოდე და იმის თავზე
თეთრი ღრუბელი იჯდა თოხლივით.

და ქარი სწეწდა მას, შეშინებულს,
ქარში გახლართულს, ქარით მონუსხულს,
და მთების იქით ისევ შიშველი
მთა აწვდილიყო, როგორც კონუსი.

ბორცვებზე თითქოს ნაპრაღის კვალი
ახლაც ბრწყინავდა და ახანძრებულ
ციხის ქონგურებს რუჯავდა კვამლი
და ქარს მიჰქონდა ფერფლი ტაძრების.

წვიმდა ბრმა ტყვია, საფეხურებზე
კვლავ მიცოცავდნენ თითქოს კოშკები
და ნანგრევებზე სათოფურები
მაშინდელ რისხვას ვერ იოკებდნენ.

☆
მიმღლა ბაჰანი
☆
თომოშის გზაზე
☆

ტაძარს გუმბათი ისევ ეჭირა
და იქვე ესვა საფლაგზე ჯვარი,
მაგრამ ის იღდა ბჭეშელეწილი,
დანავარდობდა ტიალი ქარი.

ვით ჟანგისფერი ტყავი ზვარაკის,
კაეშნიანი, უტყვი, დიადი,
კლდეების მკერდზე იწვა ქალაქი
და მთას ეხურა ჩალმად წყველიადი.

ის ნაპრალეები, რომ ჰგავდა ნახმლევს
თავის ქალაზე, და ის ტაძარი,
ძლივს რომ ეჭირათ დაზზარულ თაღებს,
იყო სიკვდილი, იყო ნაცარი.

ცოცხლებს გვესმოდა გზების მუდარა,
გზა მიდიოდა მთებში და ველად,
ვაი მას, სიკვდილს აქ სამუდამოდ
ვინც გაუსწორა ჩამქრალი მზერა.

დიდება იმას, ვისაც იარა
სტკივა მოყვასის, ვისი მხურვალე
გულიც და ფიქრიც სიკვდილს კი არა,
მარადისობას ემსახურება.

მე შემოვბრუნდი, გზა ვით ფოლადი
ისე ბრწყინავდა და აკვარელით
ნახატი ქედი ისე ბოლავდა,
რომ აღარ ჩანდა არც ნაკვალევი.

და უცებ ისე შეწყდა ბილიკი,
თითქოს ჩემს ფეხთან ჩაჯდა ფრინველი,
და მზის ჩარჩოში მე მზის შვილივით
ვიხილე ლანდი გასაკვირველი.

თვლემდა თმოგვი და დაქანებულნი
ბორცვის თავები მზეში იწვოდა,
ჩვენ უცებ მივხვდით: იგი ის იყო,
ვინც დაიმკვიდრა მარადისობა.

ჩვენ უცებ მივხვდით, რომ ამ ველებზე
თავის სინათლით და უკვდავებით
ის დადიოდა, — დიდი მელექსე.
ის — ვინმე მესხი და რუსთაველი.





მიხაილო სტელმასის მისმა პროზაულ-მა ნაწარმოებებმა სიცოცხლის, შრომისა და რევოლუციის შთაგონებული მომღერლის სახელი დაუმკვიდრა.

მიხაილო სტელმასი დაიბადა 1912 წლის მაისში სოფელ დიაკოვციში. ბავშვობა და ყრმობა

მწერალმა მშობლიური ბუვის ნაპირებზე გაატარა. წერს პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებს. რომანებისათვის „პური და მარილი“, „დღი ოჯახი“ და „ადამიანის სისხლი წყალი ნუ გგონია“ — მიხაილო სტელმასს ლენინური პრემია მიენიჭა.

საფუტკრეში

საფუტკრედან ბარში ბაღჩა-ბაღებს
 ბილიკ-ბილიკ ეპარება ჩრდილი.
 ილიაში ვიჩრი პურის ნატეხს,
 ჩემს ფაცხამდე ასკინკილა ვივლი.
 მე მივდივარ, ნიავი კი ამ დროს
 შეწითლებულ წიწიბურას აშლის.
 იქ პაპაჩემს ხელში თაფლის ჩარჩო
 უჭირავს და შუქი უკრთის თვალში.
 ფუტკრის გუნდი მოცოცავს და მღერის,
 მზე ხვეზაში ისევ აფრქვევს ნათელს.
 თაფლს სდის ლალი სურნელება ველის
 და ბალახის მწვანე ფერი ადევს.
 პაპა ფიჭებს შემოუვლის ჩუმაღ,
 მე კი ვზივარ და პაპაჩემს ვუმზერ,
 ფუტკრის გუნდი წითელ წიწიბურას
 წვიმასავით თავს ესხმება უცებ.
 მოთმინებით ჩამოვიცვამ ბადეს,
 ცხავეში ნაყარს ვაგროვებ და ვტკებები;
 აქ ჩემს დღეებს სიხარული ანთებს
 და ყოველდღე ცხრა მზეს ვეგებები.
 მზე იცინის და აქ, მზესთან ახლოს,
 წლიდან წლამდე შრომის მაღლით ვცხოვრობ;
 ოქროს ნაყოფს მალე დავაგროვებთ,
 ილივლივებს თაფლი საუცხოო.
 ილივლივებს მთაშიცა და ბარშიც,
 ილივლივებს ქალაქად თუ სოფლად;
 სხვებთან ერთად ჩვენც ვიხარებთ მაშინ,
 სხვებთან ერთად ჩვენც დაგლოცავთ ყოფნას!
 ზოგჯერ, მზე რომ დაადნება სერებს,
 სამხრობის დრო ვარცლებს ახდის სწრაფად,
 გლეხი კაცი პაპას გაიხსენებს,
 მე კი — ვინმე გოგო შევთვალწარბა.



სტეფანე ოლეინიკი დაიბადა 1908 წლის 3 აპრილს, ოდესის ოლქის ბალტის რაიონის სოფ. პასისელში, გლეხის ოჯახში. 1939 წელს დაასრულა ოდესის პედაგოგიური ინსტიტუტის ლიტერატურული ფაკულტეტი.

1929 წლიდან ოლეინიკი პერიოდულ პრესაში თანამშრომლობს. სტეფანე ოლეინიკის პირველი სატირულ-იუმორისტული ლექსების კრებული „ჩემი თანამემამულენი“ 1947 წელს გამოქვეყნდა, ხოლო ლექსების მეორე წიგნისათვის „ჩვენი ნაცნობები“, რომელიც 1949 წელს დაიბეჭდა, სახელმწიფო პრემია მიენიჭა.


1958 წელს სტეფანე ოლეინიკი დაბადების 50 წლისთავის გამო ლენინის ორდენით დააჯილდოვეს, ხოლო 1960 წელს უკრაინის ლიტერატურისა და ხელოვნების მოსკოვში გამართულ დეკადანთან დაკავშირებით ხელმეორედ დააჯილდოვეს ლენინის ორდენით.

ჩემს ძმებს, ქართველებს!

უკრაინელ პოეტს
გთხოვთ გამიღოთ კარი,
სიყვარულზე მღერის
წიგნის ყველა ბჭკარი!

კავკასიის კალთებს
სწვდება დნეპრის დენა
და ქართულად უცებ
მეც ავიდგი ენა!
მიყვარდა და მიყვარს
თქვენი მთა და ველი,
— რიონო და მტკვარო,
გამარჯვება თქვენი!

თარგმნა კარლო კალაძემ





ოქცა ნოვიცკი დაიბადა 1914 წელს სოფელ პიში (კიევის მახლობლად), გლეხის ოჯახში. ლექსების წერა ბავშვობიდანვე დაიწყო. ლექსებს აქვეყნებს რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. მუშაობდა მასწავლებლად. სამამულო ომში სამხედრო კორესპონდენტი იყო. გამოსცა ლექსების რამდენიმე კრებული. ეწევა მთარგმნელობით მუშაობას. საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაბადებიდან 40 წლის შესრულების გამო ო. ნოვიცკი ქართული ლიტერატურის თარგმნისა და პროპაგანდისათვის საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

მიფრინავენ წაროები

ჩემი ლურჯი დნეპრის თავზე მიფრინავენ წეროები,
 მდლოები მოფერილა მათი ფრთების ჩეროებით.

მიფრინავენ,
 ყაშყაშებენ,
 დილის მზეში
 კაშყაშებენ,

მიფრინავენ, მეძახიან, გაზაფხული მოჰყავთ ფრთებით.

დილის სურნელებით ვთვრები, ვდგავარ ნამის თვლებით
 სველი,

ვდგავარ მარტო, სატრფოს ველი, ირემივით გარბის ველი,

მე გაზაფხულს
 ველოდები,
 წეროებს რომ
 მოჰყავთ ფრთებით,

გულში შედის მწვანე აფრით თეთრი არყის ჭალა ვრცელი.

მოლოდინში გული დელავს, მზის სხივები თვალებს მჭრიან,
 და მუხნარის მწვანე შრიალს ჩემი ფიქრი მასთან მიაქვს.

იმ შრიალში
 მიმალული
 მღერის ჩემი
 სიყვარული,

ჩემი წრფელი სიყვარული, ჩემი გულის მზე რომ ჰქვია.

ისევ ისე წეროების შორეული რეკენ ხმები
და უსაზღვრო სივრცეებში ვარდისფერი წვანან გზები;

ვღგავარ, ველი
გულის ცემით,
რომელი გზით
მოგყავს ჩემი

სიყვარული — გაზაფხული, წეროებო, თქვენი ფრთებით?!


ჩემი ლურჯი დნებრის თავზე მიფრინავენ წეროები,
მდელოები მოფერილა მათი ფრთების ჩეროებით;

მიფრინავენ,
ყაშყაშებენ,
დილის მზეზე
კაშკაშებენ,

მიფრინავენ, მეძახიან, გაზაფხული მოჰყავთ ფრთებით.

თარგმნა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა





დმიტრო პავლიჩკო დაიბადა 1929 წელს დასავლეთ უკრაინაში, იაბლონოვის ოლქის სოფელ სტოპჩატოვოში. 1953 წელს დაამთავრა ივანე ფრანკოს სახელობის ლვოვის უნივერსიტეტი. ლექსებს ბეჭდავს 1951 წლიდან. მისი ლექსების პირველი კრებულია „სიყვარული და სიძულელი“. იგი პოეტურ ნაწარმოებებს თარგმნის აგრეთვე ესპანურიდან, ინგლისურიდან და სლავური ენებიდან. მუშაობს კრიტიკასა და კინორედაქტორებაშიც.

სონეტები

უნგრულ კომუნისტებს

1

წინაპრებს გვეტყვის მომავალი, ეგზომ დღევრძელი:
როგორ გვიყვარდა, თუ ვიცოდით ჩვენ შთაგონება,
გული გვქონდა თუ მხოლოდ ცივი, მკაცრი გონება?
თუმც ვანათებდით, გათბობა კი ველარ შევძელით.

მათთვის თითქოსდა სულ ერთია: როგორ ვიბრძოდით,
ბნელი დავძლიეთ, დავემსგავსეთ ზღაპრულ ტიტანებს,
როცა ქვეყანა ჭაობიდან ამოვიტანეთ,
როგორ გავაკაჟდით და რა ცეცხლში როგორ ვიწოდით?!

ჩვენ მივდიოდით, გვატყდებოდა ცა სეტყვასავით,
წინ მიგვიძლოდნენ ვარსკვლავები ცეცხლის ანთებით,
თუმც არ გვათბობდნენ, გვინათებდნენ გზას ელვასავით.
შვილო, ნუ იტყვი, რომ ჩვენ თითქოს წარსულს ვბარდებით,
აკი ხუთქიმად მოვარგარე შენი ვარსკვლავი
მტრებმა ციხეში ამოგვიწვეს მკერდზე შანთებით?!


2

ფარავს ხეივნებს ლიჩაკოვსკის ბაღნართა ჩრდილი
და შიგ ელვარებს მარმარილოს ქვა მოგროვილი,
სეიფებივით, მარცხნივ-მარჯვნივ, ბჭედაბეჭდილი,
დგანან ჯვრიანი აკლდამები მოოქროვილი.

ოსტატის ხელი დაკოჭრილი თლიდა, რანდავდა,
სისხლის ოფლს ღვრიდა, ძეგლს აგებდა, ქვას იყენებდა,
შიგ—ან ბარონი, ან თავადი, ანდა რაინდი —
შავი ძვლებითვე საუკუნოდ განისვენებდა.

მათ შორის არ ჩანს თუნდაც ერთი სადმე საფლავი,
მათი, ვინც შრომით ხსენებულა, არა — წოდებით,
დამიწებულან საცოდავნი, მწვანით მოცულან,
ხეებს ახარებს იგი მიწა დაუდაფნავი.
მხოლოდ საუფლო საფლავებზე, — ჯვრებით, ლოდებით,
ჯერ სარეველა ბალახიც კი არ ამოსულა.

უკრაინულიდან თარგმნა ალიო მირცხულავამ






ვიტალი კოროტიჩი დაიბადა 1936 წელს კიევში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. 1953 წელს შევიდა სამედიცინო ინსტიტუტში. ამჟამად უკრაინის დედაქალაქში ექიმად მუშაობს.

ვიტალი კოროტიჩი სამი კრებულის ავტორია. მისი ლექსები გამოირჩევიან თვითმყოფადობით, უშუალობითა და ორიგინალობით.

ბეთჰოვენი

მუსიკა, სცენა, გული ფართხალებს,
მე ახლაც ვუმზერ ნათელი სახით,
თუ როგორ ბრწყინავს აზრი მართალი
და სტირის მაღალ დარბაზში ხალხი
გგრძნობ, დედამიწას სულამდე ესმის
და ბეთჰოვენი მის სულში ბორგავს...
დამაწერიან ასეთი ლექსი
და მერე მომკლა.



როგორ მადღეღებს, როგორ მახელებს,
როდესაც ოქროს არქმევენ ხელებს.

შენი მზრუნველი თბილი ხელები
უფრო მეტია, ვიდრე მეტალი,
შენი ხელები, რბილი ხელები,
სასიყვარულო და სანეტარო.
შენი ხელებით მიდგია სული,
მისით მოვკვდები, მისით ვცხოვდები,
მიყვები გზებზე მის ნება-სურვილს
და გზებზე ყრია ოქროს ზოდები.



1696



მეშე არაფერს არა გთხოვ სხვას.
ნე შენი მიწის სურნელით ვიწვი,
მაყურებინე შენს ლამაზ ცას,
გამაძღე შენი მხურვალე მიწით.
ლურჯი თვალებით ზეცა რომ გსვამა
თითქოს სხეულზე ცისფერი გაცვას,
ვედილობ არა ესთქვა, რაც გითხრა სხვამ,
მცდილობ და ვიმწყვდევ თვალებში ზეცას,
არაფერს გთხოვ და არაფერს ვეღვი,
ჩრდილად მეყრება შენი წაბლის ხეც,
სიცოცხლეს გამძღვე სიცილით, ცრემლით,
აპა წაიღიე.
იბოტრე მძილუნებე ინამ აბიბოტო ილბეტი
იიწაფეფოყნიიფთ მნიენეიიონე იმეწეუ იპინ
თიბოთლმედიბო აფ თიბოთლმეწე

თარგმნა ჯანსუღ ჩარკვიანმა

წმინდა ხელოვნება

1 იმეწეწმინდა

ვის დააჯერებ
თუ გმირები, ბოლოს და ბოლოს
ხატე ყოველთვის
მხარგაშლილნი და ლამაზები?
მომხრე ვარ წმინდა ხელოვნების,
რომელიც მხოლოდ
წმინდაა მაშინ,
როცა ქმნიან წმინდა აზრები.

2

რემბრანტს ვან-გოგი მხარს უმშვენებს,
სეზანს — ვრუბელი
და სულდგმულობენ შემოქმედნი
განცდით სხვაგვარით:
მზეს თუ ხატავენ,
არის თირაღ მზე სისხლისფერი,
ზღვას თუ ხატავენ
სილურჯეში არ უჩანს ზღვარი.
თუ იცინიან
ხარხარებენ ქარიშხლის ხმაზე,
როცა ტირიან
ცრემლებად სდით თვალებთან თქემი
და არის მათთვის სენსაცია
დიდი ყველაზე
წამით რცოცხლოს ღელვისა და
განცდის გარემო;
მათ კაპილარებს
გაჯიბრება ძარღვებთან უნდათ



ლიუბომირ დიმიტრაკის ძველი დიმიტრაკო დაიბადა 1911 წლის 18 მარტს, ლეოვის მახლობლად, ვინიკაში (ყოფილი ვალიცია), სოფლის მასწავლებლის ოჯახში. 1919 წ. შშობლებთან ერთად კამენეც-პოდოლსკში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც საშუალო სკოლა დაამთავრა სწავლობდა სატყეო პროფსკოლაში და სახალხო განათლების ინსტიტუტში. 1928 წლიდან აქვეყნებს ნარკვევებს, მოთხრობებსა და ლექსებს ადგილობრივ გაზეთში „ჩერგონი კორდონ“, აგრეთვე ჟურნალებში „მოლოდინაკ“ და „ზახიდნა უკრაინა“ (ხარკოვი), „მოლოდი ბოლშევიკ“ და „გლობუს“ (კიევი).

1930 წ. ლ. დიმიტრაკო კიევიში გადმოვიდა. დიდი სამამულო ომის პერიოდში მოქმედ არმიაში იყო. დაჯილდოებულია სამამულო ომის პირველი ხარისხისა და წითელი ვარსკვლავის ორდენებითა და მედლებით, აგრეთვე შრომის წითელი დროშის ორდენით.

ომის წინ გამოაქვეყნა ლექსთა რამდენიმე კრებული. ამასთან იგი მრავალი მოთხრობის, ნარკვევისა და კინოსცენარის ავტორია.

ლ. დიმიტრაკოს კალამს ეკუთვნის აგრეთვე ზევრი სტატია და ნარკვევი, მოგზაურის ჩანაწერები, რომელიც ავტორმა დემოკრატიული ქვეყნების, ევროპის, სამხრეთ ამერიკის, კანადისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობის შედეგად დაწერა. ლ. დიმიტრაკოს შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი მშვიდობისათვის ბრძოლის თემას ეძღვნება.

თქმულება გუბრის ციხეში

გუბრის ციხეზე შემოგვალამდა
რუსთველის ლექსით დამწვარ ჭაბუკებს.
დაღამდა, მხოლოდ მათათა მალაღთა
გვიანი სხივი ისევ აშუქებს.

მხოლოდ არაგვი ისევ გრიალებს,
ისევ ტრიალებს ბულის ალმური.
ზევრი ვიარეთ,
ვიხეტივალეთ,
ენახეთ ყინვალი და ანანური.

აქ საოცრება იყო ყოველი
და როცა ქართველ მეგობრებს ვხედავ —
მომაგონდება სვეტიცხოველი,
დაუფიწყარი ჯვარი და მცხეთა.

ან ის შეხვედრა იმლამინდელი
რამ დამავიწყოს, ძველო არმაზო!
წყალი გვწყუროდა და მასპინძელი
ფიცით ამბობდა, წყალი არ გვაქვსო.

გამოგვიტანა სავსე ხელადა.
ღვინოს კი არა, მზის ნაწურს ვსვამდით,
მერე ცის კარის გასახსნელადა
ჩვენი სიმღერა ავიდა ცამდი.

მაშინ მიაბებს ერთი თქმულება,
იმას ფანდურზე მოთქმით მღერიან.
ბევრი თქმულება ჩამიწერია,
უფრო ლამაზი არ მეგულება.

...ქართლს შეესია მტერი გულშავი,
მოაქვს სიკვდილი კბილებდალესილს...
ბებრის ციხეში სტირის შუშანი,
მეფის ასული ულამაზესი.

ასჩეხეს ვაზი, იწვის სოფელი
და ქალს გულს უკლავს ხალხის გოდება.
როგორც აფთარი დაუნდობელი,
ურდო მცხეთის კარს უახლოვდება.

მოაქროლებენ უბელო ცხენებს
და დედამიწა შიშით ზანზარებს.
არ მოისვენებს,
არ მოგასვენებს,
ჩვენი სწყურიათ სისხლი ხაზარებს.

მაშინ ასული ეტყვის საფიცარს
მიწას,
რომელმაც გეშობა, გაგზარდა:
„ციხეთა ციხე თუ ვერ დაგვიცავს
და უნდა გავხდე მონა ხაზართა,

თუ გეძლია მტერმა და ღვთის განგებით
ნე სამარცხვინო ბედი მომელის —
მაშინ... ქალი ვარ, ცრემლად დაფენები,
რომ ეკლად იქცეს წვეთი ყოველი.

იქცეს ნარ-ეკლად, შხამად, ნარცეცხლად,
რომ მტერს ყველა გზა დახვდეს შეკრული.
ცრემლი ქარცეცხლად,
ცრემლი ნარცეცხლად,
იქნებ გადარჩეს მცხეთა ბედკრული“.

მაგრამ ახლოა ჭიხვინი ცხენთა,
ბებრის ციხესთან ავარდა მტვერი.



დაეცა ციხე, დაჩუკრეს შენეთა
 და გამარჯვებანი შეიშობს მტერი.
 გამარჯვებულნი და თავდასულები მონა თიყიდ
 როგორც კალია, მოედო ველად.

დატყვევებული მეთუ ასულის მძატივეგონებ
 სწრაფად მიკვებურეს ხაზართა ბუღლადსივთ
 როგორც თავის სწორს აბრუნებდ იმეგ
 (და არა მინას)

წინ შეეგება მხედართმთავარი, მინა მინა
 „მეთის ასულო რამე დაგაღონა? მემდ მანი
 შენი სამშობლო, შენი მთა ბარჩინო იბრუნ
 თუ გსურს იხილო თავისუფალი

და შეწყდეს ჭიანი მტრობა და ბრძოლა —
 ულამაზესი ქართველი ქალი
 მინდა ხაზარეთს გამომყვე ცოლად.

მაშინ, ასულო, ბრძანებას შეეცვლი
 და რაც მომხდარა, აღარ მოხდება.
 არ ავარდება შეხეთაში ცეცხლი,
 შენი სამშობლო არ აოხრდება.

ლაშქარს გავიყვან საქართველოდან
 და შენ დაგადგამ დედოფლის გვირგვინს“.
 გათენებამდე პასუხს ელოდა
 და მოთმინებას კარგავდა იგი.

„მე თანახმა ვარ, — უთხრა ასულმა —
 ოღონდ ასრულდეს პირობა შენი“
 ...და ჰა, მცხეთიდან უკვე წასულან.
 აღარ ჭიხვიენებს ხაზარის ცხენი.

ცეცხლი არა სჩანს,
 შეწყდა თარეში.
 ურჯულოებმა ჩააგეს ხმალი,
 მიდიან, მიჰყავთ უცხო მხარეში
 დაღონებული ქართველი ქალი.

და როცა საზღვარს მიუახლოვდნენ,
 დასასვენებლად შეჩერდა ჯარი.
 გახედა ქალმა —
 ქართლის მალღობებს
 თავს დასდგომია მზიანი დარი.

„თავისუფალი მიწა ხაროზდეს,
 ისევ აიგვოს სვაგით, შარაქით
 ისევ ამღერდეს და არასოდეს
 ტყვედ არ მენახოს ჩემი არავგი“.

ქვემოთადად
 ქვემოთადად
 ქვემოთადად



შენმა სახელმა მარად იდიდეს
 მე კი არ მინდა ოქროს გალია!
 სთქვა და ბეჭედი პირზე მიიდო
 და საწამლავი მშვიდად დალიო
 ანუ პანელს უსუნდს ინფორ
 ასე დასრულდა ძველი თქმულება
 ანუ მშენებელი იმისა
 ანუ მშენებელი იმისა
 თენდება,
 საღვთო სპირიტის მამალი.

★
 ლექსები
 ★
 ლექსები
 ★
 ლექსები

ათენონ ეძნ
 ხალხის სიყვარულს და ერთგულებას
 გამოუზრდია გმირი მრავალი
 ჩვენ გავაღვიძეთ მათი ლანდები,
 ვინც არ გამქრალა ქვეყნად უკვალოდ...
 ასჯერ მოკლული, ისევ ავადგებით,
 რომ ისევ მოკვდეთ, შენთვის, უკვდავო.

★ იონიიტატოს

იგი იცემიწ — ელმეს ინიწ
 იონიწ იორე იწლუტე პიიტობან
 დედა მათე პილენენ ბენ ნებენ
 იტენ ეწონ ნიშენბენ ნიპ
 ჩვენ ქობში გეძინავს.
 გარეთ ქარია
 და აწკრიალებს მოყინულ მინებს.
 ჩვენი თოვებენ ძირში არიან
 მხოლოდ შენ, დედავ, რა დაგაძინებს.

ო, ჯარისკაცის ტკბილ-მწარე ძილო
 და უძილობავ უცხოში დედის...
 ანაღამ თვალი ვერ მოგვაცილო,
 გულდასეტყვილო შვილების ბედით.
 ამ მარტონელსა მორწყენილ ქალთან
 ჩვენ დაღლილებმა გზად შევიარეთ.
 მინდა ვემთხვირო შენს წმინდას
 რომ მისი სითხოვნი გავიზიარებ...
 აიბედენ ფლუტეოც იტეონენ პი
 და როცა სარკმელს მოადგა დიღვენი
 დილა საზარი — ომის და სისხლის,
 ეზოდან ისე გამოგვიცხლო
 თითქოს შეიღწეოდა ჩვენი
 ...და კვლავ ლოდიწივად გვიბრუნდა
 შევიღებთ მთელი, ომში წასულებს.
 ო, რამდენად დედა გმირებს
 მაგრამ იმ დიდებულს დასაბრუნებელს
 ილიტეს ინიწ ოცი ტი, ანუ
 აიტონენ ინიწ ანუტენ ცხელს



ისევ გუგული...
მისი ძახილი
ბინდში გახვეულ ჭალებს ედება.
ამიდულდება სისხლი დაღლილი
და ის სალამო გამახსენდება.

მზე მოეფარა
სოფლის მაღლობებს,
ხელს მიქნევს გოგო თავსაფრიანი...
გმადლობ, გუგულო, რომ გამაგონე
ჩემი ჩამქრალი გულის ფრიალი.



პარტბილეთი

ჩემი საუნჯე — წიგნაკი იგი
პარტიის გულში ერთი წვეთია,
მაგრამ ვერ შეცვლის ათასი წიგნი,
სამი გაფრენით მათზე მეტია.

როცა ამ წიგნაკს ავიღებ ხელში,
ყურებს გამივსებს თერგის ღრიალი.
მესერშმიტები. ტყვიების თქეში.
მანც ამაყად დგას დარიალი.


...ამოგეფარეთ დაღეწილ მუხებს,
კიდევ წამი და მტერს ვეკეთებთ.
სამნი ვიყავით.
სანგარში წუხელ
ჩვენ ჩავგაბარეს პარტბილეთები.

ახლა ის ორნი აღარ არიან.
ერთმა გმირულად დაღვარა სისხლი.
ის მეორე კი ცოცხლად მკვდარია,
დაკარგულია სახელი მისი.

თავშერცხვენილმა დაკარგა იგი,
რაც უწმინდესი სისხლის წვეთია.
ამ ქვეყანაზე ბევრია წიგნი,
სამი გაფრენით იგი მეტია.

ჭირიც მინახავს, მაგრამ ადვილი
გზები არასდროს არ მინატრია,
მწამდა, იქ იყო ჩემი ადგილი,
სადაც მეტყოდა ჩემი პარტია.

ჩემი პარტია — ბუდე მამაცთა,
მილიონების ძალა უღევი...
ვერა, ჩვენ მტერმა ვერ დაგვამარცხა,
რადგან მან შეჰკრა ჩვენი გულეები.



ამ ქვეყანაზე ბევრი ვიარე
და მგზავრობაში კიდეც დავბერდი.
ვნახე მრავალი ზღვა და მდინარე,
ქარი და წვიმა ყველა განედის...

ტროპიკის სიცხე,
უდაბნოს მტვერი,
სად არ ვყოფილვარ, რა არ მინახავს!
ბევრი სახელი,
თარიღი ბევრი
მეხსიერებამ არ შემინახა.

მხოლოდ ერთი რამ მახსოვდა მარად,
ყველა გრძნობაზე უმხურვალესი —
ცაში თუ წყალში,
მთაში თუ ბარში,
არ დამკლებია შენი ალერსი.

შენ მომეც გზაში სულის მშვიდობა
და ყველა ნატვრა შენ გამიცხადე.
სამშობლოვ,
შენი დედაშვილობა
წავალ,
წამყვება კუბოს ფიცრამდე.



შეჩერდი, წუთო!
როგორ ჰყვავის იასამანი,
ამ სილამაზის
გამეტება არ შეიძლება.
რა ვუყოთ მერე,
რომ გრძელია შენი სავალი
და ქვეყანაზე
ყველაფერი ქრება, იცვლება.

გვიგონი ქონიძე



სოველა

მ არაგზაზე მხედარი გამოჩნდა, ჯირითით წყალწითელას ნაპირისაკენ გაემართა, საურმე გზას ჩაუარა და შლამიან ეწერს შეერია.

ტირიფებით დაჩრდილული აყალღოსფერი წყალწითელა მდოვრედ მოედინება გაშლილ ტაფობში და დაკბილულ ნაპირს გულმოდგინედ ღოკავს. ტალღები ტყლაშუნით ეხეთქება ბორანს, ნაპირიდან ნაპირზე ურმიანი მგზავრები რომ გადაჰყავს. მოშორებით რკინიგზის ხიდი მოჩანს და როცა ვიწრო ლიანდაგზე ეკლარის ქვით დატვირთული ვაგონები გადაირიხინებს, ჭანჭრობაში შეყუყუელი გარეული იხვების გუნდი თოფნაკრავივით წამოიშლება და შებოლილ ცაზე გაიბაწრება.

წყალწითელას ორივე ნაპირს ურმიანი

მგზავრები მოსდგომიან და ბორანზე ასასვლელად რიგს ელოდებიან. მკლავებდაკაპიწებულნი, კუნთმაგარი მებორნე კუშტად დგას ბორანზე, ცხრაარშინიან ორთაყვირს მსუბუქად ატრიალებს მორევში, თან ქოთნისოდენა ყალიონს საკირესავით ახრჩოლებს. იმერული ქუდი გაბურძენულ წარბებზე ჩამოუფხატავს, მოლედილი მკერდი ნიავისათვის მიუშვერია, მაგრამ თაკარა მზით დასიცხულს მაინც ხვითქი გადასდის.

— ჰეი, მებორნე, ცოტა იჩქარე, თორემ ქელეხს ვეღარ ჩავესწრებ ოდილოურში, — იძახის ურმის კოფოზე არხენინად გადამჯდარი ჭალარა კაცი.

მებორნე მკერდით მიაწვა ორთაყვირს, მერე შუბლზე ოფლი მოიწმინდა და ენამწარედ ჩაიქირქილა:

— თუ ძალიან გეჩქარება, მელქო ბატონო, ფონი ტირიფებს ზემოთაა, ხომ არ დაგვიწყებია?

ლოდინით მოქანცული მელქო გასართობად იფნის სახრეს კალმახივით აშხვართალებს და ისევ მეზორნეს საყვედურობს:

— შენ რომ ყაირათიანი კაცი იყო და ბორანი გივარგოდეს, თითო ვასვლავზე ორ-ორ ურემს გადაიყვანდი!

მდინარის ხმაურში მეზორნეს მელქოს ხმა აღარ ესმის, თორემ ისეთი ენაკვიმატია, სიტყვას არ შეარჩენს. სამაგიეროდ ნაპირზე დარჩენილმა კვახჭირელმა მეურმეებმა აუბეს მხარი:

— აქეთ მოდექი, მელქო, სულ ერთია, ჩვენზე ადრე ვერ გახვალ. ხომ ხედავ, მეზორნე აინუნშიაც არ გაგდებს.

კვახჭირელ კოლმეურნეებს მწვანეზე სახელდახელოდ სუფრა გაეშალათ და გემრიელად ილუკმებოდნენ. ის იყო, მელქომ თავისი ულუფა მჭადი, მჭავე პრასი და ღვინიანი ხელადა სუფრაზე მიიტანა, რომ მხედარმაც გაქაფული ცხენი ურემთან მიაგდო.

— გამარჯობათ, მეზობლებო! — ომახიანად გადმოსძახა უნაგირიდან და ცხენი ისე შეათამაშა, ჩანდა, ჩამოქვეითებას არ აპირებდა. მხედარს სახეზე ოფრი ღვარად ჩამოსდიოდა; ქამარზე-მორტყმული თეთრი ხალათიც გაჭუჭყიანებოდა. შავთოქალთიან უნაგირზე მოხდენილად იჯდა, ეტყობოდა, ბავშვობიდანვე იყო შეჩვეული ცხენოსნობას.

— ღმერთმა წაღმა გატაროს, არ დევან! — ერთხმად მიესალმნენ კოლმეურნეები და ქუდები მოიხადეს.

— ჩამო ცოტა ხნით, არ დევან, დაგვაფასე, სუფრა დაგვილოცე! — შეეპატიჟა სუფრასთან ახლად მოსული მელქო და ადგილიც შეურჩია.

— მადლობელი ვარ, ჩემო მელქო, მეჩქარება, — თავზიანად მოიხადა ბოდიში მხედარმა, ცხენს სადავე დაუშოკლა და გვერდზე მიაყენა, სუფრაზე მსხდომთ სილა არ შევაყარო.

— საით მიიჩქარი, არ დევან? — კისკისებენ ურმის ხელნებზე მერცხლებივით შემომსხდარი გოგოები.

— დედულეთს მივალ, კარგებო, დედულეთს მიმიხარია! — მიუგო არ დევანმა და ნაცნობ ქალიშვილებს ღიმილით მიესალმა.

— კაის ამბობენ შენზე, არ დევან, კაის, მაგრამ დედულეთმა რა დაგიშვა, ნახვა რომ გაგვიძვირე?

მელქომაც კვერი დაუკრა გოგოებს:

— ქვემოურებმა მეც მითხრეს, რაც ეგ ბიჭი თავმჯდომარედ ავირჩიეთ, სოფელს ველარა ვცნობთო. კაცმაც მოითქვა სული და ყანამაცო. მაგრამ ეს ოხერი ძღაბები ერთიმეორის ჯიბრით სულ დაიხრუკენ მაგის სიყვარულითო. დაგვილიე ერთი ყანწი, არ დევან, გზას ადგახარ, შეგვერგება! მიაბრთვი, გოგო თებროლია, ყანწი თავმჯდომარეს! — გასძახა ქალიშვილს მელქომ.

თებროლია სწრაფად ჩამოხტა ურმიდან და არ დევანს ღვინით საგვე ყანწი მიაბრთვა.

— თქვენი კაი ქალობა და კაცობა ნუ მოშლილიყოს, მეზობლებო, გაგემარჯოთ, კარგად იყავით! — ყანწი გამოცალა და თებროლიას გადააწოდა, — კეთილად შეხვედრამდე, კარგებო. მაპატიეთ, რომ ასე მალე გტოვებთ! — დაემშვიდობა გოგოებს არ დევანი.

მელქომ ცხენს აღვირში წაატანა ხელი და შეაჩერა.

— გაოფლილია, ასე უცებ ნუ შეაგდებ წყალში, არ დევან, ცოდვია, არ დახუთოს.

არ დევანს ეტაშნიკა მელქოს რჩევა, ერთ ხანს აღმა-დაღმა ატარა ცხენი, მერე ისევ ქალიშვილებს ჩამოუარა და გაკენწლა:

— ძალიან ჩამორჩენილხართ კვახჭირლები და ოდილოურელები, ამდენ ხანს ხიდი ვერ ავიგიათ წყალწითელაზე!

ქალიშვილებმა ერთმანეთს გადახედეს და ხმამაღლა გადაიკისკისეს, ენამწარე თებროლიამ კი სიტყვა არ შეარჩინა თავმომწონე თავმჯდომარეს:

— ფონი ტირიფებთანაა, არ დევან, თუ

გრიგოლ ძოწინიძე
წაღდუნა

— მერე?

— მე წინ გაგიძღვებით და თქვენ უკან გამოძევებით, არდევან ბიძიაც მოგეხმარებათო.

არდევანს გულში სიხარულმა გაჰკრა. „მიგიხვდი, მელქო, ასე უცებ რამ აგაჩქარა. ყოველთვის გაგებული კაცი იყავი, ახლაც არ გიმტყუნა გუმანმა!“

სალომემ მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ წვიმდა. ირგვლივ მიმოიხედა. წვეთები ტყაბატყუბით ასკდებოდა გავარვარებულ ქვიშას და ოხშივრად ისევ ზეცისკენ მიემართებოდა, ოღოროღორო ფერდობებზე გუბეები დადგა, მერე დაკლაკნილი გზებით ერთმანეთს შეუერთდა და პატარა ნაკადებად მდინარისაკენ გაექანა. მოდიდებული წყალწითელა გათამამდა და კალაპოტი გადალახა. ქალები და ბავშვები ურმების ქვეშ მიეყუჩნენ, ორი-სამი გაბედული კაცი მელქოსთან ერთად ფონისაკენ დაიძრა ურმებზე შემოსხდარი ჯალაბობით.

— ჩვენც წავიდეთ!—სთქვა არდევანმა, ხარები მათრახის ტყლაშუნით წამოჰყარა და უღელში შეაბა.

— დაჯექი, სალომე!

სალომე ურმის თვალზე შედგა.

— თენგო?!

— თენგო ცხენდაცხენ უკან გამოგვეყვება.

— რომ გადმოვარდეს?

— არა, დედა, ნუ გეშინია, — წამოიჭიმა ბიჭი უნაგირზე.

— ყოჩაღია, არ გადმოვარდება, — შეაქო და შეაგულიანა არდევანმა სალომეს ერთა, — ცხენიც კეკიანია.

სალომე მაინც ფრთხილობდა.

— წყალწითელამ ნაწვიმარზე გადარევა იცის!

— გადარევამდე გადავასწრებთ, — დაამშვიდა არდევანმა, ხარის რქებზე გამობშულ ბაწარს ხელი წაავლო და მათრახი შემართა, — ოოო, ხოოო, ნიკორა!

სალომეს ურემი ჭრიალით დაიძრა ფონისაკენ. მდინარეს რომ მიადგნენ, არდევანიც ურმის ძარაზე შეხტა. ხარებს ერთ ხანს მუხლის თვამდე სწვდებოდა წყალი, ურმის მორავსაც ვერ

ფარავდა. სალომე მშვიდად იჯდა ურემზე და მისჩერებოდა, როგორ მთაბრუნებდა კანჭმალალი ცხენი მდინარეში.

თენგო-ბიჭს გამოცდილი მხედარივით ეჭირა თავი. „დედა ენაცვალოს, მთლად მამამისივით უშიშარია!“

მდინარე შუამდე რომ გასტოპეს, წყალმა ურმის ფერსო დაფარა, ცხენს კი თოქალთომდე მისწვდა ჩქერი.

— აღმა ატარე ცხენი, თენგო, აღმა, წყალმა ბორნისკენ არ ჩაგითრიოს! — გაამხნევა არდევანმა პატარა მხედარი.

— ჩემი დარდი ნუ გაქვს, არდევან ბიძია!

წვიმა თანდათან მატულობდა, კოკისპირულად ასხამდა, ფერდობებიდან წამოსული ღვარი ზათქით და ღრიალით მოედინებოდა წყალწითელასაკენ. მდინარე ერთბაშად გადაირია, გაიფუჟა. გაიბერა და ქოჩორა ტალღებით ჯერ ნაპირზე გასულ მელქოს ურემს წამოეწია, მერე უკუიქცა და სალომეს ურემს დაეჯახა. ხარებმა შავი დრუნჩები მალა აიშვირეს და გულშემზარავად აზმულდნენ. წყალმა ცხენის ზურგიც დაფარა. უნაგირზე სკვინჩასავით წამოსკუპებული ბიჭი ისე მოჩანდა, თითქოს ცხენზე კი არ ზის, წყლის ზედაპირზე ტივტივებსო.

— მაგრად შემოაჭდე ცხენს ფეხები, ჩქერმა არ გძლიოს, საცაა გავალთ! — ამხნევებდა არდევანი ბიჭს და დროდადრო დამფრთხალ ხარებსაც უკიჟინებდა.

— ჩემი დარდი ნუ გაქვთ, არდევან ბიძია, არ გადმოვარდები!

სალომე თვალს არ აშორებდა შვილს და სიტყვის თქმასაც ვერ ზედავდა. უცებ ცხენმა წაიფორხილა, თავი ვერ შეიკავა, კისერი ღონივრად მოიქნია და წყალში ჩაიყურყუმაღავა. ტალღა თავისუფლად გადაეწლო ზურგზე და ბიჭი უნაგირიდან გადმოავდო. სალომე პირველად ვერ გაერკვა რა მოხდა, მაგრამ როცა თენგო უნაგირზე ველარ დაინახა, თავში ხელი წაიშინა.

— მიშველეთ, მიშველეთ!

არდევანი მაშინვე აპორგებულ მდინარეში გადაეშვა, მძლავრი მხარულით მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც ბიჭი

უნაგირიდან გადმოვარდა, მაგრამ კო-
კისპირულ წვიმაში ცხენის გარდა ვერა-
ფერი დანახა.

„ბიჭს არაფერი დაემართოს!“

უცებ თენგომ წყლიდან თავი ამოყო,
„ზაყაყური“ მოუსვა და ცხენს გამოუდგა.

— კუდში ჩაავლე ხელი, კუდში, მაგ
სამგლეს! — დაუყვირა არდევანმა და
მისკენ გასცურა.

თენგო ცალი ხელით მოებლაუჭა ცხე-
ნის ძუას.

— ყოჩაღ, თენგო, ყოჩაღ! — მიაძახა
გახარებულმა არდევანმა და სალომესა-
კენ შებრუნდა.

მოდილებულ მდინარეს ურემი აეცუ-
რებინა, აპურებგამოსკვნილი ხარები
უღლიდან თავის დახსნას ცდილობდნენ
და საცოდავად ხრიალებდნენ. სალომე
ორივე ხელით ურემის ფერსოს ჩასჭიდე-
ბოდა და მოხეთქილ ტალღებს ებრძო-
და.

— მაგრად მოკიდე ფერსოს ხელი, არ
შეგეშინდეს! — გაამხნევა ნაპირზე გა-
სულმა მელქომ, მერე არდევანს გასძა-
ხა, — აპურები გაგლიჯე, არდევან, აპე-
ურები, ხარები გაანთავისუფლე!

არდევანი ურემთან გაჩნდა, მერე ხე-
ლის ფათურით უღელს გაუყვა, წყალ-
ქვეშ ტაბიკები მოძებნა.

— წალდი არ გაქვს, წალდი? — გას-
ძახა სალომეს არდევანმა, — აპურები
უნდა გადავჭრა, ხარები არ დაგვეხრ-
ჩოს!

შეშფოთებულმა სალომემ ხელის ფა-
თურით ძლივს მოძებნა ხელნას ღვლეჭ-
ში გარტობილი მოკლეთარიანი წალდუნა
და არდევანს მიაწოდა. არდევანმა რის
ვაივავლახით გადასჭრა აპურები, მერე
პვერღზე გასცურა და დაფეთებულ
პირუტყვს უტია. უღლიდან გამოსხნილმა
ხარებმა ძალა მოიკრიბეს და ნაპირისა-
კენ გასცურეს.

თვლებგამოცლილი ურემი ტივტივით
აიტაცა დინებამ და თავქვე დაქანა.
სალომემ კაბის კალთები აიკრიფა და
ხელნადან გადმოხტომა დააპირა.

— არ გაბედო, სალომე! — ნაპირიდან
დაუძახა მელქომ, — არდევანი მოგეშვე-
ლება, ურმიანად გამოგაცურებს!

წყალთან ბრძოლით დაღლილი არდე-
ვანი სულს ძლივს იბრუნებდა, მაგრამ
მანაც წყალწაღებულს გამოუდგა. წალ-
დუნა ხელს უბორკავდა, მოიქნია და
ნაპირისაკენ გაისროლა, მაგრამ ხელიდან
გაუსხლტა, მიმართულება იცვალა და ბო-
რანის ნავს მიესო წყლის ზედაპირთან.

წვიმამ თანდათან იმატა, კოკისპირუ-
ლად ასხამდა, თვალის გახელას უშლი-
და არდევანს, მაგრამ კაცმა მანაც იმ-
დენი იმარჯვა, ურემის ფერსოს წაეპო-
ტინა, სული მოითქვა, მერე უკნიდან
შემოუარა, ხელი უბიძგა, ნაპირისაკენ
მიმართა. როცა თავთხელში გავიდა, ფე-
ხი აიღვა, უფრო ღონივრად მიაწვა
ურემს და მანამ არ მოუშვა, ვიდრე ტა-
ბიკები ქვიშას არ შეეხო.

— გადავრჩით! — სთქვა კრიჭაშეკ-
რულმა სალომემ, ურმიდან გადმოხტა,
ნაპირისაკენ გაექანა, მაგრამ ღონემ უმტ-
ყუნა და იქვე ქვიშაზე ჩაიკეცა.

— თენგო, შვილო, — ძლივს ამოი-
ლულულა მან.

თენგო-ბიჭი დედასთან მიიჭრა და
წამოაყენა.

— ხომ არაფერი გეტკინა, დედიკო?

— არა, შვილო.

სალომეს თავისი ბიჭი მდინარის გა-
მოდმა უკვე დავაკვაცებული მოეჩვენა.

„ხმაც როგორ დაბოხებია, დედა ენაც-
ვალოს!“

ქანცგამოლეული არდევანი დამნაშავე-
სავით აეტუზა წყლიდან რის ვაი-ვაგ-
ლახით ამოთრეულ ურემის კაბადონს.
„ვაი სირცხვილო, ფონზე ურემი ვერ
გამიყვანია, წყალწითელამ როგორ დამ-
ჯახნა!“ ამასობაში ბიჭებმა ნაპირზე
გარიყული თვლები ურემთან მიაგორეს,
მელქომ ხარები მორეკა და ურემში
შეაბა.

— მოდი, კაცო, მოგვემარე, რას ჩა-
მოგიყრია ყურები? შენი ბრალი ხომ
არაა, წყალწითელა ასე რომ გადაირია!
არდევანი უხალისოდ, სიტყვის უთქ-
მელად მივიდა მელქოსთან და ურემის
გაწყობაში მიეხმარა.

გრიგოლ ძოწენიძე
წალდუნა

— სალომე, ურემი მზადაა, — სთქვა მელქომ, — თენჯო, აბა სახრე მოიტა!

ბიჭი დატრიალდა, ხართუთას ტოტი ჩამოხლიჩა, ხელის ერთი გადასმით ფოთლებიგან გასხიპა, მერე ცხენთან მიიღბინა, აღვირში ხელი წაავლო და არდევანს მიჰგვარა.

— რა ცხენი გყავთ, არდევან ბიძია! არდევანს ხასიათი გამოუკეთდა და ბიჭს მეგობრულად გაუღიმა.

— კიდევ შეჯდები ცხენზე, თენჯობიჭო?

— მათში! — თითქოს არაფერი მომხდარაო, ისე დაჯერებულად სთქვა პატარა მხედარმა.

სალომემ გამგზავრების წინ ერთხელ კიდევ შეავლო თვალი მშვიდობიანად გადარჩენილ პირმშოს, მარჩენალ ხარებს, ქვიშაზე გამორიყულ ურემს და შვებით ამოისუნთქა.

— მადლობა ღმერთს, ყველაფერი რიგზეა!

ხარებს აპეურები მოუსინჯა, ფერსობზე დამრეცად წამოგებული კოფო გაასწორა, მერე ღვლეჭის ცარიელ რგოლს შეავლო ხელი და...

— წალღუნა! წალღუნა სად არის?! — დაიყვირა.

სალომეს სინანული ისე მოულოდნელი იყო, რომ ყველანი სახტად დარჩნენ. მელქომ გაკვირვებისაგან თვალები გადმოკარკლა.

— რაღა დროს ჟანგიანი რკინაა, სალომე, მადლობა გამჩენს, ცოცხლები გადარჩით!

— წალღუნაო?! გადაირია დედაკაცი და ესაა! — დამცინავად ჩაიქირქილა ვილაცამ.

სალომემ საყვედურით გადახედა მელქოს.

— ის ჟანგიანი რკინა ჩემი დაკარგული ქმრის ნახელავია!

მელქომ დაბნეულად გაშალა ხელები.

— მაპატიე, შვილო, ბერიკაცს! არ ვიცოდი, იმ ბედდამწვარის ხელშენალები თუ იყო!

უხერხული დუმილი ჩამოვარდა. ყველამ არდევანისაკენ გაიხედა. არდევანს არ გამოპარვია მათი ჩამტერებული

მზერა, თავჩაღუნული შემობრუნდა და აბორგებულ მდინარეში გადაეშვა. პირველად ისევ მელქო მოეგრგონს:

— არდევან, დაბრუნდი, კაცო! — გასძახა შეშინებულმა, — წყალწითელას ხეები მოაქვს, არ დაგეჯახოს! — მერე ხალხისკენ შემობრუნდა და მხრები აიჩეჩა, — რამ გადარია ეს კაცი!

— წერას ხომ არ აუტანია? — წამოაშველა ხმა ვილაცამ.

„წერასო!“

შეშფოთებულმა ქალმა ხალხს გადახედა, თითქოს მათგან ელის პასუხსო, მერე მობრუნდა და მავედრებელი ხმით მდინარეს გასძახა:

— არდევან, არდევან!..

არდევანს მოესმა სალომეს ხმა, მაგრამ არ შეჩერებულა.

„მისი ქმრის წალღუნა, მისი ხელით მოპირული წალღუნა!“

უეცრად მორი წამოეწია და მხარზე გაჰკრა. არდევანს თვალთ დაუბნელდა. მოვარდნილმა ჩქერმა თავზე გადაუარა, ზედიზედ სილიანი წყალი აყლაპა. ყურებში შუილი დაეწყო. მერე მოდუნებულ ხელ-ფეხში უეცრად ისევ ძალა დაუბრუნდა და ხარბად მოითქვა სული. თავი გვერდზე მიიბრუნა, ბორანს მიაპყრო თვალი, ზედ მეზორნე იდგა და არხენად უსვამდა წყალში ცხრაარნიანი ორთაყვირს. ბაგირზე გამობმული ბორანი ტორტმანით მოემართებოდა მისკენ, ნავის კიჩოსთან, ზედ წყლის ხაზზე, თვალი მოჰკრა მოკაუჭებულ რკინას.

„წალღუნა!“... — გაიფიქრა და დინებას მიჰყვა. ბორანზე ჩოჩქოლი შეიქნა, შეშფოთებული მგზავრები მოაჯირს მოაწყდნენ.

— არიქა, კაცი იხრჩობა!

— მაინც რას ეძებდა ის უბედური შუა მდინარეში?

— არიქა, თოკი მაინც გადაუგდეთ! ბევრი ავის მნახველმა მეზორნემ უნდობლად გახედა მოდიებულ წყალწითელას, ორთაყვირი უკუღმა დააბრუნა და ბორანი გააჩერა.

— ვინ ოხერია! — უკმაყოფილოდ წაიბუზღუნა, ქამანდს ხელი წამოავლო და

მოაჯირთან დადგა. ერთ ხანს უყურა წყალწალღებულს, მართლა ხომ არაფერი უჭირსო, მერე თავი გადააქნია და დინჯად ჩაიღიმა:

— აჰ, არა!... მაგი ისეთი ვაჟაკცია, წყალწითელა ვერაფერს დააკლებს, სირცხვილს ნუ ვაჭმევთ ქამანდით!

არდევანი მარჯვედ უსვამდა მხარულს და ბორნისკენ გამაღებით მისცურავდა. „უნდა მივუსწრო, ვიდრე ბორანი დაიძრებოდეს, წალღუნას ტალღა ჩამოაგდებს!“

არდევანმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, ნავის კიჩოსთან მისცურა, წალღუნას ხელი წაატანა, მერე თავი ველარ შეიკავა და ჩაყვინთა.

ნაპირზე ისევ ჩოჩქოლი ატყდა. მელ-

ქომ მესამეჯერ დააპირა მდინარეში შესვლა, მაგრამ ამ დროს არდევანმა წყლიდან თავი ამოჰყო და ნაპირისაკენ გამოსცურა.

თენგო-ბიჭი მუხლებამდე შევარდა წყალში.

— აქეთ, არდევან ბიძია, აქეთ! არდევანი ძლივს გამოვიდა ნაპირზე, თავ-კისერზე ხელი მოისვა, მერე ცხენთან ბარბაცით მივიდა, კისერზე მოეხვია და მოეფერა.

— ახლა დედულეთს გავსწით! ცხენმა ყელი ლამაზი ქალივით მოიღერა და მხიარულად დაიჭიხვინა...

გრიგოლ ძოწენიძე
წალღუნა





რომანი

— ფრინდი, ფრინდი, მია, ხვალ თუ კარგი დარია! ფრინდი, ფრინდი, მია, ხვალ თუ კარგი დარია! — მაკა ორსართულიანი ოდა-სახლის კიბეზე ჩამორბოდა და ხელის გულზე მცოცავ ჭიამიას დასჩერებოდა. ჭიამია გაფრენას არ აპირებდა. — ფრინდი, ფრინდი, მია, ხვალ თუ კარგი დარია, — მაკა ჭიშკრისაკენ ასკინკილით მიხტოდა.

— მაკაა! — დაიძახა ვახტანგმა ეზოს გადაღმა. ჭიამიასთან საუბარში გართული მაკა რომ დაინახა, გაჩუმდა, თვალებში ეშმაკური ღიმილი ჩაუდგა. ყორეს ერთი ფეხის დაკვრით გადაეგლო, მაკას მიეპარა, კისერი წაიგრძელა, ჭიამიას დახედა და ხმამაღლა შესძახა:

— ფრინდი, ფრინდი, მია, მაკა საით

გათხოვდება! — მაკა შეკრთა, ხელი აიქნია, ჭიამიაც აფრინდა.

— რად დამიფრთხე ჭიამია, საძაგელო!

ვახტანგი დაიხარა, ბალახებში ჭიამიას დაუწყო ძებნა.

— აი, აგერ!

— ნელა, არ მოკლა! — მაკამ ხელი გაუწოდა, ვახტანგმა ჭიამია აიტაცა, ფართო ალაგეს სწრაფად გადაეგლო და ორღობეში გაუჩინარდა.

— არ მოკლა, არ მოკლა! — მისძახოდა მაკა და გაქცეულს მისდევდა.

გზაჯვარედინზე წამოეწია და ხალათში წვდა.

— მომეცი ჭიამია!

ვახტანგმა ხელი გაშალა.

— გაფრენილა!

— მოკალი, ხომ?

— გაფრინდა, მკვდარი სად წავი-
ლოდა?

— საძაგელო! — შეუტია მაკამ და
გზა განაგრძო.

— არ მომიკლავს, მაკა, გაფრინდა,
შენც ხომ გინდოდა გაფრენილიყო? —
თავს იმართლებდა ვახტანგი.

ჩუმად მიმავალი მაკა წიგნების ჩან-
თას იქნევდა. ვახტანგი მაკას შერიგებას
ცდილობდა.

— მაკა, დახე, რა მშვენიერი პეპე-
ლა! — ვახტანგი ყორეზე გადაბარდნილ
მაყვლის ბუჩქზე პეპელას დაწვდა,
ფრთხილად აიყვანა, ხელის გულზე
დაისვა. მაკას წინ გაუჩერდა. მაკამ
თავი ჯიუტად გაიქნია. შუბლზე ჩამო-
ვარდნილი კულუღი გადაიგდო. ამაყად
განაგრძო გზა.

— აი, სამაგიეროდ მშვენიერი პეპე-
ლა, — ვახტანგმა პეპელა მაკას თავზე
დაასვა. — უპ, როგორ გიხდება, დედო-
ფალივითა ხარ! — მაკას გაეცინა. ეს შე-
რიგებისა იყო. ისინი ღელის პირას იდ-
გნენ.

— მოდი, მოდი, წყალში ჩაიხედე,
როგორ გიხდება! აქ კარგი გუბია. —
მაკამ გუბეში ჩაიხედა. დილა იყო. სოფ-
ლის ეზოები იღვიძებდნენ. პატარა, ხე-
ლისგულივით სწორ ეზოში ახალგაზრ-
და ქალს ძროხა გამოეყვანა, ქოთანს
ძირს დაედგა და ჯიქანს მისჯდომოდა.
მარცხენა ხელი ჩვილი ხბოსათვის მოეხ-
ვია, ამოცნებდა. ხბოს კისერი წაეგრძე-
ლებია, კუდი გაეზიკა, უკანა ფეხები
მიწაში ჩაერჭო და დედის ძუძუებს
თავგამეტებით ეტანებოდა. მოიგდებდა
პირში ძუძუს და სიამოვნებით თავს
გაიქნევდა. დედა ალერსიანად უსვამდა
ენას ზურგსა და თავზე. მეორე ეზოში
მოხუც ქალს შავი მანდილის ყურები
აუკეცა, წინსაფარში სიმინდი ჩაეყარა,
ქათმებს ეძახდა! რუ, რუ, რუო და სა-
კენკს უყრიდა.

მაკა და ვახტანგი კოლმეურნეობის
სასიმიანდეებს გაუსწორდნენ. სასიმი-
ანდეების ქვეშ სიმინდის ვეება ხვავები
იდგა. კანტორის კარი გამოკეტილი იყო.

ეზოში უკვე დაეწყო ფაციფუსი.
ბრიგადირები ურმებს დასტრიალებდნენ.
— სალამოს სიმინდის სარჩევად ჩა-
მოხვალ?

— როგორ არა, გაკვეთილებს ადრია-
ნად დავამზადებ.

ახლა ისინი ჩქარი ნაბიჯით მიდიო-
ნენ. აღმართს მიადგნენ, ნაბიჯი შეანე-
ლეს. სოფლის ორღობეში შინდის, თხი-
ლის და მაყვლის ბუჩქები ერთმანეთს
ცვლიდნენ. გორაკზე ახლად აგებული
აგურის შენობა მოჩანდა, გარშემო
დიდი ეზო ერტყა. ეზოში ტანაყრილი
ნაძვისა და ფიჭვის ხეები იყო. სპორ-
ტულ მოედანზე ფრენბურთის ბაღე
გაებოთ. სკოლის ეზოში ბავშვებს მოე-
ყარათ თავი.

— აბა, დამეწიე! — მაკა სკოლის შე-
ნობისაკენ გაიქცა.

— მაკა, მაკა, არ დაგეწიოს, არ დაგე-
წიოს!!

— მარჯვედ, ვახტანგ, მარჯვედ! —
ყიყინა დასცეს სკოლის ეზოში.

სოფელში ბინდი ჩამოწვა, მოიღრუბ-
ლა. აქა-იქ ხის ფოთლებზე წვიმის წვე-
თებმა გაიშხაპუნეს. მოუხშარა შხაპუნა
წვიმამ. ჭექა-ქუხილიც დაიწყო. აბობო-
ქრდა მთის პატარა მდინარე. კოლმეურ-
ნეობის სასიმიანდეებთან ხალხი ნელ-
ნელა იყრიდა თავს. სასიმიანდის ბოძზე
შუშის ფარნები ჩამოჰკიდეს. ხალხი
ფუსფუსებდა. სიმინდს არჩევდნენ. მატუ-
ლობდა ხვავი. ტომრებიდან წყალი წურ-
წურით ჩამოდიოდა. ჩქარობდნენ, რომ
წლის სარჩო არ დასველებოდათ. ეზო-
ში რამდენიმე ურემი შემოჭრილდა.

— გააგრილა, ძმაო, ქვეყანა.

— რაღა დროს! როცა საჭირო იყო,
ცტარი არ გადმოავდო.

— ორი დღე რომ დაეცლია, კარგი იყო.

— ნუ გეშინიათ, ხვალ კარგი დარი
იქნება, — ანუ გემა მოსაუბრენი ესმამ,
სიმინდის ხვავს მიუჯდა, მოჭრიამულე
ახალგაზრდებს მიუბრუნდა: — გეყო-
ფათ, ამაღამ უნდა მორჩეთ რჩევას.

კლავდია დევდარიანი
ძველი ფუძე

— შეხედე, თავმჯდომარის ცოლი მობრძანდება, — მუჯღუგუნი წაჰკრა გამხდარმა ქალმა მეორეს და ტუჩებზე ხელი მიიფარა.

— არ ეკადრება თუ? — მაღალმა ქალმა მხერა ჭიშკარს მიაბყრო. ჭიშკარში ჩასუქებული, ფაშფაშა ქალი შემოვიდა.

— სხვა დროს რომ არ კადრულობდა?!

— ბიჭს უწერს შრომადღეებს, სტაჟისათვის სჭირდება.

ქალები გაჩუმდნენ. თავმჯდომარის ცოლი მათკენ გამოემართა.

— გამარჯობათ, ქალებო! — მიესალმა ყველას.

— როგორ ბრძანდებით, აღარ ავადმყოფობთ? — შეეკითხა გამხდარი ქალი.

— ვერა ვარ კარგად, ჩემო ვარიჩკა, მაგრამ ლევანი კაცს მოასვენებს? სიმინდი მაქვს სარჩევი, ყოველი ხელი ჩემთვის ძვირფასიაო.

— როგორი დამჯერე ცოლი გამხდარხარ, ბეჩა, პუბლია?

პუბლიამ გაიცინა:

— რა ენა გაქვს, რა ენა, ვარიჩკა!

ვარიჩკა პუბლიას მიუჯდა გვერდით. პუბლიას არ ესიაზოვნა, იყოლა, ჩააშხამებდა საღამოს. ესმას დაუძახა:

— ესმა, შენი ჭირიშე, ჩემთან გადმოჯექი, შენთან ლაპარაკი მომენატრა.

— შეხედე, შეხედე, რა კარგია მაკა.

— დედამისი მაგაზე უკეთესი იყო.

— შეხედე, ქალო, შენი ბიჭი თვალეში შესციცინებს, — ახლა პუბლიას მიუბრუნდა ვარიჩკა.

— ჩემი ბიჭი ნაკლებია თუ? ფერი ფერსა, მაღლი ღმერთსაო, — ტკბილად დააბოლოვა საქმე პუბლიამ.

ღრუბლები გაიცრიცა, მთვარემ გამოანათა და ფარნების შუქს მისი ნათელიც მიემატა.

— ჩემო პუბლია, შენი ბიჭი და მაკა ნამდვილად შესაფერისები არიან.

— ბავშვები არიან, ესმა, ბავშვები, მაგათ დაოჯახებამდე რამდენი წყალი ჩაივლის!

— ასე ამბობენ, სკოლის დამთავრებისთანავე ქორწილს გადაიხდიანო.

— ვინ თქვა ასეთი ჭორი, რა მიჩქარება, ვერ უმაღლესში უნდა გავგზავნო! — უმაღლესში ორივენი ერთად წავლენ, შალვაც აგზავნის გოგოს.

— უნდა დააჩქარო, პუბლია, თორემ გაგიფრინდება. ხომ ხედავ რა გოგოა!

— თუ გამიფრინდება, სხვა მოფრინდება, ქალის მეტი რაა ქვეყანაზე? თბილისში იმისთანა გოგოებია, თვალი ზედ დაგრჩება.

— არც შალვა ჩქარობს შვილის გათხოვებას, — დააშოშმინა მოსაუბრენი ესმამ.

მამაკაცების ჯგუფში ასეთ საუბარს გაიგონებდით:

— შალვა, ნახე როგორ მოიღიხნა შენმა გოგომ! — შალვამ გაიღიმა, შევერცხლილ თმაზე ხელი გადაისვა, შვილს სიყვარულით გახედა.

— ახალგაზრდაა, ემღერება.

— კარგი გოგო გყავს, ძმაო, კარგი ერთია, მაგრამ ათს სჯობია.

— ჩემთვის კარგია, ჩემო ოქროპირ. შვილი გლახაც რომ იყოს, მაინც დედამამის ნუგეშია. მე მაგის მეტი არაფერი გამაჩნია.

— აგრონომი ჩამოსულა ქალაქიდან, ხვალ საღამოს ჩვენი რაიონის თავმჯდომარეების კრება იქნება, მიწის გადაბრუნება უნდა დავიწყოთ, — ხმამაღლა გამოაცხადა სარდონმა.

— როგორც კი ტეხას მოვრჩებით, ერთი კარგი ექსკურსია უნდა მოვაწყოთ.

— რა დროს ექსკურსიაა, სულ გარეგარე უნდა გექიროს თვალი? ვერ გაიგე, მიწა არის დასაბარავიო! — მიუბრუნდა ამირანი ამხანავს.

— შენს ბრიგადას მოუარე. თუ აგრე მოგწონს. მიადევით მიწას შენ და შენი ძილისგულა დათუნა და აბრუნეთ რამდენიც გინდათ.

დათუნას ხსენებაზე ამირანმა სიმინდის მრჩეველი ახალგაზრდები მოათვალიერა. მათ შორის დათუნა არ ჩანდა. სახეზე წამოწითლდა, გვერდით მჯდომ მაციას მუჯღუგუნი წაჰკრა.

— მაცია, სად ეშმაკშია ის ოხერი?

— მე რა ვიცი.



— სძინავს ალბათ სადმე. — წამოიძახა ვიღაცამ და ხარხარი ატყდა. ამირანს სახეზე ცეცხლი წაეკიდა.

— არც შენი ბრიგადაა დიდი ბედენა, აუკონავი ჩალა დაგიტოვებიათ გადაკიდულში.

— მოძებნე, შვილო, მოძებნე. — დაუყვავა შვილს ესამა. არ მოეწონა შვილის უჩვეულო გაცხარება, მაგრამ იცოდა, თავისი ბრიგადის აუკად ხსენებას ვერ იტანდა მუღამ დინჯი ამირანი.

ამირანი ადგა, ფურჩუში დაუწყო ძებნა დათუნას. მალე მისი ყვირილიც გაისმა:

— ადე ზეზე, წვიმა რომ დაგდიოდა თავზე, ამას მაინც ვეღარ გრძნობდი?

— გათენდა? — წამოიყვირა დათუნამ და გაბურძენული თავი ფურჩუიდან გამოჰყო.

— ვაი შენ და შენს თავს, შენთვის არც გათენებაა და არც დაღამება. ადექი ჩქარა ზეზე!

— წვიმს?! — ისე იკითხა დათუნამ, თითქოს თავზე არც ერთი წვეთი არ დასცემოდეს. გარშემო ყველა ხარხარებდა.

— ბიჭო, ამ წუბმეში რომ ჩაწოლილხარ, ცოტა იქით გაწეულიყავი!

სოფელში დათუნა ყბადაღებული ჰყავდათ. ამირანმა თავის ბრიგადაში შეიკედლა, მაგრამ ზოგიერთი კვიმატი ახალგაზრდა მთელ ბრიგადას დასცინოდა დათუნას გამო.

დათუნა ზანტად წამოიჯდა, ტალახშემხმარ წვივებზე შარვალი აეკარწახებინა, მოკლე პერანგი შარვლის თავამდე ძლივს სწვდებოდა. ვიღაცამ ტარო გამოისროლა და შიშველ ღიაზე მოახვედრა. დათუნამ უნდილად გაიღიმა:

— ვინ იყო?

— მაცია იყო, მაცია! — მიაძახეს აქეთ-იქიდან. დათუნა ახლა მაციას გაედრიჭა.

— მეხი დაგაყარე თავზე!

— მაცია, დაეჯდები შენთან?

გოგო-ბიჭებმა გობებით ცხელ-ცხელი ტაროები მოიტანეს. მოხარულ სიმინდს ოხშივარი ასდიოდა.

შალვას სახლი სოფლის თავში იდგა. შალვა ჭრაკის უნათებდა შვილს. ნელი საუბრით მიდიოდნენ.

— ბებიაშენი გველოდება ალბათ. ნელა, ფეხი არაფერს წამოკრა! — შალვამ ხელი წააშველა შვილს.

ძალლი ყვფით მოასკდა ყორეს.

— მერცხალა, ვერ გვიცანი, შე გლახა? — დაუყვირა შალვამ. ძალღმა პატრონს შესწამუტუნა, დარცხვენილი ფეხებთან გაუგორდა. აივანზე ბებია ნინო გადმოდგა.

— სადა ხართ ამდენ ხანს? გული დამელია თქვენს ლოდინში. მოდით, ივანშმეთ, გაცივდა ყველაფერი. მთელი დღე მშიერი დადიხარ, ბიჭო! — ისე უთხრა ნინომ შვილს, თითქოს პატარა ბიჭს ელაპარაკებო.

სამიწენი სუფრას მიუსხდნენ, მაღიანად შეექცნენ ვახშამს. შალვა მისჩერებოდა მოსაუბრე ბებია-შვილიშვილს. ლამპის მკრთალი შუქით განათებული მაკას სახე წარსულ დღეებს აგონებდა. „ასე მკრთალი ლამპის შუქით განათებულ აივანზე იჯდა მაკას დედა, ჩემი ქეთევანი, როცა პირველად ვნახე“.

ახლად კურსდამთავრებული შალვა სოფელში გაგზავნეს მასწავლებლად. პირველად შედგა ფეხი პატარა სოფელში. პირველსავე ეზოში შევიდა, საიდანაც სინათლე გამოდიოდა, ძალლი ყვფით გაექანა მისკენ. აივანზე მაგიდასთან მჯდარი ქალი ადგა, კარისაკენ წამოვიდა, ძალღს დაუძახა.

— ძალღო, რა ამბავია? — თან ეზოში შემოსულ შალვას ლანღს გახედა: — რომელი ხარ?

ლამაზი ქალის დანახვავზე შალვა დაიბნა.

— ვიღაც არის, მამა, ხმას არ იღებს! — შესძახა ქალმა ოთანში. ამ ხმამ გამოარკვია შალვა.

— მასპინძელო, გამომხედეთ, — ძლივს მოახერხა თქმა და მოძალებულ ძალღს ჯოხი მოუქნია.

— რომელი ხარ?

კლავდია დეედარიანი ძველი ფუძე

— სტუმარი ვარ, თუ მიმიღებთ.

— მობრძანდით, ბატონო, — მამაკაცმა აივნის კარი გამოაღო და ლამაზი ხელში კიბის თავზე შედგა, გოგონა კი აივნის სვეტს მიყრდნობოდა, იქიდან უყურებდა კიბეზე ამომავალს. ახლა თავის მაკას უტკეპრის შალვა, ასე ჰგონია, გაცოცხლდაო ის ღამე, როცა პირველად დაინახა ქეთევანი. როგორ ჰგავს მაკა ქეთევანს! შალვამ ხელი თვალებზე გადაისვა. წამოდგა. შვილსა და დედას მიუბრუნდა:

— დაწყეთ, აღარ გინდათ დილით ადგომა?

მაკამ სუფრა ააღაგა, მამას ლოგინი აივანზე გაუშალა. ბებია და შვილიშვილი ოთახში შევიდნენ დასაწოლად.

არ ასვენებდა ფიქრი შალვას. ორ წელიწადს იყო მასწავლებლად იმ სოფელში. რამდენი ტკბილი და მღელვარე მოგონება წამოიღო იქიდან! მერე, როცა სკოლა შალვას სოფელშიაც გახსნეს, ქეთევანდა ერთად თავის სოფელში გადმოსახლდა. იმედით აღსავსენი მოვიდნენ ახალგაზრდები აქ. როგორ შეიყვარა ქეთევანი დედამთილმა. მალე მთელი სოფლის თვალი გახდა. რა საქმე გინდოდა მისი ხელიდან არ გამოსულიყო!

გოგონა შეეძინა შალვას. თვალწინ უდგას ის დღე, ახლად მოლოგინებულ მეუღლესთან რომ შეიყვანეს. ჩერებში გახვეული ჩვილი მკლავებზე ეწვინა ქეთევანს. რა სიხარული ტრიალებდა მამის შალვას ოჯახში.

— უდღეურს ჰგავს ეს ბავშვი! — ჩაილაპარაკა ვარიჩკამ.

— რას ამბობ, რა უგავს უდღეურს? — თითქოს ახლაც ესმისო მეუღლის ხმა შალვას. ნინომ ბავშვი ვარიჩკას გამოსტაცა და რძალს გადასცა.

— მართლა უდღეური ხომ არ არის, დედა? — ვედრებით შეხედა დედამთილს ქეთევანმა.

— უდღეურს რა უგავს, შვილო! ოქროსაგით ბავშვია, არ იცი მაგის ენა? გლახა თუ არ სთქვა, არ შეუძლია.

ამის შემდეგ შეჯავრდა ვარიჩკა შალვას. თითქმის ყოველთვის ცუდის მო-

მასწავლებელი იყო მისი შემოსვლა ოჯახში. ამიტომ იყო, დაქვრივებულ შალვას შუამავალი რომ მოუვიდა, ვარიჩკა შეეხებოდა თუ, — ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, შუამავალი ახლო არ გაიკარა.

იმ დღეს ჯონჯოლის საკრეფად მიმავალმა ქალებმა გამოუარეს. ქეთევანი ბავშვით ხელში მოადგა ჭიშკარს.

— წამოდი, რა გიშავს, მთელი სოფლის ქალები მივდივართ.

— ბავშვის დატოვება მიმძიმს, — წყნარად უთხრა ქეთევანმა.

— აგერ პუპლიამაც დატოვა ბავშვი.

— დამიტოვე, შვილო. ცოტა გაიარე, რა გიშავს, — ჩაერია ლაპარაკში ვენახიდან გადმოსული დედამთილი. იღლიაში ამოდებული ბალახი აკაციის ძირში დაყარა, კაბის კალთა ჩამოიწია და დაიბერტყა.

— აჰამე, ჩემი ბიჭიც კარგად დავაპურე და დავტოვე, — ჩაერია ლაპარაკში კოპწია პუპლია. იგი სილამაზეში ეჯიბრებოდა ქეთევანს. როცა სოფლის ქალებში დავა ატყდებოდა, რომელი ჯობიაო, ვარიჩკა ორივეს აძაგებდა.

— წადი, ქეთევან, ბავშვს რა უჭირს, დედა მოუფლის, მეც აქ არა ვარ? — ქმრის სიტყვებზე ქეთევანს სიამოვნება გამოეხატა სახეზე. შალვამ იგრძნო, წასვლა უნდოდა ქეთევანს და კვლავ შეაგულიანა. პატარა მაკამ გაიღვიძა, გაქირვეულდა. ბებიამ ფაფა მოუღულა, მაგრამ არ იქნა, ვერ დააწყნარეს გოგო.

— დააკვიანდათ, — ღელავდა შალვა.

— რა უშავს, შვილო, გაიაროს, ახალგაზრდა ქალია. მართო ვერ წამოვიდოდა, სხვები კი არ ჩქარობენ ალბათ, — ამშვიდებდა დედა შალვას. დრო გადიოდა, ქალები არსად ჩანდნენ. აფორიაქდა შალვა. დედას მორცხვად უთხრა:

— რაღაც ამბავია, წავალ, დედა!

— წადი, შვილო!

შალვა ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა ორღობეს. ტყე, სადაც ქალები ჯონჯოლს კრეფდნენ, არც ისე შორს იყო. შალვამ შორიდანვე შეამჩნია ტყიდან გამოსული ქალები. ჩუმად მოდიოდნენ, არც სიმღერა, არც სიცილი არ ისმოდა. გულმა რეჩხი უყო. ეს რა არის, ძლივს რომ

მოაქვთ? თვალით ქეთევანს ეძებდა. ესმა, პუპლია, ებრასია, ვარიჩკა, — ჩამოთვა-
ლა ქალები შალვამ, ქეთევანი კი არსად
იყო. ქალებისაკენ გაიქცა.

— რა ამბავია, ქალებო?

— არაფერია, შალვა, ქეთევანს ტოტი
მოუტყდა, შეგვაშინა. — შალვა სახელ-
დახელოდ გაკეთებულ საკაცეს მივარდა,
ქალები საკაცეს ძლივს მოათრევდნენ.
ზედ თვალდახუჭული ქეთევანი იწვა.

— ქეთევან, გაახილე თვალი, შალვა
მოვიდა, — ჩასჩურჩულა ქეთევანს ეს-
მამ. ქეთევანმა ძლივს დასძრა ქუთუთო-
ები. შალვას შეხედა. თვალები ცრემ-
ლით ჰქონდა სავსე. ტუჩებზე სისხლი
შეხმობოდა. თავზარი დაეცა შალვას.
ეგონა ახლავე, ამ წუთში გაათავებდა
სიცოცხლეს. საკაცისკენ დაიხარა, ძლივს
გაიგონა ცოლის ჩურჩული:

— მაპატიე, შალვა, გოგო არ დამი-
ჩაგრო, — და დახუჭა თვალი, მის შემ-
დეგ შალვას ცოლი თვალგახელილი
აღარ უნახავს. შალვა წაზარბაცდა, ეს-
მამ ხელი შეაშველა.

— გამაგრდი, შალვა, ვაჟკაცი არა
ხარ? არ შეაშინო ქალი!

— რაღა არ შეაშინოს, გათავებულისა
მაგის საქმე, — ჩაესმა შალვას ვარიჩკას
ხმა. გველის სისინივით ემწვავა ეს ხმა,
შედეგა, თვალები იქაურობას მოაგლო,
საკაცეს დაწვდა და სწრაფად გამოუ-
ძღვა ქალებს. დედის შემკრთალი სახის
დანახვამ სულ დაუკარგა იმედი შალვას.

— ჩქარა, ექიმი! — მიაძახა ნინომ
დაბნეულ შვილს.

სოფელი დაეხვია შალვას. ექიმთან
ცხენიანი კაცი აფრინეს, ექიმმა ცოც-
ხალს ვედარ მოუსწრო ქეთევანს. მაშინ
პირველად ინანა შალვამ, საექიმო რომ
არ ჰქონდა დამთავრებული. ამიტომ
ჩასჩინებებს თავის მაკას, სამედიცინოზე
წადიო. ასე ჰგონია, ექიმი რომ ვყოფი-
ლიყავი, ქეთევანი არ მოკვდებოდაო.

სკოლიდან მომავალ ვახტანგს დედა
ალაგესთან შეეგება, შორიდან მიაძახა:

— რა ქენი, შვილო? — ვახტანგმა
ოთხი თითი შემართა.

— კიდევ ოთხი? — პუპლიას თვალები
ცრემლით ავესო, — როგორ ვეხვეწე,
როგორ დამპირდა, კიდევ ოთხიანი
ბუზღუნებდა იგი, სიბრაზის ცრემლი
ახრჩობდა, — მაჩვენე, ვნახო როგორ
დაწერე!

— მოიცა, დედა, შინ შევიდეთ.

აივანზე ვახტანგმა რვეული გაშალა,
დედას აჩვენა: — აი, ნახე! — პუპლია
რვეულს ჩააჩერდა.

— ამაში ხუთიანი არ გეკუთვნოდა?

— არ მეკუთვნოდა.

— როგორ ვთხოვე, როგორ ვეხვეწე,
დამაცადოს, ჩვენგანაც დასჭირდება
რამე!

— დედა, მაკამ ისე კარგად დაწერა! —
ამ სიტყვებმა ცეცხლი წაუკიდა პუპ-
ლიას, გაბრაზებულმა თითქმის იკივლა:

— მაკა, მაკა, რა გახდა ეს მაკა?

— მაკა ძალიან კარგად სწავლობს,
დედა!

— ვერ წარმომიდგენია, როგორ უნ-
და გაჯობოს მაკაიამ. შენ რომ მედალი
არ მიიღო, ბიჭო, გავგიჟდები!

— მედალს მივიღებ, მაგრამ ალბათ
ვერცხლისას.

— მაკა?

— მაკას ოქროს მედალს მისცემენ.

— შენ კი არა? ვნახოთ! ხვალვე ამო-
ვალ სკოლაში.

— კარგი, დედა.

— არა, ოქრო, ოქრო, უსათუოდ ოქ-
რო, მე სხვა მედალი არ მინდა! — ვახ-
ტანგი გაოცებული მიაჩერდა დედას.

— შეგირცხვა თავი, — უთხრა პუპ-
ლიამ შვილს.

მეორე დღეს ვახტანგი სკოლაში გაის-
ტუმრა თუ არა, თვითონ პუპლიაც მოი-
რთო.

— საით, ქალო? — ჰკითხა ქმარმა.

— სკოლაში მივდივარ. იმ ბიჭს ისევ
ოთხიანი მიუღია ქართულ წერაში.

— შეურცხვა თავი!

— მაგ ეკუთვნის ვახტანგს ჩვენგან?
დღე და ღამე გასწორებული აქვს, —
გაწიწმამდა პუპლია.

კლავდია დევდარიანი
ძველი ფუძე

— მაშ, რა ღმერთი გაუწყრა?
— არ უწყერენ, ბატონო, არა!
— იპ, ეგ როგორ იქნება?
— როგორ იქნება! — გამოაჯავრა პუ-
ბლიამ, — გამოიღე ყურებიდან ბამბა!
მაგრამ მე ამას ასე არ დავტოვებ, იქ
ვეახლები და გამცენ პასუხი!

— აბა, შენ იცი, პუბლია, ბიჭი არა-
ვის დაჩაგვრინო!

— შენც უნდა გამოიღო თავი.

— მე რა შემიძლია, ქალო?

— ტყუილა ხარ თავმჯდომარე?

ქშენით მიყვებოდა პუბლია სკოლისა-
კენ მიმავალ აღმართს. მთელი გზა იმა-
ზე ფიქრობდა, როგორ დაეწყო მასწავ-
ლებელთან საუბარი, — შეტევით თუ
დაყვავებით. ბოლოს მაინც დაყვავება
ამჯობინა და სკოლის ეზოში მშვიდად
შევიდა. გაკვეთილი დაწყებული იყო.
პუბლიამ ღირექტორის კაბინეტს მია-
შურა, კარში თავი შეჰყო და მორიდე-
ბით დაიწყო:

— შეიძლება, ბატონო გიორგი?

— მოზრძანდით, ქალბატონო პუბლია,
მოზრძანდით!

— ნამეტანი მიჭირს ამ აღმართის
ამოვლა, ბატონო გიორგი, ნამეტანი.

— რაზე შეწუხებულხარო? თქვენ
ბიჭს მეთვალყურე არ სჭირდება.

— ვიცი, ბატონო, მაგრამ ქართულ-
ში მეჩაგრება, ქართულში... მეც მაგის
მეტე რა გამაჩნია.

— მაგის მეტი რომ არ გაგაჩნია,
ამით კი დააშავე, ქალბატონო პუბ-
ლია, მაგრამ ერთი გყავს და კარგი
გყავს.

— ეპ, ჩემო ბატონო, გულს უხარია
შვილის ქება, მაგრამ ამ ოქროს მედალს
რომ ვერ მიიღებ?!?

— ჯერჯერობით ოქროს მედალის კან-
დიდატია, დანარჩენი კი მის ბიჭობაზეა,
აქ მისი დამჩაგრავი არავინ არის.

— ქართულ წერაში კიდევ ოთხიანი
მიუღია, იმაზე გეახელით.

— ეგ არაფერია, მომავალში კარგად
დაწერს.

— ქართულის მასწავლებელი მინდა
ენახო.

— ალბათ მეტი არ ეკუთვნოდა, თო-

რემ მარიამს უმართებულოდ არასოდეს
დაუწერია ნიშანი.

— რა ვიცი, ბატონო, ამ ჩემს ბიჭს
არ მოაცილა ოთხიანი. უნდა მიშუამდ-
გომლოთ.

— ვნახოთ, ვნახოთ, მარიამთან ბავშვს
შუამდგომლობა არ სჭირდება.

ზარის ხმაზე ბავშვების ჟრიაბულით
აიგოს სკოლის დერეფნები და ეზო. პუბ-
ლია სამასწავლებლოსაკენ მიმავალ ტა-
ღარა ქალს წინ გადაუდგა.

— ქალბატონო მარიამ, ჩემს ბიჭს
კიდევ ოთხიანი მიუღია.

— ოთხიანი ცუდი ნიშანია?

— ცუდი არ არის, მაგრამ ოქროს
მედალი რომ ვერ მიიღოს?

— ვახტანგი მედალისათვის არა სწავ-
ლობს.

— მართალია, ქალბატონო, მაგრამ
მაინც გთხოვთ, ძალიან გთხოვთ, წინ ნუ
გადაუდგებით.

— როგორ გეკადრებათ! მე მოსწავ-
ლეს წინ გადაუდგებით? ვახტანგი ჩემი
საყვარელი მოწაფეა.

გვიანი იყო. მკა მაგიდას მიჯდომო-
და, გაკვეთილები კარგა ხანია დაამზა-
და. ხანგამოშვებით ახედავდა სიძველით
გაკვეთილებულ კედლის საათს, ქარის
ზუზუნს ყურს უგდებდა. „როგორ დააგ-
ვიანდა მამას, როგორ ივლის ასეთ
ქარბუქში?“ — ფიქრობდა იგი.

მერცხალამ ვილაკას შეწყმეტუნა,
აივანზე ფეხის ბაკუნი მოისმა. მაკამ
ფეხის ხმაზე იცნო მამა.

— მოხვედი, მამიკო?

— მოვედი, შვილო, მოვედი.

— როგორ იარე, მამა, ასეთ ამინდ-
ში?

— სინტიერესო საკითხები იყო, შვი-
ლო, ვეღარ წამოვედი. მე კი არა, ჩვენი
რაიონის მასწავლებელი ქალები ყველა-
ნი იქ იყვნენ. ჩვენი გზების პატრონი
ნამდვილად გავწვადლით, — შალვა ბუ-
ხარს მიუჯდა.

— შენ რას აკეთებდი ამდენ ხანს,
შვილო?

— ვიმეცადინე, მამა, ვხატავდი, —

შალვამ შვილის ბოლო სიტყვას ყურადღება არ მიაქცია, საუბარი განაგრძო.

— თბილისიდან ერთი ჩემი ამხანაგი ჩამოსულა. ინსტიტუტი ერთად გვაქვს დამთავრებული, მინდოდა წამომეყვანა, მაგრამ ასეთ ამინდში ჩვენს გზებზე ვინ წამოგყვება! შენზე ველაპარაკე.

— რაო, რა გითხრა, მამიკო?!

— თუ კარგად არის მომზადებული და თავის იმედი აქვს, სამედიცინოზე წამოვიდესო.

— შენს ექიმობას რომ ღმერთი მომასწრებდეს, აღარ მოგვკვდება.

— მოესწრები, ბებიკო, მოესწრები.— ხელი მოხვია ბებიას მაკამ.

— ჩემი ნატვრაც ეგ არის, შვილო, ექიმი გნახო, — მამამ ურჩი კულულები შუბლიდან გადაუწია, თავზე ხელი გადაუსვა, — არასოდეს ჩემი სურვილი წინ არ დამიყენებია, შვილო, მაგრამ მუდამ ვოცნებობდი, რომ საექიმო დაგემთავრებინა და ეს ოცნება უნდა ამიხდინო.

მაკამ მამას თვალეში შეხედა, უნდოდა მოხვეოდა, გულში ჩაკვროდა და ეთქვა: ნუ გეშინია, მამა, უსათუოდ აგისრულე ნატვრასო, მაგრამ შერცხვა და თავი დახარა.

— დავწვეთ, შვილო, ხვალ ისევ რაიონში ვარ წასასვლელი.

— რაღად მოდიოდი, შვილო, თუ ხვალ ისევ წასასვლელი იყავი?

— თქვენ მოგერიდეთ, არ დაგეძინებოდათ.

მაკამ სუფრა აალაგა, სახატავი რვეული ერთ ხანს ხელში ეჭირა, მერე დასურა და წიგნების თაროზე ყველაზე ქვემოთ ამოსდო. დიდხანს არ დაეძინა მაკას. მამ, მხატვარი აღარ გამოვა, როგორც მუდამ ოცნებობდა.

დილით მამა კვლავ რაიონში წავიდა. შინ მაკა და ბებო მარტონი დარჩნენ. მაკა მაგიდას მიუჯდა. ფიზიკის წიგნი გადაშალა, კითხვა დაიწყო. არდადეგების უკანასკნელი დღე იყო. ხვალიდან კვლავ სკოლაში წავიდოდა მაკა, უხაროდა ხვალინდელი დღის მოახლოება. ფიქრი გაბმულმა ძახილმა შეაწყვეტინა.

— მაკა, უ-უ! — იძახდა გარეთ ვიღაცა. მაკა წამოხტა, ხმაზე იცნო ვახტანგი.

აივანზე სიცივისაგან სახეწითლებულ ვახტანგს შეეფეთა.

— როდის ჩამოდი, ვახტანგ?!

— დღეს, მამაშენი სადგურთან ვნახე. კონფერენციაზე მიდიოდა.

— მოდი, შვილო, გათბი, — მიიწვია ცეცხლთან ბებიამ.

ვახტანგი აგიზგიზებულ ბუნხართან დაჯდა, სახეგაბრწყინებული მისჩერებოდა მაკას, ხელებს იფშენებდა;

— რა კარგი იქნებოდა, რომ წამოსულიყავი, მაკა.

— არ შემეძლო, ვახტანგ!

— ტყუილად გაჯიუტდი, ძია შალვას უნდოდა შენი გამოშვება. რა კარგი იყო თბილისში! სამედიცინო ინსტიტუტში ვიყავი.

— ყოჩაღ!

— უნივერსიტეტშიც შევიარე, გული მწყდება, იქ რომ არ ვიქნებოთ, მაგრამ რას იზამ, იქ საექიმო არ არის. შენს სამხატვრო აკადემიაშიც ვიყავი...

მაკა ვახტანგს მიუბრუნდა.

— ტყუილა გარჯილხარ, აკადემიაში აღარ მივდივარ.

— რას ამბობ?

— საექიმოზე ვაპირებ.

— რას ამბობ, მაკა?! — წამოიჭრა ვახტანგი, სისარულით სახე წამოუწითლდა.

— გაგეხარდა?

— ერთად ვიქნებით!

სისარულით აღტაცებული შევარდა ოთახში ვახტანგი. პუპლია სწრაფად მოტრიალდა მისკენ.

— რა დაგემართა, ბიჭო?!

— დედა, ახალი ამბავი!

— რა იყო?

— მაკა სამედიცინოზე მოდის.

პუპლიამ დრქი იქვე დადგა, ტახტზე ჩამოჯდა.

— მაკაია ექიმი! — ბრაზით სახე მოედრიცა პუპლიას, — ისა და მამამისი

კლავდია დევდარიანი
ქველი ფუძე

თუ ყველაფერში არ ჩაეჩხირნენ, ისე ხომ არ იქნება! — გაოცებული ვახტანგი დედას მიაშტერდა.

— რა იყო, დედა? ერთად ვიქნებით, ერთად ვიმეცადინებთ.

— კაი, კაი ერთი, არ გადამრიო.

იღვიძებდა ბუნება. იღვიძებდა სოფელიც. გზაფხული მოდიოდა. მისთვის არ არსებობდა სოფლის შარა, საზღვარი, დიდი და პატარა. ყველგან და ყველასთვის ერთნაირი ხალისი და სურნელება მოჰქონდა. იცინოდნენ ატმისა და ტყემლის ნაადრევად გაშლილი ყვავილები.

ნაზამთრალი საქონელი სოფლის გზებზე და მინდვრებში მიმოდიოდა, მზეს ეფიცებოდა. კარგი ამინდი ახარებდა მიწის მუშას. მარტმა ნაადრევად გამოიყვანა მუშახელი საკოლმეურნეო მინდვრებზე: ხნავენ, თესავენ, რგავენ.

ახმაურდა სოფელი. მაკა და ვახტანგი აღრიანად გაუდგნენ სკოლის გზას. სკოლამდე კარგა მანძილი იყო. მოემტათ სამუშაო და საზრუნავი: საატესტატო გამოცდებისათვის ემზადებოდნენ. სოფლის სკოლას გაუსწორდნენ. აქ დამთავრეს შვიდწლელი, აქვე ასწავლიდა მაკას მამა. სკოლის ეზოში არავინ იყო.

მაკა და ვახტანგი თავიანთ მომავალ სტუდენტობაზე ლაპარაკობდნენ.

— გამარჯობათ თქვენი! — თავს წამოადგა მოსაუბრეებს ვარიჩკა. მაკა და ვახტანგი შეკრთნენ.

— დილა მშვიდობისა, დეიდა ვარიჩკა.

— რას ჭუჭუკებთ ასე გულიანად?

— ინსტიტუტზე ვლაპარაკობთ, დეიდა ვარიჩკა! — ვახტანგის სიტყვებზე ვარიჩკამ უცნაურად ჩაიჭირქილა.

— ინსტიტუტზე ლაპარაკობთ? ყოჩაღ შენ! რავე ჩათქვირებულხარ, გოგო, რა ჯობია ახლა შენთან ჭუჭუკუს?

ვარიჩკა მაკას მკლავს წაეტანა, მაკამ ხელის გაქნევით მოიცილა. მაკა და ვახტანგი ვარიჩკას სიტყვებმა უსიამოვნო გუნებაზე დააყენა. მაკას მისი ქირქილი ახლაც ესმოდა, თვალწინ ედგა მისი მაყვალევით შავად შეღებილი თმა, დამ-

ქნარი და დაღარული პირისხე, ნაოჭებში ზოლებად რომ აჩნდა ჭარბად წასმული ფერუმარილი; მაღალი, ჩამომქნარი კისერი...

კოლმეურნეობის კანტორაში შესულმა ვარიჩკამ პირველად პუპლია მოძებნა.

— ძან გაგიტება მუშაობა, პუპლია? — პუპლია და ვარიჩკა ბოლოდროს დამეგობრდნენ, მაგრამ ვარიჩკათავის მწარე ენას მაინც ვერ აჩერებდა. პუპლიამ მის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია. — შენ აქ მუშაობ, მაგრამ არც შენი ბიჭი კარგავს უქმად დროს. ეგერ მიჭუჭუკებდა შალვას მაკასთან, — განგებ ხმამაღლა სთქვა ვარიჩკამ, რომ ყველას გაეგონა.

— რა იყო, ქალო, ერთად გაიზარდნენ ბავშვები!

— ბავშვები? ჰო, ნეკზე არ მიკბინონ, თივა და ცუცხლი ერთად ვის გაუგონია?

— რავე ყვავივით დასჩხავის თავზე ყველას, — ჩაილაპარაკა ესმამ.

წითელი მამალი საქათმიდან ფრთების ფართხუნით გამოფრინდა, ბოსტინის ღობეზე შეხტა და ისეთი ყიყლიყო შემოსძახა, რომ მთელი ეზო გააღვიძა. მერცხალა სწრაფად წამოვარდა ზეზე. ბოსტინის ღობეზე ყელმოღერიებული მამალი რომ დაინახა, მივარდა და გაჯაგრებულმა ყეფა დაიწყო. აურზაურმა ტახტზე გაწოლილი ხატაურაც გამოაღვიძა. კატამ ზარმაცად დაამტეხნარა, თავი წინ გაწვდილ თათებზე დადო. გაიზმორა, ბეწვი შეიბერტყა, სამზადი სახლისაკენ გაემურა. შეეშინდა, ბეზიამ ყველის ამოყვანა არ დამასწროს.

წყაროსთან ახლად პირდაბანილი შალვა იდგა. კიბეზე მაკა გამოვიდა. მხარზე პირსახოცი გადაეკიდა.

— მოდი, მოდი, ქალბატონო, — გაუცინა მამამ, — იქნებ ცივმა წყალმა გამოგაფხიზლოს.

— მთელი ღამე არ მიძინია, მამა, — შესჩვილა მაკამ, — ნეტავ, რა თემა იქნება?

— ისე ტუბილად გეძინა, რომ.. —

შალვამ წყალი შეაშხეფა მაკას. მაკამ სახეზე ხელი აიფარა;

— ჩქარა დაიბანე პირი, გუგულმა არ გაჯობოს. ხედავ იმ ბელურას?

წყაროს პირას გუბურაში ბელურა ჩამჯდარიყო და ფრთებს მხიარულად აფართხუნებდა.

— უყურე ამას, რა კობტად იბანს ტანს! — მხიარულად შესძახა მაკამ და პეშვი ღარს შეუშვარა.

— გუ-გუ! გუ-გუ! — გადმოიძახა ვენახის თავში გუგულმა.

— გაჯობა გუგულმა, გოგო!

— არაფერიც, არაფერიც, უკვე ყველის ჭიბი შევჭამე.

შალვა სიამოვნებით უყურებდა შვილს, ბელურასავით რომ ფართხალეზად ცივ წყალში.

აივნიდან ბებიას ხმა მოისმა:

— აბა, ჩქარა, მოდით, ისაუზმეთ.

— არ მინდა, მამიკო, ახლა არაფრის ჭამა არ შემიძლია.

— მაკა, მაკა! — მოისმა ორღობიდან ვახტანგის ძახილი.

— გადმოდი, ვახტანგ, გადმოდი, ცოტა რამ შეჭამე.

ვახტანგი გადმოვიდა.

— დღეს მეც ვერაფერი ვჭამე, ძია შალვა.

— ამოდი, ამოდი, ეგრე არ შეიძლება.

შალვამ და ბებიამ თითო ნაჭერი ხაჭაპური ძლივს შეაჭამეს მაკასა და ვახტანგს.

ბებიამ ორივენი გადაკოცნა, წაღმა შეაბრუნა, გზა დაულოცა. დღეს მისი მაკა პირველ გამოცდას აბარებდა. შალვამაც გადაკოცნა ისინი. მაკამ და ვახტანგმა კიბე ჩაირბინეს.

— ნეტა რა თემა იქნება?

— მაგას ვინ გაიგებს!

— ახლა თუნდაც გაიგო, რაღას გიშველის?

— ყველაფერი ვიცი და რაც უნდა, ის იყოს.

— ვილაც მოდის, დავიმალოთ, ვარიჩკა არ იყოს, დაგვნავსავს, — ორივენი თხილის ბუჩქებს ამოეფარნენ.

— თვალი დახუჭე, არ დაინახო!

ფეხის ხმა თანდათან ახლოვდებოდა.

— ვახტანგ, გამოიხედე, დეიდა ესმე ყოფილა.

ბუჩქებიდან გამოშვრალი მაკა და ვახტანგი ესმამ შეათვალიერა:

— რა გინდოდათ, ბავშვებო, მაგ ბუჩქებში?

— შენ გენაცვალე, დეიდა ესმა, რომ შეგვხვდი. კარგი ფეხისა ხარ, — შემოეხვია ესმას მაკა.

— შეგვეშინდა, დეიდა ესმა, ვარიჩკა არ შეგვხვედროდა, დავიმალოთ, — შეეხმიანა სახეგაბრწყინებული ვახტანგიც.

— ხა, ხა, ხა, — გადაიხახხარა კეთილმა ესმამ, — თქვენ გაიხარეთ, — ორივე გადაკოცნა, წაღმა შემოაბრუნა და გზა დაულოცა.

სკოლის ეზოში მოსწავლეებს მოეყარათ თავი, მასწავლებელიც ადრიანად მოსულიყო.

— რა თემა იქნება, პატივცემულო მასწავლებელო?

— მოთმინება იქონიეთ, მალე ყველაფერს გაიგებთ.

ეზოში სკოლის დირექტორი და მალაღლი ქალი შემოვიდნენ. ბავშვებში ჩურჩული გაისმა.

— მოვიდნენ.

— ქალი ყოფილა!

— კარგია!

ჩამწკრივებულ ბავშვებს შორის გაიარეს დირექტორმა და მალაღმა ქალმა. ქალი ღიმილით მიესალმა ბავშვებს. ზღვისფერი თვალები და მომღიმარე სახე ჰქონდა.

დაფაზე თემები დაწერეს: „ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება“, „სოციალისტური სოფელი“, „ჩემი საყვარელი წიგნი“. მასწავლებელი დაწყნარდა, გამხიარულდა. პირველი ორი თემა კარგად იცოდნენ მისმა მოსწავლეებმა, მესამე კი ბედს მიანდო. კლასმა ღრმად ამოისუნთქა, ყველამ თავის არჩეული სათაური ფურცელზე დაწერა.

— ის ქალიშვილი თავისუფალ თემას

კლავდია დევდარიანი
ძველი ფუძე

წერს, საყვარელ წიგნად „დედა ენა“ აურჩევია.

— ის ყმაწვილიც ოქროს მედლის კანდიდატია, — მარიაშმა ვახტანგზე მიუთითა.

— ისიც კარგად წერს.

წერა დამთავრდა. ახმაურდა სკოლის ეზო. ყველა თავის თემაზე ლაპარაკობდა.

— რა თემა დაწერე, შვილო?! — მკლავზე ხელი წაატანა პუბლიამ ვახტანგს. ვახტანგი დედას შეაჩერდა, თითქოს ვერ იცნო.

— აქ რა გინდა, დედა?!

— მინდა გავიგო, როგორ დაწერე!

— კარგად, დედიკო, ძალიან კარგად. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ ავირჩიე. იცი, როგორ ვიცოდი! — ვახტანგი დედას ხელიდან დაუსხლტა და ამხანაგებთან მივიდა.

შინ დაბრუნებული ვახტანგი სუფრას მიუჯდა.

პუბლიას შვილისათვის ისეთი სუფრა გაეწყო, კაცი იტყოდა, ჩიტის რძეც არ აკლიაო. ვახტანგს მღელვარება ჯერაც არ დაცხრომოდა. დედას მხიარულად ელაპარაკებოდა, ლუკმის პირში ჩადებას ვერ ახერხებდა.

— როგორ გამიკვირდა, დედა, იქ რომ დაგინახე, რა გინდოდა, დედიკო?

— როგორ რა მინდოდა, შვილო, მაინტერესებდა, როგორ დაწერდი!

— ყველას აინტერესებდა, მაგრამ იქ არავინ მოსულა.

— მაგათ რა იციან! შარშან, თბილისში რომ ვიყავი, სკოლის ეზო სავსე იყო მშობლებით. — სწრაფად მოიშველია ქალაქის ამბავი პუბლიამ. პუბლია თბილისში გაზრდილი ქალი იყო, თავი ქალაქელად მოჰქონდა და ცდილობდა ყველაფერში ქალაქელებისათვის წაეგზავნა. პუბლიას ამ სისუსტეს ოჯახის წევრებიც კარგად იცნობდნენ, ვახტანგს სადღაც გულის კუნჭულში ეამაყებოდა კიდევ დედამისის ქალაქელობა, აშკარად კი ის და მამა უწყინრად დასცინოდნენ პუბლიას ახირებას. ახლაც გაამხიარულა ვახტანგი დედის სიტყვებმა.

— ხა, ხა, ხა! ამისათვის გამოიარე დედიკო, ამოდენა გზა? — პუბლიას მუცელს დასწყინდა, როცა ქმარ-შვილს მისსავე ქალაქელობას დასცინოდა, მაგრამ დღეს შვილს სიტყვა აღარ შეუბრუნა.

— მაკასას წავალ, დედიკო.

— მოიცა, შვილო, ჯერ არაფერი გიქამია.

— როგორ არაფერი გიქამია, დედა! — ვახტანგმა სუფრას დახედა, თვითონვე გაუკვირდა, თურმე საჭმლისათვის ხელი არ ეხლო.

ხმა დაირხა, სტუმარს რაიონში ყველაზე მეტად მაკას ნაწერი მოსწონსო. ულოცავდნენ შალვას, შვილს უქებდნენ. სტუმრის ყოველი სიტყვა სხვადასხვანაირად აღწევდა სოფლამდე. „ვახტანგის ნაწერიც მოსწონებია“. „მაკასთანა ნაწერი არავის აქვსო, უთქვამს“.

ეს ჭორები პუბლიას გულზე ეკალივით ხვდებოდა.

— ყველაფერში უნდა მაჯობოს იმ გოგომ, — წიწმაცობდა პუბლია და ვარიჩკას მოტანილი ამბით აღშფოთებულ დედაკაცს მაკას სახელის გაგონებაც აღარ უნდოდა. — მაინც რაღა ქართულ წერაში მოვიდნენ, მათემატიკაზე მოსულიყო ის დალოცვილი, მაშინ ნახავდა, ვინ ვის აჯობებდა.

— მათემატიკაც საუკეთესოდ დაუწერილიაო, — არ ასვენებდა ვარიჩკა.

— ვიყავი იმ ქალთან. გაიკვირა, რა გაწუხებთ, თქვენ ვაჟს მუდამ კარგი ნიშნები ჰქონია და ნაწერიც ძალიან კარგი აქვსო, — წასცადა საიდუმლო პუბლიას. ვარიჩკას სახე გაუბრწყინდა. პუბლიამ ინანა, ეს რა მომივიდაო, — თუ ქალი ხარ, არავის უთხრა. ვინ იცის, რას იტყვიან. კი არაფერი მითხოვია, მხოლოდ შევეკითხე, მინდოდა გამეგო, რომლის ნაწერი სჯობს, მაკასი თუ ვახტანგისა...

— მერე, მერე რა გითხრა? — ვეღარ მოითმინა ვარიჩკამ.

— მჯობნის მჯობი არ დაილევიაო.

თბილისიდან დაბრუნებულ პუბლიას ქმარი და შვილი ყურადღებით უსმენ-

დენე. ცხელი დღე იყო. ეზოში შემოსულმა პუბლიამ ჩრდილში მოიკალათა.

— დედა, დედა, რაღა მომკლა ამ ოხერმა ფეხსაცემელმა. ამომართვა სული. რომ არ წავსულიყავი, ცუდად იყო საქმე. — გაასავსავა ხელები პუბლიამ.

— სთქვი, ქალო, ბარემ, ნუ მომკალი!

— შალვა ძია არ წასულა და ცუდი არაფერი მომხდარა, — დაუმატა ვახტანგმა.

— შენი შალვა ძია კარგი ეშმაკია. იმას წასვლა რად უნდა. სამინისტროში ყველა მაგის ნაცნობია. მაგის გოგოს ნაწერზე ერთი ამბავი იყო.

— მართლა, დედა, მოეწონათ მაკას ნაწერი? წავალ, ვეტყვი, — წამოხტა ვახტანგი.

— ნუ გადაირიე, ბიჭო, დამაცალე.

— მაკას დავუძახებ!

— დაკარი ახლა ბუკი და ნალარა, დაჯექი აქ, — პუბლიამ მკლავში ხელი სტაცა შვილს.

— ე ქალო, სთქვი. მეჩქარება კანტორაში, — დაკარგა მოთმინება ლევანმა.

— რომ არ დამაცალეთ, რა ვთქვა. მომიტანე, ბიჭო, ერთი ჭიქა წყალი, სული მოვითქვა, — ვახტანგმა ლიტრას ხელი დასტაცა და წყაროსაკენ გაიქცა!

— დედა, რა სიცხეა თბილისში! იცოცხლე, ის რვეულების გამსწორებლები ოფლში იწურებიან! ისე მოუხდებათ! — პუბლიამ შვილს ლიტრა ჩამოართვა და პირზე მოიყუდა. ცივი წყაროს წყალი რაკრაკით გადადიოდა ყელში.

— ჩავედი თუ არა, გავსწიე განათლების სამინისტროსაკენ. ვის სცალია შენთვის, მაგრამ მე შენ გეტყვი, გზას ვერ გავიგნებდი. დაუყენებიათ კიბეზე დარაჯები, შიგ არავის უშვებენ! ხალხი, ხალხი! გადაირევი კაცი! სავსეა ამოდენა შენობის კიბე. საიდან გინდა, რომ არ ჩამოსულან, ყველა ნაცნობს ეძებს. განათლების სამინისტროს თანამშრომლებიც ისე არიან დაცოფებულნი, ვინ გიკარებს ახლოს! ჩემდა სამწუხაროდ, აღარც არავინ არის იქ ჩემი ნაცნობი, — ისე სთქვა პუბლიამ, თითქოს

წინათ უამრავი ნაცნობი ჰყოლოდეს სამინისტროში.

— ე ქალო, ნუ მომკალი, — კვლავ დაკარგა მოთმინება ლევანმა.

— გავიქეცი ჩემ დეიდაშვილებთან, ისინი თუ გამოვადგებიან გაჭირვების დროს, თორემ სხვას ვის სცალია შენთვის. მოგეცა ლხენა, თურმე ერთ-ერთი გამსწორებელი იმის მეზობელი ყოფილა. შევებეწვი, შემოვებვი მუხლებზე, იქნებ მიშველოს რამე-მეთქი. მოდის და მოდის ამ კაცისას ხალხი, მარა რა მოდის. ჩემ დეიდაშვილებს ვებეწვი, მივართმევ რამეს, შევპირდები რამეს-მეთქი. ააა-პაპა, არ გამიკარეს, მაგისთანა კაცი არ არისო. რა ვიცი, დილიდან საღამომდე კარის გაღებას ვერ აუდის მისი ცოლი. დამამშვიდა: — თქვენი სოფლიდან კარგი ნაწერებია მოსული, იმათზე თხოვნა არ რის საჭიროო, მარა რას ამბობ, აბა რატომ დგას იმდენი ხალხი სამინისტროს კარზე?

— მერე?!

— მერე და, დარჩა ბიჭს ხუთიანი, ვენაცვალე ამას, მიიღებს ოქროს მედალს.

— ეს იყო სულ, არ მომკალი, ქალო, — ლევანი წასასვლელად წამოიდა.

— ერთი ამას უყურე! ამ სიცხეში სული ამომძვრა თბილისის ქუჩებში ხეტიალით.

— ხა, ხა, ხა, დედიკო, შენც გამოგადგა ჩემი მედალი, აგისრულდა ნატვრა, ამდენ ხანს თბილისში არასოდეს ყოფილხარ.

— რას სულელობ, ბიჭო, მაგ იყო ჩემი ნატვრა?

— პუბლია, ქალო, ჩამოხვედი? — მოისმა ვარიჩკას ხმა,

— გავიხმა ფეხები, სახლში შესვლას არ დააცლი ადამიანს, — წაიბუზღუნა პუბლიამ. ხმაიდან კი გასძახა: — გადმოდი, ქალო, რაღა შორიდან იძახი.

— ამირანმა მითხრა, დავინახე, მოდიოდო, ვიფიქრე, გავიგებ, როგორა საქმე-მეთქი.

კლავდია დევდარიანი
ძველი ფუძე

— ახალი არაფერი, ჩემო ვარიჩკა, ჩემს ბიჭს საეჭვო რა ჰქონდა?

— არა, ცოტა დაგაგვიანდა და შემეშინდა, გლახა არაფერი იყოს-მეთქი, ზოგი რას ამბობს და ზოგი რას.

— რაო, რას ამბობენ? სიგლახე არ მოუშალოს ღმერთმა ჩემი და ჩემი ქმარ-შვილის ავად მახსენებელს. საყიდლები მქონდა, ქალო, იმან შემაგვიანა. შემოდგომაზე ბიჭი გასაგზავნია, ხუმრობა ხომ არ არის?

— მაჩვენე, რა იყიდე?! — შეიცვალა საუბრის კილო ვარიჩკამ.

— რა ვიცი, საკოსტუმე, საპალტოვე, სასაბნე... მთელი ზამთარი ამ დღისათვის ვაგროვებდი ორიოდ გროშს, სახლიდან რომ გავა ადამიანი, სხვანაირი უნდა ყველაფერი.

— შავი საკოსტუმე რატომ უყიდე?

— შავი კოსტუმე, კრები ჰქვია ამას, უკანასკნელი მოდაა ახლა.

— ვაი, დედა, ამ ფეხსაცმელს რა წვრილი ცხვირი აქვს. ქალები რომ იცვამენ წვრილცხვირიან ფეხსაცმელს, ვიცი, მარა კაცებიც თუ იცვამდნენ, არ მეგონა.

— „ფრანცუსკები“ ეს. ისე უნდა გამოვაწყო ჩემი ბიჭი, ვერავინ მიხვდეს, თბილისელი რომ არ არის, ვაი ჩემი ბრალი, ჩემი შვილი აქ უნდა გაზრდილიყო?

პუპლია მთელ დღეებს რაიონის ცენტრში ატარებდა. დილით წავიდოდა, ვახტანგს გაიყოლებდა და ღამით გვიან ბრუნდებოდა. ზოგან კოსტუმე ჰქონდა მიზარებული შესაკერად, ზოგან საბანი და ვინ იცის რა.

— ნუ გააცივებ, ქალო, კერა, — ჯავრობდა ლევანი, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა.

მალაზიებს ხომ დღეში რამდენჯერმე შემოივლიდა პუპლია, საეკულანტებსაც მიაკითხა, იქნებ საზღვარგარეთული წინდები და ცხვირსახოცები მიშოვნონო.

საღამოს ვარიჩკას დაუძახებდა და ნავაჭრს უჩვენებდა. მეორე დღეს მთელმა სოფელმა იცოდა, რამდენი პირსახოცი, ცხვირსახოცი და წინდა იყიდა პუპლიამ.

ვახტანგი, როგორც კი შინ მოვიდოდა, მაშინვე მაკასკენ მოკურცხლავდა. მაკა მულამ წიგნებში თავჩარგული ხედვებით

— მაკა, რა დაგემართა, მთელი დღე ისევ წიგნებს რომ უზიხარ?

— მეშინია, ვახტანგ. შარშან მედალოსნებიც ჩაუჭრიათ.

— მე კი დრო აღარ მრჩება სამეცადინოდ.

— სად დადიხარ ამდენს?

— ხომ იცი დედაჩემის ამბავი, ისე მაბარებებს, თითქოს სამულამოდ მისტუმრებდეს, — სიამაყე გამოკრთოდა ვახტანგის სიტყვებში.

პუპლია ქმარს მთელი კვირა ეხვეწებოდა, ვახტანგის წასვლის დღეს კოლმეურნეები სამუშაოდან გაენთავისუფლებინა.

— რას ამბობ, ქალო, გაგიჟდი?

— რა მოხდება, რას გიზამს ის ერთი დღე, აგაშენებს?

— ამ გაგანია მუშაობის დროს? გაგიჟდი, დედაკაცო? სად მიდის ამისთანა ადგილზე. თბილისში მიდის ჩასაბარებლად, იქნებ არც მიიღონ.

— შაქარი შენს ენას, არ გამახარე?! — ლევანს თვითონვე აღარ მოეწონა თავისი ნათქვამი, მაგრამ რაღას იზამდა, გაფრენილ სიტყვას უკან ველარ დააბრუნებდა.

— არა, მიიღებენ, აბა რას იზამენ, ტყუილად ხომ არ მისცეს ოქროს მედალი, — დამნაშავესავით წაიჩურჩულა ლევანმა, მერე უეტრად ისევ იფეთქა: — მეორედ აღარ მითხრა ევ სისულელე. მადლობელი იყავი, შენ რომ განთავისუფლებ.

— ესლა მაკლია! — იყვირა პუპლიამ, მაგრამ სწრაფად შეიცვალა კილო, იცოდა, ლევანი თუ გაჯიუტდებოდა, მერე ველარაფერს მოუხერხებდა. ისევ დათმობა არჩია, შემპარავად უთხრა, — ვარიჩკა მაინც გამოუშვი, ძალიან უნდა წამოსვლა.

— ვარიჩკა წამოვიდეს, ლაქლაქით ქალებს აცდნენ და თვითონაც არაფრის მაქნისია. მთელი დღე თავშეხვეული დადის.

სერამდე მთელი სოფელი აცილებდა ვახტანგსა და მაკას: სიმღერა, ყიჟინა, სიცილი სცვლიდა ერთმანეთს. მათ ჯობ-ზე დაყრდნობილი ნინოც მიჰყვებოდა. მაკას ბებიასათვის წელიწადი ხელი მოეხვია. ბუბლიას დათუნასათვის იმოდენა ბარგი აეკიდებინა, რომ იგი ძლივს მოლას-ლასებდა ქშენით.

სერზე შედგენენ.

გამოთხოვება დაიწყო.

— ჩემს სიბერეს დააბრალებ, შვილო. მამაშენს ინსტიტუტში რომ ვისტუმრებდი, თბილისამდე ჩავყვები. ის ვაჟაკი იყო, შენ ქალი ხარ. სერამდე — ამოგყვები მხოლოდ, — ბებიაშ სახე დაუკოცნა მაკას.

სოფელელები სერზე დიდხანს იდგნენ. ზემოდან დასჩერებოდნენ, როგორ დაეშვენ თაქელებზე მგზავრები.

— ნეტავი თქვენ, ნეტა მეც მოვდიოდე, — არ ისვენებდა მაკია, — მენახა ერთი ის გამოცდები.

— გამოცდები რა სანახავია, კინოა თუ? — დაიბუბუნა ამირანმა. მასაც ბლომად მოჰქონდა ბარგი და ოფელში გაღვრილი ძლივსლა სუნთქავდა.

— მოიტა, ამირან, ეგ ჩემი ჩემოდანი, მოგეშველები.

— არა, არა! — გასასვსავა ვეება ხელეები ამირანმა. მაკას ჩემოდანი არც მაკას დანება და არც ვახტანგს.

— დააცადე, უხარია მაგას მაგ ჩემოდნის ტარება, — ენაშწარობდა ვარიჩკა.

— გაუშვი, ბიჭო. ეს პატარა ხელკალათა მაინც მომეცი, — არ ეშვებოდა მაკა. ამირანმა კალათა ვახტანგს გაუწოდა.

— შორს დაიჭირე, ბიჭო, შარვალი არ გაგიხეხოს, — მივარდა ვახტანგს ბუბლია.

— გავიხდი, დედა, ამ კოსტუმს, დავიხვრი! — შეევედრა დედას ვახტანგი.

— დაგეჭმუჭნება, ბიჭო, არ ივარგებს, მაგრე მინდა შეხვიდე სადგურში...

— დედა, ამომძვრა სული, თუ მოგვკვდა, კოსტუმი რა ჯანდაბად მინდა!

— გაიხადე, ვახტანგ, მხარზე გადაიკიდე, არ დაიჭმუჭნება.

— შენ წამოუდე, შვილო მაკა, ეს დაჭმუჭნის.

— მე მომეცი, არ დაჭმუჭნი, — კვლავ აბუბუნდა ამირანი.

— გაგიყდი, ბიჭო! — გაწიწმატდა ბუბლია.

— ერთი აქეთ გამომხედე, კრების-კოსტუმიანო! — წამოიწყო მაკიამ. მიმავლებმა კვლავ მხიარული სიმღერით განაგრძეს გზა.

სადგური ხალხით იყო სავსე. მოსულებმა ყველას ყურადღება მიიპყრეს. საღამო იყო. ხალხი ბაქანზე გამოფენილიყო: ვინ გაზეთებს ელოდა, ვინ თვალს წყაღს ალევინება.

— თბილისის მატარებელს დიდხანს დააგვიანდება? — ვერ ისვენებდა ბუბლია.

— სანამ მატარებელი არ გამოვა, არ ვიცი, იქნება თუ არა ადგილი.

— რომ გამოვა, იქნებ ჩაჯდომაც ვერ მოასწროთ, — უკიდებდა ცეცხლს ვარიჩკა.

— ვაიმე, რაღა მეშველება, რომ დავრჩეთ! — ვერ ისვენებდა ბუბლია, — მიმიყვანე სადგურის უფროსთან.

— ვიყავი, დედა.

— შენ წამომყვები, ჩემო მაკია, სადგურის უფროსთან, — ვახტანგმა თავი დანება დედას, იცოდა, მაინც ვერ გადაათქმევინებდა.

მატარებელი ჩამოდგა. ხალხი აირდა-ირია.

— დედა, ვერ შენ ადი!

— შენ არ დარჩე, შვილო, შენ!

— აბა, მაკა!

— გამომართვით, გამომართვით კალათა! — გასწიოდა ვარიჩკა.

— ჩქარა, ჩქარა!

მატარებელი დაიძრა.

— მოეწყვით? — კვლავ წიოდა ვარიჩკა.

შორს დარჩა ხალხით მოფუსფუსე ბაქანი, ძლივსლა ისმოდა მაკიას ხმა.

ბუბლია, როგორც იქნა, მოთავსდა.

კვლავი დევდარიანი ძველი ფუძე

ვილაც ახალგაზრდა ყმაწვილი ფანჯარას მოსცილდა და ადგილი მაკას დაუთმო.

პუბლიამ ჩქარა იპოვა მოსაუბრე. მისმა მეზობლებმა უკვე იცოდნენ, რომ ის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ცოლია, ქალაქშია გაზრდილი და სოფელს ვერ ეგუება, მისი ვაჟი ოქროს მედალოსანია და გამოცდებზე მიჰყავს, სამედიცინოზე უნდა შეიყვანოს.

მაკა და ვახტანგი ერთად ისხდნენ და რაღაცაზე მხიარულად საუბრობდნენ.

მატარებელი გორს მიუახლოვდა, ვახტანგი გასასვლელისაკენ გაემართა:

- ცოტას გავივლი, დედი.
- არა, არა, შვილო, არ დარჩე!
- მე ჩავყვები, დეიდა პუბლია.
- კარგი, შენც თუ ჩახვალ, არა გიშავთ.

ვახტანგი და მაკა სადგურზე ჩავიდნენ, ვახტანგმა მკლავი გამოსდო. ისინი ისე მიდიოდნენ განათებულ პაქანზე, თითქოს ყველას ეუბნებოდნენ, ჩვენ უკვე მოწიფულები ვართ და შევევიძლია მკლავგაყრით ვიაროთო. ვახტანგი რაღაცას უყვებოდა მაკას. გოგონა უხმოდ იდომებოდა, თვალეში შესცივნიდა ვაჟს.

ვაკონში რომ დაბრუნდნენ, ხელში ატმები ეჭირათ; თვალეში უბრწყინავდათ.

— რად გინდოდათ ეს ატმები. ატმების მეტი რა გვაქვს! — შეიცხადა პუბლიამ.

მაკამ და ვახტანგმა ერთმანეთს შეხედეს და სიცილი აუტყდათ.

— რა გაცივებთ?

— ახალგაზრდები არიან და ის აცივებთ, — ხმა ამოიღო მოხუცმა ქალმა, აქამდე ჩუმად რომ იჯდა.

მატარებელი თბილისს უახლოვდებოდა. მაკა და ვახტანგი ფანჯარასთან იდგნენ, მათ ყველაფერი მოსწონდათ და ახარებდათ. ქალაქს განთიადის ნათელი ეპარებოდა. გაჩახახებულ ელნათურებს შუქი თანდათან ეკარებოდათ. მატარებელი სადგურის ბაქანს მიადგა.

— აი, მამიდაჩემი! — მაკამ ფანჯარაში თავი გაჰყო და ვილაცას ხელს დაუჭირა ნია.

მატარებელი გაჩერდა. ხალხმა გასასვლელს მიაშურა. მეზარები, დამხედურები და მებარგულები ერთმანეთში აირივნენ.

— გენაცვალოს მამიდა, ასე მარტო როგორ გამოგიშვა ჩემმა საძაგელმა ძმამ?

— არ ეცალა, მამიდა, სკოლაში რემონტი აქვს. კოლმეურნეობას ისე ესაჭიროება მუშახელი, ჩვენ რომ გამოვიშვეს, ესეც საკვირველია. ბებიაც ცოდვა იყო მარტო.

— რას შვრება დედაჩემი? ისიც წამოსულიყო.

— ასე ადვილად დატოვებდა სახლს? — გაუღიმა მაკამ მამიდას.

— მაპატიე, გენაცვალე, პუბლია, გავერთე ჩემს ძმისწულთან საუბარში. ყურადღება ვეღარ მოვაქციეთ, — მიუბრუნდა მაკას მამიდა პუბლიას და გულითადად მოიკითხა.

— როგორ გეკადრებათ, რას ბრძანებთ! სად ცხოვრობთ, მათიკო?

— ახალი ბინა მოგცეცს.

— კარგი დაგემართოთ!

— ერთად ჩავსხდეთ მანქანაში, შაინც ერთი გზა გვაქვს, — საუბარი შეაწყვეტინა მათ ვახტანგმა.

მალე მანქანა ოთხსართულიანი სახლის წინ შეჩერდა, მაკა და მამიდა მანქანიდან გადმოვიდნენ.

დილის ათ საათზე მაკას ვახტანგმა მოაკითხა, ინსტიტუტში ერთად უნდა წასულიყვნენ. სიხარულით ჩაიარეს კიბე, ორ-ორ საფეხურს ახტებოდნენ. იცინოდნენ. მამიდა აივანზე გავიდა, იქიდან გადახედა ქუჩაში ლაღად მიმავლებს.

— კარგი ბიჭია, მაგრამ პუბლიას ხელში ჩემი მტერი ჩავარდა! — გაიქინა თავი მათიკომ.



ინსტიტუტის კიბეზე ამაველი მკაპ შიშმა შეიპყრო. ვახტანგს ხელი ჩააგლო.

— რა დაგემართა, მკაპ?

— არაფერი... არაფერი! — სწრაფად ჩილაპარაკა მკაპამ და ვახტანგს მკრთაღად გაუღიმა.

დერეფნებში გუგუნნი და ჟრიამული იდგა. მკაპ და ვახტანგი საგამოცდო ცხრილთან მივიდნენ.

— ზეგ პირველი გამოცდა გვაქვს ქართულში!

— რა დაგემართა, მკაპ. სირცხვილი არ არის, ქართულის გეშინოდეს?

— არა, ვახტანგ, ამ შენობაში რომ შემოვდები, ჩემი თავის წინაშე მეტი პასუხისმგებლობა ვიგრძენი.

თავშეკავებულმა ხითხითმა მკაპს და ვახტანგს საუბარი შეაწყვეტინა. მათ მხოლოდ ახლა შეამჩნიეს ფანჯარასთან მიმდგარი ორი გოგონა.

— პროვინციელებს უყვართ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები. — კოპწია გოგონამ აღმაცერად გადახედა მკაპს.

— გაჩუმდი, მადონა, გაიგონებს.

— გაიგონოს, რა! — მხრები აიჩჩია მადონამ.

ვახტანგი დარწმუნებული იყო, რომ ქალაქური იერი ჰქონდა. ამ გოგონებმა კი... მკაპს ბრალია! ასეთი ლაპარაკი რომ არ წამოეწყოს... გუნებაწამხდარი ქუჩაში ჩუმად მიდიოდნენ.

პირველი გამოცდა ქართულ წერაში ჰქონდათ. მკაპ და ვახტანგი ერთად მოვიდნენ. ისინი აქ არავის იცნობდნენ, ფანჯარასთან იდგნენ და გამოცდის დაწყებას ელოდნენ.

— ეს გოგონა ისევე მოსულა?! — მოესმათ იმ კოპწია გოგონას ხმა, მადონას რომ ეძახდნენ.

— რომელი გოგონა? — შეეკითხა გვერდით მდგომი ახალგაზრდა.

— აგერ, ხედავ!

— იცნობ?

— მე? საიდან? — მადონამ მხრები აიჩჩია.

— პირველი ჯგუფი პირველ აუდი-

ტორიაში! — გამოაცხადა რადიომ. მკაპ და ვახტანგი დიდ დარბაზში შევიდნენ და მერხზე ერთად დასხდნენ.

მალე გამოცდელინიც შემოვიდნენ. დაფაზე თემები დაწერეს.

— ერთმანეთის გვერდით ნუ დასხდებით, ერთმანეთს ხელს ნუ შეუშლით! კარგად დაუკვირდით, დაფიქრდით და ისე დაიწყეთ წერა, — სთქვა ერთ-ერთმა მათგანმა. ვახტანგი წამოდგა, მკაპს შორიახლო დაჯდა. მკაპს უკან გამხდარი ქალიშვილი იჯდა. ის კოპწია გოგონა კი სულ უკანასკნელ მერხზე მოჩანდა.

მკაპმ დარბაზს თვალი მოავლო, მერე დაფას დააკვირდა, კალამი ხელში აიღო. წერდა მკაპ, ყურადღებას აღარაფერს აქცევდა. დარბაზში ბუზის გაფრენას გაიგონებდით, წერდა ყველა. მხოლოდ ფურცლის შრიალი თუ დაარღვევდა სიჩუმეს. ორმოციოდე წუთის შემდეგ მკაპმ კალმისტარი დადო, გაირინდა.

— დამთავრეთ, გოგონა? — ჰკითხა გამოცდელმა ქალმა.

— დავამთავრე, ქალბატონო!

— ნუ აჩქარდებით, კიდევ გადაიკითხეთ, დააკვირდით, გაასწორეთ და ისე ჩაგვაბარეთ.

წერა დამთავრდა.

— ხვალ დილით მოზრძანდით, ნიშნებს გაიგებთ, — გამოაცხადა იმ კაცმა. დაფაზე თემები რომ დაწერა.

მკაპ და ვახტანგი კვლავ მოზუზუნე დერეფანში მოხედნენ.

— მკაპ, როგორ დაწერე?

— მგონი კარგად. შენ?

— მეც კარგად. რა დაწერე?

— გურამიშვილი. შენ?

— ილია.

— ახლაც თუ არ მივიღე ხუთიანი, მეტად აღარ მოვალ ამ ინსტიტუტში, — მოესმა მკაპს ვილაცის ნაწყენი ხმა.

— სტაჟი გაქვს? — შეეკითხა ვილაც.

— აქ სიარულში — კი!

— როგორ აქ სიარულში?

— მეოთხედ მოვიღივარ.

კლავდია დევდარიანი
ძველი ფუძე

მეორე დღეს ინსტიტუტში მაკა და ვახტანგი ყველაზე ადრე მივიდნენ.

— რა გეჩქარებოდათ, შვილებო? — უთხრა მოხუცმა დარაჯმა.

ახალგაზრდები ნელ-ნელა გროვდებოდნენ.

რადიომ გამოაცხადა რომელ ჯგუფს ეტყოდნენ ნიშნებს. პირველმა ჯგუფმა წინ წაიწია. ყველა რუპორს მისჩერებოდა. ცდილობდნენ სიტყვაც არ გამოპაროდნენ, ხანგამოშვებით აღტაცებული შეძახილი გაისმოდა, ხან კი სასოწარკვეთილი ამოკვნესა.

— შენი ჭირიმე, ვახტანგ, ხუთიანი! — წამოიძახა მაკამ.

— სუ! — გაისისინა ვილაცამ.

მაკა იღვა თვალზეგაფართოებული და რუპორს შესჩერებოდა.

— რაო, მაკა, რა სთქვეს? — მკლავში ხელი წაატანა ვახტანგმა. მაკას ხელები ჩამოუცვივდა, თვალეში ცრემლი აუციმციმდა, ძლივს ამოთქვა:

— გამომცდელებთან გამოცხადდესო.

— მეც ეგრე გავიგონე.

ხალხს მიარღვედნენ და საბროფესოროსკენ მიდიოდნენ.

— შეუძლებელია ცუდად დაგეწერა. — ამხნევებდა ვახტანგი. მაკა ხმას არ იღებდა. მაკა დარაჯმა არ გაატარა.

— გათადება გამოძახება და შეგიშვებ.

— ევ როდის იქნება?

— რა გეჩქარება, იქ თუ დაგიბარეს, კარგს ვერაფერს გაიგებ.

ვახტანგი ამის მთქმელს მიუბრუნდა:

— არა, არ შეიძლება ცუდი ნაწერი ჰქონდეს, ოქროს მედალოსანია.

— ვიცით, რაც არიან თქვენი ოქროს მედალოსნები. თუ კარგი ბიჭები ხართ, აქ იმარჯვეთ.

კარგა ხნის ლოდინის შემდეგ მაკა შეუშვეს.

— რა მიიღე, ბიჭო, ისევ ორიანი?

— არა, ქართულ წერას ვერ ვისწავლი.

ვახტანგი მოსაუბრეს მიუბრუნდა:

— თქვენ ქართველი ხართ?

— მა ვინა ვარ?

— მაშ, ქართულ წერაში სამჯერ როგორ მიიღეთ ორიანი?

— როგორ და ისე. არც პროტექცია მყავს და არც ფული მაქვს.

— შედიეთ და დაუმტკიცეთ, რომ ორიანი არ გეკუთვნით.

— მაგის დამტკიცება რომ შემეძლოს...

კართან სახეაწითლებული მაკა გამოჩნდა, ვახტანგი მივიდა.

— რა იყო, მაკა?

— რა მიიღე, ორიანი? — შემოეხვივნენ მაკას. მაკა კი სლუკუნებდა და ხმას არ იღებდა.

— ორიანი მიუღია. გაისად ერთად მოვიდეთ მე და შენ, ჩემო დია.

— რა მიიღე, მაკა? — არ ეშვებოდა ვახტანგი. მაკა ხმას ვერ იღებდა, ხელით ანიშნა, ხუთიანიო.

— მერე რაღა გატირებს, გოგო!

— ხუთიანი, მაკა, ხუთიანი? — გაეხარდა ვახტანგს.

— ხუთიანი დამიწერეს.

— რად გიბარებდნენ?

— შენი დაწერილი არ გვეგონა, ძალიან კარგად დაწერილიაო, — ძლივს ამოილულულა მაკამ.

შინ მიმავალი მაკა მესედ უამბობდა ვახტანგს, როგორ შეიყვანეს საბროფესოროში. იქ ყველა გამომცდეღეს ერთად მოეყარა თავი, წინ მაკას ნაწერი ედოთ. ჰკითხეს, სად სწავლობდა, ვინ ასწავლიდა ქართულს, თუ გახსოვს, რა დაწერეო და როგორ უთხრა მაკამ ზეპირად, რაც დაწერა.

მაკამ და ვახტანგმა ყველა საგანი ხუთებზე ჩააბარეს, ფიზიკა-ლა დარჩათ. მთელი დღე წიგნებს ჩაჰკირკიტებდნენ. ფიზიკის საგამოცდო აუდიტორიასთან აბითურიენტები შეჯგუფებულიყვნენ.

— რა მიიღე?

— რომელი ბილეთი შეგზვდა?

— ყველაფერი უპასუხე?

— ბილეთის გარეშე კკითხეს რაიმე? — კითხვას კითხვაზე აყრიდნენ აუდიტორიიდან გამოსულებს.

მაკა აუდიტორიაში შევიდა, მიიხედ-

მოხედა, გამომცდელები მაგიდებთან ჩამწკრივებულიყვნენ, წინ ყველას აბითურიენტი ეჯდა.

— აი, ამასთან დაბრძანდით, ქალიშვილო, — მიუთითა ვიღაცამ.

მაკა მაღალი, თმაჭალარა კაცის წინ დაჯდა.

— ქალიშვილო, ავიღოთ ბილეთი! — მაკამ ხელი გაუბედავად გაიწვდინა ბილეთისაკენ, თვალი დახუჭა, ერთ-ერთ ბილეთს დასწვდა და გამომცდელებს გაუწოდა.

— მეხუთე ბილეთი, ამას ხუთიანი უნდა, ქალიშვილო! — მაკას თვალეზი გაუბრწყინდა, ყველა საკითხი ზედმიწევნით იცოდა. მართლაც, მაკას პასუხი მოსწონდა გამომცდელებს, კმაყოფილი თავს უქნევდა:

— კარგია, ძალიან კარგია, — მაკა გაათამაშა გამომცდელების მოპყრობამ.

— თქვენ სად სწავლობდით?
მაკამ სოფელი დაუსახელა.

— მაშ, სოფლის მეურნეობას იცნობთ, იქნებ გიმუშავენიათ კიდევ.

— როგორ არა, კოლმეურნეობაში ვმუშაობდი.

— მაშ, გეცოდინებათ, მცენარე მნიადგიდან საჭირო საკვები რომ მიიღოს, ამისათვის ნიადაგმა სინესტე უნდა შეინარჩუნოს. აბა, ახლა მითხარით, გათხნილ ყანაში ან ვენახში მეტი სინესტეა თუ გაუთხნავში, და რატომ?

— გაუთხნავი ვენახი მეტ სინესტეს შეინარჩუნებს, ვიდრე გათხნილი, — თამამად უპასუხა მაკამ.

— რატომ?

— გათხნილი ყანა გაფხვიერებულია, მზის სხივები ნიადაგში ადვილად შეაღწევს და მალე გამოაშრობს.

— მაშ, გამოდის, რომ კოლმეურნე ტყუილურბალოდ თონის ყანასა და ვენახს, მისი მუშაობა საზიანო ყოფილა მცენარისათვის.

მაკა შეკრთა, ხმა ვერ ამოიღო.

— ამიხსენით, რაშია საქმე?

—?

— თქვენ ფიზიკა იცით, მაგრამ რისთვისაა საჭირო ეს ცოდნა, თუ მას ცხოვ-

რებაში ვერ გამოიყენებთ? როცა გლეხი ყანას თონის და მიწას აფხვიერებს, კაბილარული მილები ისპობა და სინესტე მიწის ზედაპირზე ვეღარ ამოდის. ამრიგად, გათხნილი მიწა სინესტეს ინარჩუნებს და მცენარე კარგად ხარობს, — ეუბნებოდა გამომცდელი და თან ნიშანს წერდა საგამოცდო ბარათში. მაკა ხედავდა, როგორ გამოიყვანა თონიანი, ცრემლი მოეძალა, მაგრამ ხმა არ ამოუღია... კარებში გამოსულს შემოგვივიწყნენ, კითხვები მიაყარეს, ის კი ხმას არ იღებდა.

— ჩაჭრილა!

— წახდა ხუთიანები!

— რა დაგემართა, მაკა? — მივარდა ვახტანგი, ხელიდან საგამოცდო ფურცელი გამოსტაცა. გაშალა, თვალში ოთხიანი მოხვდა და შევებით ამოისუნთქა.

„ოთხიანით ვერ მოხვდება“, ტვიში ლურსმანივით ჩაერჭო მაკას ვიღაცის წამოძახილი. დაღონებული გაემართა ავტობუსისაკენ. ვახტანგი ერთ ხანს ჩუმად მიყვებოდა.

— შენ რა მიიღე, ვახტანგ?

— ხუთიანი, — პასუხი ოდნავ დააყოვნა ვახტანგმა.

— მართლა? — თვალეზი გაუბრწყინდა მაკას, — არ გვინდა ავტობუსი, ფეხით გავიაროთ. რა კარგია, შენ მაინც მიგიღონ!

— იქნებ ოთხოსნებიც მიიღონ, შენ მედალოსანიცა ხარ.

— მით უმეტეს, მედალოსანს ოთხიანი არ უნდა მიმეღო.

— რა გკითხეს ასეთი?

— მეხუთე ბილეთი.

— მერე მეხუთე ბილეთი არ იცოდი?

— როგორ არ ვიცოდი!

— მაშ...

— ვერ ვუპასუხე, ვახტანგ! — ცრემლები გადმოსცივიდა მაკას.

— რა ვერ უპასუხე?

— ვერ ვუპასუხე, გლეხი ყანას რატომ თონის.

— ეგ რა კითხვაა?

— კითხვა შესანიშნავია! მერე გეტ-

კლავდია დევდარიანი
ძველი ფუძე

ყვი, როცა დაწყყნარდები, ახლა არ შემიძლია.

— ეგ მეც არ ვიცი, მაგრამ ხუთიანი კი მივიღე.

— ეს უკვე ბედის საქმეა.

მაკას მთელი ღამე არ უძინია. როგორ მოითმინოს, სანამ მიღებულთა სიები გამოქვეყნდებოდეს? იქნებ მიიღონ კიდევ. ხომ უთხრეს, ეგ იმაზეა დამოკიდებული, რამდენი ხუთოსანი იქნებაო.

მიღებულთა სიები გამოაქვეყნეს, მაკას გვარი სიაში არ ეწერა. ვახტანგი მკვდარივით იყო, ჩარიცხვა აღარ ახარებდა. მაკასთან ერთად სოფელში უნდოდა დაბრუნება. მაკა თითქოს დარწმუნებული იყო, რომ არ მიიღებდნენ, მაგრამ სადღაც გულში იმედის ნაპერწკალი მაინც ბუჭტავდა და დღეს კი, როცა გადაწყვეტილად გაიგო, არ მიიღესო, ცრემლი ვერ შეიმავრა.

— რა ვუყოთ მერე, შვილო, თურმე სამჯერ, ოთხჯერ გადის ხალხი გამოცდაზე, — ანუგეშებდა შვილს მამიდის მიერ ამ შემთხვევის გამო სოფლიდან გამოძახებული შალვა. მაკაზე არაერთარი ნუგეში აღარ მოქმედებდა. ვახტანგი გვერდიდან არ სცილდებოდა, დედას ყოველდღე დარჩენას თხოვდა და სოფელში წასვლას აჭიანურებდა. პუბლიას, თუმცა თბილისში გატარებული ყველა საათი სიცოცხლედ უღირდა, ახლა ეჩქარებოდა სოფელში დაბრუნება, უნდოდა თავისი სიხარული ყველასათვის გაეზიარებინა.

მაკა ბალიშებში ჩამხოზილი იწვა და ტირიდა. ოთახში მგლოვნიარევივით ისხდნენ შალვა, მათიკო, გიორგი და ვახტანგი.

— კარგი, შვილო, მოიბრუნე გული, შინ წავიდეთ, იმეცადინე, გაისად კიდევ ჩამოგიყვან, — ეუბნებოდა შალვა და თავზე ხელს უსვამდა.

— ჩვენთან დატოვე, შალვა, აქ კარგ მასწავლებლებს მივაბარებ.

— კარგი, შვილო, ნუ ტირი, დარჩი მამიდაშენთან, გინდა?

— ნუ ტირი, მაკა, გტოვებს, ^{მამა} გტოვებს, — გაუხარდა ვახტანგს, ^{მამა} მაკა ადგა, სახეზე ხელები გადაიხსნა, თმა გაისწორა.

— არა, მამა, შინ უნდა წამოვიდე, — მაკას კილო შეუვალი იყო და სიტყვა არავის შეუბრუნებია.

მატარებელში სოფლისაკენ მიმავალი მაკა ვახტანგს ეუბნებოდა:

— არა, ასეთი ცოდნით ინსტიტუტში აღარ მოვალ, ვიმეცადინებ, კოლმეურნეობაშიც ვიმუშავებ.

პუბლია შალვას გულშემატკივრის კილოთი ეუბნებოდა:

— იმას შეუწუხდა გული, ვინც შენს მაკას გული ატკინა, შენ აგრე გულშეწუხებული დაგაბრუნე შინ.

— მეშინია, ბავშვი არ დამეჩაგროს, მუდამ კარგი მოსწავლე იყო, თორემ წელს მიიღებენ თუ მერმის, მაგას არა აქვს დიდი მნიშვნელობა.

სოფელს სწრაფად მოედო ახალი ამბავი. ვახტანგი მიიღეს, მაკამ კი ფიზიკაში ოთხიანი მიიღოო.

— აბა, რავა ეგონა, მამამისის ხათრით აქ რომ ყველა მასწავლებელი ხუთიანებს უწერდა, ა ბურთი და მოედანი, ვინ მიიღო ხუთიანი, იმან თუ ჩემმა ბიჭმა? — პუბლია და ვარიჩკა კაკლის ჩრდილში ნოხზე წამოწოლილიყვნენ და ყურძენს შექექტეოდნენ. პუბლია მესხედ მაინც უყვებოდა ვარიჩკას გამოცდების ამბავს.

— რა ვიცი, აქ კი გადაგვჭამეს ყურები, მაკა, მაკაო, თითქოს მაგისთანა სხვა აღარავინ იყო.

— ეს რომ ბიჭმა გამიგონოს, მომკლავს! ვენაცვალე იმ გამოცდელს, ის კულები რომ შეაჭრა მამა-შვილს.

— ახლა იძახის, კოლმეურნეობაში ვიმუშავებ, ვისწავლი და მერე წავალო.

— კარგი უფიქრია, ჩემი ბიჭი მამინ მესამე კურსზე იქნება.

სადამოს კოლმეურნეობის ზვრებიდან დაბრუნებულ ესმას სამზადში ცეცხლი დაენტო, ცომს ზელდა.



— ბიჭო, ამირან, წადი ერთი, ფოთო-
ლი ამომიტანე მჭადისათვის.

ამირანმა ლაფაროში ძაღლთან თამაშს
თავი მიანება, ეზოში გავიდა. ძაღლი გა-
მოუდგა, ფეხებში ებლანდებოდა.

— რა ქენი, ბიჭო, ამდენხანს! — გა-
მოსძახა ესმამ. ამირანმა ტალავერს
ფოთლები შეაცალა, სამზადისაკენ გაიქ-
ცა. ესმას ხელში ცომი ეჭირა. ამირანი
საკეცს დაწვდა, კეცი გადმოიღო, დე-
დას წინ დაუდგა. ირგვლივ ცხელი
მჭადისა და მინდვრის მხლის სუნნი
იდგა. გარედან ხმა შემოიჭირა:

— ამირან, ამირან!

ძაღლი გაიქცა, ყორეზე შეხტა, მო-
სულს შეუტია.

— რომელი ხარ? — გაეგება ამირანი.

— მაკა ვარ, დედაშენის ნახვა მინდა,
შინ არის? — ამირანი ერთის ფეხის
დაკვირით ყორესთან გაჩნდა.

— მობრძანდი, მაკა, მობრძანდი! —

მაკა ალაგეზე გადმოსტა.

— დედა სად არის?

— მჭადს აცხობს. მომცილდი, ძაღ-
ლო, — შეუტია ძაღლს და ფეხი წაპ-
კრა. ძაღლი წკმუტუნით წავიდა სამზა-
დისაკენ. ამირანი ისე შეგვარდა სამზა-
დში, რომ შეშინებულმა ესმამ დაფეთე-
ბულ ბიჭს შეუტია:

— რა დაგემართა, ბიჭო?!

— მაკა მოდის, დედა!

— შერე რა მოხდა? — დედა დააკვირ-
და აფორიაქებულ შვილს, წინსაფარზე
ხელეები შეიხოცა, თავსაფარი შეისწორა
და მაკასკენ წავიდა: — მოდი, შვილო,
ოთახში ამოდი!

— აგერ დავსხდეთ, დეიდა ესმა! —
ესმა და მაკა ლაფაროში დასხდნენ.

— ამირან, მჭადებს მიხედე, არ დაი-
წვას.

— დეიდა ესმა, თქვენთან სათხოვარი
მაქვს.

— მითხარი, შვილო.

— თქვენს ბრიგადაში მინდა მუშაო-
ბა! — ამირანს კარში თავი გამოეყო
და სტუმარს უსმენდა. ეს რომ გაიგო-
ნა, სიხარულმა აიტანა.

— კარგად გიფიქრია, შვილო, უქმად

ჯდომა რაში გამოგადგება, გამოცდება-
მდე მთელი წელიწადია.

— გამოცდებზე წასვლას აღარ ვამე-
რებ.

— ეგ კი არ მომწონს. უბრალო რა-
მემ თუ ასე შევაშინა, არ გამოდგება.

— არა, დეიდა ესმა, განა სამუდამოდ
ვანებებ თავს, მინდა ორი წელი ვიმუ-
შაო.

— კარგი აზრია, — დაუდასტურა ეს-
მამ.

— ხვალიდან მინდა მუშაობის და-
წყება.

— შენი ნებაა, მუშაობაზე ვინ გეტყ-
ვის უარს,

— მაშ, ახლა წავალ.

— მოიცა, ვივახშმოთ.

— მამა მელოდება.

— აგერ გავგზავნი ამირანს.

ამირანი ისე გადაეგლო ყორეს, ზედ
ფეხი არ დაუკარებია.

გვიანი იყო, როცა ამირანმა მაკა
სახლამდე მიაცილა.

— ხვალ დილით გამოგივლი, სამუ-
შაოდ ერთად წავიდეთ.

— კარგი, ჩემო ამირან, მზად დაგზე-
დები.

შინ დაბრუნებულმა ამირანმა ეზოში
კარგახანს იბორიალა. აივნიდან დედამ
გადმოსძახა:

— ამოდი, ბიჭო, დაწეი, დილით
ველარ ადგები.

— არ მეძინება, დედა.

— რას ამბობ, შუალამეა უკვე.

ამირანმა დედას ხათრი ველარ გაუ-
ტეხა. აივანზე უმცროს ძმებს ტკბილად
ეძინათ. ამირანი ბიჭებს მიუწვია, ერთს
საბანი გადახადა, მეორეს ყურში რა-
ღაც ჩასძახა, მესამეს ფეხში წვდა და
შენაჯღრია.

— რა დაგემართა, ბიჭო, მოისვენე
ახლა, — დიმილით უთხრა დედამ.

აივანი მთვარის შუქს გაენათებია.
ამირანი გულაღმა იწვია, ხელეები თავ-
ქვეშ ამოეღო, სახლის წინ ჩამწკრივე-
ბული ალვის ხეების წვეროებს შესც-

კლავდია დევდარიანი
ძველი ფუძე

ქეროდა და ხვალინდელ დღეზე ფიქრობდა. ესმა ჩუმიად ადევნებდა თვალს აფორიაქებულ შვილს — რა მოსვლია მის ბიჭს?

ამირანს მაკა ამდგარი დახვდა. დაუძახა თუ არა, მაკამ კიბეზე ჩამოიზრინა. ჭრელი ჩითის კაბა ეცვო, ტანზე კოხტად მორგებული. ხელში ჭილის ქუდი ეჭირა, მზის ამოსვლას ჰგავდა მისი ნათელი სახე.

— კალათა წამოიღე, მაკა!

— აგერ მოგიტან, შვილო! — უთხრა ბებიამ და პალატიდან კალათა გამოუტანა.

ქალებს კანტორის ეზოში მოეყარათ თავი. თავმჯდომარე ბრიგადირებს სამუშაოს უნაწილებდა. მეურნეები და გოდრის მზიდავეები თავთავიანთ ბრიგადებთან ტრიალებდნენ. მაკას ყველა მხიარულად შეხვდა.

— ყოჩაღ, მაკა!

— ხედავ, ესმას ვინ მოუყვანია!

— ახლა ბიჭებს უყურე, რაგა ბუზე-ბივით დაეხვევიან ესმას ბრიგადას, — ჩაურთო სიტყვა ვარიჩკამ.

თავმჯდომარესაც გაეხარდა მაკას მისვლა.

— მაკა, რომელ ბრიგადაში გინდა მუშაობა?

— ესმასთან ვაპირებ, ძია ლევან!

— კარგი, შვილო, როგორც გინდა. აბა, ახლა ხომ იცი, საშური საქმეა! ესმა, ჭირიმე, ოქრომჭედლისელში გაუძეხი შენ ბრიგადას, გოდრის მზიდავებად შენი ბიჭის ბრიგადას გაგაყოლებ, მეურმეებსაც კარგს შეგიჩრევე.

— თუ ვინმე კარგია, — ესმას ბრიგადას! სასძლოც იქ ტრიალებს და აბა რას იზამს! — აბუზღუნდა ვარიჩკა.

გახურდა მუშაობა. დამკრახული რქაწითლითა და კრახუნის მტევნებით ივსებოდა გოდრები. ბიჭები ძლივს აუდიოდნენ ავსებული გოდრების ზიდვას. კრეფა კარგახნის დაწყებული იყო, როცა მაკია მოვიდა.

— სად იყავი, გოგო, ამდენ ხანს? გიტარა რომ მოგიტანია, სასიმღეროდ გვცალია?

— შესვენებაზე დავუტარე, რა იყო!

— ჯერ არ მოსულხარ და შესვენებაზე ლაპარაკობ?

— მაკა, შენ აქ რა გინდა? — და მაკიამ.

— რატომ რა მინდა, ვმუშაობ. თუ გინდა, შეჯიბრში გამოგიწვივ.

— მაგასთან შეჯიბრი არ გაგიჭირდება, — დაიბუბუნა ამირანმა.

— ერთი ამას დამიხედე! — გაცხარდა მაკია. გულში ეკალივით მოხვდა, რომ მაკამ მუშაობა დაიწყო, ამირანის გაბადრული სახეც არ მოეწონა. გიტარა ჩრდილში მიაგდო, თავზე ჭილის ქუდი დაიხურა და ამირანს შეუტია: — აბა, ერთი კალათა მომეცო, მერე ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს!

— ყურძნის საკრეფად მოვიდა, კალათის მაგიერ კი გიტარა მოიტანა, — აგდებით სთქვა ამირანმა.

— მიეცი, ბიჭო, კალათა, ნუ მიცხვენ გოგოებს, თორემ ხომ იცი, ქორს ზაუნდა და ხელის აქნევო, — ტკბილად უთხრა ესმამ შვილს.

ივსებოდა გოდრები, ბიჭები მიაბრუნებდნენ სავეს გოდრებს ურმებთან. ავსებული ურმები ჭრიალ-ჭრიალით კანტორისაკენ მიეშურებოდნენ.

სადლისათვის გაემზადნენ მკრეფეები. სულფა თხმელის ძირში გაშალეს, ყარნების პირზე. მიწკრიალებდა სიციხისაგან მიღებული ყარნები. წისქვილის ხმაური ისმოდა, ღარში წყალი ჩხრიალებდა.

— ამირან, შვილო, წადი, ოქროპირს დაუძახე, ცოტა ხნით დააყენოს წისქვილი, არა უჭირს რა.

ოქროპირი ამირანის საყვარელი ადამიანი იყო; ბავშვობაში მშვილდისარს, ხის ხმლებს, კაკანათს უკეთებდა, ხურმის კვერებს აჭმევდა. საათობით იჯდა ხოლმე ამირანი წისქვილში, უსმენდა ოქროპირის დინჯ საუბარს. ამირანი გახარებული გაიქცა წისქვილისაკენ. სიბერეს ოდნავ მხრებში მოეხარა ოქროპირი. თმა და წვერი მოშვებული ჰქონდა. კეხიანი, თხელი ცხვირი და სქელი გაბადრული წარბები მაკაცრ შეხედულებას აძლევდა მოხუცს. ოქროპირი ჯირკზე იჯდა, გოდორს წნავდა.

სოფელი მხოლოდ ოქროპირის ნაქსოვ კალათებს, გიდლებსა და გოდრებს ხმარობდა.

— მობრძანდი, ოქროპირ, მობრძანდი! — შეეგება ესმა სტუმარს.

— გააჩერე, გოგო, ეგ გიტარა, დაგვაცალე ჭამა, — შეუტია ამირანმა მაციას.

— იმღეროს, შვილო, იმღეროს, სიმღერა სიხარულისათვის მოუგონია ადამიანს, რად უშლი? — ოქროპირმა გაუცინა მაციას.

— მე დარდი მამღერებს, ძია ოქროპირ, დარდი!

— დარდს შენთან რა უნდა?

სუფრას შემოუსხდნენ, ხმაამოუღებელიე შეექცეოდნენ საჭმელს.

— ახლა კი იმღერე, ბიძია, ხომ დანაყრდი, დარდიც გაგიტრებოდა, — კვლავ მაციას მიუბრუნდა ოქროპირი. მაციამ სიტყვის დამთავრება აღარ დააცალა, გიტარას ხელი დასტაცა და წამოიწყო სიმღერა. შეშინებული შაშვი მაცყლის ბურქიდან ჭახჭახით აფრინდა.

— როგორ დაიგვიანე, შვილო. ამდენ ხანს კრფდით? — შეეგება ნინო შინ მისულ შვილიშვილს.

— ვითევზავე, ბებო. მამა სად არის?

— ჯერ არ მოსულა.

— მოგეხმარო?

— ვახშამი უკვე დავამზადე.

— მაშ, კაკლის ფოთლებს მოვიტან, ხელად შევწვათ თევზი.

სამზადში დაბრუნებულ მაკას ბებომ მიახარა:

— ვახტანგის წერილი მოვიდა.

— უპ, რა კარგი ხარ, ბებო! — მაკამ წერილი ხელიდან გამოსტაცა. ეზოდან შალვას ხმა მოისმა, ძაღლს ეფერებოდა. მაკამ წერილი ჯიბეში ჩაიდო.

გახურებული კეცები გადმოიღო. თევზი სათითაოდ გაახვია კაკლის ფოთოლში.

— როგორ იმუშავე, შვილო?

— კარგად, მამიკო! — შვილის მხია-

ოულემამ გულიდან დარდი გადაჰყარა შალვას.

— აბა, შენ იცი, შვილო, მუშაობა სირცხვილი არ არის, საქმე ის არის, ყველგან კარგი იყო.

— ყველგან რომ ვერ გამოვდექი, მამიკო? — მაკამ კისერზე ხელები მოხვია მამას. შალვამ თვალეში ჩახედა, გოგონას ნაღველი აღარ ეტყობოდა, მხიარული სახე ჰქონდა და თვალეები უბრწყინავდა.

— ეგ მარცხი იყო, შვილო!

— მარცხი! — გაიცინა მაკამ, — უცოდინარობა იყო, მამა, მაგრამ მეორედ ეს აღარ დამემართება.

სუფრა სწრაფად მიალაგა. მთვარიანი ღამე იყო. ჭურჭელი წყაროზე დარეცხა. მერე მაგიდას მიუჯდა, წერილი გახსნა. ეს პირველი წერილი იყო, ვახტანგისაგან მოწერილი. ვახტანგი პირველი ლექციების ამბავს იწერებოდა. სხვათაშორის სწერდა, ის კუდაბიკა გოგონეში, ჩვენთან რომ აბარებდნენ, სამივენი მიუღიათო. ის, ყველაზე მეტიჩარა რომ იყო, ჩვენი პროფესორის ქალიშვილი ყოფილაო. მე ვერავის ვეკარები, ჩემთვის ყველანი უცხოები არიან, ჩემი სიხარული და ბედნიერება მაშინ იქნებოდა, შენც რომ აქ იყოთ. წარმოგიდგენია, როგორ ვიმეცადინებდითო! — ამთავრებდა წერილს ვახტანგი.

მაკას გულს ნაღველი შემოაწვა. რა იქნებოდა, მასაც გაეზიარებინა ვახტანგთან ერთად ეს სიხარული. ახლა ისიც თბილისში იქნებოდა, ისიც ივლიდა ლექციებზე. ეპ, მარტო მაკა ხომ არ არის ასე, ამირანიც ხომ კარგად სწავლობდა... და კიდევ ვინ იცის, რამდენია ასეთი, — ამოიოხრა, საწოლს მიაშურა. დიდხანს არ დასძინებია. წყნარი ღამე იყო, მთვარე პირდაპირ სახეზე დასცქეროდა. უყურებდა მაკა, აკაციის წვეროებს როგორ სცილდებოდა მთვარე და კაკლის ხის ფოთლებში იმალებოდა. შრიალეზდნენ აივანზე შემოსული ვახის ფოთლები, კრუტუნებდა მაკას ფერხით მოკეცილი ფისო და კვლავ ჭრიჭინებდა ჭრიჭინობელა.

ჭკილკასი, შვიგი ჭკილკასი

მოთხრობა

4

— იცი, სერიოჟა, რა უნდა გთხოვო? — შეაწყვეტინა ამხანაგს საფონოვმა და შეწუხებულმა ნიკაპზე თითი მოისვა, — მათხოვე სამართებელი.

— რომელი სამართებელი?

„ხომ არ დამცინის?“ — გაიფიქრა სერგეიმ და საფონოვს ბრაზიანად შეხედა. საშას ისეთი მშვიდი სახე ჰქონდა, თითქოს ფრჩხილიც არ წამოსტკენიაო.

— შენი სამართებელი! — დააზუსტა საშამ.

— სამართებელი, ჩემო ძმაო, დროა საკუთარი გქონდეს, — უკმაყოფილოდ წაიბურტყუნა სერგეიმ.

— მეცადინეობიდან რომ დავბრუნ-

დებით, უეჭველად შევიძენ, — დაეთანხმა საშა, — აქამდე სულ საპარიკმახეროში დავდიოდი. დავდიოდი, თორემ მეც ყოველდღე წვერს ვიპარსავდი. რამდენიმე თვეა, რაც ლოყაზე პირველი ღინღლი ამომივიდა.

ორთავენი ნაკადულისაკენ დაეშენენ. წყალს კამკამი გაჰქონდა, მაგრამ ისეთი ფერი კი არ ჰქონდა, ბარის ნაკადულებსა და მდინარეებს რომ აქვს, ცისფერი დაჰკრავდა. გეგონებოდა — მთის მწვერვალიდან მომჩქეტარემ ცას სილურჯე გამოსტაცაო.

ბუნებაში სერგეის ყველაზე მეტად წყალი მოსწონდა — მდინარეები, ტბები, ზღვები. თუმცა ზღვა სულ ერთხელ ჰქონდა ნანახი. ამიერკავკასიაში რომ მოდიოდნენ, მატარებელი მთელი დღე მიჰყვებოდა შავი ზღვის სანაპიროს.

ზღვას დახარბებული წვევამდელები

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 9.

ვაგონის კარს არ სცილდებოდნენ. ზღვის ყურებით ვერ ძლებოდნენ, სუფთა ჰაერს მთელი მკერდით ისუნთქავდნენ. ბიჭები მერე კიდევ დიდხანს გრძნობდნენ ტუჩებზე ზღვის შეუღარებელ მომწარომომლაშო გემოს.

გამთენიისას, როცა ეშელონი ხაშურს უახლოვდებოდა, სერგეის ზღვა დაესიზმრა და ისეთ ცუდ ხასიათზე გამოეღვიძა, თითქოს უძვირფასესი და აუნაზღაურებელი რამ დაკარგოდა.

ზღვა მოულოდნელად გამოჩნდა, თითქოს გაიღვავა, სერგეი თავისკენ იხმო, საყვი შეაყვარა და გაქრა. აღარ არის ზღვა. ვინ იცის, სერგეიმ ცხოვრებაში მეტჯერ იქნებ ვერც კი ნახოს მოლივლივე ზღვა.

ეს პატარა ნაკადული კი ზღვისკენ მიჩუხჩუხებდა. როგორ თამაშად და ცეკვა-ცეკვით მიისწრაფის, ქვიდან ქვაზე მიხტუნაობს და თითქოს რაღაცას მხიარულად ტიტინებს გაუგებარ ენაზე.

ირბინე, ნაკადულო, გზა მშვიდობისა. ზღვას მსურვალე სალამი გადაეცი. „რა კარგია ასე წყლის პირას დგომა. ფიქრიც ვიადვილდება, გულზეც გეშვება“.

სერგეი ცოტა უკმაყოფილო იყო. საშას ყველაფერი ვერ უთხრა, რასაც ფიქრობდა. თუმცა არც ის ვარგა, კაცს ჯოხი ერთბაშად გადაამტვრიო თავზე. ლაპარაკს კიდევ მოვესწრები.

— მოდი, მოგეშველები, — უთხრა სერგეიმ, — ჩექმები გაიხადე...

— არ მინდა, — ჯიუტად მოკუმა ტუჩები საშამ, — მე თვითონ მოვახერხებ.

— შენი ნებაა. მე წავალ, კოცონთან დაგელოდები. იქ ამოდი. მგელივით მართო საყმუვლებელი არაფერი გჭირს.

საშამ თავი დაუქნია.

სერგეიმ თავი ბუჩქნარში შერგო. მწარე ტკივილი იგრძნო, ხელი გაიკაწრა. სისხლი გამოიწოვა, შორს გადააფურთხა და თავი ბებია ანტონოვნას სიტყვებით დაიმშვიდა — არაფერია, ქორწილამდე დამავიწყდებო. „ეხ, ბებიაჩემო, რა ტკბილი ლაპარაკი იცოდი? ხანდახან კაცს გრძნეული ეგონებოდი“.

ერთი ამ არამზადა საშას დამიხედე, გამაცურა თავის ჭკუით. ვითომ ასე

ერთბაშად დამშვიდდა. მეც რა ჩიტი ვარ, დამეჯერებინა. ასე რომ აღამიანის დამშვიდება შემეძლოს, სამუზეუმო კაცი ვიქნებოდი. ჩამსვამდნენ შუშის ყუთში და ზედ წარწერას გამიკეთებდნენ: „სანიმუშო კომორგი. ათი წუთი გულითადი საუბარი და მორჩა, — ჯარისკაცი გამოსწორებულია“. მოკლედ, საბავშვო ბაღში ბავშვებს რომ უყვებიან, ისეთი ზღაპარია. უბრალოდ, შერცხვა ბიჭს. აბა რამდენ ხანს იღრიალებდა. ჰოდა, თავი მომაჩვენა, აქაო და ყველაფერი რიგზეაო. ბოლმა გულში ჩაიმარხა. ლეიტენანტიც არ მოქცეულა კაცურად. აღამიანები სათამაშო ჯარისკაცები ხომ არ ჰგონია? ცოტა კი უნდა ერკვეოდეს კაცის ხასიათში. რა მწარედ ატკინა გული საშას. ამაზე აღარაფერი ვთქვი. ცეცხლზე ნავთს ხომ არ დავასხამდი?! ლეიტენანტი თუ სადმე მოვიხელთე, ვეტყვი, რაც ეკადრება.

ვეტყვი კი?

არმიაში რომ არ ყოფილიყვნენ, სერგეი ერთი წუთითაც არ დაფიქრდებოდა. იმ ვაჭბატონს პირდაპირ მიახლიდა, რაც ეკადრებოდა. იცოცხლე, მაგრად შეახურებდა.

აქ კი... ლეიტენანტი გრომოვსა და სერგეი ბრაჟნიკოვს შორის კედლად იმდენი „არ შეიძლება“ და „დაუშვებელია“ დგას, კაცი ვერაფერს გააწყობ. გონება ყოველთვის ეთანხმება, — ასე უნდაო, მაგრამ გული... გული ვერ ურიგდება ამ ამბავს. მაინც რა გამოდის? ამხანაგს ველარ უნდა გამოესარჩლო? გამოდის, რომ ვერ უნდა გაბედო.

ამხანაგს შენ თვითონ ირჩევ. მეთაურს ზემოდან გინიშნავენ. ზემოდან კი, მოგესხნებათ, ყველაფერი უკეთ ჩანს. ასეა, რა გაეწყობა, ყველაფერი თქვენ მოაკვარახტინეთ. მაგაზე ფიქრით თავს არ ავიტყვივებ! — გადაწყვიტა სერგეიმ.

5

ამ გადაწყვეტილებას შესრულება არ ეწერა. ბილიკის გადასახვევთან ლეი-

ემანუილ ფეიგინი
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

ტენანტი გრომოვი გამოჩნდა. ჯარისკაცს უბრძანებ და კლდეს თავით გაანგრევიანებ, მაგრამ ბრძანებით ფიქრს ვერ გადააჩვევ. როცა სერგეი ბრაჟნიკოვმა ლეიტენანტი გრომოვი დაინახა, თავისდაუნებურად გაიფიქრა: „ტყუილად ვუთხარი საშას, საკუთარ თავზე ხარ შეყვარებული-მეთქი. საშამ ცოტა სულმოკლეობა გამოიჩინა. საწყენია, მაგრამ რას იზამ. სიყმაწვილით მოუვიდა. გავადრო და მაჭარი დადულდება. აი, ეს კი მართლაც რომ დიდი ამპარტავანი და კულდაზიკა ვინმეა. რა ცივი და ქედმაღლური სახე აქვს, კაცს გული აგერევა. მე რაღამ გამომაჩერჩეტა, ამ კაცისთვის რომ ვირეოდი. მას ხომ ვეზიზღებით, — მეც და ჩემი ამხანაგებიც. ნაღდად ვეზიზღებით... არაფრად გვაგდებას. მისი ფერხთა მტვერი ვართ და მეტი არაფერი. იქ, ზევით ნეტავ რას ფიქრობენ? განა ასეთ კაცს შეიძლება ძალაუფლება მისცე ხელში?“

სერგეი ლეიტენანტს უფრო ბეჯითად და პირუთენელად რომ დაკვირვებოდა, აზრს ცოტათი მანაც შეიცვლიდა. მაგრამ ახლა ამის თავი სად ჰქონდა. სიძულვილმა შეიპყრო. რა თქმა უნდა, ლეიტენანტის სიფათი აქ არაფერ შუაში იყო. ამ კულდაზიკას ვინც არ უნდა უთხრას, რომაული პროფილი გაქვსო, ან თვითონ რასაც არ უნდა ფიქრობდეს საკუთარ სახეზე, სულ ერთია, მას ძალზე ყმაწვილური სახე ჰქონდა. — არც ბოროტი და არც კეთილი. ისე, კაცმა რომ სთქვას, უფრო კეთილი. სერგეის „მკრეხელური“ აზრები ამ სახემ კი არ გამოიწვია, იგი მოთმინებიდან იმ ნიღაბს გამოჰყავდა, ლეიტენანტი (ხოვრებაში წინასწარდასახული გეგმით რომ იკეთებდა. ამას ზედ საშას გულისტკივილიც დაერთო. თითქოს ცეცხლზე ნავით გადასახეს, ამის პატიებაჲ ასე უცებ არ შეიძლებოდა.

ლეიტენანტმა გუმანითაჲ ვერ იგრძნო ჯარისკაცის განწყობილება. თვალი ოდნავ მოჰუტა და ბრაჟნიკოვის ლარივით გამოყვანილი ტანი ინტერესით შეათვალიერა.

„აი, მესმის ჯარისკაცი!“

გრომოვს ოცეულში მოსვლისთანავე მოხვდა თვალში სერგეი ბრაჟნიკოვი. „ჩინებული ჯარისკაცია, ყოჩაღი, გულმოდგინე და თვინიერი. ბრაჟნიკოვისთანა ბიჭებით მთებს გაასწორებ. ეპ, ყველა რომ ასეთი იყოს! თავი როგორ უჭირავს. თითქოს აკნიდანვე სამხედრო მწყობრში იწრთობოდაო. რაც მთავარია, მოკრძალებულია, იცის თავისი ადგილი და თავისი ფასი. ახლაც განზე გადგა. მიხვდა, რომ ბილივი ვიწროა და გზა ოფიცერს უნდა დაუთმოს, ყოჩაღ!“

— გამარჯობათ! — რიხიანად მიესალმა გრომოვი.

— ჯანმრთელობას გისურვებთ, ამხანაგო ლეიტენანტო!

„რა მკაფიოდ და ვაჟაკურად მეპასუხება“. — მკაფიოვლებით გაივლო გულში გრომოვმა და ჯარისკაცს ხელი გაუწოდა.

— რას იტყვით, მოგწონთ ჩვენი „ომი“?

— დიახ! მომწონს, ამხანაგო ლეიტენანტო.

— კარგად მძახუხობთ, ამხანაგო... მამატივით, ამხანაგო...

— რიგითი ჯარისკაცი ბრაჟნიკოვი, — შეაშველა სერგეიმ.

გენადი გრომოვს ლოყები წამოუწითლდა. „ეშმაკმა დალახვროს! ჩემს მიხსიერებას რა ვუთხრა. მომკალი და ვერც ერთი ჯარისკაცის გვარს ვერ დავიმახსოვრებ“, — გულწრფელად შეწუხდა გენადი.

ბრაჟნიკოვს გაეხარდა, გენადი რომ გაწოლდა: ესე იგი, მთლად ხელიდან წასული არ ყოფილა. მგონი ცოტა ავჭარდი. კინაღამ კაცე შევიზიზღე, — და სერგეიმ უცებ გადაწყვიტა, — რაც იქნება, იქნება, ვესაუბრები გულახდილად. ჩამოვტაკავ თავისი კაი კაცობის ამბავს. რა უნდა მიქნას, ხომ ვერ შემეჭამს.

— ამხანაგო ლეიტენანტო, ნება მომეცით მოამართო.

— ნებას გაძლევთ.

— ნება მომეცით გელაპარაკოთ, ასე ვთქვათ, არაოფიციალურად, როგორც კომკავშირელი კომკავშირელს...



გენადიმ წარბები გაკვირვებით ასწია. ჯარისკაცზე შეხედულება ერთბაშად დაეკარგა. ლეიტენანტს რაში ებიტანგებოდა ჯარისკაცთან „არაოფიციალური“ საუბარი! ჯარისკაცისაგან გრომოვი მხოლოდ ასეთ სიტყვებს ელოდა: „არის, ამხანაგო ლეიტენანტო“. ამან კი ლაილაი წამოუწყყო. მანც რა სალაპარაკო უნდა ჰქონდეს ამ ჭკუის კოლოფს?

— ნებას გაძლევთ, — ოდნავ დაბნეულად სთქვა ლეიტენანტმა, — მაგრამ, ჩემი აზრით, ახლა არც დროა საამისო და არც ადგილი.

— მე კი ვფიქრობ, რომ ასეთი საუბარი ყოველთვის დროულია, თუ, რა თქმა უნდა, დაგვიანებული არ არის. ხდება, რომ გვიანდება ხოლმე.

— შეიძლება, — უხალისოდ დაეთანხმა გრომოვი, — მხოლოდ ნება მიბოძეთ გავიგო, რა თემაზე გსურთ საუბარი.

„ხედავ, საიდან უვლის, — გაიფიქრა სერგეიმ, — აქაო და თავაზიანი ვარო. არა, ძმაო, ამით ვერ გამაცურებ“.

— აღამიანზე, აღამიანის სულზე, ამხანაგო ლეიტენანტო!

— სულზე? — გრომოვმა გაიცინა, თუმცა ზედვე ეტყობოდა, სულაც არ ბრძანდებოდა სიცილის გუნებაზე. „კრავივით მორჩილი და უცოდველი მეგონა, ერთი უყურე, რეები წამოიწყო.“

— ბრძნულად ლაპარაკობთ, ამხანაგო ბრაჟნიკოვ, — განაგრძო გრომოვმა, — მაგრამ თქვენი საუბრის თემა ჩემს სამსახურებრივ მოვალეობაში არ შემოდის.

უკაცრავად, სერგეი ბრაჟნიკოვის გაცურება არც ისე იოლი საქმეა. ის კვლავ სმენაზეა გაჭიმული. ლეიტენანტმა რომ უბრძანოს — „ზურგისკენ“, ამ ბრძანებასაც სიტყვისშეუბრუნებლად შეასრულებს. ეჭვი კი იოტისოდენაც არ ეპარება, რომ სრული უფლება აქვს წამოწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს. სერგეის აზრით, ეს საუბარი ორთავესთვის საჭირო იყო.

— ამხანაგო ლეიტენანტო, თქვენს სამსახურებრივ მოვალეობაზე ლაპარაკს არც ვაპირებ, არც მინდა, და არც მაქვს უფლება. მაგრამ კომკავშირული მოვალეობანი...

— არა, — მკვახედ შეაწყვეტინა ლეიტენანტმა, — არა, — ის რატომღაც მაშინვე მიხვდა, რომ ბრაჟნიკოვი საფრთხეში ილაპარაკებდა. „მგონი მეგობრები არიან. რამდენჯერმე ერთად ვნახე. ეგლა მაკლია, ჯარისკაცმა ჭკუა მასწავლოს. ახლავე ვასწავლი ჭკუას ამ თავგასულ კომორგს. მე მაგას ვუჩვენებ სეირს, თუ ვყოფილვარ ბიჭი“.

ლეიტენანტს ბოღმა მოაწვა. ბრაჟნიკოვის დამცირების მძლავრმა სურვილმა შეიპყრო.

„დახს, ისე უნდა დავამცირო, რომ ამ გამეტიჩრებულ ჯარისკაცს თავის დღეში არ დაავიწყდეს, ვისთან აქვს საქმე“.

6

ლეიტენანტმა გრომოვმა თავისი რისხვა მანც ვერ დაატეხა რიგით ჯარისკაც ბრაჟნიკოვს. იგი რალაცა ძალამ შეაჩერა. ამ ძალის სათავე ბრაჟნიკოვში იყო. ეს ძალა ჯარისკაცის დანაკეთული, ოდნავ უხეში, მაგრამ მშვიდი სახიდან გამოსჭვიოდა. მისი მშვიდი თვალები და გაჟაკცური იერი უბრალოდ არაფერს გაგაბედინებდა.

ამ ძალას უნებურად უნდა გაუწიო ანგარიში.

ერთბაშად გრომოვს რალაც აზრი აეკვიატა: „თავი ქვეყნის პატრონიეიო უჭირავს, ეშმაკმა წაიღოს! იქნებ ჰგონია, რომ მე ვარ ხელქვეითი და მე უნდა დავემორჩილო. ამას კიდევ ვნახავთ, ვინ ვის ემორჩილება. ყვირილით არ ვუყვირებ. არც ვუბრძანებ. მაგას სხვანაირად გავაძრობ ტყავს“.

— ცდებით, ამხანაგო ბრაჟნიკოვ! — იმავე კილოზე, ნაძალადევი თავდაჭერილობით და ხაზგასმული თავაზიანობით სთქვა გრომოვმა, — გარწმუნებთ, ცდებით. ვიცი, რაც უნდა მითხრათ და ამას უშუალო დამოკიდებულება აქვს ჩემს სამსახურებრივ მოვალეობასთან. მე შემიძლია აგიკრძალოთ ეს საუბარი. ამის უფლებაც გამაჩნია. უფრო მეტიც, — მე ვალდებული ვარ აგიკრძალოთ. გასაგე-

ბოა? მაგრამ მინტერესებს... დიახ, მინტერესებს სანამდე შესტობავთ.

ბრაჟნიკოვი დადუმდა.

„რა მატებს ამ კაცთან სალაპარაკო? — მოულოდნელი სევდა შემოაწვა სერგეის და დაღლილობა იგრძნო, — ტყუილად შევები ამ საქმეს. რაში მეკითხება სხვისი ჩაოხრებული საქმეები. ყველას გადიობა მე უნდა ვიკისრო!“

— დუმხართ? — დაუფარავი სიხარულით ჰკითხა გრომოვიძა.

— დიახ, ვდუმვარ, ამხანაგო ლეიტენანტო!

— კი მაგრამ, რატომ? მე ხომ ნება მოგეცით. ილაპარაკეთ, რამდენიც გნებავთ. თქვენი ნებაა. ამბობენ, დუმილიც კრიტიკააო. იცოდეთ, ეს კარგს არაფერს დაგაყრით. ცოტა ტვინი გაანძრეთ და ხანდახან წესდებაში ჩაიხედეთ. იქნებ უკვე იცით წესდება?

გრომოვის უკანასკნელ სიტყვებში აშკარა მუქარა გამოსჭვიოდა. სერგეიმ პასუხი ცოტათი დააყოვნა. ეს შიშით არ მოსვლია. არა. ის საკუთარ თავს შეეკითხა: „ვიცი კი წესდება?“ და უპასუხა — „ჯერ კიდევ არ ვიცი“.

ბრაჟნიკოვი წესდებას ყოველდღე ზუსტხავედა. ბევრი პარაგრაფი ზეპირადაც იცოდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჰქონდა გონებაში გადახარშული. ბრაჟნიკოვს არმიელის ბევრი თვისება ჰქონდა, მაგრამ ბევრი რამ ადრინდელიც შემორჩა, მემახტის ამაყი და დამოუკიდებელი კაცის თვისებები.

— წესდებას ვსწავლობ, ამხანაგო ლეიტენანტო!

— მერე რა გამოიტანე აქედან?

— გავიგე, როგორი უნდა იყოს ჯარისკაცი, რას უნდა ესწრაფოდეს. სწორედ ასეა ნათქვამი წესდებაში, ამხანაგო ლეიტენანტო — „უნდა იყოს“, მე ეს სიტყვები ასე გავიგე. ჯარისკაცმა სანიმუშოდ უნდა აღზარდოს თავისი თავი, მაგრამ სხვებმაც ხელი უნდა შეუწყონ მის აღზრდას. და, კიდევ ერთი რამ გავიგე, ამხანაგო ლეიტენანტო, ჯარისკაცის აღზრდა იოლი საქმე არ ყოფილა. თუნდაც საფონოვი ავიღოთ, სწორედ ის...

გრომოვს ამის მოთმენა აღარ შეეძლო

— საფონოვს ავიღებ და... ისე გავწყობავ... რა, თავის დღეში არ დაავიწყდება. ჯარისკაცად მინც გავხდი. აბა, გვონია დიდხანს ველოლიაები და წითელ კვერცხებს ვუგორებ? ვერ მიათვებს! მე საფონოვისგან იმას მოვითხოვ, რასაც ყველა ჯარისკაცისგან. მკაცრადაც მოვითხოვ, წესდების თანახმად. მოვითხოვ და ვუბრძანებ. მორჩა და გათავდა. გასაკება?

— დიახ, გასაკება, ამხანაგო ლეიტენანტო!

— ძალიან კარგი. აბა წყალი ტყუილად არ გვინაყია. რაც შეეხება ადამიანის სულს, ამაზე მოცილილ დროს სიამოვნებით წაისაუბრებდა კაცი. მართალია, მე ეს არაფრად მჭირდება, კომკავშირელი ხომ არა ვარ, მეთაური ვარ. ოცეული მამარია, — გრომოვმა საათზე დაიხედა, — ასეა, ამხანაგო ბრაჟნიკოვ.

— ნებას მომცემთ წავიდე, ამხანაგო ლეიტენანტო?

— დიახ, წადით!

ისე ჩანდა, თითქოს ლეიტენანტი გრომოვი თავს საუცხოოდ გრძნობდა. რატომაც არა, ჯარისკაცს თავისი ადგილი მიუჩინა, ესე იგი გაიმარჯვა! ნებისყოფა და გამჭირახობა გამოიჩინა. მაგრამ რატომღაც ამ გამარჯვებამ ტემპარიტი სიხარული ვერ მიანიჭა. რაღაც უწმინდური ნალექი სულში მინც დარჩა. იქნებ გულმა უგრძნო, რომ აჩქარებულად, უხეშად და უტკუოდ შეწყვიტა ახლად დაწყებულ დამოუკიდებელ ცხოვრებაში პირველივე უმნიშვნელოვანესი საუბარი.

სერგეი ბრაჟნიკოვს მეთაურისკენ ერთხელაც არ მიუხედაია. იგი ციკაბო ბილიკზე მიაბიჯებდა. თავს დამარცხებულად სულაც არ გრძნობდა. გულსაც არაფერი უშფოთებდა. პირიქით, ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი ნათელი გახდა.

— აი, თურმე რა ვაჟბატონი ბრძანებულხართ, ამხანაგო ლეიტენანტო. ამხანაგო... ლეიტენანტო... არა, ლეიტენანტი რომ ბრძანდებით, წყალი არ გაუფა.

ამას სამსრებედიან მოელვარე ვარსკვლავებიც გვეუბნება. აი, ამხანაგი კი... ეს ცოტა სხვანაირი სიტყვაა. მას ვარსკვლავებივით ვერ მიიწებებ, ვერა, ვერ მიიწებებ.

უცხად ბრაჟნიკოსს გულში რაღაც თბილმა გრძნობამ გაუარა. ეს სითბო უადგილო და ზედმეტი ეჩვენა. უნდოდა გულიდან ამოეგდო, მაგრამ ვერაფერს გახდა.

„ოხ, შენი... ვნახე რა შესაბრალებელი ვინმე“.

დიახ, ეს სიბრაღული იყო.

ამხანაგო, — ამ უბრალო და ჰაერი-

ვით აუცილებელ სიტყვას იოლად ვერ წაართმევ იმ ადამიანს, ვისთანაც მწყობრში მხარდამხარ მიაბიჯებ. თუ ადამიანს ამ უმაღლეს წოდებას წაართმევ, ეულად დატოვებ, რაც ხშირად სიკვდილზე უარესია ხოლმე. მიცვალებულის სსოვნას ნათესავეები და ახლობლები, მეგობრები და თანამებრძოლები ინახავენ. მარტოხელებს კი სიცოცხლეს იგივე მტკერი ეღებათ და დავიწყების მსხვერპლი ხდებიან.

რა მნიშვნელობა აქვს, ხალხმა გაერიცა თუ შენ გაეჭეცი მათ? სულ ერთია, შენს არსებობას უკვე ფასი ეკარგება.

თავი მესამე

1.

საუზმის შემდეგ ჯარისკაცები უმაღლესი მოყარა ოცმეთაურის მოადგილის რიხიანმა ხმამ.

„იერიში“ გრძელდებოდა.

— ესაა ცხოვრება? — მოიბუზა კატანჩიკი, — დასვენებას ვინ ჩივის, გათბობაც ვერ მოვასწარი.

სერგეიმ ჯერ კიდევ საუზმზე შეამჩნია, რომ კატანჩიკი უქეიფოდ იყო. საჭმელს უხალისოდ წიწკნიდა, თუმცა, საერთოდ, გვარიანი ჭამა იცოდა. თითქოს ენა ჩაუფარდაო, ჩვეულებისამებრ აღარ ოხუნჯობდა. გაწუწულ ბელურას დამსგავსა, გაიფხორა, თავი მხრებში ჩარგო და ჩაჩუმდა.

სერგეი კატანჩიკის მხარდამხარ მიაბიჯებდა და მისი მძიმე სუნთქვა კარგად ესმოდა. ვასია დროდადრო ქოშინებდა. ერთი ორჯერ ტუჩიც ჩაიკენიტა.

— ავად ხომ არა ხარ? — შეეკითხა სერგეი. — უთხარი სერჟანტს და გავანთავისუფლებს.

— საიდან მოგელანდა?! — ქვა ააგდო და თავი შეუშვირა კატანჩიკმა, — ჩემს დღეში ფრჩხილი არ წამომტკენია.

— გული რატომ მოგდის, ავად ვინ არ გამხდარა.

— რას გადამეკიდე? კარგად გიცნობთ, რა შვილებიც ბრძანდებით. სანი-

ტარულ ნაწილში რომ წავიდე, სიცოცხლეს გამიმწარებთ, მასხრად ამიგდებთ. იცოდე, მოგვედები და თქვენს ყბაში არ ჩავევარდები.

— რას მიედ-მოედები! — აღშფოთდა სერგეი.

— შეიძლება ვამლაშებ. მზრუნველობისათვის მაინც დიდი მადლობელი ვარ. შენ ნუ გეშინია, ძალი კოჭლობით არ მოკვდება. ვერ გაეთბი, ეს უბატრონო. ეგ არის და ეგ.

— სიცვიც მეტი თუ არაფერი გაწუნებს, მაგისი ნუ გედარდება. სულ მალე ისეთ ცეცხლს შეგვინთებენ, გათბები კი არა, მეტიც დაგემართება. — გაიცინა სერგეიმ.

კომორგის წინასწარმეტყველება უცრად ახდა. ოცეული პოლკთან ერთად არც კი იყო ასული მოშიშვლებულ გორაკზე, რომ ბრძანება გაისმა: „გამაგრდით, გადადით თავდაცვაზე!“.

„მოწინააღმდეგის“ შესახებ საშიში ცნობები მოდიოდა, „მტერი“ სულ მოკლე დროში კარგად მოლონიერებულა და ახლა თვითონ აპირებდა საპასუხო შეტევაზე გადმოსვლას. „მტერი“ იმ მწვერვალების დაბრუნებას აპირებდა, საიდანაც წუხელ კუდიით ქვა ასროლი-

ემანუილ ფეიგინი
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

ნეს. ამას რა მიხვედრა უნდოდა, რომ იერიში დაუნდობელი და მძაფრი იქნებოდა.

„გამავრდით, ბიჭებო!“ — გაიფიქრა სერგეიმ.

ახლა თუ რამე გიხსნის, ისევ მიწა გიხსნის. რაც შეიძლება ღრმად უნდა გაპტრა საფარი. მაშინ ვერც არტილერიის ბათქა-ბუთქი დაგაკლებს რამეს და ვერც საპაერო თავდამსხმელები.

დაიწყეთ სანგრების თხრა, ეს უკვე მეორედ ამ ორი დღე-ღამის განმავლობაში. ჯარისკაცებმა ცხვირები ჩამოუშვეს. აი, ესაა ქვეითი არმიის უბედურება. ბიჭებს ჯერ კიდევ უხურდათ გადახეხილი ხელისგულები. აბა, ახლა თუ ბიჭი ხარ, ისევ მოკიდე წერაქვს ხელი და ურტყი ამ დაწყვეტილ მიწას. მიწას ხომ ნულარ იკითხავ, ჭირმა გადააშენოს, ქვა და კლდეა. აბა, ერთი სინჯე, როგორი გასაჭრელია სანგარი?! თავბედს დაიწყველი. მაგრამ თუკი საჭიროა, მეტი რა გზა გაქვს. აბა, დავცხობთ ბიჭებო! დასაკლავ ხარს რაღა ყურება უნდა. ერთიც ენახოთ და „მოწინააღმდეგე“ თავზე დაგვატყვდა, მაშინ გვიანდა იქნება თითზე კბენანი.

სერგეიმ გაოცებისაგან თვალები ჭყიტა. უკვე მერამდენედ გახდა ვასია კატანჩიკის საოცარი ფერისცვალების მოწამე. წედან წვიმაში გალუმბულ, აბუხულ ბედურას ჰგავდა. ახლან კი, ერთი ამ ვაჰბატონს დამიხედეთ, სამუშაოს ქორივით დასტრიალებს. წელში გაიმართა და კლდეს ისე დაემგერა, თითქოს მისი მოსისხლე მტერი ყოფილიყოს.

„უცნაური ბიჭია, — გაიფიქრა სერგეიმ, — გულთმისანი უნდა იყო, კატანჩიკის გულში რომ ჩაიხედო. ეშმაკიც ვერ გაიგებს მაგის ასავალ-დასავალს.“

რამდენიმე საათის შემდეგ ოცეული ბლინდაჟის შენებას შეუდგა. უეცრად კატანჩიკი მიკეშინის წყვილის ცალი გახდა. იფიქრებდით, ჩიტვიით მსუბუქი კატანჩიკი მიკეშინის ტოლს როგორ დაუღებდო. მაგრამ ჯერ თურმე სადა ხარ, კატანჩიკი ცეცხლივით დატრიალდა და შენს მხარბეჟიან მიკეშინს თითი

მოაკაკცინა. მიკეშინი რაღაც უხალისოდ მუშობდა. სანგრების თხრა უსარგებლო საქმედ მიაჩნდა და ამაზე ძალ-ღონის დახარჯვა დიდად არ ეპრიანებოდა. მდევით ვაკვაცს სახე ჩამოსტიროდა, რაც, იცოცხლე, კატანჩიკს გულზე მალამოსავით ედებოდა. ვასია მიკეშინს დამცინავად უყურებდა და თან ღიმილს მალავდა. ახლა კატანჩიკი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, ისეთი რა ეთქვა, რომ ანდრეის კუჭი ასწვოდა.

ეს ყველამ შეამჩნია, მარტო მიკეშინი არ იყო ბაიბურში. მას ახლა ხუმრობისთვის არ სცხელოდა.

— ტყუილად ვიკლავთ თავს, აქ ვერაფერს გავხედებით, — წაიბურტყუნა გულმოსულმა მიკეშინმა, — გინდა ეს კლდე გითხრია და გინდა ცხრილით წყალი მოგიტანია.

— თქვენ ასე ფიქრობთ, ანდრეი მატვეივიჩი? — ჰკითხა კატანჩიკმა.

მიკეშინს ტურები ზიზღით შეუთამაშდა. საერთოდ სიტყვაძუნწი კაცი იყო. კატანჩიკთან ლაპარაკი მით უმეტეს არაფრად ებიტნავებოდა, თანაც მიწაზე! ნეტა მიწის რა გაეგება ამ ენატარტალასა და შარახვეტისას... მიწის ამბავი მიკეშინს ჰკითხეთ. ვინ მოთვლის, ტრაქტორით რამდენი ჰექტარი მიწა მოუხნავს. მიკეშინს მიწა რაღაც საოცარი, მშობლიური გრძნობით უყვარდა. არც მიწა რჩებოდა ვალში: სიყვარულზე სიყვარულით პასუხობდა. მიწა აძლედა ყველაფერს, — პურს, ღვინოს... მიწამ ანდრეის ნაყოფიერი მკერდი გულუხვად გაუხსნა, — იცხოვრე, მიკეშინ, ისარე და იბედნიერე, ღმერთმა ოჯახში პური და ღვინო არ გამოგილიოსო. აქ კი... ეს მიწა კი არა, ცარიელი ქვა და ღორღია. ანდრეი მიწის მუშა იყო, ხვნათესვის მადლი იყოდა. ამ მოტიტვლებულ კლდეებს რომ უყურებდა, თითქოს შეურაცხყოფას გრძნობდა, შრომა წყალში გადაყრილად მიაჩნდა.

იქ კი სტიპებში, სულ სხვა საქმეა: დათესავ და იცი, მარცვლი ზღვად გასკდება. ისეთი მოსავალი მოვა, მტერს თვალს დაუყენებს. აბა, ამ შიშველ კლდეზე ფისვი რამ უნდა მოიკიდოს,

რამ უნდა იხაროს?! მინც რა დაღუპული ადგილია, არც ღმერთს არგია და არც კაცს.

უკმაყოფილო და შუბლშეჭმუხვნილი ანდრეი ხელში მოკლეტარიან ბარს ატრიალებდა. ეს რაღა უბედურებაა, ბავშვის სათამაშოს არა ჰგავს?! მიკეშინი კი არმაში სათამაშოდ როდი ჩამოვიდა. მაგრამ ვის გაუმხელ ამას, კატანჩიკს? ანდრეი ფიქრმა გაიტაცა, თავისი სოფელი გაასხენდა:

— აბა, მიწა ჩვენთან უნდა ნახო. ჭყინტი ყველივითაა. ახლა მოსავალს აღარ იკითხავ?!!

— კარგით ერთი, ანდრეი მატვეევიჩი! — განაწყენებული სახე მიიღო კატანჩიკმა, თან ამხანაგებს თვალი ჩაუკრა. — მე კი რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენ ფაქიზი, მხატვრის თვალი გქონდათ. აღმოჩნდა, რომ... ნუთუ არ მოგწონთ მთის დიდებული ბუნება? ვერ დავიჯერებ! სინდისს გეფიცები, არა მჯერა! აბა, ერთი კარგად გაიხედეთ, ანდრეი მატვეევიჩი, ნახეთ რა სილამაზეა, განა კაცის თვალი უკეთეს რამეს ინატრებს?

მიკეშინს თავი არ აუწევია. კატანჩიკი პასუხის ღირსიც არ გახდა.

„სილამაზეა! — დასცინა გულში მიკეშინმა, — შენმა მზემ, სილამაზის ბეგრი გაგებება. სილამაზე ისაა, ცისკიდურამდე რომ გაიჭიმება შენი მოხნული მიწა, შენი დათესილი ხორბალი რომ ოქროსფრად აბიზინდება, შენი ხელით დარგული ვაზის შეყვითლებულ ფოთლებში ყურძენი რომ ქარვასავით იღვარდება. ეს კი...“ — მიკეშინმა გადააფურთხა და ბარი მოისროლა.

— აქ სულ ერთია, მიწა გინდა ფრჩხილებით გიფხოჭნია და გინდა ბარით გიკოდევილია, — წაიბურტყუნა მიკეშინმა.

— აი, თურმე რა ყოფილა! — წამოიძახა კატანჩიკმა, — ახლა უკვე ყველაფერს მიგვფიქვნი. თურმე ეს უბრალო არმიული ბარი გიშლის ხელს შეიგარძნო აქაური სილამაზე. ამას ადვილად ეშველება. სიამოვნებით მომირთმევია თქვენთვის ტექნიკის უკანასკნელი სიახლე

„მე“. გაგიგონიათ ასეთ რამე? უცნაურია. ეს ხომ თანამედროვე ტექნიკის საოცრებაა. სპეციალურად თქვენთვის შექმნეს მეცნიერებმა. „მე“ — მიკეშინის პერსონალური ექსკავატორი! სწორედ ესაა. ნებას მიბოძებთ გადმოგცეთ, პატივცემილო ანდრეი მატვეევიჩი? კატანჩიკმა ანდრეის საზეიმოდ გაუწოდა თავისი წერაქვი. არავის არ გაუცინია.

„ვერ არიან ბიჭები გუნებაზე. — გაიფიქრა სერგეიმ, — მეგვირამბეთა ბრიგადაშიც ბევრჯერ ჩამოუყრიათ ბიჭებს ყურები. როცა არაქათი გამოცვლებოდათ, გაღიმების თავიც აღარ ჰქონდათ. ამ დროს სხვა რაღაცაა საჭირო. მიკეშინისაც კარგად მესმის. ბარი მინც არ უნდა გადაეგდო. კიდევ კარგი, ამ ამბავს სერჯანტი ფორისენკო არ შეესწრო, თორემ ატყდებოდა ერთი ვაი-უშველებელი. გამძლეობა არ ჰყოფნის. თითქოს მარტო მას უჭირდეს! მე კი მეადგილება? ამ კლდე-ღრეში მუშაობამ ყველას გვაღინა სიმწრის ოფლი. მაგრამ აქაურობა რომ ლამაზია, ამას წყალი არ გაუვა. ჯარისკაცის ოფლს კი უხვად იწოვს აქაური მიწა. არა უშავს რა, შევეჩვევით, შევეწყობით, შეგვიყვარდება... ეს ხომ ჩვენი მიწაა. ყველაფერი მოგვარდება, ოღონდ ხელები გულზე არ უნდა დავიკრიფოთ“.

— კარგი, გეყოფა! ენას კბილი დააჭირე. კატანჩიკ. ყელში ამოგვივიდა შენი ანგლობა! — უთხრა სერგეიმ, — მაგას სჯობია, ცოტა ჩაჩოჩდე.

— შენ რას უფროსობ? — გაუბედავად შეუღრინა გაწვილებულმა კატანჩიკმა, — შენი მეთაურობაღა მაკლია!

— კი არ ვუფროსობ, ძმურად გეუბნები. მიდი, მიდი, ფეხს ნუ ითრევი! — სერგეიმ კატანჩიკს მსუბუქად გაჰკრა მხარი და მიკეშინს გვერდში ამოუღვია.

— ცოტას ხომ არ შეისვენებ, ანდრეი, პატარას შეგეშველები. მე, ძმაო, ძველი მეშახტე ვარ, ჩემთვის მიწის გაჭრა

ემანუილ ფეიგინი
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

რა ბედენაა. სამი კაცის ნორმას ვასრულებდი.

მიკეშინი ჭარხალივით წამოწითლდა. კომორგის სიტყვა იუკადრისა:

— შენ რა, ვიგინდარა და მუქთახორა ხომ არ გგონივარ. ჩემს მაგივრად ჯერ კაციშვილს არ უმუშავნია. პაი დედასა, რა ცუდად გიცვნივარ, ძმობილო! — ანდრეიმ კომორგს ისე შეხედა, თითქოს თვალებით გაბურღვას უპირებდესო. მერე კატანჩიკს წერაქვი გამოგლიჯა და ომახიანად დასძახა: — აბა განი, ჩამოდექით, ჩამოდექით, ამ კლდეს თქვენც ზედ არ მიგაყოლოთ!

ფოლადმა ჰაერში იელვა და მერე კლდეზე გაიწკრილა. ირგვლივ ოქროსფერი ნაპერწკლები მიმოიფრტვა. ურტყა, მაგრამ რა ურტყა! არც ბიჭები ჩამორჩნენ. ირგვლივ ისეთი ჭახაჭახი ატყდა, შენი მოწონებულნი. დროდადრო ღრჭიალი ისმოდა. ფოლადი ქვას ერკინებოდა. ოცეული კლდეს ღრღნიდა და სანგარში იბუღებდა. კატანჩიკი ერთ ხანს პირდაღებული იდგა და გამგელბულ მიკეშინს მისჩერებოდა. „რამ გააცოფა ეს კაი დედ-მამის შვილი, მე მგონი, საწყენი არაფერი მითქვამს“.

2

სერგეის ვილაცამ დაუძახა. წელი ძლივს წამოსწია. ძვირად დაუჯდა მიკეშინთან შეჯიბრება.

„მინც რამ გადარია, ეს დალოცვილი. მგონი ამ კლდეს გაცამტვერებას უპირებს. კატანჩიკი კი ისე გაილურსა, ვითომც აქ არაფერიაო. მთლად უშკუო არაა, მაგრამ ხანდახან ისეთ რაღაცას წამოროშავს, ბიჭი ხარ და ნუ გაცოფდები. მინც საიდან მოჩამხა „მიკეშინის პერსონალური ექსკავატორი“.

სერგეი იმ თაობას ეკუთვნოდა, ქანჩი და წერაქვი გადმოცემით რომ იციან: დონბასში ისეთი უახლესი მანქანები ნახა, უკეთესს ვერ ინატრებდი. მინც რა ჯურის ექსკავატორები არ შეისწავლა. არმიაშიც როდი იქნება ნაკლები ტექნიკა, მაგრამ მთებში ქვეითებს აბა რას გამოადგება. მე შენ გეტყვი, ექსკავატორს ბეჭზე გაიდებ, ან ზურგზე წა-

მოიკიდებ, აბა, რას ვერჩით მამაბაბურ წერაქვს, — მემომრის ჯადოსნურ კვერთხს! სად უნდა იყო, რომ არ გამჩგადებს, კაი ძმაკაცივით არ მოგეშველოს.

სერგეიმ ოფლი ჩამოიწმინდა და ირგვლივ მიმოიხედა. კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ლეიტენანტი სავრასოვი ეძახდა. ლეიტენანტს შავი სათვალე გაეკეთებინა და თვალები არ მოუჩანდა, მაგრამ სერგეიმ იცოდა: სავრასოვს კეთილი, მხიარული თვალები ჰქონდა, თუმცა მტკიცე ხასიათის კაცი გახლდათ. ტყუილად კი არ იყო მისი ოცეული სანიმუშო კომკავშირული ოცეული მთელს ბოლკში.

— გამარჯობა, ბრაჟნიკოვ! — მიესალმა სავრასოვი სერგეის, — როგორც ბიუროს წევრმა, ერთი მნიშვნელოვანი დავალება უნდა შეასრულო. უფროსებთან უკვე შეთანხმებულია, — მან სერგეის პაკეტი გაუწოდა, — ამას კლუბის უფროსს გადასცემ. შიგ სასწრაფო მასალაა საველე გაზეთისათვის.

სავრასოვმა მარჯვენა ხელის თითები დაიორთქლა.

— ამ დილას იმდენი ვწერე, ხელი დამიბუჟდა, ეს ოხერი. მთელი ჩვენი მეცადინეობის სურათი აღვწერე. გმირი კომკავშირელები საპატიო დაფაზე უნდა გამოვჭიმოთ.

— ჩვენებზე თუ დაწერე რამე? — დაინტერესდა სერგეი.

— აბა რა! მასალები გრომოვმა მომცა. შენზე მთხოვა, განსაკუთრებით მონისენიო.

— ჩემზე?! — გაუკვირდა სერგეის.

— რა, არა გჯერა?

— რატომაც არა მჯერა, მაგრამ პირველ რიგში ლეიტენანტ გრომოვზე უნდა დაიწეროს.

სავრასოვს გაეცინა.

— შემმატკბილებული კი ხართ, გეტყობათ. გუგული რომ მამალს აქებდა, ხომ გაგიგონია, ისეა სწორედ.

სერგეი შეიჭმუნხა: „ნეტა მე ვისი ტიკი-ტომარა ვარ, — გაიფიქრა, — ჩემს ტყავში ვერ დავეტყვი? ვითომ სამართლიანობას ვიცავ!“ — და უცებ ლეიტენანტს ხმამაღლა ჰკითხა:

— მე რომელი ვარ, მამალი თუ გუგული?

— კარგი, კარგი, ახლა ამას კუდს ნუ გამოაბამ. ეგ საკითხი მერე გავარკვიოთ. ახლა კი მოკურცხლე, სასწრაფო საქმეა და დროს ტყუილად ნუ დაგვარავთ. კლუბის მანქანა აქედან შორს არაა. ერთ-ორ კილომეტრს გაივლი, დაბლა ჩახვალ, სოფელს გადაჭრი და მერე მარცხნივ, ხეობისაკენ გადაუხვევ. გაივ?

— გავივ! — სერგეიმ მთლად რიხიანად ვერ უპასუხა. დავალება დიდად როდი ებიტნავა. ამხანაგების მოერიდა. ვაი თუ იფიქრონ, კომორგი სამუშაოს დაუძვარო?! მიდი მერე და აუხსენი.

— აბა, ნუ ზოზინობ, დედაბერივით წელს ნუ ითრევ, შურდულივით გავარდი!

„მეტი არ იქნა ჩემი მტერი, ახლა მე დაოთხილმა ვერ ვირბინო“, — ფიქრობდა გზადაგზა სერგეი.

3

გეგონებოდათ, სოფელიც სამხედრო ყაიდაზე შეუნიღბავთო. თვალში გცემდათ გაუჩორკნავი, რუხი ქვები. ამ ქვებით იყო ნაშენები დაბალი ყორეები, ბოსლები და ფარეხები, მიწაზე გართხმული მძიმე, რუხი სახლები. მხოლოდ ძაღლები ან ბანზე ამოსული კვამლი თუ მიგახვედრებდათ, რომ აქ ადამიანები ცხოვრობენ. ძაღლი ხომ მგელი არაა, უადამიანოდ გაძლოს. ისინი ერთგულად დარაჯობენ სახლებს და პირუტყვს.

ყოველი სახლის წინ ნახავთ მოკლე ფეხებიან, გაბანჯგვლულ ძაღლს. ისინი ჩუმად, გაუნძრევლად დგანან პატარა ჭიშკრებთან და გამველვ-გამომველვს გაფაციკლებით მისჩერებიან. შარაზე თუ მიდიხარ, კარგი და პატროსანი, არაფერს გერჩიან. აბა, თუ ვაჭკაცი ხარ, სინჯე და ჭიშკარს გადააბიჯე! ვაი შენი ბრალი, მამაზეციერი ვეღარ გიშველის. თუ თავი არ მოგძულებია, სჯობია ამაზე არ იფიქრო.

სერგეი მოიბუზა. ტანში გაბურძვლა კიდევ. ძაღლები კი არა, მხეცებია! სჯობია მოერიდო, მაგრამ რომ ვეღარ გააღწია ამ სოფლიდან! მაღლობა ღმერთს,

უკანასკნელი სახლიდა დარჩა. ეს სახლი რალაც სხვებს არა ჰგავს. კედლებიც დიდი ხნის ამოყვანილი არ უნდა იყოს. თანაც გარედან შეუღესიათ. სახურავიც თუნუქისაა, ორმხრივ დაქანებული, მაგრამ ზედ რუხი ქვები მაინც მიუყრიათ. „ალბათ ქარმა რომ არ გადაგლიჯოს“, — გაიფიქრა სერგეიმ.

ჭიშკართან ხუთიოდე წლის ბიჭუნა იდგა. მარცხენა ხელი ვეება ნაგაზისთვის საყელოში წაყელო. საყელურზე ფოლადის კბილანები უღელავდა. „კბილანები ალბათ იმისთვისაა, მგელი ყელში რომ არ წვდეს“, — მიხვდა სერგეი.

უცხო კაცს რომ თვალი მოკრა, ნაგაზი გაიფხორა და ღრენა დაიწყო. ბიჭუნამ ერთი შეუყვრა და ძაღლი მორჩილად ჩაუწვა ფეხებში. ბიჭს თავზე დიდი, ალბათ მამის ნაჩუქარი, დაცვეთილი ქუდი ეხურა.

სერგეი რომ გაუსწორდა, ბიჭი გაიჯგინა, ყელი მოიღერა, თითებგაფარჩხული ხელი ქუდთან მიიტანა და ჯარისკაცს შავი თვალეები შეანათა.

ასეთი ფართო, წყლიანი თვალეები სერგეის ჯერ არ შეხვედრია. ბიჭუნას სახეც საოცრად ლამაზი ჰქონდა, თუმცა ერთთავად მურში იყო მოსვრილი. ბიჭი უცნაურად გამოეპრანჭათ: ერთდროულად ქალაქურადაც ეცვა და სოფლურადაც. ფეხებს შინნაქსოვი წინდები და ლამაზად ასხმული ქალამანი უმშვენებდა; ზუსტად ისეთი, მთიელი მწყემსები რომ ატარებენ, ტანზე კი მეზღვაურის მოკლე შარვალი ეცვა.

სერგეიმაც ხელი მხედრულად ასწია და გაიცინა. „უყურე ერთი ამ წრიპას“.

— თავისუფლად! — უთხრა სერგეიმ, — ერთ დროს მეც შენსავით ქალამნებით დავდიოდი.

— გამარჯობატ, ამხანაკო! — უპასუხა ბიჭმა. ხელი მაინც არ ჩამოუშვა.

— გესმის რუსული? — ჰკითხა სერგეიმ.

— გამარჯობატ, ამხანაკო! — გაიმე-

ემანუილ ფეიგინი

ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

ორა ბიჭმა. ეტყობოდა, ამ ორი სიტყვის გარდა, რუსულის არაფერი გაეგებოდა.

— გასაგებია, — სთქვა სერგეიმ, — გაიზრდები და ისწავლი.

მერე იფიქრა, ბავშვს თავზე ხელს გადავუსვამო, მაგრამ ნაგაზმა ერთი ისეთი დაიღრინა, სერგეის ყველაფრის ხალისი დაეკარგა.

მეტი რა ჩარა იყო. სერგეიმ კეთილ განზრახვაზე ხელი აიღო.

— ქოფაკი თუ გინდა, ეს არის. დიდი გულბოროტი ცხოველი ჩანს, — სთქვა მან.

ბიჭი მგონი მიხვდა, რომ სერგეის მისი ნაგაზი თვალში არ მოუვიდა. ძაღლს თავისი პატარა ხელები უზარმაზარ დინგზე შემოხვია და მკერდზე მიიხუტა, თითქოს ჯარისკაცს აგრძნობინა, — ერთი ნახე, როგორ მიყვარსო.

— კარგი, კარგი, — დაეთანხმა სერგეი, — მეჯერა, რომ კარგი ძაღლია.

სერგეის ხმაზე სახლიდან წამით ახალგაზრდა ქალმა გამოიხედა. ქალსაც, როგორც იმ ბიჭს, მაყვალდით შავი თვალეები ჰქონდა. მან სერგეის გაუღიმა, თეთრი კბილები გამოუჩინა და მიიმალა. ამ დროს ჭიშკარში მალაღმა მოხუცმა გადმოაბიჯა. მოხუცს ტყაპუჭი ეცვა და მწყემსური ბოხობი ქუდი ეხურა.

— სალამი ძვირფას სტუმარს, — სთქვა მოხუცმა და სერგეის ხელი გაუწოდა.

— მე სტუმარი არა ვარ, მამილო, — სთქვა სერგეიმ, — გზად გამოვიარე.

— ეხ, — ამოიხორა მოხუცმა, — ცისას და ქვეყნისას ყველაფერს გასწავლიან, მაგრამ ერთი რამ კი ვერ უსწავლებიათ.

სერგეი მიხვდა, რაღაც შეეშალა, მაგრამ რა, წარმოდგენა არა ჰქონდა.

„ცუდია, აქაური ადათ-წესები რომ არ ვიცი“.

— სასწრაფო საქმეზე მივდივარ, ბრძანებას ვასრულებ, — წელში გასწორდა სერგეი.

— მესმის, მესმის, ბრძანებას ვერ გაემქნევი, — დაუდასტურა მოხუცმა.

— ჰოდა, ძალაუნებურად შევჩერ-

დი, — გაიღიმა სერგეიმ, — კარგი ბიჭი გყავთ.

— კაი მოუვა მაგის ცხვირს, — მილით სთქვა მოხუცმა, — ჩემი შვილი-შვილი გახლავთ. ნამდვილი ჭკუის კოლოფია. სამხედროების სიყვარულში სული ამოსდის. აგერ სამი დღეა, რაც მთებში მეცადინეობა დაიწყო და ჭიშკარს ვეღარ მოგვიგლეჯია. მეომრები მიდი-მოდიან, ტანკებიც მოგრუხუნებენ. ეს კი აქ გამოჭიმულა და ყველას მხედრულად ესალმება. შეგვიკლა პირდაპირ!

— რა ქნას ბიჭმა, ალბათ აინტერესებს, — შეეპასუხა სერგეი, — რა ჰქვია?

— ვატუტინი.

— რაა? — გაოცდა სერგეი, ეგონა ყურმა მომატყუაო.

— ვატუტინი, — გაიმეორა მოხუცმა, — კიევს რომ ანთავისუფლებდნენ, მამამისი ვატუტინთან ერთად იბრძოდა. დიდი გენერალი და კარგი კაცი იყო ვატუტინი. ღმერთმა ქნას, ჩემს შვილი-შვილსაც მისი მადლი მოსცხებოდეს. არც თვითონ მოინდომებს დიდი გენერლის სახელის შერცხვენას. მართალს არ ვამბობ?

— სწორია, მამილო.

— შენ რა გქვია?

— სერგეი.

— ესეც კარგი სახელია, — ზრდილობიანად მოიწონა მოხუცმა.

— ისე, არა უშავს რა, — გაიცინა სერგეიმ, — წყალს ხომ არ დამალევენებთ?

— არა, — მოიღუშა მოხუცი, — წყალს ვერ დაგალევენებ.

სერგეიმ მხრები აიჩეჩა.

— თქვენი ნებაა.

— ჩემი ნება არ არის სწორედ, — შეეპასუხა მოხუცი, — ჩვენთან, საქართველოში, ასეთი წესია, სტუმარს ღვინით უმასპინძლებიან.

— თქვენ განა ქართველი ხართ? — ჰკითხა სერგეიმ.

— სომეხი გახლავართ. მერე რა, მთელი ჩემი სიცოცხლე ქართულ მიწაზე ვცხოვრობ. ქართული წესიც ჩემი წესი და ადათია. სტუმარი ღვთისაა.

შენ მობრძანდი, სერგეი, ერთი ჭიქა ღვინო დამიღიე.

— გმადლობთ, ჩემო ბატონო, მაგრამ ღვინოს ვერ გეახლებით, არ შეიძლება.

— თქვენი წესებისა არაფერი გამეგება, — ხელები გაშალა მოხუცმა, — თქვენს არმიას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ვითომ რა მოხდება ახლა, ერთი ჭიქა მაჭარი რომ დამიღიო, ქვეყანა ხომ არ დაიქცევა. ვაქკაცისათვის ერთი ჭიქა ღვინო რა ბედენაა. ვითომ დიდი ცოდვაა?

— სამსახურის დროს არ შეიძლება, — სთქვა სერგეიმ, — სხვა დროს კი დიდი სიამოვნებით გიახლებით. აი, მექნება თავისუფალი დრო და აუცილებლად გეტუმრებით. დავსხდეთ, ვისაუბროთ, თითო ჭიქა ღვინოც გადავკრათ.

— მოხვალ კი?

— რატომაც არა, აუცილებლად გინახულებთ! — შეპირდა სერგეი.

— კარგი ბატონო, აგერ შენ და აგერ მე. ამ სახლის კარი სტუმრისთვის ყოველთვის ღიაა. მობრძანდით, გვესტუმრეთ, გვიმსახურეთ. შენთვისაც კარგი იქნება, შინაურებს მოშორებული ხარ, არც ჩვენ ვართ გადამთიელები.

მოხუცი პატარა ვატუტინისაკენ დაიხარა და სომხურად რაღაც უთხრა. ბავშვი სახლში შევარდა, რძით სავესტოლჩა და თბილი ლავაში გამოიტანა.

— მიირთვი, ღვინო არაა, მაგრამ წყალს მაინც სჯობია. მეც ცოტას დავმშვიდდები. მე რომ მიყურებ, ჩემს სიცოცხლეში დედის რძის გარდა რძის გემო არ მინახავს, — სიცილით სთქვა მოხუცმა. სერგეის ამ სიცილში საწყენი არაფერი უგრძენია. „რასაკვირველია, მოხუცს ეცილება, ამისთანა დღევივით ბიჭს ერთი ჭიქა ღვინის დაღვევა როგორ აშინებსო, მაგრამ იცინე, რა მენადვლება!“ სერგეიმ სიამოვნებით ჩაკბიჩა გემრიელი ლავაში და ზედ რძე დააყოლა. მერე გულღია მოხუცს მადლობა გადაუხადა და თავის გზას გაუდგა.

კლუბის დიდი მანქანა-ვაგონი მოფარებულში კი არ იდგა, როგორც ეს სერგეის რიოზული მეცადინეობის დროს არის მიღებული, ღია, სრულიად შეუნიღბავ ადგილზე გაეჩერებინათ. ვილაცას მანქანის წინ სახელდახელო თხრილი ამოეჩიქნა. მაშინვე შეატყობდი, თვალის ასახვევად რომ იყო გაკეთებული. ამისთანა სანგარში კატა კულს ვერ მოიქნევდა. „არხინად ცხოვრობენ!“ — გაიფიქრა სერგეიმ და ვაგონის კარზე დააკაკუნა.

— შემოდით!

კლუბის უფროსის მოვალეობას დროებით უფროსი ლეიტენანტი გრიშინი ასრულებდა. მას ასაკეცი საწოლიდან წელიც არ წამოუწვია, ბრატჩიკოვს ისე მოუსმინა.

— შეგიძლიათ გადასცეთ ლეიტენანტს, რომ ყველაფერი შესრულებული იქნება. ახლა ჩამოჯექი და პატარა დაისვენე, ჩაი არ გინდა? თერმოსში წყალი ჯერ კიდევ ცხელია.

— გმადლობთ, მაგრამ...

— შენი ნებაა. შაქარყინული მაინც გასინჯე. აიღე, აიღე, ნუ გერიდება! მე, ჩემო ძმაო, სალდაფონი არ გეგონო. უბრალო კაცი ვარ. თვითონ ვერ ვიტან კულაბოკა ვაჭბატონებს. ვარსკვლავების თვლა მე ცაზე მიყვარს, სამხრებზე კი არა. ჩემთვის გენერალი და ჯარისკაცი ერთია. კაცი კაცი უნდა იყოს. ის კი არა, ზოგ გენერალს ჯარისკაცი მიჩვენია. გაიგე? შენ გგონია, მარტო შენ გეუბნები ამას? თუ ხასიათზე ვარ, ჩემს გულისნადებს ყველას სათითაოდ ჩავუკენჭავ, თუმცა ყველას როდი მოსწონს ჩემი აზრები. მეც ცოდვა ვარ, ჩემო ძმაო. აგერ ორი წელია ხან სად მიკრავენ თავს და ხან სად. აიღე, აიღე შაქარყინული, ნუ გეხათრება, კიდევ ორი კილო მაჭებს.

— გმადლობთ, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, ტკბილეულს მაინცაღამაინც ვერ ვეწეობი.

ემანუილ ფეიგინი
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

სერგეის კლუბის უფროსის ლაპარაკი ჭკუაში არ დაუჯდა. „ეს კაცი მთლად პატიოსანი არ უნდა იყოს. რატომ? რა მოგახსენოთ, ეშმაკმა იცის მაგისი თავი. ამბობს, ჯარისკაცს პატივს ვცემო. ესაა პატივისცემა? ჯარისკაცი სარგადაყლაპულივით ფეხზე დგას, თვითონ კი საწოლზე გაშხლართულა“.

სერგეის უნებურად ლეიტენანტი გრომოვი გაახსენდა.

„ისიც კაი ხეთოთა, მაგრამ ამას მანც არ იკადრებს“.

— რათ, ტკბილეულს არ ვარ შეჩვეული?

— დიახ, ასეა, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო.

— იფ, კარგად კი გაუწვრთნხართ, — გაიცინა გრიშინმა, — პირდაპირ გასაცარია, რა სწრაფად იცვლებით. შეხედავ ბიჭს, ჯერ კიდევ გუშინ ჩვეულებრივი ადამიანი იყო, რაზეც ვინდოდა ესაუბრებოდი, გულს გადაუშლიდი, მოწყენას ვერ იგრძნობდი. გაივლის ერთი-ორი თვე და თვალს აღარ უჩვენებ, — ვაჟკაცი კაცი პატეფონის ფირფიტას ემსგავსება, რომელიც სულ „არის“, „მესმის“, „ნება მიბოძეთ, მოგმართოთ“ და ამის მსგავს სიტყვებს გაიძახის. შენ კი არ გეწყინოს, ამხანაგო ბრაჟნიკოვ, პირადად შენზე არ ვლაპარაკობ, ისე, საერთოდ, ჯარისკაცის ჩვენებურ წვრთნაზე გეუბნები. ღმერთმა ნუ იცის მავათი თავი. რა ჩემი საქმეა. სჯობია ის მოვიფიქრო, თუ რითი გაემასპინძლდე. რაკი ტკბილეულს არ ჭამ, მაშინ რა უფრო გაგეხარდება, პაპიროსი არ მაქვს, არ ვეწევი. არც შენ ეწევი? კარგია.

— მე არაფერი არ მინდა, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო. — სთქვა სერგეიმ, — აი, ახალი გაზეთი თუ გექნებათ, ძალიან გამახარებთ.

— აიღე, აიღე, — გაეხარდა გრიშინს, — თუ ძმა ხარ, სულ წაიღე. მე უკვე გადავთვალე. გუშინდელ „კომსომოლკაში“ ფელეტონი იყო, შენი მოწონებული. არ წავიკითხავს? აუსცილებლად წაიკითხე.

— წავიკითხავ, ამხანაგო უფროსო

ლეიტენანტო, ნებას მომცემთ, წავიღებ?

— რა გეჩქარება, შე კაი კაცო, დაჯექი პატარა ხანს. შენთან საქმე მაქვს. მე, ხომ იცი, კლუბში სპექტაკლი მინდა დავდგა. ჩემს თეატრალურ საქმიანობაზე პოლკში ჯერ წარმოდგენაც არა აქვთ. მე, ჩემო ძმაო, რეჟისორი ვარ. ისე, მოყვარული კი არა, ნამდვილი რეჟისორი ვახლავარ. ამ საქმეში შენ უნდა მომხმარო.

— მე რით შემიძლია დაგეხმაროთ? სცენაზე დეკორაციების გადადგმა თუ დაგჭირდებთ, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი.

— არა, კაცო, დეკორაციებისთვის გაცდენ ამხელა ვაჟკაცს? ამისთანა საქმისთვის როდი მემეტები. პიესა ვიშოვე, მაგრამ რა პიესა! — თანამედროვე, ამაღლელებელი დრამა სამ მოქმედებად. დეკორაციები სრულებით არ სჭირდება. მარტო ოთახის მოწყობილობაა საჭირო. თუმცა პიესას ერთი დიდი ნაკლი აქვს. მოქმედი გმირებიდან ხუთი კაცია და ექვსი ქალი. მოდი და ასეთი პიესა არმიაში დადგი. ქალები საიდან გავაჩინო, ხომ არ დავხატავ?

— რატომ? გარნიზონში ქალები ბევრნი არიან! — გაიღიმა სერგეიმ.

— კარგი ერთი, თუ ძმა ხარ, გარნიზონის ქალები არ გამაგონო, — შეიჭმუნხა გრიშინი, — მე ისეთი ქალი მინდა, ცაში ვარსკვლავებს ეთამაშებოდეს. ყური მივდე, ფეიქართა კლუბში ხომ დადიხარ. იქ ბევრი ლამაზი და ნიჭიერი გოგოა. ერთს დავადგი კიდევ თვალი. გახსოვს? შენ რომ გოგოსთან ცეკვაუდი, იმაზე გეუბნები. ფერიასავით გოგოა. მოიყვანე ჩვენთან დრამწერში. მთავარი როლი უსიტყვოდ მისი იქნება. სერგეი გაწითლდა.

— კულტურის სახლში აღარ დავდივარ.

— რატომ დაიბენი, რა დავემართა?

— ნება მიბოძეთ წავიდე, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო! — მტიცივდ სთქვა ბრაჟნიკოვმა.

გრიშინი განაწყენდა, ზედა ტუჩი მოექცა.

— ჰმ... აი, თურმე როგორი ყოფილ-
ხარ. რახან ასე გინდა, წადი!

სერგეი სწრაფად შებრუნდა. გარეთ
რომ გამოვიდა, თავისუფლად ამოი-

სუნთქა. ლოყები საშინლად უხურდა.
მინც რა უდროო დროს გაახსენა უფ-
როსმა ლეიტენანტმა თითქმის მივიწყ-
ებული ტკივილი.

თავი მეთხუთსი

1

ფეიქრებმა კულტურის სასახლე მთა-
ზე წამოჭიმეს. სწორადაც მოიქცნენ.
ქალაქში ასეთ შენობას მეორეს ვერ
ნახავ. ღია ფერის ტუფით მოპირკეთე-
ბულ კედლებს დღისით სასიამოვნო
ვარდისფერი დაკრავს. საღამოთი კი
სასახლე კაშკაშა ნათურებითაა გაჩი-
რადღნებული. შორიდან რომ შეხედო,
გეგონება, მთის წვერზე გამჭვირვალე
ბროლის კოშკი აუგიათო. სასახლე
მთელს ქალაქს გადაყურებს. ახლო-
მახლო სოფლებიდანაც კარგად მოჩანს.
საზღვრის გადაღმა რომ უკუნეთ სიბნე-
ლში ხალხი ცხოვრობს, ისინიც კარგად
ხედავენ ღამბიონების შუქში ჩაფლულ,
კაკაშკაშებულ სასახლეს.

რა გასაკვირია, თუ აქაური გარნიზო-
ნის ახალგაზრდა მეომრებს გული ამ
სასახლისაკენ მიუწევთ. სინათლე, მუსი-
კა, კონცერტები. დედაქალაქის მსახიო-
ბები კულტურის სასახლის ხშირი
სტუმრები არიან. შეიძლება სპორტულ
დარბაზებში გაერთო, ან მდიდარ ბიზ-
ლიოთეკაში შეხვიდე.

ყველაზე უფრო კი, რა თქმა უნდა,
ჯარისკაცებს სასახლის მშენებელი დია-
სახლისებისკენ მიუწევთ გული. ისინი
საფეიქრო კომპინატის ახალგაზრდა
მრთველები და მქსოველები არიან.
სტუმრის სიძულვილს ვერავის დასწა-
მებ. მეომრებისათვის სასახლის კარი
ყოველთვის ღიაა.

2

როცა სერგეის და სხვა ახალბედა
ჯარისკაცებს პირველად მისცეს გამო-
სასვლელი დღე, „ძველმა“, გამოცდილ-
მა ჯარისკაცებმა ურჩიეს, — კულტუ-
რის სასახლეში წადითო. სასახლე გულ-

ღიად შეხვდა ბრაქნიკოვს. „ეს ქალაქი
ჩვენს მეშახტეთა დაბაზე ბევრად დიდი
არ იქნება და ერთი შეხედვით, რა სა-
სახლე წამოუჭიმავეთ?! — ცოტა არ
იყოს, შეშურდა სერგეის, — ქალიშვი-
ლებიც აქ უფრო ჭარბობენ, ეს იმას
ნიშნავს, რომ სისუფთავეზე და წესრიგ-
ზე ლაპარაკიც ზედმეტია“.

სერგეი თამამი და ხალხში გამოსული
ბიჭი იყო. ყველას ადვილად უშინაურ-
დებოდა. ბევრი პრანჭვა-გრება არ
უყვარდა. ლიდა კაზაროვასაც ასე უბ-
რალოდ გაეცნო, ვითომც აქ არაფერიაო.
ერთხელ ბიჭები საცეკვაო საღამოზე
იყვნენ. ვილაცამ სთქვა:

— სერგეი, შეხედე რა გოგოა, ჯეი-
რანივით არ მოუღერებია ყელი! აი, მა-
გასთან ცეკვა კი ღირს.

— მერე პირი რას დაგიღია, მიდი და
გაიწვიე, — უბასუხა სერგეიმ.

— ცოტა არ იყოს, მეშინია... ძალიან
ღამაზია და უკარება იქნება.

— ნუ გეშინია, ღამაზი ქალიშვილები
არ იკბინებიან, — გაიცინა სერგეიმ და
ლიდასთან თვითონ მივიდა. ისე გამო-
ვიდა, თითქოს ბიჭების ჯიბრზე იმ სა-
ღამოს მხოლოდ ლიდასთან ცეკვავდა.
იქნებ ზოგიერთი გაბრაზდა კიდეც, ეს
სერგეი კაი თავხედი ვილაც ყოფილაო.
მაგრამ ტყუილია. სერგეი სულაც არ
იყო თავხედი, იგი ყველას გულს ადვი-
ლად ინადირებდა.

სერგეისთანა ბიჭებთან ურთიერთობა
რთულიცაა და იოლიც.

რთული რატომ იყო, ეს ლიდამ არ
იცოდა და ვერც ხვდებოდა. თავს რომ
ლაღად გრძნობდა, ეს კი ძალიან უკვირ-
და. „რაშია საქმე?“ სერგეი ხომ სრუ-

ემანუილ ფეიგინი
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

ლიად უცნობი კაცია... მაინც რა უცებ მივინდე ამ ახოვან და კეთილ ჭაბუკს. კეთილს და ჭკვიანს. ასეთი კაცი ყველაფერს გაგივებს.

ენაჭარტალააო, ლიდაზე ვერ იტყოდით. პირიქით, ზოგი მეგობარი გულჩახვეულსაც კი ეძახდა. სერგეის კი, არც დაფიქრებულა, ისე გადაუშალა გული. ყველაფერი თუ არა, უმთავრესი რაც იყო, არ დაუშალავს. რატომ? ამაზე ლიდა ვერავის უპასუხებდა. გულმა უგრძნო, მხოლოდ ამ კაცს შეუძლია სწორი რჩევა მომცეს და ჩემს ცხოვრებაში ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრაში დამეხმაროსო.

ლიდას მამა, დაზგების შემკეთებელი მექანიკოსი, აგერ ოცდაათი წელი კომბინატში მუშაობდა. დედაც, სანამ ჯანმრთელობა უმტყუნებდა, მქსოველი იყო. ლიდა ჯერ თუმცა საფეიქრო ტექნიკუმის მეორე კურსზეა, მაგრამ უკვე იცის რომელ საამქროში იმუშავეს. ლიდას უმცროსი და ნელიც მქსოველი გახდება. სხვანაირად ოჯახში ვერც კი წარმოუდგენიათ. კომბინატი მათ მეორე ოჯახად, მშობლიურ კერად მიაჩნიათ. ლიდას უფროსმა დამ, ჯულიეტამ კი ოჯახურ ტრადიციას უღალატა. სკოლა დაამთავრა თუ არა, თავი ერევანში ამოჰყო. იქ კაზაროვებს ვიღაც შორეული ნათესავეები ჰყავთ. ერთი-ორი წელი ქალიშვილმა უნივერსიტეტში იმუშავა, მერე გათხოვდა. მისი ქმარი დიდი კაცია. რაღაც დიდ დაწესებულებას ხელმძღვანელობს. თავმჯდომარეა თუ დირექტორი, ლიდა ამაში კარგად ვერ გარკვეულა. ყოველ შემთხვევაში, დარბაისელი კაცი რომაა, ეს კარგად იცის.

— პირველად რომ ჩემი სიძე ვნახე, ცოტა შეშინდა კიდეც მისი, — სთქვა ლიდამ, — მაგრამ ჯულიეტას აღმერთებს. ჯულიეტა რომ არ შეგიყვარდეთ, არ შეიძლება. ნამდვილი მზეთუნახავია.

— თქვენზე ლამაზია? — ჰკითხა სერგეიმ.

— რა შედარებაა. ასჯერ, ათასჯერ! — გულმხურვალედ შეიცხადა ლიდამ, — მოსულიყო ამ საღამოზე, თვითონ ნახავდით.

— აქ არის? — დაინტერესდა სერგეი.

— აქ გახლავთ. ჯულიეტა ხშირად ჩამოდის ჩვენთან. ხან ქმართან ერთად, ხან — მარტო. მე შენ გეტყვი და გაუჭირდება, საკუთარი „ვოლგა“ ჰყავთ. როცა მოეპრიანება, ჩაჯდება და ჩამოვრიალდება. ახლა სტუმრად როდი ჩამობრძანდა. დედაჩემს ჩასჩინებებს, ლიდა ერევანში უნდა წავიყვანო, ჩემს დებს ამ მიყრუებულ ქალაქში ვერ ჩავკლავო. დედას და მამას გული მოსდით, მაგრამ ჯულიეტა ისეთი კაპარჩინაა, მასთან იოლად ფონს ვერ გახვალ. ასე სთქვა, ჯერ ლიდას წავიყვან, მერე ნელისაც გზას გაუწყნებო.

— თქვენმა დაიკომ კარგი დარბაისელი საქმრო თუ შეგიჩინათ, — გაიციინა სერგეიმ, — ალბათ ვინმე დირექტორი ან თავმჯდომარე იქნება.

ლიდა შეცბა.

— ასე რატომ მელაპარაკებთ? ჯულიეტას თავს ვურჩენივარ. ჩემი გულისთვის ცეცხლში გადავარდება. იგი მხოლოდ ჩემს ბედნიერებაზე ზრუნავს.

— განა თავის დირექტორთან ბედნიერი არ არის? — ჰკითხა სერგეიმ.

ლიდამ თავი ნაღვლიანად გააქნია.

— არ ვიცი, მგონი ბედნიერი უნდა იყოს.

— მაინც რა გემა აქვს თქვენთვის შემუშავებული?

— ჯულიეტას უნდა თეატრალურ ინსტიტუტში შევიდე. ასე ამბობს...

— თქვენ რას ამბობთ?

— მე ჯერ არაფერს. თუმცა ვგრძნობ, ორ ცეცხლს შუა ვიწვი. თეატრალურზე შესვლა ძალიან მინდა. აქედან წასვლაც მეძინებდა. აქ ყველაფერი ნაცნობი და მშობლიურია. კომბინატის გოგობთან დასავითა ვარ შეზრდილი. რა გაციინებთ? ერთი თქვენ იყოთ ჩემს ადგილზე, მაშინ ნახავდით, რა დღე დაგადგებოდათ.

— ამას დაფიქრება უნდა. ასე, ერთი ხელის მოსმით საკითხის გადაჭრა არ შეიძლება, — სერიოზულად უპასუხა სერგეიმ, — აი, შევხვდებით ხელმეორედ და ჩემს რჩევას მაშინ მოგახსენებთ.

— შევხვდებით კი? გინდათ, რომ შევხვდეთ? — ლიდამ ისე უბრალოდ და გულუბრყვილოდ ჰკითხა, სერგეი უნებურად დაფიქრდა. მართლაც და, მიუწევს თუ არა გული ამ გოგონასაკენ?

„ლიდა მართლაც ლამაზი ქალიშვილია, მისი ცქერა მეტად სასიამოვნოა. კარგი და პატიოსანი, ამას არავინ გიშლის. მაგრამ ქალიშვილს რომ ტყუილუბრალოდ თავბრუ დაახვიო და გული აუტოკო, ეს ვერაფერი ვაქვაცობაა. თუ გოგო გულში არ ჩაგივარდა, თავი უნდა დაანებო, უბედურებაში ფეხი არ უნდა ჩადგა“.

— რთული საკითხია, მოფიქრება უნდა, — გულახდილად აღიარა სერგეიმ, — აი, ესეც მომავალი შეხვედრისას გადაწყვიტოთ.

— ეტყობა, ეს შეხვედრა თავიდან გვწერებია. ვერაფერს გააწყობ, — გაიცინა ლიდამ. გამომშვიდობებისას შეთანხმდნენ, კვირას, ხუთ საათზე გაზეთის კიოსკთან შევხვდეთ ერთმანეთსო.

— ზუსტად ხუთ საათზე, — სთქვა ლიდამ.

— მესმის, ამხანაგო უფროსო!

— თუკი ასეა, რა გაეწყობა, უფროსობაც შემიძლია. მომწონს განკარგულების გაცემა, — სთქვა ლიდამ. ალბათ იხუმრა ქალიშვილმა, მაგრამ როცა პაემანზე არც ხუთ საათზე მოვიდა და არც ექვსზე, ეს უკვე ვერაფერი შვილი ხუმრობა იყო. სერგეი არ გაბრაზებულა. კაცს ერთი კვირის განმავლობაში შეიძლება ბევრი რამ შეემთხვეს. შეიძლება გაცივდა, ავად გახდა. ვინ იცის, იქნებ ჯულიეტამ თავისი გაიტანა და ლიდა ერევნის გზას გაუყენა. რას იზამ, ნახვამდის, მშვენიერო ფერიავ. უფრო სწორად, მშვიდობით, ალბათ ვეღარასოდეს შევხვდებით ერთმანეთს.

„ესეც ასე“, — სთქვა გულში სერგეიმ და კიოსკს მოშორდა.

3

ბრაჟნიკოვს ვიღაც წამოეწია და ხელზე ფრთხილად შეეხო.

— უკაცრავად, სეროჟა...

სერგეი მკვირიცხლად მოტრიალდა. მის წინ ტანია იდგა, ლიდას თანაკურსლო გოგონა. იმ საღამოს, როცა ლიდამ სერგეის მეგობარი ქალიშვილი გააცნო, ბრაჟნიკოვმა გაიფიქრა: „საწყალი გოგო, რა შეუხვდავია. ლიდასთან ხომ სულ საცოდავად გამოიყურება“.

— ლიდამ გამოგზავნათ? — ჰკითხა სერგეიმ.

ქალიშვილი რატომღაც შეცბა და სერგეის თვალი მოარიდა.

— დღეს ლიდა ვერ მოვა.

— ავადა?

— ჰო... არა, ავად კი არა, ძალიან უნდოდა თქვენი ნახვა, მაგრამ...

— ალბათ ძალიან არ უნდოდა, თორემ... — მშვიდად შენიშნა სერგეიმ.

— არა, რას ამბობთ! — გაცხარდა ტანია, — თქვენ ხომ არაფერი იცით. სულ თქვენზე მელაპარაკებოდა: ძალიან მოეწონეთ. პირზე სულ თქვენი სახელი ეკერა. „სეროჟა, სეროჟაო“. ყურები გამომიჭებდა. ისეთი კეთილი გული აქვს ლიდას... ესაა, რომ დამყოლია. ჯულიეტა კი ჯიუტია, ღმერთმა დაგიფაროთ. როგორც კი თქვენი გაცნობის ამბავი გაიგო, ლიდას შავი დღე დააყარა. ჯარისკაცთან ვაგლილი არ დაგინახო, სალდათის საქმე შინამოსამსახურე გოგოებიო.

სერგეი გაფითრდა.

ტანია მიხვდა, გაჟის გულში რა ცეცხლიც ტრიალებდა.

— ნეტავი არ მეთქვა! — შეწუხდა ქალიშვილი, — ლიდამ დამავალა, რაც გინდა მოიფიქრე, ოღონდ სიმართლე არ უთხრაო. მე კი ისეთ დიდ პატივს გცემთ თქვენც და ჩვენს არმიასაც, ტყუილის თქმა ვერაფრით ვერ შევძელი. თუ ღმერთი გწამთ, ასე ნუ განაწყენდებით.

— ეგ საიდანღა დაასკენით, რომ მწყინს?! ფეხებზეც არ მკიდა ყველა ტყლარჭია და კულაბზიკა? ჩემგან გადაეცი, კაი ბრიყვები და ტუტუცები ყოფილხართ-თქო.

— სწორია. ნამდვილად ბრიყვები

ემანუილ ფეიგინი
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

არიან, — დაეთანხმა ტანია, — საშინელი ბრიყვები. თუ საკადრისი პასუხი არ მოვახსენო, გოგო არ ვიყო. მხოლოდ გევედრებით, მე ნუ შემძულვობ.

— თქვენ რა შუაში ხართ?!

სერგეი ტანიას მგონი არც გამომშვიდობებია. ტყუილად ატკინა ქალიშვილს გული. მართლაც და რა შუაში იყო. მაგრამ სერგეი ისე გაბრაზდა, სულ ცოფებსა ჰყრიდა. მას შემდეგ თვე გავიდა. მწარე შეურაცხყოფა კიდევ ვერ მოინელა. ტანიას სიტყვები რომ გაახსენდებოდა, სიბრაზისაგან კბილებს აღრქიალებს.

„მანც საიდან ჩნდებიან ასეთი სა-

ზიზღარი კულაბზიკები. ნებზე სხედან და იმას დარდობენ, კული არ დაგვეხვალს ვარსო. თითქოს გადაშენდნენ, მაგრამ აქა-იქ მაინც ბოგინობენ. ტყუილად კი არ ამბობენ: უწმინდურებს არც თესავენ და არც მკიან, თვითონ იზრდებიანო“.

პირველ ხანებში სერგეი ლიდასთან შეხვედრას შავი ჭირივით ერიდებოდა. ეშინოდა, ხელში არ შემომელანძლოსო. კულტურის სასახლეს სათოფედ არ ეკარებოდა. ახლა უცებ ინანა.

„ტყუილად დავკარგე დრო. რამდენი კარგი ქალიშვილის გაცნობა შეიძლება. ნეტავ ქვეყანა ამ ერთ თავქარიან, ლამაზ გოგოზე ხომ არ დამდგარა!“

თავი მეშვიდე

1

საბარგო მანქანის მუხრუჭებმა ზედ სერგეის ყურთან გაიღო ხრქიალი.

— დაჯექი, მიგიყვან. — ჭორფლიან შოფერს კეთილი თვალეები ჰქონდა. ასე, სერგეის ხნისა იქნებოდა. მანქანა დაიძრა თუ არა, შოფერმა ბრაჟნიკოვს სიგარეტი მიაწოდა.

— მოსწიე, მეგობარო.

— გმადლობთ, არ ვეწივი.

— თავიდან არ ეწეოდი თუ მერე დაანებე?

— დავანებე, — უპასუხა სერგეიმ.

— პრინციპის გულისთვის?

— როგორ გითხრა... შტანგაზე ვარჯიში დავიწყე. მწვრთნელმა მითხრა, ან შტანგა, ან თამბაქო. მე შტანგა ვარჩიე.

— გაგიჭირდა? — დაინტერესდა შოფერი.

— ჰო, ძალიან. ყოველ შემთხვევაში, არც ისე იოლი ყოფილა, როგორც თავიდან მეგონა.

— მე კი, ძმაო, რომ არ მოეწიო, არ შემძლია. პაპიროსი შოფერის მეგობარია. დაადგები გზას ღამით და ქუთუთოები დაგიმძიმდება, ძილი შემოგება. მოწვევ პაპიროსს და ისევ გამოფხიზლდები. არაყს კი სიმართლე გით-

ხრა, სათოფეზე არ ვეკარები. ნამდვილი შხამი თუ გინდა, ეგ არის. ცხონებულ მამაჩემს ზომაზე მეტად უყვარდა გადაკვრა. იმან მოუსწრაფა სიცოცხლე. არაყმა ბევრი კარგი ვაჟკაცი გააფუჭა. შოფერებს ხომ ნულარ იკითხავ. მე რომ მკითხო, ჩვენში სუსტად ებრძვიან ლოთობას. ამბობენ, ახალი მკაცრი კანონი გამოვაო. ნეტა ვიცოდე, რაღას ელოდებიან, ისეთი მკაცრი კანონი უნდა გამოუშვან, რომ ამ ვიგინდარებს ზურგზე ბოლი ადინონ. გაზეთებში რომ წერენ, ლოთებსა და ხულიგნებს კომუნისმში არ შევიყვანთო, სწორია. რა ჯანდაბად გვინდა ლოთები და ნაძირალები? მაგრამ ერთი ეს მითხარი, ამ ხალხს რა უნდა ვუყოთ, წყალში ხომ არ გადავუძახებთ?

სერგეის გაეცინა.

— კოსმოსში გავგზავნით, ძამიკო. მთვარეზე ან მარსზე. კოსმოსური სიცივე ძვალ-რბილში რომ გაუჯდებათ, სამუდამოდ გამოფხიზლდებიან.

— შენ ხუმრობ, — თავი გააქნია შოფერმა, — არ გეწყინოს და დიდი ჭკვიაწური არაფერი გითქვამს. ცას რას ერჩი. შენს ნავაგს რა თავში იხლის!

— მართალი ხარ, — სთქვა სერგეიმ, — ვერსადაც ვერ გავგზავნით. მეტი რა გზა გვაქვს, ჩვენი მკვდარი ჩვენვე უნდა



გადავართიოთ. ლოთებსა და ვივინდარებს დიდ ლაილას კი არ დავუწყებთ, ავღებთ და გამოვასწორებთ. არა ბიჭო, გადავყვებით თან!

— იცოცხლე, კაი ამოცანაა, — დაეთანხმა შოფერი და ისე ამოიხსრა, თითქოს ეს ამოცანა მარტო მისი გადასაწყვეტი ყოფილიყოს, — ნამდვილად კაი საქმეა, მაგრამ ყველას ვერ გამოასწორებ. მამაჩემს რანაირად არ მიუდგენენ: ხან დასაჯეს, ხან შეარცხვინეს, ხან სულ წითელი კვერცხი უგორეს. მეტი არ იქნა შენი მტერი, არაფერი გამოვიდა. სასაფლაოზე მანაც გამოუსწორებელი წაიღეს.

— კი, ხდება სოლმე, მაგრამ მანაც მჯერა...

— მეც მჯერა, — შეაწყვეტინა შოფერმა, — შენ კერპიუტა არ გეგონო, დიდი ნასწავლი კაცი არა ვარ, თუმცა ცოტას კი ვერკვევი რაღაც-რაღაცეებში. მაგრამ მამაჩემი რომ გამასხენდება, გული მიკვდება. გესმის? — ეტყობოდა, შოფერს აღარ უნდოდა ამ საუბრის გაგრძელება და სერგეის მოულოდნელად ჰკითხა: — შენ საით?

სერგეიმ უპასუხა.

— ბოლომდე ვერ მიგიყვან. შორიასლოს ჩამოგსვამ, — შეპირდა შოფერი.

— მე მანაც აქვე უნდა შევიარო ჩვენს ბატარეაში. ცარიელი თერმოსები მაქვს წამოსაღები. არტილერიისტი ხარ? — შეეკითხა სერგეი.

— არა, მეტყვიამფრქვევე ვარ.

— ერთი ჩვენებური კაცი მსახურობდა მეტყვიამფრქვევედ. ვერაფრით ვერ გავიგე მისი ასავალ-დასავალი. აქეთ ვეძებე, იქით ვეძებე, სად არ მივაკითხე, ვინ არ შევაწუხე. შენც არ მომიკვდე! ცამ ჩაყლაბა თუ მიწამ, მანაც ვერ გავიგე. აფანასენკოა გვარად, ფელიქს აფანასენკო. თუ ძმა ხარ, შენ ხომ არ გაგოგონია?

— რას ქვია გამიგონია! კაცი აგერაა შენს ყურისძირში. ერთ ნაწილში ვირიციხებით. ფელიქსი ისეთი ბიჭია, სულ მალე მთელს ოლქში გაითქვამს სახელს. შენ კი მეკითხები, ხომ არ გაგოგონიაო!

თითქმის წელიწადი იყო, სერგეის ფელიქს აფანასენკო არ ენახა. ისინი ერთმანეთს გასაწვევ პუნქტში დაშორდნენ. ფელიქსი სხვა ნაწილში გაამწესეს. მერე მისი ამბავი აღარ სმენია. თანამემამულის ასეთმა მოულოდნელმა პოვნამ ძალიან გაახარა. ფელიქსთან დიდი გადაბმული მეგობრობა არასოდეს არ ჰქონია. პატარაობისას ერთ საბავშვო სახლში იზრდებოდნენ, ერთ სკოლაში დადიოდნენ. მერე მათი გზები გაიყარა. სერგეიმ ვაგონსარემონტო ქარხანაში დაიწყო მუშაობა. ფელიქსი რომელიღაც საპარიკმახეროში მოეწყო შეგირდად. ერთმანეთს იშვიათად ხვდებოდნენ. თუმცა ამაზე არც ერთი არ იკლავდა თავს. ახალი მეგობრები გაიჩინეს, ახალი ნაცნობობა გააბეს. ამას ერთი ამბავიც დაერთო. სერგეიმ მეგობარს გულახდილად უთხრა, — ოდეკოლონის სუნით ისე ხარ გაჟღენთილი, გული მერევაო. ფელიქსი საშინლად გაბრაზდა, — ჯანდაბამდისაც გზა გქონია! თუ ასეა, წადი და იყნოსე ნაგვის სუნით.

მეგობრებს შორის შავმა კატამ გადაიბინა.

1956 წლის შემოდგომაზე სერგეი დონბასში გამგზავრა კომკავშირული მალაროს მშენებლობაზე. ბრაჟნიკოვი ყველაფერს წარმოიდგენდა, მაგრამ სტებში თუ ფელიქს აფანასენკოს ნახავდა, ამას კი ვეღარ იფიქრებდა. მაგრამ ნათქვამია, მთა მთას არ შეხვდება, თორემ კაცი კაცს ყოველთვისო. ნომებერი იწურებოდა. სერგეი მეგობრებთან კომკავშირულ ბრიგადას ხელმძღვანელობდა. ერთხელ ბიჭებმა გაბედეს და უთხრეს: — ამხანაგო ბრიგადირო, დათვივითა ხარ გაბურძენული. ეგ ბანჯგვლები რომ მოიშორო, კარგი იქნებაო.

კვირას წავალ ქალაქში და გავიკრიჭებიო, — უპასუხა სერგეიმ.

ქალაქში რა გინდა, აგერ ყურისძირში საპარიკმახერო გავგისხნესო.

სერგეიმ ბარაკისაკენ გასწია. ფანე-

ემანუელ ფეიგინი

ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

რით გადატიხრულ კუთხეში ფელიქსი რომ დაინახა, ღიმილი ვედარ შეიკავა. აფანასენკოს გაქათათებული, ვიწროდ შემოტმანსული ხალათი ეცვა. უზომოდ გრძელი ხელები მოკლე სახელოებიდან სასაცილოდ გამოეშვირა.

— რა ქარმა გადმოგავდო აქეთ? — ჰკითხა სერგეიმ.

— შენ თვითონ საიდან გამომეცხადე?

— კომკავშირული საგზურით ჩამოვედი შახტის მშენებლობაზე.

— მე კი კომკავშირული საგზურით მშენებელთა მომსახურებისათვის გამომგზავნეს, — მშვიდად უპასუხა ფელიქსმა და თვალთ ანიშნა, დაბრძანდით.

— როგორ ინებებ გაკრეჭას?

სერგეი უყურებდა მოზვერივით ღონიერ ჭაბუკს და გულში ფიქრობდა: „ერთი შენი თავი მომცა ბრიგადაში, გაჩვენებდი სეირს. თუმცა არც უპარიკმახეროდ ვვარგევართ. ვინ იცის, სად უფრო გამოსადეგია ეს გამოთაყვანებული“.

— თმა წყლით დაგინამო? — ჰკითხა ფელიქსმა.

— ვითომ რაო, ოდეკოლონი მაწყენს? — იწყინა სერგეიმ.

— მეშინია, გული არ აგერიოს.

— კაი გულღვარძლიანი ყოფილხარ.

— გამოგიტყდები და, ცოტა კი ვარ, — მშვიდად დაუდასტურა ფელიქსმა.

მალე მალაროელთა დაბაში საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი გახსნეს. ფელიქსიც იქ გადაბარგდა, ქალთა განყოფილებაში გადაიყვანეს. სერგეი აფანასენკოსთან აღარ მისულა. მისი სახელი კი ხშირად ესმოდა. განსაკუთრებით ქალიშვილები აფასებდნენ ფელიქსის ნიჭსა და გემოვნებას. სერგეის პირველად ეცინებოდა ამაზე, მაგრამ მერე ეჭვი შეეპარა, ვინ იცის, იქნებ მართლა აქვს გემოვნება ამ გამოშტერებულსო.

გაზაფხულის ერთ მშვენიერ კვირა დღეს სერგეის აფანასენკო მოჩვენებასავით გამოეცხადა.

— მოდი, გაქაკუტრად, მიმიღე შენს ბრიგადაში, — სთხოვა პარიკმახერმა.

— შენ ხომ არ გადაირიე. ქალებს

გინდა გადამიდო? ქათამივით გამოუტყვენ! — იყვირა სერგეიმ.

— მაგისი ნუ გედარდება, დირექტორი უკვე დაეყოლიე. ჩემს ადგილზე ისეთი ოსტატი მომყავს, შენი მოწონებული! მოკლედ, მიმიღე და თუ შეგარცხვინო, ბიჭი არ ვიყო. თუ ძმა ხარ, ასე ნუ იღიმები, სერიოზულად გეუბნები. ახლა ჩემი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდება.

— რა ეშმაკი შეგიჯდა? — ჰკითხა სერგეიმ.

— მაგას ნუ მკითხავ, მე ჩემი ვითხარი და დანარჩენი შენ იცი.

— კარგი, ბატონო, თუ არ გინდა ნუ მეტყვი. ოღონდ ბიჭებთან მოთათბირება მაცალე. როგორც იტყვიან, ისე მოვიქცევი.

ბიჭებმა რომ პარიკმახერის სურვილი გაიგეს, სიცილი აუტყდათ.

— რა უგულო ხალხი ხართ, — გაბრაზდა სერგეი, — ადამიანს უჭირს, თქვენ კი სიცილით იჭაჭებით.

— მაგის ამბავი მე მკითხე, — შეეპასუხა სენია მაისტრენკო, — სასიკვდილო არაფერი სჭირს. მალლა-მალლა რომ დაფრინავ, ერთი დაბლაც გადმოგვხედე. იცი, გაზაფხულმა ჩვენს დაბაში რა ამბები დაატრიალა? თურმე რა ყოფილა...

ბიჭები ერთმანეთს სიტყვას პირიდან აცლიდნენ. მოყვნიენ მთისას და ბარისას. არც ფელიქს აფანასენკოს უიმედო სიყვარულის ამბავი დაეწიყებიათ. პარიკმახერს ვაღია ანდრეევა შეყვარებოდა.

ვაღია ანდრეევა სერგეის მაინცაღამაინც თვალში არ მოსდიოდა. მეზათქაშეთა ბრიგადირი მყვირალა, თავდაჯერებული და ბუზღუნა გოგო ჩანდა. არც შესახედავად ექნა ღმერთს. კაპასი ქალის იერი ჰქონდა. ვერაფრით ვერ დაიჯერებდი, რომ ქალთა სილამაზის დიდოსტატს ეს ქალიშვილი შეუყვარდებოდა. შეყვარება რა სათქმელია, საეგზო ჰქონია აბნეული.

— ბარე ორჯერ სთხოვა, ცოლად გამომეყვიო, — სთქვა სენიამ, — ვაღიამ ქვა აავდო და თავი შეუშვირა, პარიკმახერი რომ მდომოდა, კიევში გავთხოვ-



დებოდი, აქ მარტო მეშახტეს თუ წაყვებო. მე მგონი ტყუილად იტრიზება. ფეხის ხმასაა აყოლილი.

— თუ კაცი მოგწონს, რა მნიშვნელობა აქვს, მეშახტე იქნება თუ პარიკმახერი! მთავარია, კაცი გიყვარდეს.

— საქმეც ის არის, რომ არ უყვარს და ბიჭს ტყუილად უზნევს გზა-კვალს.

— უზნევს კი არა, დაუზნია და ესაა. ფელიქსის ახლა იმიტომ ითხოვს ჩვენს ბრიგადაში მიღებას.

— ითხოვს და მივიღოთ.

— ვერ მიართვეს! — აღშფოთდა სენია, — ჩვენ მალაროში ჩვენი ნებით წამოვედით, შეგნებულად. აქ საქმის სიყვარულმა შეგვყარა. ვილაც ჭირვეული გომბიოს ფეხის ხმას კი არ ავყოლილვართ.

ატყდა ერთი ვაი-უშველეზელი.

— მართალს ამბობს სენია, — ჩაერია საუბარში ჩვიდმეტი წლის პეტია აბალკინი, — სიყვარული ბრმაა. აფანასენკო რომ წაეპაქნოთ, მგონი უარესია.

— თუ ძმა ხარ, ნუ სულელობ. სიყვარული ყველაზე მაღალი და ყველაზე კეთილშობილი გრძნობაა. „სიყვარული აღგვაშაღლებსო“, ხომ გავიგონია. სიყვარულია, კაცს რომ გმირობისაყენ მოუწოდებს.

— შეყვარებული გმირი რაღაც არსად შემხვედრია.

— სად უნდა შეგხვედროდა, ჯერ ტუჩზე რძე არ შეგშრობია.

ერთი სიტყვით, იყბედეს, იკამათეს და ბოლოს ბრიგადირს მოსთხოვეს, გადამწყვეტი სიტყვა გვითხარო.

— საკითხი თეორიულიცაა და პრაქტიკულიც, — მკაცრად შენიშნა პეტია.

— თეორიულად კიდევ რაღაცას მოვახერხებ, — დაიწყო სერგეიმ, თუმცა არც კი იყო დარწმუნებული, მართლა მოახერხებდა თუ არა, — პრაქტიკულად კი რა მოგახსენოთ. შეყვარებული ჯერ არ ვყოფილვარ და...

სიცლით გული რომ იჯერეს, სერგეიმ სთქვა:

— ბევრს არაფერს ვიტყვი, ადამიანს თანაგრძნობა უნდა გავუწიოთ. მორჩა და გათავდა.

რატომაც არა. კაცი კაცურად უნდა მოიქცეს. ხელი ხელს დაჰკრეს და აფანასენკო ბრიგადაში მიიღეს.

„კარგი ხათაბალა ავიკიდეთ, — ფიქრობდნენ ბიჭები, — მეშახტეთა ბრიგადაში გამიჯნურებული პარიკმახერი? აქლემი და გალია თუ გინდა, ეს არის. მაგრამ რას იზამ. „ძმა ძმისთვისაო და შავი ღღისთვისაო“.

ნურას უკაცრავად! აფანასენკო არავის ხელით სათრევი არ გამხდარა. ჭკუაც უჭრიდა და მკლავიც არ ღალატობდა. მართალია, მთა არ გადაუბრუნებია, მაგრამ კულშიც არავის მისჩანჩალებდა. ამხანაგებს ტოლს არ უგდებდა. მხოლოდ ეს იყო, ბრიგადაში არავის გაშინაურებია. როგორც კი თავისუფალ დროს იხელთებდა, ვალიასკენ გაჰქანდებოდა. ვერც გაუმტყუნებდი. ვალიაზე ამოსდიოდა მზე და მთვარე. ქალიშვილი კი სიასლოვეს არ იკარებდა. თავს მაინც არ უყადრებდა. საცოდავ ბიჭს უღმერთოდ სტანჯავდა და იბრწყებდა.

აფანასენკო ხმას ვერ იღებდა. უცეცხლოდ იწვოდა და იდაგებოდა. „ნეტავ ახლა როგორა აქვთ საქმე, — გაიფიქრა სერგეიმ, — ნუთუ დღესაც უყვარს ის ტყლარჭია და კაპასი გომბიო?“

3

— აი, ჩვენი ბატარეა, — სთქვა შოფერმა.

სერგეიმ ვერაფერი გაარჩია.

— შენიღბულია, — გაეცინა შოფერს, — წუხელი აქ ნაშუალამევს მოგედით. სანგრების გათხრაც მოვასწარით და შენიღბვაც. ახლა ვერც ციდან დაგვინახავს ვინმე და ვერც მიწიდან. ჩვენ მეზენიტები ვართ, ბიძია, აბა რა გგონია!

...და აი, შენს წინ არც ძმაა, არც მეგობარი. უბრალოდ შენი ამხანაგი, ვისთანაც ერთად დიდხანს გიწევია ცხოვრების ჭაპანი. გულში იკრავ როგორც შენს სისხლსა და ხორცს. აი,

ემანუილ ფეიგინი
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

თურმე რა სიყვარული სცოდნია ერთად მუშაობას.

ერთმანეთს უსიტყვოდ აავლ-ჩაავლეს თვალი. იგრძნეს, რომ უფრო დავაჟაკ-ცებულან, დასრულებულან, დადინჯე-ბულან. რამდენი რამის მოყოლა უნდო-დათ. ვერ იქნა და ვერ ააწყვეს საუბა-რი. ხან საბავშვო სახლი მოაგონდათ, ხან მალარო. ახლა არმიულ შთაბეჭდი-ლებებს აღარ იკითხავთ? ქვანახშირისა და ასაფეთქებელი ნივთიერების მოტკბო კვამლით გაჟღენთილ წერილებს დონ-ბასიდან რომ ცხელ-ცხელი ამბები მოაქვს, იმასაც ხომ მოყოლა უნდა. ეს სუნი აგონებდათ მალაროს, მეშახტის ვაჟაკურ და მიმზიდველ ცხოვრებას.

აბა, შეიძლება ერთმანეთს შეხედრო-დნენ და ამაზე საუბარი არ ჩამოეგ-დოთ? ილაპარაკეს აქეთური, იქითური... ბოლოს ყველაფერი დომხალივით აური-ეს. უცნობ კაცს რომ ყური დაეგდო, პატიოსან სიტყვას გაძღვეთ, ვერაფერს გაიგებდა. ამ ორი მეგობრისთვის კი ყველაფერი დღესავით ნათელი იყო.

— აქ რა მოხვლე ჩინოვნიკი ხარ? — ჰკითხა სერგეიმ, როცა დონბასზე ლაპა-რაკით გული იჯერეს.

— არტილერიის მთავარსარდალი გახ-ლავარ.

— არა, მართლა გეკითხები.

— შენ თვითონ ხედავ, რიგითი ჯა-რისკაცი ვარ. მოვალეობა კაიხელა მა-კისრია, დამმუხტველი ვარ. ძველ ხელო-ბასაც არ ვივიწყებ. მოცლილი თუ ვარ, ბიჭებს ვკრეჭავ და ვპარსავ. კარგი ექენი, რომ ჩემი მოწყობილობა თან წამოვიღე. ძალიან გამომადგა.

— მეშახტის იარაღს, ნუ გეშინია, არ წამოიღებდი, — გაეცინა სერგეის.

— მეშახტის იარაღს აქ რა თავში ვიხლი? — გულუბრყვილოდ გაიკვირვა ფელიქსმა, — შენ მართლა არ გეგონოს, აქ პარიკმახერად ვმუშაობდე. ხომ გით-ხარი, დამმუხტველი ვარ-მეთქი. სალო-კაციო განყოფილებაში მოხვედრას ვნა-ტრობდი, ოპერატორობა მინდოდა. უა-რით გამომაბრძანეს. მერე შორის მან-ძილის გამომთვლელის ხელობამ მიმი-ზიდა. იქ მითხრეს, თვალები შორიშორს

უნდა გქონდესო. ერთი სიტყვით, საბო-ლოოდ დამმუხტველი გამხადესო, ანუ ვნანობ. აგერ ჩვენი ბატარეის მეთაური მოდის, კაპიტანი ზახტურიძე.

სერგეი კაპიტანს გამოეჭიმა და ვინა-ობა მოახსენა. ზახტურიძემ გულთბი-ლად გაუღიმა და ხელი მეგობრულად ჩამოართვა.

— მე თქვენ შორიდან უკვე გიცნობ-დით, ამხანაგო ბრაჟნიკოვ, — უთხრა კაპიტანმა.

სერგეი გაოცდა.

— ამასწინათ ამხანაგმა აფანასენ-კომ მეშახტეებზე საუბარი ჩაგვითარა. თავისი ყოფილი ბრიგადირის შესაქებად სიტყვა არ დაუშურებია. ისე დაგხატათ, როგორც კი დაგინახეთ, იმავე წუთში მივხვდი, ნამდვილად ეს იქნება დონეც-კელი გოლიათი ბრაჟნიკოვი-მეთქი.

სერგეიმ გაიცინა.

— ხატვა შეიძლება ეხერხება, ამხა-ნაგო კაპიტანო, მაგრამ აფანასენკო რომ საუბრებს ატარებს, ეს კი აღარ მჯერა.

— ვითომ რატომ არა გჯერა? აფანა-სენკო გვარიანი აგიტატორი გამოდგა. დამმუხტველს ხომ ნულარ იკითხავთ! ოცეულში ბაღალი არა ჰყავს. იქნებ გნებავთ, დაგარწმუნოთ?

— მჯერა, ამხანაგო კაპიტანო, — მი-უღო სერგეიმ.

— თვალთ დანახულს მაინც თავისი ფასი და გემო აქვს. ახლავე დანახავთ, რა ბიჭიცაა ჩვენი აფანასენკო. ასეთ რამეებს ჩვენ მარტო შემოწმებზე ჩა-მოსულ გენერლებს თუ ვაჩვენებთ ხოლ-მე. მაგრამ თქვენ სტუმარი ხართ. ქართ-ველები კი, მოგეხსენებათ, სტუმართ-მოყვარე ხალხი ვართ. კარგი მასპინძ-ლობა ვიცით, — ღიმილით სთქვა კაპი-ტანმა. მერე მჭექარე ხმით განკარგუ-ლება გასცა:

— ბატარეა, ბრძოლა!

იქვე მდგომმა ჯარისკაცმა კაპიტანის ბრძანება რომ გაიგონა, ყუმბარის ცა-რიელ მასრას გულმოდგინედ დასცხო რკინის კეტი.

განგაში გამოცხადდა!

ბატარეაში ყველაფერი ამოძრავდა. სერგეის კარგად ესმოდა, ეს ალიაქოთი

მისი გულისთვის რომ არ ამტყდარა. ბატარეაში ჩვეულებრივი ყოველდღიური საბრძოლო მეცადინეობა ტარდებოდა. ალბათ დღეს ეს მეთე საბრძოლო განგაში მაინც იქნებოდა. აბა, სხვანაირად ასე საათივით ვერ ააწყობ საქმეს.

კაპიტანზე მაინც არ განაწყენებულა. ან რა მიზეზი ჰქონდა. მეცადინეობა მეცადინეობაა, სტუმართმოყვარეობა კი სტუმართმოყვარეობა.

კაპიტანმა სერგეის თვითონ უჩვენა ბატარეის მთავარი კვანძები. აი, ლოკატორმა საპაერო მიზანი მიაკვლია. შორი მანძილის მზომელებიც ამუშავდნენ. რა თქმა უნდა, ოპტიკისა და ელექტრონების კავშირი საიმედოა, მაგრამ ახლა ყველაფერს დრო სწყვეტს. ერთი თვალის დაფახულება, ერთი პატარა ფაფორხილება და მიზანი დაკარგულია. ხოლო რას ნიშნავს ომის დროს მიზნის დაკარგვა, ამას ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება.

ძალიან ძნელი ყოფილა თვითეული წამის დამორჩილება. სერგეი ადამიანების დაძაბულ სახეებს აკვირდებოდა. თვითონ უქმად იდგა, მაგრამ მთელი არსებით გრძნობდა დროის დაუოკებელ სწრაფვას: ფელიქსი ისე მუშაობდა. გესიამოვნებოდა. სერგეის იგი ცოტა უფრო ზანტი ახსოვდა. აქ კი ციბრუტივით ტრიალებდა. ბრაჟნიკოვი თვალს არ უჯერებდა.

კაპიტან ბახტურიძეს ხელში ქრონომეტრი ეჭირა.

— ექვს წამში დამუხტა, — მიუბრუნდა იგი ბრაჟნიკოვს, — თუ მეომარი დამუხტვას ათ წამში ასწრებს, იგი მოწინავე დამუხტველად ითვლება. ექვსი წამი ხომ... თვითონაც მიხვდებოდით, რა ცეცხლივით ბიჭია ჩვენი აფანასენკო. სერგეიმ თავი დაუქნია.

„ერთი ამას დამიხედეთ. თურმე რა ბიჭი ყოფილა!“

ბრაჟნიკოვს უხაროდა, მისი მეგობარი რომ მეშახტეთა სახელს არ არცხვენდა.

დამუხტველის მუშაობაში მთავარი საქმე ჯერ მაინც წინ ყოფილა. საყვირი

ყურისწამლებად აწივლდა. ბატარეაში ცეცხლი გახსნა. ქვემეხები შეუსვენებელივ, ავტომატურად ისროდნენ. ადამიანები კი ავტომატები როდი არიან. უწყვეტი ცეცხლის გაჩაღება იოლი საქმე არ გეგონათ. ჭურვებით სავსე კარეტა ოც კილოზე მეტი თუ არა, ნაკლები არ იქნება. თუ მკლავსა და მუხლში ძალა არ გერჩის, მარტო სისწრაფე და გაწაფვა ვერაფერს გიშველის. პატარას და აყოვნებ და ცეცხლიც შეწყვეტა. იარაღი ხელახლა უნდა დამუხტო. წყალში იყრება საათივით აწყობილი საქმე.

— თავდაპირველად დამუხტვას თორმეტი წამი უნდებოდა, — მიუბრუნდა კაპიტანი ბრაჟნიკოვს, — ახლა კი ექვსი წამილა სჭირდება. ეს ზღვარი არ გეგონოს. აი, იმ ქვემეხთან რომ ყმაწვილი დგას, კომპაგენირელი ლეგეუკია. სიტყვამ მოიტანა და მოგახსენებთ, მამამისი კონსერვატორიაში ასწავლის. ხომ გაგიგონია, კვიცი გვარზე ხტისო. თვითონაც მუსიკოსობას აპირებს. ახლა კი დამუხტველია და მერე როგორი. შენს მეგობარს სულ მალე დაეწევა.

— მე და ლეგეუკი ერთმანეთს ვეჯობრებით, ამხანაგო კაპიტანო, — მოახსენა ფელიქსმა, — გულახდილად უნდა ვთქვა და, ეჭვი მეპარება, რომ დამეწევა. კიდევაც რომ დამეწიოს, მაინც არ მეწყინება. მჯობნის მჯობი არ დაილევა. ეს საქმეს თუ მოუხდება, თორემ არაფერს დაუშავებს.

— ხედავთ, საკითხს რა გონივრულად უდგება? — გაეღიმა კაპიტანს, — რას იტყვი, მოგწონთ ბატარეა? აბა რა გეგონათ, ასე გიფარავთ მტრის თვითმფრინავებისაგან.

— შესანიშნავია, წყალი არ გაუფა! — სთქვა სერგეიმ და საუნიტო ზარბაზნებს თვალი სიყვარულით შეავლო.

— ამ საქმეში თქვენი ქვანახშირიც ურევია, — სთქვა კაპიტანმა, — უნახშიროდ ლითონს ხომ ვერ გამოაღწობ.

— სწორია, ამხანაგო კაპიტანო, — დაეთანხმა სერგეი.

ემანუილ ფეიგინი
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

ბატურიძემ და ბრაჟნიკოვმა ერთმანეთს კარგად გაუგეს. მოგეხსენებათ, გულს გული იცნობსო.

4

ბატარიეიდან ბრაჟნიკოვს ფეხით მოუხდა წასვლა.

— აქედან თქვენამდე ახლოა, სამ კილომეტრზე მეტი არ იქნება, — უთხრა კაპიტანმა სერგეის. მერე ფელიქსს მიუბრუნდა და მეგობრის გაცილების ნება დართო.

— ვალია როგორაა? — ჰკითხა სერგეიმ მეგობარს, როცა გზაზე გავიდნენ, — მაპატიე, წელიდან რომ ვერ გკითხე.

— არა უშავს რა. — ამოიოხრა ფელიქსმა.

— წერილებს გწერს?

— მწერს... ხშირად არა, მაგრამ მაინც მწერს. მთავარია, რომ მიცდის, — უპასუხა ფელიქსმა და მოულოდნელად საუბარი სულ სხვა რამეზე გადაიტანა: — ვალოდია სიროედოვი რომ მიაბრძანეს ჩვენი ბრიგადიდან, თუ იცი?

— რას ამბობ? — არ დაიჯერა სერგეიმ, — საიდან მოჩმახე, ჩემთვის არ მოუწერიათ!

— ალბათ გიმაღავენ. იციან, გეწყინება. შენ ხომ ჩვენი მაკარენკოს სულ ადამიანის აღზრდაზე ჩაგვჩინებდი. ბიჭებმა კი საკითხი თავისებურად გადაწყვიტეს, სიროედოვს გუდა-ნაბადი აუკრეს და ჯანდაბის გზას გაუყენეს.

— ჰო, კაცის თავიდან მოშორება ყველაზე იოლი საქმეა.

— ვალოდიაც თუ კაცია და! — ზიზღით გადააფურთხა ფელიქსმა.


სერგეის ახლადა გაახსენდა, ფელიქსი და ვალოდია ძველი მეტოქეები რომ არიან. სიროედოვსაც ვალიაზე ეჭირათვალი. აი, თურმე რაშია საქმე. სასაცილო არაა? რომ შეხედავ, კაცი გეგონება. გულს კი კაცუნასავით იჭვი უღრღნის. ღმერთმა ნუ იცის მაგათი თავი, ალბათ ასე უნდა. შემეყვარდება ვინმე და ალბათ მეც დავიწყებ ეჭვიანობას.

ადამიანი სანამ ცოცხალია, ყველაფერი უნდა გამოსცადოს, — სიყვარული და ეჭვიანობა, ბედნიერება და მწუხარება. ათადან და ბაზადან ასე ყოფილა. რახან ბუნებას ასე დაუდგენია, მეტი რა გზა გაქვს, ყველაფერი უნდა იგრძნო და იწვნო.

თარგმნა დალი კოკაიამ

გაგრძელება იქნება





მიხეილ ლეონოვი

ნახ. ბრ. თოდუას

მისივე წარმოცობა

1814 1964




ლ ე ქ ს ე ბ ი

ეპრაული მელოდია

ვარ ნაღვლიანი. მომღერალო, აქეთ მოჰქროდე,
დრო არის, დროა! აიღე ქნარი:
თითი ჩამოჰკარ, აამღერე სიმი ოქროსი,
გამოაღვიძე სამოთხის მხარე.
თუ არ შეცვალა ბედისწერამ რისხვით ალერსი,
კვლავ მანუგეშებს შენი სიმღერა,
და გაყინული თუ მეგუღვის ცრემლი თვალებში,
უსებ გადნება და დაიღვრება.

იყოს ველური ეგ სიმღერა. როგორც გვირგვინი,
მძიმეა ჩემთვის ეს დროსტარება!
არ გეყურება, მომღერალო, მინდა ტირილი,
სევდა მესობა გულს ნესტარივით.
მას მწუხარებამ წვეთ-წვეთობით ასვა სამსალა
და მან იცოდა დუმილის ფასი,
და დადგა ჟამი განკითხვისა — იგი საესეა.
შხამით საესეა სიკვდილის თასი.

1836



ტყვე რაინდი

მერგო დილეგი და ამ ფანჯრიდან
მე ვხედავ ლაქვარდს და ასე ვზივარ,
ჩუმად შევეყურებ მაღლა აჭრილი
ჩიტების ნავარდს და გული მტკივა.

თავს არ ვიმშვიდებ ჩუმი ლოცვებით,
არც სიყვარული დამაქვს ფარული,
მხოლოდ გარდახდილ ომზე ვოცნებობ
და იარაღის მესმის ჟღარუნი.

ვარ ჩაჭედილი ამ ქვის ჯავშანში,
თავზე მაწვეება ქვის მუზარადი,
ფარი გამიტყდა და უაფშაროდ
ცხენი ბორცვიდან ბორცვზე გადადის.

ფანჯარა ჩემი ქვის ჩაჩქანია,
მსრბოლავი ჟამი — ჩემი მერანი,
დილეგის კარი ჩემი ფარია,
ციხის კედლები — რკინის პერანგი.

დროო მსრბოლავო, მალე მაღირსე,
გასწი, გაფრინდი და დააჩქარე —
სიკვდილმა ხელი მტაცოს აღვირზე,
რომ მოვიშორო ეს ქვის ჩაჩქანი.

1840

☆ —————

ლოცვა

ჩემს სულში სევდა ძლიერი
დაისადგურებს როცა,
მხოლოდ ერთ უმშვენიერესს
მე ვიმეორებ ლოცვას.

სულს უნეტარეს ბგერებად
რის შეთანხმებაც სურდა,
სთქვა ლოცვად, მისი მშვენება
იდუმალებით სუნთქავს.

სული ეჭვს ლოცვით იცილებს,
მიმსუბუქდება ტვირთი,
მჯერა, ვტირი და ვიციანი
და კვლავ მშვიდი ვარ, მშვიდი...

1839

☆ —————

მეზობელი

ვინც გინდა იყავ, შენ ხარ ყარიბი,
მიყვარხარ სიყრმის მეგობარივით,
შენს მეზობლობას, მე რა ვიციოდი,
რომ მარგუნებდა მუხთალი ბედი,

დამაშორებდა ჯერ ციხის კედლით
და მერე—ცივი მარადისობით.

როცა დილეგში, როგორც სიკვდილი,
მწუხრი, მიმქრალი და ფერმიხდილი,
გამოსათხოვარ სალამს მიგზავნის,
და დაყრდნობილი თოფზე გუშაგი
ტკბილად იგონებს ძველს და გუშინდელს
და ეპარება ნელა სიზმარი,

მაშინ ნესტიან კედლებს დაღლილი
მე ვეყუდები და შენს ნაღვლიან
და გულშემზარავ ვისმენ სიმღერას,
არ ვიცი, იგი რა სიმღერაა,
ის სევდიანი გულის ძგერაა
და ცრემლებივით ნელა იღვრება.

ყველა ფიქრი და ყველა ოცნება
აწუ გარდასულის, ისევ ცოცხლდება
და არ არსებობს მათთვის ჯებირი.
სურვილითა და ვნებით გათანგულს
სისხლი მიდუღს და ცრემლი თვალთაგან
თითქოს მეღვრება იმ ბგერებივით.

1837

☆ —————

ალბომში

როგორც დაქანცულ მგზავრებს ეძახის
ობლად შეთნილი საფლავი ველად,
ისე მიიპყროს ამ გაცრეცილმა
ფურცელმა შენი ნათელი მზერა.

რომ დაუბრუნდე გარდასულ ფიქრებს
და გაიხსენო ოდესმე იქნებ,
როგორ უყვარდი პოეტს ამაყად,
და გაიფიქრო, რომ მოკვდა იგი
და ამ ფურცელზე გული დამარხა.

1836

☆ —————

ტუსალი

ჩამოსხენით დილეგს კარი,
დამანახეთ ცის ლაქვარდი,
შავთვალწარბა მიცდის ქალი,
შავფაფარა დგას ფაშატი.

ჯერ ვაკოცებ მოხატრებულ
ქალს ნაზად და მერე თამამ
ცხენს ქარივით მოვასტები,
გადავირბენ გაშლილ ტრამალს.

მაგრამ, ვაგლახ, ტყვე ვარ ციხის,
და სარკმელი არის მადლა,
ის ქალწულიც ცხრა მთას იქით,
ბროლის კოშკში ცხოვრობს ახლა.
არც ფაშატი არის ახლოს,
ალბათ სადმე დაბალახობს,
კუდს უწეწავს ქარი ფრთამალს
და ნავარდით მისდევს ტრამალს.

მე შიშველი ქვის კედლები
მიყურებენ და ვარ ობლად,
სული მიწუხს, კვლავ კანდელის
შუქი ბჟუტავს საწყალობლად.
და დილეგში ისღა მესმის,
თუ გუშაგის ფრთხილი ლანდი
ბნელი ღამის სიჩუმეში
კართან ისევ როგორ დადის.

1837

თარგმნა გივი ვიგეჟკორმა



არა, არა ვარ მე ბაირონი,
ჯერაც უცნობი მე ვარ რჩეული.
მისებრ ყარიბი და ღირსეული,
მაგრამ რუსული სულის მირონით.

ადრე დავიწყე, მოვრჩები ადრე
და ალბათ ცოტას შევქმნი ასევე.
ჩემს სულში სძინავს იმედთა ლანდებს,
როგორც ზღვის ფსკერზე გემის
ნამსხვრევებს.

მითხარი, ზღვაო, ვინ უნდა იქნეს
მაგ საიდუმლოს გამომძალავი?
ბრბოს ვინ უამბობს ჩემს დიად
ფიქრებს?
— ან მე, ან ღმერთი, ანდა არავინ.



მას შემდეგ, როცა დამზადებულმა მომცა წინასწარმეტყველის ნიჭი, — ვარ გამკითხველი და ბრალმდებელი კაცთა ყოველი ნაკლის და ხინჯის.

ასე: სიმართლის და სიყვარულის და სათნოების ვიწყე მოძღვრება. — ქვა დამიშინეს აურზაურით შინაურებმა და ახლობლებმა.

და მწირი ქალაქს გავექეც ბოლოს, გატანჯულ ყოფას ვგმობდი ცოცხალი. დღეს უდაბნოში ჩიტივით ვცხოვრობ ღვთის მოწყალებით და საბოძვართ.


ღვთის ანდერძს ვიცავ გულითადობით, უცხოა ეჭვი და შეჭირვება. უდაბნოს მკვიდრი თუ ცის მნათობი ყველა ჩემს ნებას ემორჩილება.

და როცა ზოგჯერ მწირი სათხოვრად ქალაქისაკენ მოვეშურები. მოხუცნი ბავშვებს ჩემით აფრთხოებენ და დამცინიან მოლუშულები:

„ბავშვებო, აი გლახა, შეხედეთ, ვერ შეგვეგუა იგი აქამდე. სულელს ეგონა დაუჯერებდნენ, რომ ღმერთი მისი პირით ღაღადებს.

რა დამართნია, ერთი შეხედეთ, როგორ მომტყდარა შიმშილ-
წყურვილით
და ჩამოძონძილს ყველა შემხვედრი გაურბის ზიზღით და სიძულვილით“.

1841



ჩრდილოეთისკენ მივემგზავრები უიარაღო და უფარაჯო. თეთრო ყაზბეგო, მოგესალმები, აღმოსავლეთის თეთრო დარაჯო.

ავდარია თუ მზე გეუფლება, — ეგ შენი ჩალმა ელავს ნიადაგ. ვერ შესწვდენია შენს მეუფებას ამაყი დრტვინვა ადამიანთა.

☆
იხილ
ღმერთი
☆
ლექსები

სულს სანუგეშოდ არა უნდა რა,
ოღონდ ერთსა გთხოვ, მთაო ტიტანო:
ჩემი ლოცვა და ხვეწნა-მუდარა
მალლა ღმერთამდის რომ აიტანო.

შემხვედეს სამგზავროდ გრილი ამინდი,
ხორშაკიანი დღე ნუ მომელის
და შუადღისას მზის მოსარიდი
სადმე ვიპოვო საჩრდილობელი.

ნუ მომეწიოს ქარი თარეშით,
ხიფათისაგან მფარავდეს ზენა
და დარიალის ყრუ ქარაფებში
არ გადამჩიხოს დაღლილმა ცხენმა.

ბოლოს კი ერთის გაგება მინდა,
თქმას კი ვერ ვბედავ, მიპყრობს განგაში:
ვაი თუ ჩემი განდევნის დღიდან
მთლად დამივიწყეს ჩემს ქვეყანაში.

ნეტა ძველებურ ხვეწნა-ალერსით,
ძველი სიტბოთი და დაყვავებით
კვლავ შემხვედებიან მშობელ მხარეში
მეგობრები და ნათესავები?

თუ მეგობრების ნახვის მაგიერ
მათი საფლავის ნახვა მომელის,
რომელთაც ჩემთან ერთად გალიეს
ახალგაზრდობა დაუდგრომელი?

ო, თუ ასეა! მაშინ ყაზბეგო,
არ ამარიდო ეგ ქარიშხალი,
ამ უფსკრულებზე, გთხოვ, გადამჩიხო
და მომაყარო ზათქით ქვიშანი.

1837



სიზმარი

შორს, დაღესტანში მობაბანე შუადღის მზისქვეშ,
მინდორში ვეგდე უმოწყალოდ მკერდნატყვიარი.
ცხელ ჭრილობიდან ოხშივარი დიოდა ცისკენ
და ცხელ ქვიშაზე იღვრებოდა თქრიალ-თქრიალით.

მე კი მარტოკა უპატრონოდ ვიწექ ფერმკრთალი,
გარშემო კლდენი ლაპლაპებდნენ სხივთა არილით.
მზე კი ტრუსავდა მათ დაჟანგულ, ყვითელ მწვერვალებს.
მეც მწვავდა, მაგრამ მე მეძინა მართლა მკვდარივით.

და დამესიზმრა მშობლიური ჩემი რუსეთი,
მანდილოსნები გაშლილ სუფრას უსხდნენ მიცლილნი.
მე მიხსენებდნენ... და მოუბარს ყველა უსმენდა,
იყო ხუმრობა, მხიარული იდგა სიცილი.

მათ საუბარში მხოლოდ ერთი არ ერეოდა,
მოწყენით იჯდა მწუხარე და თვალმიზნედილი
და გაფითრებულს რაღაც უცხო ეზმანებოდა, —
გადასულიყო სიზმრად მისი სული კეთილი.

და დაესიზმრა: დაღესტანი ბოდავდა მზისქვეშ,
ნაცნობი გვამი მინდვრად ეგდო მკერდნატყვიარი.
ცხელ ჭრილობიდან ოხშივარი დიოდა ცისკენ
და თბილი სისხლი მიდიოდა თქრიალ-თქრიალით.

1841

თარგმნა შოთა ნიშნიანიძემ



ნორა ნათაძე

ქართული სოფლის ჩანახატები

ოთარ ჩხეიძე თავის წიგნში „ჩემი სოფლის ეტიუდები“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1963 წ.) კიდევ ერთხელ შეეხო ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ძველსა და გავრცელებულ თემას — ქართლის სოფლის თემას და მკაფიო, მხატვრულად დამაჯერებელი, ხშირად ამადლევებელი სურათები დაგვიჩატა.

კრებულის ავტორი უპირატესად ლირიკოსია. კრებულში თავმოყრილი ნოველების დიდ ნაწილს სიუჟეტითა აქვს, კვანძიც და დრამატიზმიც ახასიათებს, მაგრამ ყოველივე ამას ნოველების უმრავლესობაში მაინც განწყობილება სძლევს, სწორედ იგი ანიჭებს კრებულს ერთიანობას და თანმიმდევრობას. თუ ამ განწყობილებას რამდენიმე სიტყვით დავახასიათებთ, უნდა ვთქვათ, რომ ეს არის საკუთარი მიწა-წყლისა და ხალხის ღრმა, ოდნავი სევდითა და მოგონებით შეფერილი სიყვარული. ამ განწყობილების გადმოცემისას ავტორი არ მიმართავს ზერელე „ხალხურობას“, არ ისაზღვრება იმ კაცის გრძნობათა და განცდათა ასახვით, ვინც სოფლიდან არ გასულა და ვისი ინტერესებიც ერთი

რომელიმე კუთხის ინტერესებს არ აღემატება. პირიქით, ავტორი სრულეობით შეგნებულად და დაუფარავად გვიმხელს, რომ თავის მშობლიურ სოფელს ის ერთგვარი მანძილიდან ხედავს, რომ იგი სოფლის ავ-კარგს ობიექტურად, მწერლის დაკვირვებული თვალთახედვით აფასებს, ამავე დროს, ინარჩუნებს თავის კუთხეზე შეყვარებული კაცის ლირიკულ განწყობილებასაც.

ასეთი ფაქიზი ლირიკული დამოკიდებულების კარგი მაგალითია მოთხრობა „ნაკაკლნარი“. განათლებული კაცი — მაღალი კულტურის მქონე, მსოფლიომოვლილი და ფილოსოფიისა თუ საზოგადოებრივმოცილობის საიდუმლოებებს ზიარებული ინტელიგენტი — სამოცი წლის ასაკში მშობლიურ სოფელს უბრუნდება. სოფელთან მას აღარაფერი აკავშირებს, გარდა იმისა, რომ აქ ნათესავები ჰყავს და ოდესღაც აქ ჩაუვლია მის ბავშვობასა და სიჭაბუკეს. გვირის ფიქრების მთავარი ძარღვი არის გარდასულ დროთა მოგონება, ხოლო ამ მოგონებას თავისებური სინანული და სევდა ახლავს.

მაგრამ ავტორის დამოკიდებულება თემისადმი ლირიკული განწყობილებით არ განისაზღვრება და სოფლის სურათების დახატვაც მისთვის მხოლოდ ამ განწყობილების გადმოცემაში არ მდგომარეობს. მკაფიო, დამახასიათებელი, ზოგჯერ უცნაური ფაქტის მიგნება — ისეთი ფაქტისა, სადაც ნათლად ჩანს ავტორის მიერ აღწერილი კუთხის მცხოვრებთა სულისკვეთება და ხასიათი, არის ის ძირითადი ლიტერატურული ხერხი, რომელსაც ავტორი ხშირად იყენებს.

მჭედელი წითა, ცოლის ორგულობით გაავებული, ქუჩაში შარს დაექებს, რომ გულის ჯავრი ვინმეზე ამოიყაროს. მაგრამ, როცა გაყრასა და ბალ-ვენახის გაყოფაზე მიდგება საქმე, მიწისა და მამულის სიყვარული სძლევეს, გაავება უნელდება, მას თავისი ნაწვავ-ნადაგი ნაკვეთის არც ერთი ნახევარი აღარ ეთმობა („ახალ მთვარეზე“). ეს ამბავი თბილი იუმორით არის მოთხრობილი. გასაჭირში ჩავარდნილი გმირი ავტორის სიმპათიასაც და ცოტა სიბრალულსაც იწვევს.

ავტორს კიდევ უფრო მკაფიო, ზოგჯერ კიდევ უფრო უცნაური ფაქტებიც მოექებნება. ნოველა „ახალწლის ღამეს“ ნამდვილი ტრაგიზმით არის აღბეჭდილი. სოფელში მარტოხელა მოხუცი მოკვდა — მოკვდა ისე, რომ მისი სიკვდილი არავის გაუგია. კეთილ მეზობლებს ეჭვიც კი არ აუღიათ, რომ იქვე, მათ თვალწინ ამართულ სახლში რაღაც შეიცვალა. ახალწლის ღამეს, დიდი ხნის შემოღებული წესის თანახმად, შვილები მამის კარს მოადგნენ და ერთი თვის წინ ჩაკეტილი ეზო სიმღერითა და სიცილით აივსო. მეზობლებში გადაპატიყება-გადმოპატიყების შემდეგ, სტუმრებსაც და მასპინძლებსაც მოაგონდებათ სახლის პატრონი. ავმა წინათგრძნობამ, გაუმხელელმა ეჭვმა უკვე ყველას გულში დაისადგურა. მართლაც, სახლის კარი შიგნიდან ჩაურახავთ. ერთი თვის გარდაცვლილი მშობელი შვილებსა და მეზობლებს იმ ჩაკეტილ სახლში ელოდება.

ზოგჯერ ავტორი კიდევ უფრო უცნაურ ამბავსაც მოგვითხრობს: ბეჭდურ გლეხკაცი მოკვდა — გლეხკაცი, რომელმაც მთელი თავისი ახალგაზრდობა მიწის მოხვეჭასა და დამუშავებას შეაღწია, მაგრამ სიკვდილი მას მაინც შორს, ქალაქში წამოეწია. მიწა უყვარდა „ისე, რომ ახალგაზრდობაშივე ხელი აიღო ყოველგვარ სიამოვნებაზე, დაითრგუნა სურვილები და დაუთრგუნა თავისიანებსაც, მხოლოდ მიწას ეწოდებოდა, მიწაზე მიიწვედა, იძინდა, დაობდა წინაპართა უთავბოლოობით დაკარგული მამულების ამოხაგებადა, იბრძოდა, ბობოქრობდა...“ მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული გახდა გულა-ნაბადი აეკრა და თავი ქალაქისთვის შეეფარებინა. და აი, ხდება უცნაური რამ: კუბოს რომ სამარეში უშვებენ, მკვდარი ჯიუტობს, მას თითქოს სამარე ევიწროება, კუბო სამარეში არ ეტევა, თითქოს მკვდარი უფრო მეტსა და უფრო მეტს მიწას მოითხოვს. ამ უცნაურ ამბავს თავისი ახსნა აქვს: სოფლელ ბერიკაცს სამარე სოფლური, სადა კუბოსთვის გაუთხარეს, იგი კი ქალაქურ, ვარაყიან-ჩუქურთმიან კუბოში წევს და ვიწროდ გაჭრილ საფლავში ვერ ეტევა.

ამბავი სათანადო რეალისტური დეტალებითაც არის შემკული — კუბოს ჩაშვების ყოველ ახალ ცდაზე რძლები ტირიან და ველარც ტირიან მამამთილს. მაგრამ მიუხედავად რეალისტური დეტალებისა, რომლითაც ეს ეპიზოდი აღწერილი, ავტორი მაინც ვერ აღწევს ამ უცნაური ამბავის დამაჯერებლად გადმოცემას.

კრებულის ავტორისათვის არც ის არის უცხო, რასაც ჩვეულებრივ ეპიკურულ სცენებს ან სოფლურ კოლორიტს ვუწოდებთ ხოლმე. „მწყერი“ ამ კრებულში თითქმის ერთადერთი უსიუჟეტო მოთხრობაა. აქ სწორედ რამდენიმე ასეთი კოლორიტული სცენა არის დახატული. დეტალი, რომელსაც ავტორი

იყენებს, ზუსტია და მკაფიო. ავტორის განწყობილება — სიხარული თუ სიამოვნება, რომელიც ამ წყნარსა და მშვიდობიან ცხოვრებას თან ახლავს, იუმორით არის შეფერილი.

მოთხრობა „ეს უკვე სიზმარი როდი იყო“ მიხეილ ჯავახიშვილის „მუსუსის“ გავლენის კვალს ატარებს, მაგრამ ეს უშუალო გავლენა არ არის, ვინაიდან ავტორი თავისი მოთხრობის გარემოს (ეს თითქმის იგივე გარემოა, რაც „მუსუსისა“) ზედმიწევნით იცნობს და წრფელი გრძნობით ხატავს. სოფლელი ბიჭი ტოლია სამარცხვინო, ყველასაგან საქაზის, თავის მოსაპყრელ საქმეს სჩადის -- იგი ჭორებს უგონებს ყველა ლამაზ ქალსა და გოგოს, რომელსაც კი ახლოს გაეკარება და თუმცა მისი არავის სჯერა, მაინც მუსუსის სახელი აქვს გავარდნილი. მაგრამ, თურმე ეს ამ ბიჭს სიავითა და უსინდისობით კი არ მოსდის — იგი უბრალოდ, ფანტაზიორია, რომელიც ჭაბუკურ ოცნებასა და სინამდვილეს შორის ზღვარს ვეღარ ხედავს, მაგრამ ბიჭი გულწრფელია: ახლად წამოჩიტულ ობოლ ანანოზე, რომელიც მან თავის ოცნებაშიც კი ვერ დაიახლოვა, ის არც არაფერს იგონებს და არც არაფერს ამბობს. ბოლოს ტოლიას „ფანტაზიორობა“ ცუდად მთავრდება. ანანო მას ზურგს შეაქცევს, ხოლო მისი დამცველი რაინდი ბიჭები უწყალოდ სცემენ ხელმოცარულ მთარშიყეს. ტოლია თავისი საჩოთირო საქციელის მიუხედავად, მაინც მკითხველის სიმპათიას იწვევს. მკითხველს ყველა მოქმედი პირისადმი, და რაც მთავარია, მთელი იმ გარემოსადმი, სადაც ეს პატარა ამბავი ხდება, სითბოსა და სიყვარულის გრძნობა ეუფლება. ეს სიყვარულია სწორედ ის მთავარი, რაც ამ კრებულის განსხვავებული შინაარსისა და ხასიათის ნოველებს ერთიმეორესთან აკავშირებს.

განცალკევებით დგას ნოველა „აზამბარი“. ეს მამხილებელი ხასიათის ნაწარმოებია. ქეიფის „კულტის“ მახინჯი ფორმები, ქართული სუფრის ტრადიციით შეინიღბული ლოთობა და უსაქ-

მურობა, რაც ზოგჯერ დამახასიათებელია ხოლმე ზოგიერთი ჩვენი კუფესისთვის, აქ თავისი არაესთეტიკური და საბრალისი და შესაზიზლი სახით წარმოგიდგება.

ნოველები „ნაკაკლნარი“, „მიწა“, „ახალწლის ღამეს“, „მწყერი“, „ეს უკვე სიზმარი როდი იყო“ კრებულის საუკეთესო თხზულებებია. მათი ძალა უშუალობაში, საგნის ცოდნაში, დიდ ემოციურ ზემოქმედებაში მდგომარეობს. ეს ნოველები განსაზღვრავენ კრებულის სახეს.

სამწუხაროდ, კრებულის ყველა ნაწარმოები არ არის ისეთი სიძლიერით დაწერილი, როგორც აღნიშნული ნოველები. ავტორი, როგორც კი სცილდება თავის ძირითად თემატიკას და განწყობილებას, როგორც კი დაიწყებს ფსიქოლოგიური პორტრეტების ძიებას მისთვის უცხო სფეროში, უკვე კარგავს უშუალობას და სიწრფელეს. ეს ხდება მაშინ, როცა ავტორს მოქმედება უცხო გარემოში გადააქვს და მაშინაც, როცა იგი თავისავე ჩვეულ გარემოში რაღაც მისთვის უცხო ხასიათების ან უცხო კონფლიქტების შემოტანას ცდილობს. ეს შეცდომა მეტნაკლებად ახასიათებს მოთხრობას „მაგლოს ქმარი“.

ლამაზი გოგო, სოფლის თვალი მაგლო გათხოვილა ქალაქში ვიდაც სოფლისათვის უცნობ კაცზე, რომელიც მის მეზობლებს არ უნახავთ, მხოლოდ იციან, რომ იგი ცოლს თავს ევლება და ამ ამბავს დედაკაცები უყურადღებო ქმრებს ყოველ ფეხისნაბიჯზე წამოაყვებდრებენ ხოლმე. ბოლოს მაგლო მიატოვებს თავის სანიმუშო ქმარს. როგორც ჩანს, ეს იმიტომ ხდება, რომ ის კაცი უნიათო, ქალაჩუნა, მეტისმეტად რბილი ხასიათის და „აკურატული“ ყოფილა.

ნოველა ძალზე მოგვაგონებს იტალიელი მწერლის ალბერტო მორავიას ერთ მოთხრობას. მაგრამ ის კონფლიქტი და ის ხასიათი, რომელიც ბუნებრივია იტალიის წვრილბურჟუაზიული ქალაქური მოსახლეობის ყოფისათვის, არაბუნებრივია იმ გარემოსათვის, რომელსაც



ო. ჩხეიძის ნოველები და, კერძოდ, ეს ნოველაც ეხება. უთუოდ ამიტომაც, რომ მაგლოს ქმარი რეალური პერსონაჟი კი არ არის, არამედ კარიკატურაა. მისი ხასიათის სუსტი მხარეები უკიდურესობამდე გაზვიადებულია და ამდენად, არადამაჯერებელიც. მოულოდნელი, აუხსნელი, პარადოქსალურია ის დრამაც, რომელიც ამ პატარა, სასაცილო სისუსტის ნიადაგზე წარმოიშვება — მაგლო შეუბრალებლად და დაუფარავად პირში მიახლის ნოველის უბედურ გმირს, რომ შენ „ჩვენ“ შეილის მამა არა ხარო. რატომ იმეტებენ ასე სასტიკად ბავშვს ან რისი თქმა სურს ავტორს ამ ეპიზოდით — ეს მკითხველისათვის გაუგებარი რჩება, თუმცა ზოგადი ჩანაფიქრი მოთხრობისა, — რომ ქალი ქალაჩუნა კაცთან ვერ იცხოვრებს, — იმთავითვე ნათელია მკითხველისათვის. რადგან მოთხრობის კვანძი სქემატურია და პერსონაჟებიც ასევე სქემატურადაა დახატული, რჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი მწერალმა ლიტერატურიდან აიღო და არა ცხოვრებიდან.

ნოველა „ეჭვი“ შექმნილი სიტუაცია ლიტერატურაში კარგად ცნობილია: ნოველის გმირს (თენგიზს) უყვარს თავისი დაღუპული მეგობრის და შროშანა. თენგიზი მეცნიერ მუშაკია, შროშანას მამა კი მისი ხელმძღვანელი. თენგიზი ხშირად დადის შროშანას ოჯახში. იგი ვერ ამხელს, რომ მისი მეგობარი — შროშანას ძმა და მოხუცი პროფესორის ვაჟი — მის თვალწინ დაიღუპა ფრონტზე. მიუხედავად ასეთი რთული ვითარებისა, თენგიზი მიანიც, უპირველეს ყოვლისა, თავის დისერტაციაზე ზრუნავს და, ცოტა არ იყოს, ეგოისტურ უგრძნობელობასაც კი იჩენს. მის განწყობილებებზე მხოლოდ რეცენზიები და დისერტაციის დაცვის პერსპექტივა მოქმედებს და იგი გულცივი კარიერისტის შთაბეჭდილებას ტოვებს. მის სულიერ ცხოვრებაში მთავარი ადგილი სწორედ კარიერისტულ ზრახვებს უჭირავს, თუმცა ავტორს სრულებითაც არ სურს, რომ მკითხველს მის გმირზე ასეთი შთაბეჭდილება დარჩეს (თენგიზი

ხშირად დედებითი გმირია). ავტორი არ ცდილობს თავისი გმირის მოქმედებების თუ სულიერი განცდების შინაგანი ლოგიკის მკაფიოდ გამოხატვას.

ნოველის ის ნაწილი, სადაც მოთხრობილია მეცნიერული პრინციპულობისა და „კონფლიქტის“ შესახებ (ორი აკადემიკოსისა და თენგიზის დიალოგები), იმდენად არაბუნებრივია, რომ მკითხველში უხერხულობის გრძნობასაც კი იწვევს. ავტორი სათანადო წრისა და სათანადო სიტუაციების დამახასიათებელ მეტყველებას ზუსტად არ გადმოგვცემს (შინაგანად დატვირთული, ემოციური ქვეტექსტის მქონე დიალოგზე ხომ აღარაფერს ვამბობთ).

ნოველა „ეჭვი“, თავისი კონფლიქტითა და მოქმედების გარემოთი, ავტორისავე რომანის „ბურჟუსის“ ერთგვარი გაგრძელებაა. რომანი აგრეთვე მეცნიერ მუშაკთა ცხოვრებას ეხებოდა და მეცნიერულ შეხედულებათა დაპირისპირებაზე დამყარებულ „კონფლიქტს“ ეყრდნობოდა. აღნიშნული სქემატიზმი, არადამაჯერებლობა, მეცნიერული კონფლიქტის ადამიანის ბუნებრივ განცდათა და გრძნობათა ენაზე ვერგამოხატვა ამ რომანს კიდევ უფრო მეტად ახასიათებდა, ვიდრე განხილულ მოთხრობას. ავტორმა ვერ შესძლო დაენახა და აეწერა იმ პროფესიის ადამიანთა შინაგანი სამყარო, რომელსაც მისი ნოველა ეხება. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, თუ რა მნიშვნელოვანია მწერლისათვის საკუთარი, მისი შემოქმედებისათვის შესაფერისი გარემოს მონახვა, ისეთი თემის მიგნება, სადაც იგი ორგანულად და დამაჯერებლად შეიჭრება თავისი პერსონაჟების სულიერ სამყაროში.

კრებულში მოთავსებული ერთადერთი მოზრდილი მოთხრობა — „იღუმალა“ უჩვეულო ჟანრის ნაწარმოებია. იგი რეალობისა და ფანტასტიკის თავისებურ სინთეზს წარმოადგენს. ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ ეძებს სოფელი თბილისელი ფიზიკოსებისა და

სპელოლოგების დახმარებით კარსტულ გამოქვაბულში დაკარგულ ორ ბიჭს. უცნობი გამოქვაბული, ძველთაძველი სოფელი, გიორგი ბრწყინვალის გუჯრები თუ ისტორიის სურნელი, რომელიც უხვად არის მიმობნეული ამ მხარეში — ყოველივე ეს ავტორს ოსტატურად აქვს გამოყენებული, რათა მოთხრობის ექსპოზიციაში იღუმალების, მოლოდინის, ძველთაძველი ამოუცნობი საიდუმლოებათა ამაღლევბელი ატმოსფერო შექმნას. შემდეგ ეს ატმოსფერო თანდათან ქრება — ყველაფერი ჩვეულებრივი, ბუნებრივი მოვლენებით არის ახსნილი და ეს ასეც უნდა იყოს. ექსპოზიციაში აღწერილი იღუმალი სამყაროცა და მოთხრობის მსვლელობაში მისი უბრალოდ გახსნაც მკითხველის დაინტერესებას იწვევს. მოთხრობის დედაძარღვი — ორი ვაჟის უტეხი სპორტული ჟინი და ვაჟკაცური შემართება, რომელიც კინლამ საბედისწერო აღმოჩნდა — მკაფიოდ და დამაჯერებლად არის გადმოცემული. მკითხველი ძალდაუტანებლად იზიარებს ავტორის იმ სიყვარულსა და სიხარულს, რომლითაც იგი ამ ვაჟების თავგადასავალსა და მათს მშვიდობით გადარჩენას მოგვითხრობს.

მოთხრობაში ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს ფიზიკის დარგში ფანტასტიკით, ცოტა არ იყოს, ზედმეტი გატაცება. უცნაური აპარატი რადიოლოკატორისა და ტელევიზორის მსგავსი, რომელითაც გამომგონებელი ფრიდონი დაკარგულებს ეძებს, რაღაც მეტისმეტად ძნელი წარმოსადგენია. თანამედროვე მკითხველი, რომელსაც ცხოვრება ტექნიკის მიღწევებთან მჭიდრო კონტაქტში უხდება, ძნელად თუ დაინტერესდება ამგვარი ტექნიკური „სიახლით“. რასაკვირველია, მეცნიერულ ფანტასტიკას ლიტერატურაში თავისი ადგილი აქვს, მაგრამ როცა ამ მეცნიერულ ფანტასტიკას მოთხრობაში შემთხვევითი როლი უჭირავს, როცა ავტორის და მკითხველის ყურადღება სხვა ვითარებაზეა გამახვილებული, მაშინ უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, რომ მოთხრობის ეს მხარე უფრო ზომიერად ყოფილიყო მოქმედი?

ავტორს გამოქვაბულში თავმოყრილ ხალხის სულიერი განწყობილების აღწერის დროსაც ღალატობს ზომიერების გრძნობა. ვფიქრობთ, აქ უფრო მეტად ამ ხალხის ეგოიზმი და თავკერძობა ჩანს (ბოლოს და ბოლოს, იმ ორი ბიჭის მეტს გაჭირვება იმ სოფელში არავის არ ადგია). ბუნებრივია, რომ მთელი სოფელი ამ დროს მხოლოდ იმ ბიჭების ამბით იყოს დაინტერესებული. როგორც ჩანს, ავტორს უნდოდა ხალხის ფსიქოლოგიაში ერთგვარი ექსკურსი მოეხდინა. ასეთ თვითმიზნურ ექსკურსს კი ისევ სქემატურობა მოჰყვა.

ოთარ ჩხეიძეს თხრობის თავისებური მანერა აქვს. თხრობის ეპიური სიღინჯე, კლასიკურად გამართული და დასრულებული ფრაზები მის სტილს თითქმის არ ახასიათებს. ეს იქნებ იმიტაც არის გამოწვეული, რომ ნოველათა უმრავლესობის უაღრესად ემოციური ლირიკულ კილოს თხრობის მშვიდი კილო მართლაც არ შეეფერებოდა, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ავტორის თხრობის ეს თავისებური მანერა ზოგჯერ ზედმეტი, გაუმართლებელი ემოციურობის შთაბეჭდილებას ახდენს. ტავტოლოგიები, ნაწყვეტ-ნაწყვეტი თხრობა, თვითმიზნური დინამიზმი (დინამიზმი მეტყველებისა და არა მოქმედებისა. სიტყვისა და არა საქმისა) გვხვდება ხოლმე იქ, სადაც ამის საკმარის საფუძველს არც დრამატული სიტუაცია, არც ძლიერი განცდა არ იძლევა („აა, ბადვენახებიც იქვე იყო, გზაშარაც ისევ ხჭრიდა და მიდიოდა შორს, ისევ შორს მიდიოდა“... „ნახირი დაბრუნდა, დაბინავდა, მიწნარდა ხმაური, ბღავილი. ზმუილი. მტვერი დაწკნა, ნახირისაგან შემოტანილი მტვერი“... „ფხვზე გაჩერება უჭირდა მოხუცს, მოხუც მეცნიერს. აკადემიკოსს“ და სხვა ამგვარი).

ამგვარი თხრობა ცალკეულ მომენტებში, რომელიმე ცალკე, ემოციურად დატვირთული ეპიზოდის აღწერისას კი არ გვხვდება, იგი ქმნის საერთო ფონს, რითაც თავის მნიშვნელობასაც კარგავს.

და მონოტონურიც ხდება. იმ შემთხვევაში, როცა აღწერილი მოვლენა ან ეპიზოდი ამგვარი ზეაწეული ემოციურობის საბაზს არ იძლევა, რჩება შთაბეჭდილება, რომ ფორმა შინაარსს არ ეთანხმება, ფორმა პრეტენზიული და უსიცოცხლოც კი არის.

ავტორს ემჩნევა განსაკუთრებული მიდრეკილება გრძელი პერიოდებისადმი, უწყვეტი მეტყველების ნაკადისადმი („ცნობიერების ნაკადის“ ტიპის თხრობაზე აქ ლაპარაკი არ არის — მას ავტორი არ იყენებს და სწორადაც იქცევა). ავტორი გრამატიკულად ურთიერთდამოუკიდებელ წინადადებებს ერთმანეთზე ახვავებს, ერთ რთულ წინადადებაში აერთიანებს, წერტილებს ერიდება, ცდილობს მთელი სათქმელი ერთი ამოსუნთქვით გადმოგვეცეს („წყლის ბრალი თუ იყო, წყალმა იცის ასეთი ნაღველი, ღიახვმა იცის განსაკუთრებით, გამომიცდია მე, სხვებისაგანაც გამიგონია, ახსნა არ მიცდია, შეიძლება არ უნდა აიხსნას, ისე დაგაბრუნოს და წაგიღოს, წაგიღოს, მერე ადგე და გაუყვე ველიბსა“... და სხვა).

რა თქმა უნდა, ეს არ არის რაიმე ახალი სტილი. ეს არის ჩვეულებრივი ქართული, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იქ სადაც წერტილი უნდა იყოს, დასმულია მძიმე. ასეთი თავისებური ორთოგრაფია (ორთოგრაფიის საზღვრებს ეს სიახლე არ სცილდება) მხოლოდ წაკითხვას აძნელებს, თხრობის რიტმს კი არ ამძაფრებს. იგი წმინდა-

გარეგანი ეფექტისათვის არის გამიზნული.

ავტორის ენა მდიდარია ხალხური თქმებით, რომლებიც ერთხელ კიდევ თვალნათლივ გვიჩვენებენ, თუ რამდენად მოქნილი და დამოუკიდებელი შეიძლება იყოს ჩვენი სალიტერატურო ენა, რა ამომწურავად შეუძლია მას ადამიანის განცდათა უფაქიზესი ნიუანსები გადმოსცეს. მაგრამ თუ ოთარ ჩხეიძის მოთხრობების ენის ნაკლოვანებაზე მინც ვილაპარაკებთ, პირველ რიგში ის უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ავტორი დიალექტს კოლორიტის შესაქმნელად, ხასიათის დასახატავად და ენის გასამდიდრებლად კი არ იყენებს, არამედ პირდაპირ ამ დიალექტზე წერს. ხშირად ზედმეტად ხმარობს ე. წ. ემფატიკურ ა-ს, სახელობითი ბრუნვის ი-ს და ა. შ.

ეს ხერხი, რასაკვირველია, დასაშვებია, როცა ავტორი, ასე ვთქვათ, იმ კუთხის კაცის პირით გვესაუბრება, რომელსაც აღწერს, მაგრამ ასეთი სტილის საერთო სალიტერატურო ენობრივ ნორმად გადაქცევის ცდა, ჩვენის აზრით, ცოტა არ იყოს, რამდენადმე მანერულ, უსიამოვნო შთაბეჭდილებასაც კი ტოვებს. იგი მოთხრობებისა და ნოველების სტილს და თხრობის დინამიურობას მეტისმეტად ართულებს და ანელებს.

ნოდარ ნათაძე
ქართლური სოფლის ჩანახატები



ახადგაზრდა გვირის პრობლემა თანამედროვე ქართულ ახადგაზრდულ კონცეფციასში

სოციალისტური რეალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული საბჭოთა ლიტერატურა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ლიტერატურაა. მისი უპირველესი მოვალეობა არის ასახოს კომუნისტების მშენებელი მშრომელი ხალხის მრავალფეროვანი ცხოვრება, ის უდიდესი ძვრები და მიღწევები, ის არნახული წინსვლა და წარმატებები, რომლებსაც ადგილი აქვთ ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში. საბჭოთა ლიტერატურამ ნათლად, მიმზიდველად, შთამაგონებლად უნდა გვიჩვენოს ეს დიადი და უაღრესად გვირული დრო, როდესაც ჩვენი ცხოვრება ხასიათდება კომუნისტური ურთიერთობის, კომუნისტური ზნეობის გამარჯვებითა და დამკვიდრებით. ეპოქის პროგრესული იდეებით შთაგონებულმა მხატვარმა სისარულით უნდა მიიღოს და დაინახოს ყოველგვარი დადებითი მოვლენა, მხატვრული სიმართლით განაზოგადოს იგი და საჭიროების შემთხვევაში გვერდი არ აუაროს ნაკლსაც. ყველა ნამდვილი შემოქმედის ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს თანამედროვე ადამიანის რთული, ამალღებული სულიერი სამყარო, დადებითი გვირის ცხოვრების პრობ-

ლემების მაღალხარისხოვნად და ტიპიურად გადაწყვეტის საკითხი, ადამიანებისადმი სამსახურისა და მოვალეობის ცხოველმყოფელი გრძნობა. ჯერ კიდევ ბესარიონ ბელინსკი აღნიშნავდა, რომ „ხელოვნებისათვის არ არის იმაზე მეტად კეთილშობილური და ამალღეველებელი საგანი, ვიდრე ადამიანია“. ეს სიტყვები ათასჯერ გაღრმავებული სახით წარმოგვიდგება დღეს, როდესაც ჩვენი ადამიანები თავდადებულად შრომობენ კომუნისტების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, იკვლევენ სამყაროს უამრავ საოცრებას და ყველა დარგში გიგანტური ნაბიჯებით მიიწევენ წინ. ასეთ საპასუხისმგებლო ეტაპზე ლიტერატურის ყველაზე მაღალი დანიშნულებაა იდგეს ხალხის გვერდით, მთელი შესაძლებლობით ემსახუროს მას და იმყოფებოდეს უშუალოდ მოვლენების შუაგულში. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან 1963 წლის 8 მარტს, ღრმამინაარსიან მოხსენებაში—„მაღალი იდეურობა და მხატვრული ოსტატობა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების დიადი

ძალაა, — ნიკიტა ხრუშჩოვის ძე ხრუშჩოვის ხაზგასმით აღნიშნა:

„კომუნისტების ბრძოლაში, რასაც ჩვენ ვაწარმოებთ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა ადამიანის აღზრდას კომუნისტური იდეალების სულისკვეთებით. და ეს შეადგენს ჩვენი პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მთავარ ამოცანას ამჟამად. ჩვენ საბრძოლო წესრიგში უნდა მოვიყვანოთ პარტიის იდეური იარაღის ყველა სახე, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება კომუნისტური აღზრდის ისეთი მძლავრი საშუალებაც, როგორც არის ლიტერატურა და ხელოვნება“.

კომუნისტურმა პარტიამ ჩვეული სიზუსტით განსაზღვრა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მომავალი შეუფერხებელი განვითარების გზები. ლენინის გორებზე და კრემლში შემოქმედებით ინტელიგენციასთან ჩატარებული, დიდმნიშვნელოვანი შეხვედრების შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის ივნისის პლენუმი იქცა საბჭოთა კულტურის დახვეწისა და აღმავლობის ასალ ეტაპად, რაც თვალსაჩინოდ დაამტკიცა ივნისის პლენუმის შემდეგ განვლილმა დრომ.

როგორც ცნობილია, კომუნისტურმა პარტიამ მწერლებს თავისი ერთგული თანამემწენი, მებრძოლი ჯარისკაცები უწოდა; ამით კარგად გამოხატა ის საპატიო როლი და ამოცანები, რომლებიც აკისრიათ კულტურის მოღვაწეებს. ახლა, როცა მტკიცე და თანმიმდევრული ბრძოლა არის გაჩაღებული ადამიანთა შეგნებაში წარსულის მავნე გადმონაშთების აღმოსაფხვრელად, ახალგაზრდა თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღსაზრდელად, როცა პარტია მოითხოვს, რომ იდეოლოგიური მუშაობა გაუთანაბრდეს უადრესად მაღალ ეკონომიურ ცვლილებებს, მხატვრული ფორტის ყველა მოღვაწემ პირნათლად უნდა შეასრულოს პარტიის ერთგული თანამემწის როლი.

კომუნისტური პარტია ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მო-

მავლის მშენებელი ადამიანის სულიერი და იდეური ფორმირების საკითხს. მის აღზრდას კომუნისტური სულიერ კვებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით. კომუნისტურმა პარტიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ახალგაზრდობას შორის იდეურ-პოლიტიკური მუშაობის მკვეთრ გაუმჯობესებას. მან კომუნისტური პირდაპირობით მოგვიწოდა, რომ „აღზარდოთ თვითეული ადამიანი კომუნისტების მედგარ და მამაც მებრძოლად, თავისი ქვეყნის მუყაით პატრიოტად, ადამიანი, რომელიც დიდად სცემს პატივს ყოველივეს, რაც მოიპოვეს და შექმნეს უფროსმა თაობებმა, რომელიც თავისი შრომით ამრავლებს სამშობლოს სიმდიდრეებს, ღირსებასა და დიდებას“. ამ მიზნისათვის ბრძოლა ლიტერატურის საპატიო მოვალეობად იქცა.

ლიტერატურის განვითარების მთელი პროცესი და ეტაპები ნათლად გვიჩვენებენ, რომ მხატვრული სიტყვის ქეშმარიტი ოსტატები ყველა ეპოქაში გამოხატავდნენ ხალხის მისწრაფებას, დადებითი მაგალითებით ეხმარებოდნენ მას, იდგნენ დროის მოწოდების სიმაღლეზე. დღევანდელ ვითარებაში განსაკუთრებით მკვეთრად გამოჩნდა ეს მაღალი თვისება და ლიტერატურა თავისი დიდი მოქალაქეობრივი ჟღერადობით, მხატვრული შემოქმედების უნარით, ლენინური პრინციპების დაცვით, ხელს უწყობს ადამიანებს წარმატებით აშენონ კომუნისმი. ჩვენს შემოქმედებს სათანადოდ აქვთ შეგნებული, რომ კომუნისტური იდეურობისა და დიდი მხატვრული შემართების გარეშე ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეიქმნება ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლი და ხალხისათვის მისაღები ნაწარმოები. სწორედ ამიტომ

ნუგზარ წერეთელი

ასალგაზრდა გმირის პრობლემა თანამედროვე ქართულ ასალგაზრდულ პოეზიაში

მტკიცე პარტიული პოზიციები, იდეოლოგიური რწმენა და ალღო აუცილებელია მხატვრული სიტყვის ყველა წარმომადგენლისათვის. „მწერლის კომუნისტური პარტიულობა არა მარტო არ ბოჭავს მისი მხატვრული ინდივიდუალობის გამოვლინებას, არამედ პირიქით, აქტიურად უწყობს ხელს ტალანტის გაფურჩქვნას და აპყავს მისი ნაწარმოებები უმაღლესი საზოგადოებრივი მნიშვნელობის დონემდე“. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან შეხვედრისას ნათლად და გასაგებად ითქვა, რომ „მხატვრული შემოქმედების საკითხებში პარტიის (ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს ყველასგან — ლიტერატურისა და ხელოვნების ყველაზე დამსახურებული, ყველაზე ცნობილი მოღვაწისგანაც და ახალგაზრდა, დამწყები შემოქმედებითი მუშაკისგანაც — განუხრელად ახორციელებდეს პარტიულ ხაზს“. ლენინური სიმტკიცით წამოყენებული ეს დებულება დიდი ამოცანებისა და პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს ჩვენს ახალგაზრდა შემოქმედებს, რომლებიც ამ ათიოდე წლის მანძილზე შემოვიდნენ ქართულ მწერლობაში. მათ დაკვირვებით აითვისეს კლასიკური მეგვიდრობისა და თანამედროვეობის აღიარებულ ქმნილებათა დადებითი ტენდენციები, გამომჟღავნეს საბჭოთა ადამიანის, საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა მოქალაქის შეცნობის თავისებური მიდრეკილება, ყოველივე ახლისა და პროგრესულის ათვისების სურვილი.

ქართული მწერლობა ყოველთვის იყო ნათელი იდეალებისა და პროგრესული თვალთახედვის მწერლობა. ბუნდოვანება და დროებით შემოჭრილი ფორმალისტური მიმდინარეობანი ვერასოდეს ვერ ეგუებოდნენ მის კაცთმოყვარე ბუნებას. ამიტომ აღინიშნა, როგორც დადებითი მოვლენა, რომ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების მიერ მკაცრად გაკრიტიკებული ზოგიერთი შემოქმედებითი მუშაკის მცდა-

რი იდეური შეხედულებები, მიუღებელი მერყეობა, ე. წ. „წმინდა“ ხელოვნების პოზიციებზე დგომა და სტალინისტური რეალიზმის არსის გაყალბების ცდა არ შეინიშნებოდა ჩვენი მწერლობის არც უფროსი თაობისა და არც მისი ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლების შემოქმედებაში.

განვითარების ახალ მწვერვალებს მიაღწია თანამედროვე ქართულმა პოეზიამ. ახალგაზრდა შემოქმედების პროფესიულმა ოსტატობამ და კარგმა გემოვნებამ უკვე მოიპოვა აღიარება. ქართული მწერლობის ახალგაზრდა პლეადას დაეკისრა მეტისმეტად საპატიო მოვალეობა — საუკეთესო ტრადიციების გაგრძელება და ახალ სიმღლეებზე აყვანა. უკანასკნელ წლებში გარკვეული აღმავლობა შეიმჩნევა პროზის სფეროში; ქართველი კაცის ეროვნული სიამაყე — პოეზიაც არ განიცდის შემოქმედებითი ძალების ნაკლებობას. უკვე იმედიანი ხმითა და მზარდი ოსტატობით დგანან ფართო მკითხველი საზოგადოების წინაშე ჩვენი ახალგაზრდა შემოქმედები. მათ პოეზიაში იგრძნობა დიდი სურვილი შესაფერი ფორმითა და იდეურ-მხატვრული აზროვნებით ასახონ თანამედროვეობა, მათივე თანატოლების — ახალგაზრდების ცხოვრება, შრომა და მისწრაფებები. არ შეიძლება ითქვას, რომ მათ შემოქმედებაში ყველაფერი მოწესრიგებულია, ყველაფერი უდავოა, რომ ჩვენ მთელი სიცხადით ვხედავთ, მაგალითად, ახალგაზრდა გმირის გამოკვეთილ სახეს, კოლორიტულ ფიგურას, ხასიათსა და თვისებებს. მაგრამ ლექსებსა და ლირიკულ პოემებში კარგად იგრძნობა ჩვენი ახალგაზრდა პოეტების დაუოკებელი სწრაფვა და დიდი ყურადღება ახალგაზრდა გმირის პრობლემის გადაჭრისაკენ. ვხედავთ და ვრწმუნდებით, რომ ახალგაზრდული პოეზიის ლირიკული გმირი, რომელიც მისივე მსგავსი ახალგაზრდების სულიერ სამყაროს ასახავს, თავდადებით დგას კომუნისტური პარტიის გვერდით.



ლექსში „ოქროს თავთავები“ ჯანსუღ ჩარკვიანი კარგად ამბობს, რომ ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში „მხარს ვუტოლებდით დიად პარტიას ჩვენ, როგორც მისი უკვდავების თანატოლები“. მართლაც, არ ყოფილა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში არავითარი მოვლენა, რომ პარტიის მოწოდება ახალგაზრდობას არ გაემართლებინოს და გვერდში არ ამოდგომოდეს მას. ჯანსუღ ჩარკვიანს ესმის, რომ ახალგაზრდობა პარტიის თანაშემწეა, სიცოცხლეა, იმედი და ენერჯიაა, ამიტომ მოწოდებასავით გაისმის მისი ხმა თანატოლებისადმი:

დროა მზისა და მიწის გალობის,
რადგან სიცოცხლეს ჩვენსას მზე ჰქვია,
ადეჟი ფეხზე, ჩემო თაობა,
ეს სამართალიც შენი ნერვაია,
შენი პარტიის,
შენი მთავრობის,
დიდო სიცოცხლევ და ენერჯიაევ.

ჩვენი პოეტების შემოქმედებაში ცხადად ვხედავთ, რომ ისინიც და მათი თანატოლებიც — ახალგაზრდა მშრომელები, ახალგაზრდა გმირები, კომუნისტების ახალგაზრდა მშენებლები მტკიცე რწმენით მიყვებიან ნათელი მომავლისაკენ მშობლიურ პარტიას, ვინც ფრთებს ასხამს და ანხორციელებს „ყველა ჩვენს საქმეს, ყოველ ჩვენს სურვილს“, ვინც გვინათებს გზას და შეუტყდომლად მიგვიძღვება ამ გზაზე ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ. ნოდარ გურგენიძე წერს:

და ახლა, როცა მომავალს ვხედავთ
ისეთს, რაც ვესურდა, რაც გვინატრია, —
მტკიცედ მიყვებით მეგზურს ჩვენს ღღეთა,
იმედს ჩვენს ღღეთა —
დიად პარტიას.

პარტიის ყოველ სიტყვას გულისყურით ელოდება ახალგაზრდობა. მისი დიდი და კეთილი სახელი აღაფრთოვანებს მომავალ თაობას, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ ყველაფერი კარგი მას ამ დიადმა ძალამ შეუქმნა. კომუნისტური პარტიის საქმისადმი უსაზღვ-

როდ ერთგული ახალგაზრდობა მზად არის ჩვეული შემართებით შეასრულოს ყველა დავალება. კვლავ ფიცივით და მოწოდებასავით გაისმის ბჭკარები ჩარკვიანის ლექსიდან „კომუნისტურო პარტიაევ ჩვენო!“ შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ ეს ლექსი იქნა მიღებული ფიცის სახით დიდი ლენინის ძეგლთან, ლენინის მოედანზე, აწლის 12 ივლისს, როცა საბჭოთა ახალგაზრდობა ზეიმობდა კომკავშირისათვის მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის სახელის მინიჭების 40 წლისთავს. პოეტი ახალგაზრდული უშუალობით და გულწრფელობით მიმართავს პარტიას:

სადაც კი გვეტყვი,
რომ საქირთა ჩვენი ძალა, ჩვენი ერთობა,
რასაც მოითხოვ, თუნდაც სისხლის ფასად
ჯღდებოდეს,
ჰაობში, ზღვაში, პლანეტებზე, ცაში,
მიწაშიც,
ჩვენ ისე წავალთ, როგორც წავალთ
ღღესასწაულზე,
როგორც შეჰფერის შენს წმინდა და მართალ
საქმეებს,
ჩვენი შენდამი ერთგულების უსაზღვროებას—
კომუნისტურო და დიადო პარტიაევ ჩვენო!

ახალგაზრდული პოეზიის ლირიკულ გმირს დაუდგრომელი გულის მთელი ძალით უყვარს სოციალისტური სამშობლო. უძველესი დროიდან მომავალი ეს გრძნობა ჩვენს კომუნისტურ ყოფაში გამოიხატება სამშობლოს კეთილდღეობისათვის განუწყვეტელ შრომასა და შენებაში. „ჩვენ შენს სიყვარულს გვასწავლიდნენ ღღისით და ღღით, ვიზეპირებდით შენს სიყვარულს, როგორც გაკვეთილს“, — ამბობს ჯ. ჩარკვიანი და მისი მრავალი ლექსი ამ სიყვარულის მკაფიო დადასტურებაა. ამასვე მიგვანიშნებს დიდი შინაგანი ექსპრესიით და სიმხურვალით დაწერილი ლირიკული პოემა „მზე მიღის“.

ნუგზარ წერეთელი
ახალგაზრდა გმირის პრობლემა თანამედროვე ქართულ ახალგაზრდულ პოეზიაში



რა თქმა უნდა, შეიძლება იდავო — ეს პოემა თუ უბრალოდ გრძელი ლექსია, მაგრამ სხვა რამეზე მეტად ამ ნაწარმოებში ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა გმირის პატრიოტული განწყობილება. მას ჩასძახის შინაგანი ძალა და შეგნება, რომ „რაც გააკეთე, ერთი ბეწოა...“ ლირიკული გმირი ავსილია ღრმა პათოსით, დაბრკოლებათა გადალახვის ყინით და აქვს რწმენა, რომ „დიდი სიცოცხლე ახლა იწყება, მთების დაპყრობაც ახლა იწყება“.

სამშობლოს სიძლიერით, განახლებითა და წინსვლით აღფრთოვანებული გივი გეგეჭკორი, მოწიწებითა და პოეტური სითბოთი დაწერილ ლირიკულ პოემაში „მზიანი დღე“ აღნიშნავს, რომ სამშობლოს სინათლითა და სიყვარულით არის საესე მისი ცხოვრების ყოველი დღე.

გივი გეგეჭკორის მეორე პოემის („სინათლის წრეში“) ლირიკულ გმირს ომში დაღუპული მამის ლანდი მიმართავს:

„...იციღდე,
რომ დამარცხება ქვეყნად უკუნის,
და გადარჩენა შვის და სიცოცხლის —
ეს არის ტვირთი ამ საუკუნისს..
შენი ტვირთია, შენ ზურგზე გაწევს,
მე მოვიტანე შენამდგ ბრძოლით,
და შენც იბრძოლე, არ უნდა გაწყდეს
ციცხალი ჯაჰვის უწყვეტი რგოლი.
შენი სტრეჟონით, ბრძოლით, ტკივილით
მე არ შევრჩები მხოლოდ კატალოგს,
ჩემი სიცოცხლის განანგრძლივება
შენი სხეულით უნდა ატარო...“

სამშობლოს მიწაზე ანთებული ბრიალა შეუქი, რომლის „ველ-მინდვრებზე გრიალებს ახლა მაცოცხლებელი მზიანი ქარი“, ახარებს, შემოქმედებით ძალასა და ენერგიას მატებს გივი ძნელადის პოეზიის ლირიკულ გმირსაც.

სოციალისტური სამშობლოსადმი, მთლიანი, დიდი და განუყოფელი სამშობლოსადმი სიყვარული ნათელ მელოდიასავით ისმის ახალგაზრდა აფხაზი პოეტების — კონსტანტინე გერხეულიას, ანატოლი აჯინჯალის, შამილ ფილიას, გიორგი გუბლიას, მუშნი მიქაიას და სხვათა შემოქმედებაში.

ლაშაო მიწავ, ერთო მტკაველო,
და მინც დილო და უნაპირო,
უფრო აყვავდეს შენი მთა-ველი,
შენით ვსულდგმულობ,
შენით ვაპრილობ,“ —

წერს მუშნი მიქაია და ეს ნათქვამი აფხაზი პოეტების ახალგაზრდა ლირიკული გმირის გულისცემის ერთგვარი გამოხატულებაა.

ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდული პოეზიის ლირიკული გმირის დამახასიათებელ თვისებად იქცა მისწრაფება სიახლისაკენ, სამყაროს აუხსნელ საიდუმლოებათა შეცნობისაკენ. ეს ყველაფერი დრომ და ეპოქამ მოიტანა.

აღმოჩენების რიგი და რიგი!..
საიდუმლოთა მინდა გაგება, —

აცხადებს შოთა ნიშინიანიძე.

ახალი, კოსმოსური ერის ტრიუმფალური დასაწყისი, საბჭოთა ადამიანების მიერ კოსმოსის დაპყრობის დიდმნიშვნელოვანი ეტაპები დიდი ექსპრესიით მოქმედებს ახალგაზრდა გმირის განწყობილებაზე და ფსიქიკაზე. ახლა საუკუნეების მანძილზე ნატარები ოცნება, „ადამიანმა შეჰბედა კოსმოსს.. რამდენს ეძახდნენ ეს ვარსკვლავები!“ — წერს თამაზ ჭილაძე, რომელსაც სულის სიღრმემდე სწამს „კოსმოსურ გზაზე გასული კაცის“ გრანდიოზული მიღწევების. ნოდარ გურეშიძის აზრით, მხოლოდ „დიდმა რწმენამ და გმირობამ იცის გაფრენა ასე წვითა და გზებით“. პოეტი დარწმუნებულია, რომ „ეს შემართება“ არის მომავალი საუკუნეების არნახულ წარმატებათა მყარი ფუძე და საწინდარი:

ხმა კოსმონავტთა, ზეცას წვეულთა,
მთვარეზე პირველ კარვის დაცემა,
ათასწლეულთა,
ათასწლეულთა
იქნება ჟრჟოლვა და აღტაცება.

სიახლე და განსაცვიფრებელი ძვრები, ვალაქტიკა და სტრატოსფერო, კოსმოსი და კოსმონავტი ჩვენი პოეზიის ახალგაზრდა გმირის საყვარელ ცნებად იქცა. მომავალი თაობა ახლებურად უტკერის არნახულ ძვრებსა და ისტორი-



რიული მნიშვნელობის პროცესებს. შესანიშნავი პოეტურობით და პათოსით დაწერილ ლექსში „ჩვენი თაობა“ ზაურ ბოლქვაძე ხმამაღლა აცხადებს:

ჩვენი თაობა სწორედ ის არის,
ვინც ახლებურად ხელავს და ხატავს.

ზ. ბოლქვაძეს პოეზიის უმაღლეს დანიშნულებად სამართლიანად მიაჩნია ნათქვამითა და ნათქვამით ხალხის, ახალგაზრდობის, ფართო მასების ანთება, აღგზნება, ამადლება:

უნდა ასწიო ბჰენი ცათანი,
უნდა დაანთო სიტყვა კოცონად,
რომ აღავზნებდეს შენი ნათქვამი
ყველა მუშას და ყველა კოსმონავტს...

ქართული პოეზიის ახალგაზრდა გმირი მოკრძალებითა და პატივისცემით იგონებს თავის ძმებს, მამებს, ამხანაგებს, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს კეთილდღეობას, ხალხის ბედნიერებას. „ისინი იქცნენ ჯარისკაცებად“ იმიტომ, რომ „მიწის მუშას ეთესა, ეხნა“. ახალგაზრდა პოეტი ეშხარ კვიციანიშვილი ღრმად გრძნობს ამ გმირული თვადღების უშმაფრეს სასიცოცხლო მნიშვნელობას და ამიტომ თბილი ტონით, მოკრძალებული პატივისცემით, მადლიერების შეუბღალავი გრძნობით წერს სტრიქონებს ომში დაღუპულ თანატოლებზე:

ბევრი ვათელეს მხედრული მარშით
ტრამალო ლურჯად ანაბოლები,
დღისით და ღამით, ნისლსა და ქარში
იკარგებოდნენ ჩვენი ტოლები...
გვირგვინად აღვას ამ მოგონებას
მათი ცხოვრება ვასკვლავად მნათი
და დაუმჟინარი ვარდის კონებით
მინდა მოვფინო სამარე მათი.

სამამულო ომის ქარიშხალი მწვავე გულისტკივილით განიცადა ჩვენმა ახალგაზრდა თაობამაც. ეს ტკივილი დღემდე მოვიდა და გადაიზარდა მშვიდობისათვის ბრძოლის წყურვილში. ამიტომ უმღერიან ახალგაზრდები მშვიდობას, ამიტომ უძღვნის ოთარ ჭილაძე პოემა „შესავალს“ — „ბავშვებს და სა-

მამულო ომში დაღუპულ ჯარისკაცებს“, ამიტომ უძღვნის ჯანსუფი ჩარკვიანი საფრანგეთის მთავრობის მიერ სისხლით განზანდილ ტუნისის ინტერნაციონალური სულისკვეთებით გამსჭვალულ ლექსს — „სისხლი და კოოლი მონჯის ხუთი ფოტოსურათი“.

ინტერნაციონალური სულისკვეთება, პროლეტარული სოლიდარობის გრძნობა არცთუ იშვიათად ვლინდება ქართული ახალგაზრდული პოეზიის ლირიკული გმირის სულიერ თვისებებში. ეს მოქალაქეობრივი პათოსით ავსილი ლექსები თუ პოემები, პუბლიცისტური, ვაჟაკური ინტონაციით იქცევენ ყურადღებას. აქ ფართო პლანით იხატება მშვიდობისა და ბედნიერებისათვის მებრძოლი საზღვარგარეთელი ახალგაზრდების ცხოვრება. ასეთია თამაზ ჭილაძის „შენი ხმა მესმის“, რომელიც მიეძღვნა ესპანელი ფაშისტების მიერ საპყრობილეში ვერაგულად მოკლულ ახალგაზრდა პოეტ მანუელ მორენო ბარენკოს. თ. ჭილაძე მეგობრული სიმპათიით მიმართავს უდროოდ დაღუპულ თავის თანატოლს, ვისი სიცოცხლის უკვალოდ მოსპობაც ვერ შესძლეს ბოროტმოქმედებმა:

და ვერ ჩაგაქრეს... შენი ხმა მესმის,
ცეცხლში იწრთობა ხმა და გონება,
მიიღე ჩემი მართალი ლექსი
შენი სიცოცხლის განმეორებად...

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ ამ პათოსის, მოქალაქეობრივი ჟღერადობის შესახებ, ვლაპარაკობთ პოლიტიკური ლირიკის დიდ შესაძლებლობაზე. ვლაპარაკობთ და აუცილებელიცაა ეს ლაპარაკი, რადგან ჩვენს ახალგაზრდა პოეტებს გააჩნიათ ნიჭი და უნარი შექმნან მაღალმხატვრული პოლიტიკური ლირიკა. ამ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნდა ოთარ ჭილაძის პოემა „ადამიანი გაზეთის სვეტში“. გაზეთ „იხვეს-

ნუგზარ წერეთელი

ახალგაზრდა გმირის პრობლემა თანამედროვე ქართულ ახალგაზრდულ პოეზიაში

ტიამი“ დაბეჭდილი ცნობა, რომ პანამის არხის ზონაში სისხლისმღვრელი შეტაკების დროს ერთმა ახალგაზრდა ამერიკელმა ჯარისკაცმა არ მოინდომა მონაწილეობა მიეღო პანამელი პატრიოტების დასჯაში და იგი თავისიანებმა მოკლეს, იქცა პოეტის შთავონების წყაროდ. თ. ჭილაძე ოსტატურად გვიხატავს სისხლის გუბებზე დამხობილ კრუს ხიმენესს, კარგად გადმოგვცემს მის ფიქრებს, მისწრაფებას, პროგრესულ განწყობილებას. „არ შეიძლება, რომ მტრები იყვნენ უიარაღო დემონსტრანტები. არ შეიძლება, რომ უსასარულოდ მხოლოდ ძლიერი იყოს მართალი“. ოთარ ჭილაძეს შეგნებული აქვს და ახარებს ყველა ადამიანის ბუნების კეთილი საწყისი, სჯერა, რომ იგი „ვერასოდეს ვერ შეათავსებს ბოროტს და კეთილს“. ინტერნაციონალური სულისკვეთებით გამსჭვალული მისი ახალგაზრდა გმირი ყველა ადამიანის გასაგონად ამბობს:

პატივისცემის ღირსია ყველა, ვისაც
სამშობლო შერჩა და უყვარს. ვისაც
სამშობლო უყვარს და ცდილობს, აღარ
დაადგეს ქედზე უღელი. არ დაამციროს
ადამიანთა ყველაზე დიდი მონაპოვარი,
ყველა ნაყოფზე ტკბილი ნაყოფი:
თავისუფლება!

კაცთმოყვარე და ჰუმანურად განწყობილი ახალგაზრდა გმირი არ ნანობს სიკვდილს, რადგან „რადაცას ნიშნავს ასე სიკვდილიც“, რადგან კეთილი საქმე არ იკარგება ქვეყნად, იგი რჩება ადამიანებს, ძალასა და რწმენას მატებს მათ, მოუწოდებს უკეთესისაკენ, „და როგორც ტყიდან მეორე ტყეში გადააქვთ ქარებს თესლი ხეების, ასე გადადის გულიდან გულზე ჩვენი ფიქრები და სურვილები“.

ამ საყურადღებო ნაწარმოებით თ. ჭილაძემ დაამტკიცა მზარდი ოსტატობა, გამომჟღავნა პოეტური ინტუიცია და შინაგანი ექსპრესია.

ერთი რამეც აუცილებლად უნდა ითქვას. თანამედროვეობის ასახვისათუ დადებითი გმირის პრობლემის ძიებისას ჩვენი ახალგაზრდა პოეტები არ უნდა

გაიტაცოს თემის იოლი დამუშავების სურვილმა, არ უნდა შეეცადონ, რომ ასე ვთქვათ, აღიარებულ „იდეტს“ მებს ამოეფარონ და ამ გზით იფიქრონ სუსტი ნაწარმოების „გასაღება“.

დაწერო მაღაროელების გმირულ შრომაზე — კარგი საქმეა, მაგრამ არა ისე, როგორც ამას წერს ახალგაზრდა პოეტი ქალი ეთერ ჯიშკარიანი. ამ პოეტის საკმაოდ მოზრდილი და საკმაოდ სუსტი ლექსების წიგნი — „ცისფერი ტალღა“ შარშან გამოსცა გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“. პოეტი ქალი ასეთ ლექსს უძღვნის ჭიათურელ მაღაროელებს:

ხან გვიარცხნით თმებს ნიაფი,
ხან ჩაჩქანის ქული გხურავთ,
თქვენი გამრჯე ხელით ჰყავის
საყვარელი ჭიათურა.
მთები წეება, თქვენ მალღლებით,
ორბის ფრთებით სულ წინ მიხვალთ,
მაგ გაპირულ წამწამებით
ბევრ მხარგაშლელს მირჩენინხართ.

ახალგაზრდული პოეზიის ლირიკული გმირისათვის სიყვარული ყოველს შემძლე გრძნობაა და ყველა ახალგაზრდა პოეტი მთელი შესაძლებლობით უხდის მას ხარკს. სიყვარულზე ბევრი კარგი ლექსი დაიწერა, მაგრამ ამ დიდი გრძნობის გადმოცემისას უნდა ვერიდოთ იაფფასიან ცდუნებებს, საალბომო წილადობილას, ძველ და გაცვეთილ განწყობილებებს. ბათუმელი პოეტი ჯემალ ქათამაძე კი ლექსების წიგნში „ზღვა და სიყვარული“, ასე მიმართავს თავისი, ასე ვთქვათ, „ყოფილი“ სიყვარულის ობიექტს:

ჩემო ძვირფასო, იცოდე, მინდა,
რომ არასოდეს არ დამემღურო,
მე თუ იყავი აღვის ხე წმინდა,
შე—მოხვევული იმ ხეზე სტო.
და თუ გაცივდა იმ ტრფობის ალი,
ამაში შენაც მიგიძღვის ბრალი.

საბჭოთა ლიტერატურა ახალი ამოცანების წინაშე დგას, რაც ახალ მოთხოვნილებებს უყენებს განურჩევლად ყველა მის წარმომადგენელს. ამჟამად კვლავ დიდი პასუხისმგებლობა დაე-

კისრათ ჩვენს ახალგაზრდა მწერლებს-სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო და სსრ კავშირის მწერალთა კავშირი პირველად აწყობენ საბჭოთა ლიტერატურის ახალგაზრდა გმირისადმი მიძღვნილ მკითხველთა სრულიად საკავშირო კონფერენციას, რომელიც დაიწყო 28 ივნისს და გრძელდება 29 ოქტომბრამდე. დიდი პროპაგანდა გაეწევა საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებს, ახალგაზრდა გმირის პრობლემის დადებითად გადაჭრის საკითხს. ამ პერიოდში, ისე როგორც ყოველთვის, ჩვეული მონღომება და პირდაპირობა უნდა გამოიჩინონ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, ახალგაზრდებმა. შეხვედრებზე, დისპუტებზე, ლიტერატურულ საღამოებზე მათ უნდა უთხრან მწერლებს, რითი არიან კმაყოფილნი თუ უკმაყოფილონი და რას მოითხოვენ მათგან. საერთოდ, კომკავშირული ორგანიზაციების გადაუღებელი ვალია არა პერიოდულად, არამედ სისტემატურად შეახსენონ ახალგაზრდა მწერლებს ნაკისრი ტვირთის სიმძიმე და საპასუხისმგებლო მოვალეობა.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ცდილობს მეტი საქმიანი კონტაქტი და მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს ახალგაზრდა შემოქმედებთან. ცენტრალურ კომიტეტში მოწყობილ ლიტერატურულ საღამოებზე ამხანაგები პირკუთვნილად, მეგობრულად და პირდაპირ მიუთითებენ ახალგაზრდა მწერალს მიღწევებზე, ნაკლოვანებებზე, რაც დიდად ეხმარება მის შემოქმედებით ზრდას. საკავშირო კონფერენციის პერიოდში ეს საქმიანობა კიდევ უფრო მიზანსწრაფული და ნაყოფიერი გახდება. საერთოდ

კი უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები კიდევ მთელი შესაძლებლობით ვერ მუშაობენ ახალგაზრდა შემოქმედებთან, ვერ ეხმარებიან და ვერ რაზმავენ მათ. ეს ითქმის კომკავშირის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებზე, თელავისა და გორის კომკავშირულ ორგანიზაციებზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობაზე ნიკიტა ხრუშჩოვი ამბობდა: „პარტიას მიაჩნია, რომ ხელღვნება მოწოდებულია აღზარდოს ადამიანები, უპირველეს ყოვლისა, დადებითი მაგალითებით.“ ახალგაზრდა მწერლების პირდაპირი მოვალეობაა — დაეხმარონ ახალგაზრდობას, მომავალ თაობას სწორედ დადებითი მაგალითებით, ცხოვრების ღრმა ცოდნით შექმნილი ნაწარმოებებით.

ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებთა ცენტრში უნდა იდგნენ ახალგაზრდა ადამიანები, რომლებიც იქნებიან მიბაძვის, შეყვარების ღირსნი და რომელთა მაგალითითაც, როგორც საბჭოთა ეპოქის დიდმა მომღერალმა ვ. მაიაკოვსკიმ სთქვა, „შეიძლება იცხოვროს“. ამით ისინი საქმიანად დაეხმარებიან ნაცად ხელმძღვანელსა და ახალგაზრდობის უანგარო მასწავლებელს — ლენინურ კომუნისტურ პარტიას მომავალი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში. დღეისათვის ეს არის ახალგაზრდა შემოქმედთა საპატიო და გადაუღებელი ამოცანა.

ნუგზარ წერეთელი
ახალგაზრდა გმირის პრობლემა თანამედროვე ქართულ ახალგაზრდულ პოეზიაში



ღუბლირი თუ ღუბლიკატი?

...ტრაფარეტებით დამძიმებულა მისი სული. სცენაზე აღარ არის შფოთიანი, ღელვითა და ძიებით სავსე შემოქმედება, დაკარგულა ბუნებრივობა, სიწმინდე. ჩვენს წინ დგას სუსტი, უმწეო სილუეტი რომელიღაც გმირისა. უყურებთ და გიჭირთ შეიცნოთ, ვინ არის იგი, რა ზნისა და მორალის კაცია, რა ერის შვილია, ან რატომ გამოიყვანეს სცენაზე.

სცენაზე კი დადის ნიჭიერი მსახიობი. მიდიხართ მასთან, ეცნობით ახლოს და ეძებთ სიტყვებს — რა უწოდოთ მის ასეთ ბედს. გაგონდებათ სულხან-საბას სიტყვები:

„ეჰა, განიყიდა ყოველივე, განიყიდა და ვითარ განიყიდა?“

და განა ერთი „განიყიდა“? — ორივე: ნიჭიერი მსახიობიცა და მისი გმირიც. განიყიდა და მერე როგორ?! ისე უბრალოდ, თითქოსდა არაფერი მომხდარა, არც არავის სტკენია გული, არც არავინ დაფიქრებულა.

მხოლოდ მსახიობს გაუტყდა ძილი იმაზე ფიქრით, თუ როგორ გაეჭაბუკებინა მისი გმირის დაბერებული სული.

და ეს ხდება ყოველ თეატრში, ყოველ წელს!

აქ ლაპარაკია ღუბლიორებზე.

ეს არის ამჟამინდელი თეატრალური ცხოვრების ურთულესი და უაღრესად პრინციპული პრობლემა.

თეატრის ყოველი შემოქმედებითი მხარე რალაციით მაინც უკავშირდება მას. არსებითად ეს არის პრობლემების რთული კომპლექსი, რომელიც უშუალოდ ეხება აქტიორული ხელოვნების მრავალ სფეროს.

დავიწყოთ ტიპიური, თეატრალურ პრაქტიკაში მეტად გავრცელებული მაგალითით: თეატრში მივიდა ახალგაზრდა მსახიობი. მან იქ მიიტანა წრფელი გული, დიდი და ლამაზი ოცნებები. იგი ბევრ რამეს კრიტიკულად უყურებს, ზოგი რამ არ მოსწონს, ხშირად არ აკმაყოფილებს ის, რასაც იგი სცენაზე ხედავს და ეს ნიჰილიზმი როდია. ჭაბუკ ხელოვანს სურს იყოს გამორჩეული და მისაბაძი. მას დიდი შემოქმედებითი წარმატების მიღწევა სწადიან. ამგვარი წადილი ბუნებრივად არის. განა ამ დიდი რწმენით, ოცნებებით არ დაიწყო არტისტული კარიერა კაჩალოვმა და მესხიშვილმა, უშანგი ჩხეიძემ და სხვა მრავალმა სცენის დიდოსტატმა? ჰაინე მახვილგონივრულად შენიშნავდა, რომ ყოველი თაობა თავისი რელიგიით (გულისხმობს რწმენ-

ნას) გამოდის სამოღვაწეო ასპარეზზე და ისე აშენებს მომავალს. ამ რწმენის გარეშე იგი უძლური იქნებოდაო.

ჩვენ ის უნდა გავვიკვირდეს, რომ ჭაბუკ ხელოვანს იმთავითვე არ ჰქონდეს მაღალი იდეალები, მაგრამ როგორ ვაქციოთ მისი ოცნებები სინამდვილედ, რა გზებით, რა საშუალებებით შევუწყოთ ხელი? როგორ აღვზარდოთ მასში დიდი შემოქმედის თვისებები? ეს რთული პროცესია. ჭაბუკი ხელოვანის შემოქმედებითი ძიების, მისი ზრდისა და დავაყვაცების, სცენური ოსტატობის სრულყოფის ეს გზა ბევრ წინაღმდეგობებსაც ხვდება. მათ შორის ერთ-ერთი ის გახლავთ, რომ ხშირად ახალგაზრდა მსახიობები დუბლიორთა სისტემის მანკიერი მხარეების მსხვერპლი ხდებიან.

პრაქტიკულად თეატრში ასე ხდება: ახალგაზრდა მსახიობი ინიშნება სცენის რომელიმე ოსტატის დუბლიორად. რეჟისორს სურს მისცეს მას შესაძლებლობათა გამოძლეალების საშუალება. როლი საკმაოდ დიდია და რთულიც, ახალგაზრდა ხომ ნიჭიერია, საიმედოა და უნდა ვიფიქროთ, რომ ამ როლს წარმატებითაც შეასრულებს. კმაყოფილია თეატრის ხელმძღვანელობაც, რადგან ჰგონია, რომ ამით ახალგაზრდა მსახიობს დააწინაურებს. ასე რომ, ერთი შეხედვით, იურიდიული თუ ეთიკური თვალსაზრისით ყველაფერი რიგზეა.

და აი, იწყება რეპეტიციები. როგორც წესი, რეპეტიციებს პირველი შემსრულებელი გადის. ახალგაზრდა კი ჯერ მხოლოდ მეთვალყურის როლშია. იგი ერთ ხანს დადის რეპეტიციებზე და შემდეგ თავს ანებებს. ამგვარი მოქმედების მოტივი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვაა. ასეა თუ ისეა, დუბლიორის მიერ რეპეტიციებისათვის თავის დანებება ხშირი შემთხვევაა, მაგრამ ჭაბუკი იმედს არ კარგავს. აი, მალე მისი დროც მოვა. იგი დაიწყებს დაძაბულ, ინტენსიურ მუშაობას, მას უფროს მსახიობთან შეჯიბრების ფარული სურვილიც კი აქვს. ეს არის

შეჯიბრების ჯანსაღი, ბუნებრივი სურვილი. მას სჯერა, რომ გაიმარჯვებს, თუ სავსებით ვერ გაიმარჯვებს. იმდენს მაინც გააყეთებს, რომ სულ უმწეო არ გამოჩნდეს უფროსის გვერდით. ამ ილუზიებით ელის იგი რეპეტიციების დაწყებას, ელის, როდის დაუძახებენ, მაგრამ ამ ლოდინში ახლოვდება პრემიერის დღეც. ახლა მისთვის აღარავის სცალია. სიმძიმის ცენტრი ე. წ. პირველ შემადგენლობაზეა გადატანილი. გაივლის პრემიერაც და ჭაბუკს მოულოდნელად ეუბნებიან, რომ ორი დღის შემდეგ უნდა ითამაშო. იწყება მდელვარება, როლის დახეპირება, ახალგაზრდა ზედიზედ უყურებს სპექტაკლს, ცდილობს გაერკვეს მიხანსცენებში. იგი ეძებს რაღაც გზებს, რაღაც საშუალებებს (თუ როგორ საშუალებებს, ახლა ეს მისთვის სულ ერთია), რომ არ შერცხვეს, არ „ჩაეარდეს“, როგორმე ფონს გავიდეს. დგება მისი სცენაზე გამოსვლის დღეც. იხდება ფარდა და დაძაბული, განერყეული მსახიობი იწყებს როლის შესრულებას. მას უჭირს ერთბაშად გაერკვეს ყველაფერში. ამას გრძნობენ მისი მეგობრებიც, მაგრამ მთავრდება წარმოდგენა და ყველა გამარჯვებას ულოცავს. მერე გადის რამდენიმე დღე და აღარავის ახსოვს იმ როლის ბედი, იმ მსახიობის ბედი. არავინ აღარ იხედება ჭაბუკის სულში. მთავარი ისაა, რომ „გამარჯვება“ მიულოცეს, მაგრამ არავინ დაინტერესებულა, თუ რა სულიერი ძვრები განიცადა მან, როგორ მოხდა, რომ უფროსმა და გამოცდილმა ოსტატმა როლის შექმნას სამი თვე და სამოცდაათი რეპეტიცია მოანდომა, მან კი სულ ორ-სამ დღეში დაამთავრა როლის შესწავლა. არა, ახალგაზრდა მსახიობს არავითარი წარმატებისთვის არ მიუღწევია. მაშ, რატომ აქებენ, რატომ არავინ ეუბნება სამდურავს? ანდა, რატომ უნდა უთხრან ცუდი? რატომ

ვასილ კიკნაძე
დუბლიორი თუ დუბლიკატი?

არ უნდა იყოს კმაყოფილი? მან ხომ
ორ დღეში შექმნა „სახე“? მას ხომ
სპექტაკლი არ „ჩაუგდია“? უფრო მე-
ტიც, მაყურებელი მასაც იმ დროს
უკრავდა ტაშს, რა დროსაც როლის
პირველ შემსრულებელს. და განა ეს
ცოტაა „წარმატებისათვის“? საქმე
ისაა, რომ თეატრის კოლექტივმა და
მაყურებელმაც მხოლოდ ერთხელ უყუ-
რა ახალგაზრდა მსახიობს და მერე
აღარც გახსენებია იგი. ერთის შეხედ-
ვით კი, მართლაც, თითქოსდა, ყველა-
ფერი რიგზე იყო, მაგრამ სინამდვილე-
ში მოხდა ძალზე ცუდი რამ.

ნიჭიერი მსახიობი უკვე „განიყიდა და
ვითარ განიყიდა?!“

როცა ჭაბუკი სცენაზე ავიდა და
ფართო აუდიტორიის წინაშე წარსდგა,
მან თეორიულად იცოდა, რომ ვერ
გაიმეორებდა იმ საშუალებებს, რომ-
ლებსაც მისი უფროსი ამხანაგი იყენებ-
და. საამისოდ მას არც ოსტატობა
ეყოფოდა და არც რეპეტიციებზე ხან-
გრძლივი შრომით დაგროვილი „მასა-
ლა“. იგი ამას გრძნობდა და სწუხდა,
მაგრამ დუბლიორი იყო და როლის
შესრულებაზე უარს ხომ ვერ იტყოდა.
მან ისიც იცოდა, რომ სცენურ ხე-
ლოვნებაში იოლი გზებიც არსებობს.
მართალია, ასეთი გზა არ არის ნამდ-
ვილი და სწორი, მაგრამ განა მას
ცოტა ვინმესთვის მოუტანია დროები-
თი პოპულარობა? განა ცოტა გადაურ-
ჩენია საჯარო შერცხვენისაგან? ჰოდა,
ახლა მასაც არ შეუძლო სხვა გზის
არჩევა. და აი, მან ზუსტად გაიმეორა
იგი, რაც უფროსმა მსახიობმა შექმნა.
მის მიერ მიკვლეული და ნაცადი სა-
შუალებები თავისთავზე მოირგო. მოე-
ქცა რა ოსტატის მიერ შექმნილი სახის
„მოდელში“, ახალგაზრდამ დაკარგა
პირადი ინიციატივა, დაკარგა სიახლის
გრძნობა, ორიგინალობა. „მოდელი“ კი
არც თუ ისე ცუდად გაიმეორა.

ამგვარი „წარმატების“ გამო მას
აწინაურებენ. ზედიზედ ნიშნავენ დუბ-
ლიორად, მოუშადადებელი შეპყავთ
სპექტაკლებში. ახალგაზრდა ერთხელ
დადგენილი ხერხებით, გაძლიერებული

აქტიორული მანიპულაციებით ასრუ-
ლებს როლებს. იგი ოსტატურად ეუფ-
ლება მაყურებლის „მოხიბვის“ ტექ-
ნიკას. მან უკვე იცის, როგორ გააცი-
ნოს ან აატიროს აუდიტორია. გადინ
წლები და მას შენიშვნის მიცემასაც
ვეღარ უბედავენ. იგი ოცნებობდა წარ-
მატებებზე, ჰქონდა მაღალი იდეალები
და აკი აღასრულა კიდევ. მერედა,
რა რთული ეჩვენებოდა ყოველივე ეს
და თურმე რა ადვილი ყოფილა. საკ-
მარისია მხოლოდ რაღაც მიბაძვისათუ
იმიტაციის ნიჭი და ყველაფერი კარ-
გად იქნება. მას აღარც აინტერესებს
გულდინჯი, მომქანცველი, მაგრამ შე-
მართებული, კეთილშობილი და აუცი-
ლებელი შრომა... მან ხომ ამის გარე-
შეც მიაღწია „წარმატებას“? და აი,
პროფესიონალი ხდება დილეტანტი.
მაყურებელი მალე ეჩვევა მის „წარმა-
ტებებს“. იგი მოითხოვს ნამდვილს,
მართალს, ამალეებულ ხელოვნებას.
ამის გაკეთება კი მსახიობს უკვე აღარ
შეუძლია. გადის დრო და მას მთავარ
როლებს აღარ აძლევენ. ამის გამო
ჰგონია, რომ ვიღაცა სდევნის, ხელს
უშლის.

და ასე იწყება ღრმა ადამიანური
ტრაგედია ოდესღაც ნიჭიერი მსახიო-
ბისა...

აღარავის ახსოვს, რომ ეს ტრაგედია
დაიწყო მაშინ, იმ დღეს, როცა ჭაბუკი
ურეპეტიციოდ გამოიყვანეს სცენაზე,
როცა მან გამოამყვანა მიბაძვის უნარი.

ამგვარ მოვლენებს თავის დროზე
მიაქციეს ყურადღება ილიამ და აკაკიმ.

ილია ამ ოთხმოცი წლის წინათ ნი-
ჭიერი მსახიობის აწყურელის შესახებ
წერდა: „ბ-ნი აწყურელი უეჭველი ნი-
ჭია- მას იმოღვანა ნიჭი აქვს, ჩვენის
ფიქრით, რომ შეუძლიან თავისებურე-
ბა გამოიჩინოს; თვით მყოფი არტის-
ტობა გასწიოს. სამწუხაროდ ჩვენდა,
თავის ნიჭსა ბაძვაზედ ჰხარჯავს, იგი
მარტო იმას სცდილობს, რომ სხვას
ემსგავსოს და არა თავის თავსა. ბ-ნ
აწყურელს რომ უყურებთ, გეგონებათ
ბ-ნ აბაშიძის ტყუპსა ხედავთო. ეს მით
უფრო სამწუხაროა, რომ ბ-ნს აწყუ-

რელს სათავისთაო ნიჭი აქვს. შეუძლია თვით — შექმნას სხვისთვის მაგალითად და საბაძავად და ის კი თვითონ ბაძავს სხვას! რომ ეს მართალია, ცხადად დაგვანახა მან უკანასკნელ მოქმედებაში“.

აკაკი წერეთელი დუბლიორის მიერ მიბაძვით შექმნილ სახეს „კობიოს“ უწოდებს. ჩვენ ძალიან საინტერესოდ, აქტიუალურ განმარტებად მიგვანჩნია აკაკის აზრი ორიგინალისა და „კობიოს“ ურთიერთობის შესახებ. მწერალი ნათელი საილუსტრაციო მასალით ცხადპყოფს, თუ რაოდენ კარგია ერთი, და ცუდი—მეორე. მაყურებელი აქტიური წევრია, თანაშემოქმედია სპექტაკლისა და გასაგებია, თუ რა დიდია მისი როლიც მსახიობის სწორად აღზრდაში. მარტო თეატრი როდი ზრდის მაყურებელს, ეს უკანასკნელიც მოქმედებს მასზე, და ამას საგანგებო მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამ საკითხებზე წერს აკაკი: „კრეჩინსკის ქორწინებაში რუხის მსახიობმა სადოვსკიმ შექმნა რასპლიუფვის როლი. იმავე დროს, მეორე არტისტიც; იმავე როლს ისე თამაშობდა, რომ ძნელი გასარჩევი იყო სადოვსკში, თუმცა ის მარტო მხოლოდ ჰბაძავდა პირველს“. და შემდეგ: „ვისაც დედანი (ორიგინალი) არ უნახავს, იმას ხშირად პირი (კობიო) ნამდვილი ჰგონია და სტყუვდება. ვისაც ნამდვილი არტისტი არ უნახავს განმახორციელებული ამა თუ იმ როლისა, რომელიმე პიესაში, იმას, რასაკვირველია, მისი წამხედურა — მსახიობიც დიდ ვინმედ მოეჩვენება“.

დუბლიორის სცენაზე მოულოდნელ გამოჩენას მრავალი მიზეზი აქვს. ერთერთი ისიც ვახლავთ, რომ მსახიობის ავადმყოფობის შემთხვევაში საჭიროა მისი შემცვლელის შერჩევა. მოულოდნელობისაგან კი არავინ არ არის დაზღვეული. ასე მოხდა „ყაჩაღების“ პრემიერაზეც. ეს იყო ამ ოცდაათი წლის წინათ. ს. ახმეტელი ამ შემთხვევას ასე იგონებს: „შვაიცერის როლის შემსრულებელმა ჩვენმა ძვირფასმა და საყვარელმა მსახიობმა ელგაუვა ლორთქი-

ვანიძემ თვითმკვლელობის სცენაში, ტრამპლინიდან ძირს გადმოხტომისას ფეხი მოიტეხა.. მეორე დღეს კი პრემიერა უნდა წასულიყო. საჭირო იყო დაუყოვნებლივ შეგვეცვალა, შვაიცერს დუბლიორი არ ჰყავდა. გამოვიძახეთ ახალგაზრდა მსახიობი ი. ლალიძე და შევთავაზეთ დაუყოვნებლივ შედგომოდა როლის შესწავლას. პირველი საათიდან რვისნახევარამდე რეპეტიციას ვატარებდი. ცხრისნახევარზე სპექტაკლი დავიწყეთ. ეს სპექტაკლი იშვა ტრაგედიაში. უნდა ითქვას, მთელ დასს (იგი ცოტა უცნაურია), უყვართ ერთმანეთი და მცირეოდენი უბედურება საკმარისია, სპექტაკლი გადაიქცეს სამგლოვიარო შეკრებად და როდესაც კოლექტივის უსაყვარლესი მსახიობი საავადმყოფოში იწვა, არ ვიცოდით, რა იყო იმის თავს და საპირფარეშოებში მსახიობები სცენაზე გამოსვლის წინ ქვითინებდნენ. ეს იყო მწუხრის სპექტაკლი, ამ სპექტაკლში ჩვენ შეგვკრა და შეგვადლდა შინაგანმა, გარეგანმა და შემოქმედებითმა ტრადედიამ“...

ახალგაზრდა მსახიობ ლალიძესთან ს. ახმეტელს ექვსი საათი უმუშავია. სარეპეტიციო დღეებში წერია, თუ როგორი გულმოდგინებით, ფრთხილად ეხმარებოდა მას ახმეტელი. რეჟისორმა იცოდა სპექტაკლში მოუშუადებელი მსახიობის სახელდახელოდ გამოყვანის მთელი სირთულე და ამიტომ მან ახალგაზრდა ხელოვანი ბედის ამარა როდი მიატოვა. პრემიერის შემდეგ ახმეტელმა განაგრძო ი. ლალიძესთან მუშაობა. მსახიობს მისცა საშუალება, ეძია როლის ახალი ნიუანსები და ფერები, გაემდიდრებინა იგი ახალი დეტალებით. სამწუხაროდ, ახლა იშვიათად ხდება ამგვარი რამ. სპექტაკლში მოულოდნელად „შექრილი“ მსახიობი, როგორც კი წარმოდგენას „გადაარჩენს“, შემდეგ უყურადღებოდ რჩება. მაგალითები ბევრია, სამწუხაროდ, ძალზე ბევრი. ვანა ასე არ მოხდა, როცა ზ. კვერენჩილაძე,

ვასილ კიკნაძე

დუბლიორი თუ დუბლიკატი?

ეს ხალასი ნიჭისა და წრფელი განცდის მსახიობი, მოულოდნელად შეიყვანეს „წვიმის გამყიდველში“ (რეჟისორი ბადრი კობახიძე). ს. ყანჩელის უეცარმა ავადმყოფობამ თეატრი აიძულა ეს ნაბიჯი გადაედგა და ეს სავსებით გასაგებია, მაგრამ რა დააშავა კვერენჩილაძემ? რატომ მიატოვეს იგი, რატომ არავინ განაგრძო მასთან მუშაობა? მან „იხსნა“ სპექტაკლი და თეატრი, მაგრამ თვითონ კი „ჩავარდა“. ასე მოხდა მარჯანიშვილის თეატრშიც: ივლითის როლის შემსრულებელი ვ. ანჯაფარიძე საქართველოში არ იყო. თეატრს ტრადიციულად „ურიელ აკოსტა“ უნდა წარმოედგინა. ამ დროს თეატრში ახალი მოსული იყო დ. ჭიჭინაძე. მას სცენაზე ფეხი ჯერ არ დაედგა, მაგრამ უცებ ივლითის როლის შესრულება „დაავალეს“. მსახიობმა სახელდახელოდ მოამზადა როლი და ისე „შეიპრა“ სპექტაკლის სამყაროში. სპექტაკლმა ნორმალურად (როგორც ამას თეატრში ამბობენ ხოლმე) ჩაიარა. ნორმალურადო ვამბობ, მაგრამ არსებითად ეს იყო სრულიად არაბუნებრივი მოვლენა. ტრადიციას შეეწირა ახალგაზრდა მსახიობის პირველი შემოქმედებითი ნაბიჯი. ამგვარი ფაქტები ხშირია თანამედროვე ქართულ (და არა მარტო ქართულ) თეატრალურ პრაქტიკაში.

თეატრის მესვეურები ზოგჯერ ამ მცდარი ტენდენციის გამამართლებელ მიზეზებსაც კი ეძებენ. ხშირად იგონებენ უ. ჩხეიძის მიერ შესრულებულ ყვარყვარე თუთაბერს. და ეს მაშინ, როცა ყვარყვარეს როლის წარმატებით შესრულება სულ სხვა შინაგანი შემოქმედებითი ფაქტორებით განისაზღვრა. უ. ჩხეიძეს მოულოდნელად მოუხდა ყვარყვარეს როლის თამაში, მაგრამ სახის შექმნის პროცესი მან უფრო ადრე დაიწყო. მას დიდხანს აწუხებდა ნაკარქექიას ნიღაბი. იგი წლების მანძილზე ეძებდა გარკვეული სიტუაციების გამო ცხოვრების ზედაპირზე წამოტივტივებული გმირის ხასიათს, აკვირდებოდა, სწავლობდა მის თავისებურებას. ასე რომ, უ. ჩხეიძე შინაგანად,

ფსიქოლოგიურად მზად იყო ყვარყვარეს როლის სათამაშოდ.

მსახიობის სულში დიდხანს მწვდურდა და მკვიდრდებოდა ცხოვრების დაკვირვებით შექმნილი შთაბეჭდილებანი, მიმდინარეობს ღრმა, ფარული ფსიქოლოგიური პროცესები და იგი უკვალოდ როდი ქრება. ერთმა ბრძენმა კაცმა კარგად სთქვა: საშინელია მსახიობის პროფესია, იგი სულში ათას ნიღაბს ატარებსო. ვ. გუგუნიანი შენიშნავდა: „როგორც მწერლის გონებაში წერის დროს იბადება ჯერ რაიმე თესლი, მერე ის თესლი იხსნება და თანდათანობით განვითარებაში შედის და ბოლოს სრულიად იღებს რომელსამე სრულ სახეს და ცხოველდება, ასევე ხდება აქტიორის გონებაშიც და არა თუ მარტო მის გონებაში, არამედ თვით მის ბუნებაშიც“.

ხელოვნება ვერ იტანს დუბლირებას. თეატრალურ პრაქტიკაში კი ყველაზე გავრცელებული სიტყვა არის „დუბლიორი“. როგორ უნდა გავიგოთ ეს? ხომ არ არის იგი ხელოვნების მაღალი პრინციპების საწინააღმდეგო მოვლენა? რა თქმა უნდა, არა. დუბლიორი თეატრში შემცვლელს ნიშნავს და არა მხატვრული სახის კოპირებას. სამწუხაროდ, როგორც პრაქტიკამ დაგვანახა, ხშირად საწინააღმდეგო მოვლენებსაც ვხვდებით. ეს არის დუბლიორთა სისტემის მანკიერი მხარე. ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე ტიპური შემთხვევა უკვე გავიხსენეთ.

იმ დროს, როცა სპექტაკლში დუბლიორი შედის, წარმოდგენის ხასიათი, მისი სტილი და თავისებურება უკვე დადგენილია. ჩვენ წინ არის დამთავრებული მხატვრული ნაწარმოები. მას აქვს თავისი რეჟისორული გადაწყვეტა, შექმნილია აქტიორული ანსამბლი. გარკვეულია და მკაცრად განსაზღვრული ყოველი მსახიობის ადგილი. ერთი სიტყვით, სპექტაკლი დაიბადა ისე, რომ დუბლიორის მასში მონაწილეობა არ მიუღია. და აი, ამ რთულ, უკვე ჩამოყალიბებული ხასიათის მქონე სპექტაკლში შედის ახალი მსახიობი. იგი არღ-

ვევს რთულ მხატვრულ ქსოვილს, სპექტაკლის შინაგან მხატვრულ წყობას და ქმნის ახალს. ეს არის მეტად რთული პროცესი. ხდება ისე, რომ დუბლიორი ცვლის სპექტაკლის სტილს, მაგრამ ვერ ქმნის ახალ მხატვრულ სინამდვილეს. ასეთ შემთხვევაში წარმოდგენა ვერ ეგუება ერთი კაცის (ე. ი. დუბლიორის) მიერ შეთავაზებულ გააზრებას. მსახიობებს შორის ჩნდება შინაგანი, ხშირად ფარული კონფლიქტი. განა ასე არ მოხდა სპექტაკლში — „როცა ასეთი სიყვარულია“? მ. თუმანიშვილის მიერ დადგმული ამ პოეტური და ამბლენ-ბული (მე ვიტყვოდი, რომანტიკული) სპექტაკლის მხატვრულ გადაწყვეტას, მის კომპოზიციურ წყობასა და ემოციურ ტონალობას საფუძვლად ედო ს. ზაქარიაძის „კაცი მანტიით“. აქ დაძაბული ემოცია შეთავსებული იყო გმირების ინტელექტუალურ ცხოვრებასთან, მათი მოქმედების რიტმთან. არც ერთი მსახიობი არ ეთიშებოდა ანსამბლს. სპექტაკლის წარმატებაც დიდი იყო. მაგრამ სპექტაკლი სრულიად მოულოდნელად „დაბერდა“, დაკარგა მყუდრობე. რა მოხდა? თითქოს არაფერი. სერგო ზაქარიაძე შეცვალა გ. გეგეჭკორმა. გ. გეგეჭკორი გამოცდილი, ნიჭიერი მსახიობია და ამიტომ უნდა გვეფიქრა, რომ სპექტაკლში მის მონაწილეობას მხოლოდ სარგებლობა უნდა მოეტანა, მაგრამ მოხდა სრულიად საწინააღმდეგო და ამას ჰქონდა თავისი ლოგიკა. გ. გეგეჭკორმა, თავის მხრივ, ცუდად როდი შესარულა როლი. სხვა შემთხვევაში ასეთი შესრულება კარგიც კი იქნებოდა, მაგრამ ახლა სპექტაკლისათვის იგი საზიანო აღმოჩნდა. მან თავისი აქტიორული მანერა, როლის გააზრება და შესრულების სტილი წარმოდგენას დაუპირისპირა. იგი არ ეგუებოდა სპექტაკლის ბუნებას და ამიტომ ანსამბლს გამოეთიშა. გ. გეგეჭკორის გმირი ცვი გონების მქონე, მკაცრი ადამიანი იყო. იგი გულდნეჯად განმარტავდა გმირთა ურთიერთობის ხასიათს, მათ ნაკლსა და ღირსებას. ყველა დანარჩენი მსახიობი კი რო-

ლებს „ძველებურად“ თამაშობდა, ასრულებდა ისე, როგორც პრემიერაზე დაირღვა ანსამბლი, თანდათან მოდუნდნენ, მოეშვენნენ მსახიობები, დაიწყეს ემოციების გათამაშება და სპექტაკლს ბუნებრივი სახე დაუკარგეს.

სახის ახლებური განმარტება სპექტაკლის საერთო სტილს უნდა შეეფერებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მთავარი გმირის კონფლიქტი ანსამბლთან აუცილებელია.

ქართულ თეატრში ამ ბოლო დროს ბევრმა დუბლიორმა მიაღწია წარმატებას. გავიხსენოთ თუნდაც „ოიდიპოს მეფე“ რუსთაველის თეატრში. ოიდიპოსის როლს ოთხი მსახიობი ასრულებდა: ა. ხორავა, ს. ზაქარიაძე, ა. ვასაძე და ე. მანჯგალაძე. ყოველმა მათგანმა დამოუკიდებლად შექმნა ოიდიპოსის სახე. ხორავას ოიდიპოსი მონუმენტური, თავის ძალაში დაჯერებული მეფე იყო. ს. ზაქარიაძემ თავისი გმირის სულიერ სიღიადეს ღრმა ფსიქოლოგიური საფუძვლებიც მოუძებნა. მან გვიჩვენა გმირულისა და ფსიქოლოგიულის „თანაარსებობის“ კარგი მაგალითი. ლირიკული ნაკადი სჭარბობდა ე. მანჯგალაძის ოიდიპოსში, ხოლო ა. ვასაძის გმირი ყველა მათგანისგან განსხვავდებოდა.

ამრიგად, ჩვენ „ოიდიპოს მეფის“ ოთხი შემსრულებლისაგან მივიღეთ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, ოთხი თვითმყოფი სახე.

დიდი ხანია დავობენ ამბლუას შესახებ. ახლა ძნელი დასადგენია, თუ როდის დაიწყო ეს დავა.

აქ ერთმანეთს დაუპირდაპირდა ორი თვალსაზრისი. ერთის მიხედვით, მსახიობისათვის ამბლუა აუცილებელია, მეორე თვალსაზრისი კი ამას კატეგორიულად უარყოფს. ერთის შეხედვით, აქ სადავო არაფერი არ არის. ორივე თვალსაზრისს პრაქტიკული გამართლება აქვს. ჩვენ ახლა რამდენიც არ უნდა ვიდავოთ, რომელ თვალსაზრისსაც არ

ვასილ კიკნაძე

დუბლიორი თუ დუბლიკატი?

უნდა დაფუჭიროთ მხარი, ამით მაინც არაფერი შეიცვლება. თეატრალური სინამდვილე ყოველდღიურად ქმნის ორივე თვალსაზრისის დამამტკიცებელ მოვლენებს. თეატრში სეზონი ისე არ გავა, რომ კომედიური ამპლუას ერთმა მსახიობმა მაინც არ ითამაშოს დრამატული ხასიათის როლი. ასეთი ძიებები წარმატებით არაერთხელ დამთავრებულა. ზოგჯერ ისიც ხდება, რომ მსახიობი ათეული წლობით მხოლოდ ერთი პლანის როლებს ასრულებს, მერე, რაღაც შემთხვევის გამო, მიიღებს სხვაგვარ როლს და უცებ ავლენს ახალ აქტიორულ შესაძლებლობას. თურმე სწორედ ეს „შემთხვევით მიღებული“ როლი ყოფილა მისი სტიქია.

იცოდა რა ბევრი ამგვარი ფაქტი, კ. მესხი ფიქრობდა, რომ ამპლუა ბორკავს მსახიობს, ხელს უწყობს მის დაშტამპვას. „აქტიორმა, — წერდა იგი, — ყველა როლი უნდა ითამაშოს, გუშინ სხვა იყავი და დღეს კი სხვა უნდა იყო. აი მაშინ გამოჩნდება შენი ნიჭი“. ამ რწმენას არ ღალატობდა იგი თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში. მაგრამ, როგორც ირკვევა, კ. მესხმა, მიუხედავად იმისა, რომ იგი საოცრად შრომისმოყვარე იყო, არასწორად წარმართა თავისი ნიჭი. „კოტე მესხი, — წერდა ი. ზურაბიშვილი, — მოწოდებით პირველხარისხოვანი არტისტი იყო, ხოლო შემოქმედებით იგი არ ამართლებდა ამ საზომს. რატომ? იმიტომ, რომ თავიდანვე ამპლუა თავისი ნიჭის შეუფერებელი აირჩია. ჩემი ღრმა რწმენით და დაკვირვებით — კოტე წმინდა კომიკი იყო, ის კი უპირატესად დრამატულ და ტრაგიკულ როლებს ეტანებოდა“.

კ. მესხი მაინც განსაზღვრული ამპლუას მსახიობი ყოფილა. მას არ ჰქონდა ისეთი ფართო აქტიორული დიაპაზონი, სადაც ასე ბუნებრივად ერწყმის ერთმანეთს კომიკური და ტრაგიკული. ამ შემთხვევაში ჩვენ ამპლუას ხელოვნურ უარყოფასთან გვაქვს საქმე.

სულ სხვა ხასიათის მსახიობი იყო უ. ჩხეიძე. ძნელია გარკვევით ითქვას, თუ რა იყო მასში უფრო ძლიერი,

კომედიური თუ დრამატული საწყისი. მან ხომ ერთნაირი შთაბეჭდილება შექმნა ჰამლეტისა და ყვარყვარეს სხეულები?!

უშანგი ჩხეიძე ფართო დიაპაზონის მსახიობი იყო და ვერ თავსდებოდა ამპლუას არტახეზში.

ამპლუას საკითხზე იმიტომ შევჩერდით, რომ მას უშუალო კავშირი აქვს ჩვენს თემასთან. მსახიობის მხატვრული დიაპაზონის გასაფართოებლად, მისი სცენური საშუალებების გასამდიდრებლად და გადასახალისებლად დუბლიორი უნდა გამოვცადოთ. ექსპერიმენტი შეიძლება მეტად საჭირო და გონივრული აღმოჩნდეს. ოღონდ რეჟისორი საგანგებო ყურადღებით უნდა მოეკიდოს დუბლიორს, დაუნიშნოს მას დამატებითი რეპეტიციები, მსახიობთან იმუშაოს ფრთხილად და გულმოდგინედ.

ამგვარი ექსპერიმენტების მიზანი ის გახლავთ, რომ გარკვეული ამპლუას მსახიობში მოინახოს ახალი, მანამდე გამოუვლინებელი თვისებები (მაგალითად, კომედიური პლანის მსახიობში დრამატული განცდის უნარი ან პირიქით და ა. შ.).

დუბლიორთან ასე მუშაობა უფრო საინტერესოც არის და სასურველიც.

სინამდვილეში კი დუბლიორს იმისდამიხედვით შეარჩევენ ხოლმე, თუ როგორია ძირითადი შემსრულებელი. არ ითვალისწინებენ დუბლიორის თამაშის სტილს, მის აქტიორულ თავისებურებას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ დუბლიორი იმთავითვე მორჩილად უნდა გაჰყვეს ძირითად შემსრულებელს, მას უნდა შეუფარდოს თავისი თამაშის სტილი. მე იშვიათად მინახავს, რომ დუბლიორებად სრულიად განსხვავებული ხასიათის მსახიობებს აწყვილებდნენ და ამით მსახიობისა თუ დუბლიორის ინდივიდუალურ თვისებებს მეტ გასაქანს აძლევდნენ.

ჩვენ ახლა გვიჭირს დავასახელოთ დუბლიორთან ამგვარი დამოკიდებულებისა და ექსპერიმენტული ხასიათის ძიების ორიოდვე შემთხვევაც კი. და ეს

მაშინ, როცა მსახიობის ბუნება, მისი რთული ფსიქოლოგიური სამყარო დიდხანს ფარულად ინახავს ათასგვარ შესაძლებლობებს. იგი ზოგჯერ თვლემს და ელის იმ იმპულსს, იმ სტიმულს, რომელიც მას მოქმედებაში მოიყვანს. მსახიობისათვის ასეთი სტიმულის მიძეგმი რეჟისორია.

დუბლიორები ხშირად რეჟონიორები ხდებიან, შემდეგ კი დილექტანტებიც. ახალგაზრდა მსახიობებს უყვართ ე. წ. „ღია ცისფერი“ როლები. განსაკუთრებით იგი უყვართ კარგი გარეგნობის მქონე ახალგაზრდებს. ამ ტენდენციას ხშირად ხელს უწყობს დუბლიორთა შერჩევის მანკიერი პრაქტიკაც. რაკი მსახიობს აქვს ბუნებრივი მონაცემი, არის ტანადი, ლამაზი, ამიტომ თითქოს მისი წარმატებაც გარანტირებულია. მისთვის საკმარისია მხოლოდ დაიზებინოს ტექსტი, ჩაერთოს სპექტაკლის მიზანსცენებში. წარმოიდგინეთ, რომ ამგვარი წარმატების მსურველიც ბევრია და მხარდამჭერიც. ჩვენ ასეთი „წარმატება“ სამსახიობო ხელოვნების ძირითადი პრინციპების საწინააღმდეგო მოვლენად მიგვაჩნია. ნუ დავმალავთ და პირდაპირ ვთქვათ: ვანა ჩვენს თეატრალურ პრაქტიკაში არ შეიმჩნევა ღრმა, გამოკვეთილ ხასიათზე უარისთქმის ტენდენცია? რატომ არის რომ, ბოლო წლებში სცენაზე ხშირად ვხედავთ ისეთ სპექტაკლებს, სადაც პრინციპულად უარყოფილია გარდასახვის მომენტი? ეს იმიტომ რამ, ახალგაზრდა მსახიობთა ნაწილმა მეტად იოლი და მომგებიანი გზა აირჩია ხელოვნებაში. ისინი თავიანთი ჩვეულებრივი კოსტუმებით გამოდიან სცენაზე, არ იკეთებენ გრიმს, არ ეძებენ როლის შინაგანი ბუნების გამომატველ მახვილსა და მკაფიო სცენურ ფორმებს, მის ინდივიდუალურ ნიშნებს, უცვლელად ტოვებენ თავიანთ ინტონაციებს, საუბრის მანერას, ვითოჟდა სიმართლის გადმოსაცემად ლაპარაკობენ ხმადაბლა, ჩურჩულით. გამომუშავებული აქვთ ჩურჩულის შესატყვისი მოძრაობის მანერები.

სინამდვილის ამგვარი გადმოცემა თეატრში კარს უხშობს ამალღებულსა და პოეტურ შემოქმედებას. იგი აკნინებს მსახიობის ოსტატობას, ნერგავს მონოტონურსა და ერთფეროვან განწყობას.

გავისენოთ ლეონარდო და ვინჩის სიტყვები: „არც დიდი მოძრაობა ვარც პატარა გრძნობის გამოსახატავად და არც პატარა მოძრაობა გამოდგება დიდი გრძნობის გადმოსაცემად“. სცენაზე ჩვენ ხშირად დიდი გრძნობის „პატარა მოძრაობით“ გამოსატყვის ცდას ვხედავთ. დაჩავების, მოვლენების მკვეთრი ლოკალიზების, მასშტაბების შემცირების ტენდენცია განზოგადების უძთავრესი პრინციპების უარყოჟამდეც კი მიგვიყვანს.

„სცადეთ, — წერდა დიდრო, — გადაიტანეთ სცენაზე თქვენი ჩვეულებრივი ცხოვრების ტონი, თქვენი უბრალო ლაპარაკი, ოჯახური მანერები, ჩვეულებრივი უესტები და თქვენ მაშინვე იგრძნობთ თქვენს უსუსურობას, მაშინვე დაინახავთ თქვენს სისუსტეს. ტყუილად დაღვრით ცრემლებს. თქვენ სასაცილო იქნებით. ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენთ. ეს ტრაგედია კი არ იქნება, არამედ ბაროღია ტრაგედიაზე. თქვენ გგონიათ კორნელის, ვოლტერის, შექსპირის სცენების გადმოსცემა შესაძლებელია თქვენი ჩვეულებრივი ლაპარაკით და იმ ტონით, რა ტონითაც ლაპარაკობთ თქვენს სახლში? არა, ეს ისევე არ შეიძლება, როგორც არ შეიძლება თქვენი რომელიმე ოჯახური ამბავი გადმოსცეთ თეატრალური პათოსით და თეატრალური აფექტაციით“.

სცენური სიმართლე ჩვეულებრივი ყოფის სიმართლისაგან რომ არ განსხვავდებოდეს, მაშინ თეატრიც არ იქნებოდა საჭირო. ერთია სიმართლე ცხოვრებისა და მეორე — თეატრისა. შესაძლოა, უხერხულიც კია ამ ანბანური ჭეშმარიტების გამეორება, მაგ-

ვასილ კიკნაძე

დუბლიორი თუ დუბლიკატი?

რამ თეატრალურ პრაქტიკაში ამ ჭეშმარიტებას ხშირად ივიწყებენ. ამიტომ უნდა გავიხსენოთ, რომ „მსახიობი უნდა კვდებოდეს სცენაზე ისე, როგორც ძველი გლადიატორი არენაზე, ტაშის გრიალსკვეშ, ღამაზად და კეთილშობილად, ცხოველმყოფელ და მხატვრულ პოზაში“. თუ გმირის სიკვდილი მანუარებელზე რაიმე ესთეტიკურ ზემოქმედებას არ ახდენს, ისე ამ სცენური სიკვდილის ყურება შეუძლებელია კი იქნებოდა.

მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შექსპირის სამეფო თეატრის მსახიობის სკოფილდის მიერ განსახიერებულმა მეფე ლირის „სცენურმა სიკვდილმა“.

მწუხარებისაგან დაღლილი მოკვდა ლირი. იგი მშვიდად, კეთილი მოხუცის ნათელი სახით მიესვენა კორდელიას გვერდით, საყვარელი შეილის ალერსში დალია სული. ეს ოდესღაც დესპოტი მეფე გარდაქმნილი იყო, რაღაც განსაკუთრებული სინაზეც კი ახასიათებდა მას და ახლა ცხოვრებით მოღლილი მოხუცი ესვენა ჩვენ წინ.

ამ დიდებულ მოხუცს საოცრად შევნოდა სიკვდილი.

ასეთი იყო პოლ სკოფილდის ლირი. მსახიობმა ისეთი განწყობა შექმნა, რომ მაყურებელს ცრემლი კი არ მოგვარა, არამედ ერთგვარი შვებაც კი აგრძნობინა. გეგონებოდათ, მოხუცმა სწორედ სიკვდილით ჰპოვა ადამიანური თავისუფლება და გადაუტყრელ სოციალურ კონფლიქტებს თავი დააღწია. მკაცრი იყო მთელი მისი ცხოვრების გზა და ასევე მკაცრად დასრულდა იგი. მსახიობმა შეცვალა ათასობით მაყურებლის ტრადიციული შეხედულება „ლირზე“ და ახლებურად გახსნა შექსპირის გმირის სახე.

საგანგებოდ შევჩერდით რეზონანსობისა და ცხოვრების ასლისებური სიზუსტით გადმოტანის ტენდენციაზე, რაც მეტად სახიფათო ტენდენციად მიგვაჩნია. საჭიროა ვებრძოლოთ მას და ამ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა

აქვს დუბლიორთა სისტემის მანუალო მხარეების გამოსწორებასაც.

თეატრი რთული ორგანიზმია. მის მესვეურებს დიდი ტაქტი და გამჭრიახობა უნდა ჰქონდეთ. არ შეიძლება თეატრში არსებობდეს დუბლიორების ცალკე „კოლონია“. ბევრი მსახიობი წლების მანძილზე უმთავრესად დუბლიორი იყო. სწორედ ამის გამო შეიქმნა რაღაც ცალკე კასტა. თეატრი თითქოს ორ ფენად იყოფა. როლების ძირითადი შემსრულებლები (ეს „ა“ კლასის ჯგუფი გახლავთ!) და დუბლიორები (ეს „ბ“ კლასის გახლავთ!). ასე გეგონებთ, თითქოს ფეხბურთის სისტემის მაგიური ძალა თეატრალურ პრაქტიკაშიაც შეიჭრა. და ყველაფერი ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენს თეატრში დუბლიორებს ქედმაღლურად, არასერიოზულად ეკიდებიან. სწორედ ასეთი „სისტემა“ იწვევს ზოგჯერ იმასაც, რომ თეატრში არაჯანსაღი ატმოსფერო იქმნება. დუბლიორთა სისტემა მხოლოდ მსახიობთა ფორმალური „დატვირთვის“ გამო როდი დაინერგა.

რა თქმა უნდა, თეატრში მუდამ იქნებიან უფრო ნიჭიერი და პატარა შესაძლებლობის მქონე მსახიობები. ასეთი ბუნებრივი დიფერენცირება სავსებით გასაგებია და ახლა ჩვენ მათ შესახებ როდი ვლაპარაკობთ. საქმე ეხება დუბლიორთა გამოყენების პრინციპულ მხარეს. ნუ გადავავაჭყევთ დუბლიორს დუბლიკატად, ნუ გამოვთიშავთ მას თეატრის ერთიანი, მთავარი შემოქმედებითი პროცესიდან, ნუ გადავიყვანთ მას თეატრის მხატვრული ცხოვრების პერიფერიაში, ნუ დავაკანონებთ, რომ თითქოს ერთნი მხოლოდ დუბლიორებად იბადებიან და მეორენი როლის ძირითად შემსრულებლებად. გაბედულად, ჭეშმარიტი ნოვატორული გზებით უნდა ვეძებოთ ახალი აქტიური ძალები, საცხებით უნდა მოვისინჯოთ მათი შესაძლებლობის ყოველი მხარე.



ცნობილ ქართველ მწერალს გრიგოლ აბაშიძეს შესურულდა დაბადებიდან 50 წელი. ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია ულოცავს საყვარელ მწერალს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს ხანგრძლივ და ნაყოფიერ შემოქმედებით ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

„ზარზმის ზმანება“

ქართული საბჭოთა ებოსის აღორძინებასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს გრიგოლ აბაშიძის პოემებმა.

იდეისა და თემის აქტუალობა, თხრობის დახვეწილი ოსტატობა, ყოფითი დეტალების ხატვის კარგი უნარი, საინტერესო და დაძაბული სიუჟეტი, ღრმა კომპოზიციური ალღო, სისადავე და ხალხურობა, — აი ის, რაც გრიგოლ აბაშიძეს აკავშირებს ქართულ კლასიკურ ეპოსთან.

სამაშულო ომის მძიმე წლებში საბჭოთა კავშირის ლიტერატურის წინაშე დადგა რთული და საპატიო ამოცანა — შემოენახათ მომავალი თაობებისათვის ისტორიული სიმართლით ასახული ნათელი სურათები საბჭოთა ადამიანების უმაღალითო გმირობისა და ვაჟკაცობისა, მაღალი პატრიოტიზმისა. რევოლუციის მონაპოვრის შენარჩუნებისათვის თავდადებული ბრძოლისა.

გრიგოლ აბაშიძემ პოემაში „ზარზმის ზმანება“ მიაგნო თავისებურ სიუჟეტს, რითაც თემას სიახლის იერი მიანიჭა.

„ზარზმის ზმანება“ გამოქვეყნდა 1946 წელს. ომი დამთავრებული იყო. საბჭოთა ხალხმა ძლევამოსილი გამარჯვება მოიპოვა პიტლერელ დამპყრობ-

ლებზე, მაგრამ ომით გამოწვეული მძიმე ტკივილი ჯერ კიდევ არ იყო მიყუჩებული. ბევრი ოჯახის ჰერქვეშ ბუღობდა სიკვდილის აჩრდილი და გაუნელებელი დარდი დაკარგულ ძმაზე, მამაზე, შვილზე, ქმარზე, სატრფოზე...

პოემა იწყება მიტოვებული, დაცარიელებული სოფლის აღწერით.

ომგადახდილი გოლეთანნი მშობლიურ სოფელს უბრუნდება. სოფელი ცარიელია, არც ერთი საკვამურიდან ბოლი არ ამოდის, შარაზე მოლი წამოზრდილა და გზას მომცდარი ყანა მისდევს. ახოებს შამბი შემოხვევია, მიდამო ნასაყდრაღივით დღმს.

მკითხველს გოლეთანთან ერთად იპყრობს შიში და შეშფოთება, — რა მოხდა სოფელში, სად გადასახლდა ხალხი?!

ბრძოლების ქარცეცხლში გამოვლილი მეომრისათვის უცხოა შიში, მაგრამ ეს სამარისებური სიჩუმე და ჩამქრალი კერები მასში ძრწოლვას იწვევს. მას საკუთარი ეზოც უკაცრიელი დაუხვდა.

ჩახედა ოთახს ჩამტყდარ სარკმლიდან და ერთი წუთით სუნთქვა გაკმინდა, ცარიელ სახლში არავინ ჩანდა,

შემოატარა თვალი ერთხელაც,
პირდაპირ კედელს გაჰკვროდა ლანდად
მისივე ლანი ვეებერთელა.

ეს მდუმარე ეზო მის მესხიერებაში
მთელი სიციხადით ამოატივტივეებს ომის
საშინელებას. რამდენი დარბეული
სახლ-კარი ახსოვს: თვითონაც ბევრ-
ჯერ გადაუთელავს მტრის კარ-მიდამო,
„როცა ცეცხლოვან ზღუდეებს
ლევდა ბერლინისაკენ გზად მიმავა-
ლი“, მაგრამ

იქ, ომში უცხო არა იყო რა,
და არაფერი გასაკვირველი.

ახლა კი, როცა ჩამქრალ კერასთან
დგას, როცა ირგვლივ ყველაფერი შემ-
ზარავ მოჩვენებას დამსგავსებია, გა-
ურკვეველობა და შეშფოთება იბუღებს
ვაჟკაცის სულში:

აქ რა უნდოდა გადაშენებას,
აქ გერმანელებს არ გაუვლიათ!

სულ ორიოდ სიტყვით ავტორი მიგ-
ვანიშნებს მთელ იმ ნგრევასა და უბე-
დურებაზე, სისხლის ღვრასა და გაპარ-
ტახებაზე, რომელიც უცვლელად სდევ-
და თან გერმანელ ფამისტ-ბარბაროს-
თა ნაკვალევს.

ვაჟკაცს, რომელმაც თავის ზურგზე
გადაიტანა ომის ბევრი სუშინელება, არ
შეშვენის ხავსიან ლოდებზე დამსობა და
სასოწარკვეთილი ქვითინი ან ისტერიუ-
ლი, შეშლილი ძახილით ვისიმე მიხმობ-
ბა. მას უბრალოდ:

ფიჭრიც კი აღარ შეეძლო დალილს,
დაღუმებული დასტოვა სახლი,
დააღვა შარას ისევ თავიდან,
უხმოდ დასტოვა სახლი ფიჭრული,
თავის სახლიდან ისე წავიდა,
თითქო შეცდომით იყო მისული.

სოფელში დარჩენილი ერთადერთი
მოხუცისაგან ვგებულობთ, რომ გოლე-
თიანის თანასოფელური ღების უნაყო-
ფო მიწიდან გადაუსახლებიათ მესხეთს,
სადაც თურმე „ჯაფა და ოფლი ნუ
გინდა ბევრი, ბზესავით მოდის პური და
ქერი“. გოლეთიანების ოჯახიც იქ გადა-

სახლებულა. გაუნელებელი დარდი გამ-
ყოლია დედას თან, — ფრონტის მტკვას
მისთვის შვილის დაღუპვის ამბავი
ნობებია. უბედურ დედას სევასტაპო-
ლიდან ვიდაცის ცხენდარი ჩამოუსვენე-
ბია და ახალ სამოსახლოში, — ზარზმა-
ში დაუმარხავს.

...ზარზმის მიწაზე შემოდგა ფეხი
ომგადახდილმა გოლეთიანმა. მოდის
ნაომარი ვაჟკაცი და ხედავს, ახალი
სიცოცხლით სუნთქავს მწვანეში ჩაფ-
ლული მესხური სოფელი. შემოდგომას
თავისი ბარაქიანი კალთა დაუბერტყავს
ამ დიდი ხნის ნაოხარ მიწაზე. აქ ისევ
მომრავლებულა ქართველთა მოდგმა,
მაგრამ ეს ვინ მოთქვამს ზარზმაში?

ზარით ვის სახელს მოუხმობ ნეტავ,
ზარზმაში მოთქმად მოსულო დედა?
როგორ გამტყდარხარ, ქცეულხარ ლანდად,
ვინ გაიგვირებს, ვინ დასცეს ლახვრით?
დედას, რომელსაც ცხრა შვილი ჰყავდა,
ერთის სიკვდილიც მიწამდე დაჰხრის!

გოლეთიანი ხედავს, — ძველი ტაძ-
რის ეზოში მასვე გლოვობენ საფლავზე
დამსობილი დედა და ცოლი.

...ხლვა სიხარული ეწვია გოლეთიან-
ბის ოჯახს; ცოცხალი და უვნებელი
დაბრუნდა თითქოს დაღუპული ვაჟკა-
ცი. დიდი ღზინი გადაიხადეს გოლე-
თიანებმა. ბოლოს სტუმრები წავიდნენ.
დედამ შვილი და რძალი ახლად დაქორ-
წინებულებივით დალოცა. მიწყნარდა
ზარზმა, მშვიდ ძილს მისცა თავი. დე-
დამაც დაიგო ლოგინი და მოულოდნე-
ლი ბედნიერებით უზომოდ დალილმა
მიიძინა.

• თითქოს დამთავრდა ყველაფერი,
დამთავრდა კეთილად, ცხოვრება თავის
კალაპოტში ჩადგა. ახლა იძინონ მშვი-
დად, რომ ხვალ დილით ბედნიერებმა
გაუღიმონ მზეს, დაივიწყონ ცრემლი
და სევდა.

ღრმად ჩაეძინა გოლეთიანის დედას,
მაგრამ ეს არ იყო ყოველის შთანმთქმე-
ლი ძილი იმ ადამიანისა, რომელმაც
საშინელ დევას დააღწია თავი და
ახლა ნაპირზე გამოსულს ყოველგვა-
რი საზრუნავი მოშორდა. იქ, ზარზმის

ტაძრის ეზოში დასაფლავებულ უჭირისუფლო მკვდარზე ფიქრი თანდათან დაეფლა მიძინებულ ქალს და შემზარავ სურათებად გაცოცხლდა სიზმარში.

კომმარული სიზმარი უეცრად აღვიძებს დედას. უკვე მზე დადგომია ზარზმის ტაძარს. აქ, ამ ოჯახის ჰერქვეშ, მშვიდი ძილი და ბედნიერება სუფევს. ამას გრძნობს დედა, მაგრამ სიზმრად მოლანდებული ცარიელი საფლავი და დაღუპული ვაჟაკის დედის სახე უზომო ტკივილად იბუდებს მის სულში. გამუდმებით ესმის მისი ხმა:

დედაშვილობით დასაფიცარო,
უჭირისუფლო თუ ნახო მკვდარი,
ცრემლის დაფრქვევა არ დაიზარო!

ხანაც მკერდნატყვიარი ვაჟაკის ღალი მოსდევს, როგორც ხმა სინდისისა:

აქ რად მოგყავდი, აქ რად მმარხავდი,
თუ ღამტოვებდი ბოლოს უცრემლოდ!

არა, იგი არ დატოვებს უჭირისუფლო მკვდარს დაუტირებელს:

დედას თვალთაგან ცრემლები სცივია,
გამოიჭრება ოდიდან ცივად
და როგორც გუშინ, და როგორც წინათ,
ტაძრის ეზოში შედის მწუხარე
და ცივ საფლავზე ხელახლა ბრწყინავს
ცის ნამთან ერთად დედის მღულარეც.

არც გოლეთიანის ცოლი იშურებს ცრემლს, — თითქოს მაზლის საფლავი იყოს, ისე უვლის ვარდებს. თავად გოლეთიანიც ყოველდღე მიდის საფლავთან, თათქოს მისი ღვიძლი ძმა ესვენოს ამ ლოდქვეშ.

ზარზმაც ეთაყვანება მათ ძმობას, ეზმანება საზღვრის იქით დარჩენილი ქართული სოფლები:

როცა ქართული ჩაესმის ნანა,
როცა ნიათით ირწყვია ყანა,
თურმე ამაზე ფიქრობს ნიადაგ,
ლოცავს აკვანს თუ ახალ ხარაჩოს,
როდის იქნება გოლეთიანმა
ზარზმის ვადალმა გადალაჯოს!..

პოეტს ებიკური განწყობით შეყვაროთ თხრობის დინამიკაში, თავიდანვე

აღვიძრავს ინტერესს იმის მიმართ, რაც მოხდა და რაც უნდა მოხდეს.

ამ პოემაში მოთხრობილი ამსუფუნოა, რადგან იგი მოულოდნელობაზე, შეცდომაზეა აღმოცენებული. არისტოტელეს თქმით — „გასაოცარის უმთავრესი მიზეზი ულოგიკობაა“. ცხადია, გასაოცარის ასეთი ვაგება პოეტის მიერ ნიადაგამოცლილი ფაქტის შეთხვევას არ გულისხმობს. ის, რაც „ზარზმის ზმანებაში“ არის მოთხრობილი, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ხდებოდა ომის წლებში.

განსაკუთრებით საინტერესოა ის პოეტური ზმანება, რომელიც სიზმრის ფორმით არის წარმოდგენილი.

სიზმარი ფსიქიკური ფენომენია, რომელიც ქვეცნობიერ შთაბეჭდილებათა შრეებიდან ისეთ ხატებს წამოატივტივებს, რომლებიც ერთგვარ გაურკვეველობას, ბუნდოვან ზმანებას გვგვრის. ამის გამო იგი თავის ბუნებით რამდენადმე პოეტურ წარმოსახვას ენათესავება.

სიზმარი შეიძლება ლოგიკური იყოს, ე. ი. როცა მოვლენას აქვს საწყისი და ბოლო, მაგრამ სიზმარს ხშირად არალოგიკურობა, უკავშირო, ფრაგმენტული წარმოდგენები ახასიათებს.

პოემა, რომელიც ვრცელი ებიკური ტილოა, უთუოდ გულისხმობს გარკვეული ამბის თხრობას. „ზარზმის ზმანებაში“ სიზმარი სიუჟეტური ხაზის უშუალო გაგრძელებაა. მასში ამბავი გადმოცემულია ნათლად, მაგრამ ამავე დროს სწორად არის ნაგრძნობი სიზმრის, თავისებურებაც.

დიდი მწუხარების დიდი სიხარულით შეცვლის შემდეგ დედის სიზმარს ცხოველი თრთოლვა და გზნება ახლავს. ამაზე მეტყველებს ზმანებისას ხილული საგნებიც. დედამ

ნახა უდაბნო გადაბუფული,
კაცი არავინ ჩანდა სულდგმული,
უდაბნო იყო მზით გადამწვარი...

ნათელა ონაშვილი
„ზარზმის ზმანება“

ამას ერთვის მდუმარე უღაბნოს წარ
მოდგენა, რასაც თან ახლავს სიდიადის
გრძნობაც.

გრიგოლ აბაშიძე კიდევ უფრო აფე-
რადებს სიზმარში ნახულ სამყაროს:
ზეცა ცეცხლისმოთოველ თონეს ჰვავს,
ირგვლივ ყოველივე ცეცხლშია გახვე-
ული, ხანძარმოდებულ ტაძართან ზან-
ტად იზმორება კვამლის ღრუბელი.

ამ ფონზე, სიზმრისეულ ლანდებში
ასახიერებს პოეტი იმ მაღალ აზრს,
რომლის გამოც ტაძრის ეზოში და-
საფლავებული უცნობი ვაჟკაცა შეი-
ლივით ძვირფასი გახდა გოლეთიანის
დედისთვის.

სიტყვების — „სიზმარი“ და „ზმანე-
ბას“ — მნიშვნელობა იდენტური არ
არის.

სიზმარი ძილის თვისებაა, როცა ზმა-
ნება შეიძლება ფიზიკურად ადამიანსაც
ეწვიოს. ზმანებას ასე თუ ისე თავისთა-
ვად აქვს პოეტური ბუნება.

„ზარზმის ზმანებაში“ ყოველი ნიუ-
ანსი, ყოველი სიტყვა ემსახურება ერთ
საქმეს, — სრულყოფილი და მაღალ-
მხატვრული ოსტატობით შეესხას ხორ-
ცი ნაწარმოების იდეას.

თბრობის სიცხადისთვის ავტორი არ
იშველიებს საკუთარ რეპლიკებს. პოე-
მის ყველა გმირი თავისებურად მეტყ-
ველებს. დიალოგი სადაა და დაუტვირ-
თავი, დაზღვეულია ყოველგვარი ნაძა-
ლადევი და ყალბი პათოსისაგან. ეპიკუ-
რი სიმშვიდით საუბრობენ სოფელში
დარჩენილი ერთადერთი მოხუცი და
მისი ომგადახდილი სტუმარი. ორივესა-
თვის მასლობელი და მტკივნეულია
საუბრის სავანი, მაგრამ ორივე ფრთხი-
ლად ინახავს გულში ამ ტკივილს და
ცდილობს მეორეს არ გაუმხილოს იგი.
ამიტომაც იჭრება საუბარში ისეთი უმ-
ტკივნეულო და უწყინარი თემა, როგო-
რიცაა ამინდა:

ჯარისკაცს შუბლი გაეხსნა უცებ,
მაგრამ ღიმილი მოსწყვიტა ტურებს
და სცადა სიტყვის ბანზე ავღება:
— გზად დამალადა ასე კვიმატად,
შემოდგომის დღეს აღრე აკლდება
და გასაოცრად ღამემ იმატა.

გრიგოლ აბაშიძეს კარგად ეხერხება
გმირის პორტრეტის, ერთი შეხედვით
სულ უმნიშვნელო დეტალით ახსნის
ეს დეტალები ორგანულადაა შერწყმუ-
ლი გმირის მოქმედებასა და იმ გარემოს-
თან, რომელშიც ეს მოქმედება მიმდი-
ნარეობს. ავტორი გმირის პორტრეტს
არ აღწერს. უბრალოდ, გმირის სახე
მოსჩანს მისი მოქმედების ან საერთოდ
ამა თუ იმ სიტუაციის ფონზე. სწორედ
ეს სიტუაცია ჰქმნის გმირის ნათლად ჩა-
მოყალიბებულ სახეს და ოსტატურად
შესრულებულ პორტრეტს. თავის
მხრივ, ეს პორტრეტიც შექმნილი სიტუ-
აციის ახსნას ემსახურება.

გოლეთინმა გასძახა მასპინძელს:

სახლში ჭრახს მისწვდა ხელი ცახცახა
და ძირს დაეცა მძიმე ურდული.

მომდევნო სტროფებში მოხუცის
პორტრეტი სრულდება:

ზის მასპინძელი დევი ცალოვალა,
ოღაში ცეცხლი ჯერ არ გამკრთალა,
ზის და ჩაპყურებს თვალდაშრებელი.
კერაზე ცეცხლის ფარტენებია,
აურჩევია რაღაც წერტილი,
დაესილი თვალით დაშტერებია.

ამ დავსილი თვალისთვის ბნელი და
საზარელია ამბავი, რომელიც მოხუცმა
შემოსწრებულ სტუმარს უნდა უამბოს.
ჩაფერფლილ ღადარში აქა-იქ ბუტუტავს
ნაღვერდალი. სანთლის მკრთალი და
მოცახცახე შუქი იღუმალებით ავსებს
მყუდრო და უსიცოცხლო ქოხს. მწუხარ-
ე ამბის შესაფერი სურათი უკვე შექმ-
ნილია და ჩვენ მოუთმენლად ველით
მდუმარე სოფლისა და გოლეთიანების
თავგადასავალს.

ასე ორგანულად ერწყმიან და აპირო-
ბებენ ერთმანეთს ამ პოემაში სიტუაცია
და პორტრეტი.

პოემას ამშვენებს ქართული პეიზა-
ჟის რელიეფური აღწერაც. დახვეწილი,
მკვეთრი, ნათელი ფერებით შესრულე-
ბული ბუნების ეს სურათები მჭიდრო
კავშირში არის ნაწარმოების გმირებ-
თან, მათ მოქმედებასა და განწყობილე-
ბებთან.

„ზარზმის ზმანების“ იდეური შინა-
არსი არის ადამიანის სიყვარული.

ყველასათვის ვასაგებია, რომ ადამიანს საკუთარი შვილი უფრო უყვარს, ვიდრე სხვისი შვილი, მაგრამ სხვისი მწუხარების ღრმად განცდა მალალი ზნეობრივი თვისებაა.

იქ, სადაც ადამიანური გულია—სავსე სიკეთითა და სიყვარულით — თავბრუდამხვევი ბედნიერება მხოლოდ დროებით ანელებს გარე სამყაროს არსებობის შეგრძნებას. იფანტება ბურუსი და პირადი ბედნიერება თავის გვერდით ადგილს უთმობს სხვის ტკივილსა თუ სიხარულს. ამაშია ჰუმანურობის ძალა.

გოლეთიანის დედის გულში უეცრად აფეთქებულმა გრძნობამ ექსტენსიური განწყობილება მიიღო. დედამ საკუთარი ტკივილის ენაზე წაიკითხა სხვისი ტკივილი. მისმა გულმა უმალ გაუფო უცნობი დედის გულს ის მწუხარება, რომელიც ცოტა ხნის წინ თვითონ გადაიტანა. დედის სიხარულს ჩრდილავს სინანული იმის გამო, რომ ყველა არ არის მასავით ბედნიერი. ზარზმის ტაძრის ეზოში გათხრილი სამარე უცხო არ არის დედისთვის. ომი საერთო უბედურებაა. ვიდაც უთუოდ უნდა მოკვდეს. არავინ იცის, ვისი წილხვედრია მტრისგან ნასროლი ტყვია. იქნებ სწორედ ამ უცხო ვაჟკაცს მოხვდა მისი შვილისთვის დამოზნებული ტყვია. მსხვერპლი თანაბრად მძიმეა ყველასთვის, ისევე, როგორც ყველასთვის წმიდათაწმიდაა ომში დაღუპულთა ხსოვნა. ომის ტკივილიცა და სიხარულიც საზიაროა, — დაზღვეული ყოველგვარი პირადულისგან.

გოლეთიანის დედის ცრემლები არც მისი შეცდომის საზღაურია და არც სამადლობელი იმის გამო, რომ შვილი ცოცხალი დაუბრუნდა. ეს წმინდა ცრემლები დედის თბილი, სათუთი გულის კარნახია. ამ ამაღლებულ გრძნობას ასაზრდოებს საბჭოთა ადამიანის ღრმა პატრიოტული შეგნება და წმინდა მოქალაქეობრივი მოვალეობა.

გრიგოლ აბაშიძის შემოქმედებაში ძალუმად იგრძნობა ეროვნული მაჯის-

ცემა. ამავე დროს, პოემას ახასიათებს ცხოვრების საზღვრების გაფართოების მისი უფრო დიდ, ინტერნაციონალურ სიბრტყეზე გადატანა, რაც სათავეს კლასიკური ქართული ლიტერატურის წიაღში იღებს. გოლეთიანის დედა ქართველი დედის ტრადიციული სახის განვითარებაა.

დედის სახემ ღირსეული ასახვა ჰპოვა ქართულ საბჭოთა პოეზიაში. სამამულლო ომის მრისხანე დღეებში ქართველი დედის ნათელი სახე მიუძღოდა წინ მებრძოლებს, როგორც გამბრძნისა და თავდადების უშრეტეი შთაგონება.

ილია ჭავჭავაძის მიერ შექმნილი ოთარაანთ ქვრივის სახე ახალი სიტყვა იყო ქართულ ლიტერატურაში. სიამაყისა და სიმკაცრის სამოსში გახვეული ეს წარმოუდგენლად კეთილი და გულმოწყალე ქვრივი უნაკლოდ ჩამოყალიბებული ხასიათია, რომელიც გვიმორჩილებს არაჩვეულებრივი სულიერი სიძლიერით, გაუმხელებელი, გულში ჩაკლული უზომო სევდით, უშიშარი პირდაპირობით, ხალასი პირუთვნელობითა და დედური კეთილშობილებით.

გოლეთიანის დედას და ოთარაანთ ქვრივს ბევრი აქვთ საერთო და, უპირველეს ყოვლისა, ეს შვილის სიკვდილით გამოწვეული მწუხარებაა. ორივე დედა უთქმელად, უსაყვედუროდ იტანს ამ თავზარდამცემ ელდას. მხოლოდ მათი უცებ გათეთრებული თმები და სევდის სიმძიმით მოხრილი დაუძღურებული მხრებიდა ამხელენ გამოუთქმელ მწუხარებას. სხვას არ მოახვიონ ამ მწუხარების სიმძიმე, სხვას არ დაანახონ საკუთარი ტკივილი — აი, მათი დუმილის კეთილშობილური მიზანი:

ერთიც არ ჰქონდა დედას ჭიარა,
ამ დღიდან უცებ თეთრმა დაჰფარა.
და მაინც სხვებთან თავს იმაგრებდა,
თითქო მის ირგვლივ არა მომხდარა,
თუმცა ფარული დარდი ანგრევდა
და საშინელმა ჯავრმა მოხარა.

ნათელა ონაშვილი

„ზარზმის ზმანება“

ერთ ბედში მყოფნი დიდი ძალით
გრძნობენ ერთმანეთის ტკივილს და
სადღაც, სულის რომელიდაც კუნჭულ-
ში საკუთარი მწუხარება ადგილს უთ-
მობს მეორის უმძიმეს დარდს. ეს,
ერთი შეხედვით, დარდს უნდა აორკე-
ცებდეს, მაგრამ ამით მდორე და ერთ-
ფეროვან სულიერ ტკივილში იჭრება
ახალი განცდა, რომელიც რაღაცნი-
რად აფხიზლებს ადამიანს მწუხარების
უმძიმესი ბურუსიდან.

ასეთი ზიარი მწუხარება და ერთბედ-
ში მყოფთა ურთიერთთანაგრძნობა არის
გამონატული ქართული ხალხური შე-
მოქმედების შედეგში — „ლექსი ვე-
ფხისა და მოყმისა“. ვეფხთან ბრძოლა-
ში დაღუპული ვაჟკაცის დედას მისი
შვილის ხმლით მოკლული ვეფხის დე-
დის დარდიც ტანჯავს:

ხან იფიქრებდა,—უდღოდ
გაზრდა ვინა თქვა შვილისა,
იქნება ვეფხის დედაი
ჩემზე მწარედა სტირისა;

წავიდე, მასთან მივიდე,
სამძიპარ ვუთხრა ჳირისა,
იმასაც ბრალი ექნების
უწყალოდ ხმლით დაჳრილისა.

„ზარზმის ზმანება“ იდეურადაც და
თემატურადაც ენათესავება „ვეფხისა
და მოყმის“ ლექსს, ამიტომაც წარუ-
მძღვარებია გრიგოლ აბაშიძეს თავისი
პოემისათვის ზემოთ მოყვანილი ნაწყ-
ვეტის პირველი სტროფი, მაგრამ „ზარ-
ზმის ზმანებაში“ ეს თემა საეგებიო
ახლებურად არის გადაწყვეტილი. მას
უადრესად თავისებურ ელფერს ანი-
ჭებს საბჭოთა ადამიანის დიდი პატრი-
ოტიზმი და მაღალი ჰუმანურობა.



პოეტის აღსარება

სიმონ ჩიქოვანის „რჩეული წერილების“ გამო

სიმონ ჩიქოვანის „რჩეული წერილები“ მრავალმხრივ საინტერესო წიგნია. ჯერ ერთი, იგი პოეტური სიტყვის გამომჩენილი ოსტატის აღსარებაა, მის შთაბეჭდილებათა, დაკვირვებათა და განსჯათა კრებულია, მეორეც: ეს დაკვირვებანი და განსჯანი, მიუხედავად ავტორის მოკრძალებული განცხადები-სა, უდავოდ საგულისხმო მასალას შეიცავს ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის.

სიმონ ჩიქოვანი ცდილობს ღრმად ჩასწვდეს იდუმალებით მოცულ შემოქმედებით პროცესს, გაარკვიოს და ნათელი მოჰფინოს ამა თუ იმ მწერლის ან ნაწარმოების ინდივიდუალობას; ამასთანავე, იგი ყოველთვის გამომდინარეობს ჭეშმარიტი შემოქმედების შინაგანი კანონზომიერებიდან, მისი სტრუქტურებიდან.

პოეტმა შესძლო გასცდნოდა ლიტერატურული რეზონიორობის მომხიბვლელ, მაგრამ საეჭვო გზას და მოგვცა პოეტური დაკვირვებანი ქართულ კლასიკურ და თანამედროვე მწერლობაზე.

წერილში „სიყვარულის, მეგობრო-

ბისა და გმირობის სიმღერა“ — ავტორის მიზანია მოკლედ წარმოგვიდგინოს „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული აგებულება და განმარტოს მისი საზოგადოებრივი ხასიათის შეგონებანი“, ნაწარმოების მხატვრულ თავისებურებათა დახასიათების მეშვეობით გაარკვიოს შოთა რუსთაველის ცხოვრების ფილოსოფია და პოემაში ჩაქსოვილი ზნეობრივი მიდრეკილებანი. მაშასადამე, სიმონ ჩიქოვანი მხატვრულ, სახეობრივ სისტემაზე დაყრდნობით ცდილობს გაარკვიოს რუსთაველის გენიალური პოემის შინაარსი. „რუსთაველმა იცოდა მომხიბლავი საღებავებით და უებრო მუსიკობით ადამიანის გრძნობათა გადმოცემა, პოეტს ჰქონდა ოსტატის ხელი, რომელიც რენესანსის ოსტატების მარჯვენის გაქანებას შეედრება. ხოლო ხელთ ეპყრა პალიტრა, მსგავსი ვენეციელი მხატვრებისა, და პოემაში გაბნეული ფერების ურიაშულიც დაუსრულებელია და უნაპირო“, — წერს ს. ჩიქოვანი.

წერილის ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ამბის განვითარება უბადლო მხატვრული დასაბუთებაა სამი

ცნებისა: „სიყვარული აღვამაღლებს“ (მიჯნურობა); „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ (მეგობრობა); „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიყვდილი სახელოვანი“ (გმირობა). ამიტომ არის იგი ასეთი ფერადოვანი, მზითა და სინათლით საესე. ამ ცხოველ-მყოფელი ფერადოვნების, ბუნების მრავალგვარობის მეტაფორული სახე, წერილის ავტორის აზრით, ვეფხის ტყავია. „ტარიელის სამოსელის მეტაფორულობას ორი მხარე გააჩნია, — წერს ავტორი, — ერთი მხრივ, იგი ნესტანის მშვენების ორეულია, მისი სილამაზის განმეორებაა, ხოლო, მეორე მხრივ, ვეფხის ტყავი ბუნების ხატია და ბუნებაში არსებული ფერების ანარეკლია“. ტარიელის ამ პორტრეტულ ნიშანს ვარკვეული სიუჟეტური ფუნქციაც აკისრია; ხშირად იგი ბიძგს აძლევს ამბავთა მსვლელობას. „ვეფხისტყაოსნის“ მზიური კოლორიტი სიმონ ჩიქოვანს რუსთაველის ხელოვნების თანმიმდევრულ გამოვლინებად მიაჩნია: „რუსთაველის პოეტურ სურათში ჩანს ფერების განსაკუთრებული სიყვარული. ჩვენი პოეტის სურათები ფერადია და ვეფხის ტყავზე აღბეჭდილ ფერებს და ბუნების კოლორიტს ეხმიანება. სიტყვის ხელოვნების მეშვეობით პოემაში მიღწეულია საწუთროს წიაღში შემჩნეული ფერების თავისებური აღქმა მოსახსნამებისა და ძვირფასი ქვების — ზურმუხტის, ფირუზის, ბადახშის, ლალის, იაგუნდის, სათისა და სხვათა მეშვეობით „ვეფხისტყაოსანში“ შემოჭრილია ღურჯგი, ცისფერი, მწვანე, თეთრი, წითელი და ყვითელი ფერების დამოუკიდებელი და ერთმანეთში გადაზრდილი ელვარება თუ სამყაროს ფერადოვანი ლივლივი“. ავტორის შენიშვნით, ამ „ცხოველი ფერების წიაღში აღმოცენებული და განვითარებული მიჯნურობა ტარიელისა და ნესტანისა... ბუნების მსგავსია და მისი სიცოცხლის ორეულია“. ეს ორგანული შერწყმა ბუნებასთან, უშუალო კავშირი სიცოცხლესთან — მაცოცხლებელ მზესთან, მიაჩნია ავტორს რუსთაველისეუ-

ლი სიყვარულის რეალობის წყაროდ. „სიყვარულის გრძნობის დრამატული დენა პოემაში გამოხატულია სრულად რეალისტური სურათებით და ქართველ პოეტს არ სჭირია დააღვეინოს თავის გმირებს გრძნეულის მიერ მომზადებული წამალი, რომ სიყვარულმა აღიტაცოს ორივე სქესი... გმირების გარეგნული მშვენება, სულიერი სიფაქიზე და მათგან გამოწვეული შთაბეჭდილება საკმარისია სიყვარულის მაღალი, კეთილშობილური გრძნობების ასანთებად“. ავტორი დაწვრილებით განიხილავს რუსთაველის სიყვარულის ფილოსოფიას და საესებით მართებულად აღიარებს ამ ფილოსოფიის რეალისტურ ხასიათს, ხოლო ზღაპრული ელემენტი და მეტაფორული სახეები ტრადიციული პოეტური სამკაულებია, რომელიც რუსთაველის ხელში სამყაროს წვდომის ბასრ იარაღად ქცეულა. უაღრესად საინტერესოა ს. ჩიქოვანის დაკვირვება სიყვარულის მრავალპლანინაობაზე „ვეფხისტყაოსანში“: „პოემის ერთ პლანში მოცემულია მოტრფიალეთა შორის ყოფა-ცხოვრებაში ერთმანეთისადმი დამოკიდებულება, შეხვედრები, პაემანები, წერილები, ერთმანეთისთვის თავდადება და ყოველდღიური ვნებები, ხოლო მეორე პლანში გადმოცემულია რაინდების მიერ გამოთქმული წარმოდგენა საყვარელ ადამიანზე, გმირების ნააზრევი სიყვარულის რაობაზე და სატრფიალო არსებაზე, სიყვარულის როლი ხილული ქვეყნის ცხოვრების მიმოქცევაში და სიყვარულის გრძნობის დაკავშირება სამყაროს მთლიან სიცოცხლესთან, ბუნების წიაღთან“.

ასევე ფართოდ ესმის წერილის ავტორს მეგობრობის მოტივიც რუსთაველის პოემაში. ისევე, როგორც სიყვარულის გრძნობა, „მეგობრობა რუსთაველის ცხოვრების ფილოსოფიაა, მეგობრობა მარტო ინტიმის შესაქმნელი გრძნობა კი არ არის, იგი ცხოვრების გარდაქმნისათვის მომარჯვებული იდეა“. ამავე დროს რუსთაველი თავისი ეპოქის შვილია და ეპოქის შესაბა-

მისად, მისთვის სიყვარულსაც და მეგობრობასაც ამაღლებული, ღვთაებრივი ხასიათი აქვს. მეგობრობის გრძნობა ამოძრავებს „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს, ათმოზინებს მათ ყოველგვარ პირადულს და ძლევამოსილად წარმართავს ქაჯეთის ციხის დასამზობად. „...დიდი ოსტატის ხელით გამოძერწილმა გმირებმა, — წერს ს. ჩიქოვანი, — შეკავშირებულემა მეგობრობის გრძნობით, აიღეს ქაჯეთის ციხე, გაათავისუფლეს „გველის შეპყრობილი მნათობი“ და ბუნებას დაუბრუნეს თავისი მშვენება“.

სიმონ ჩიქოვანი რუსთაველის გენიალურ პოემაში ყოველთვის ეძებს რეალისტურ შინაარსს. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ავტორს, როდესაც იგი წერს: „შოთა რუსთაველის სიმღერასთან შედარებით „ღვთაებრივი კომედიის“ სიუჟეტური ნაგებობა გოტიკურია. იგი ცისკენ ლტოლვის იერიითაა აღბეჭდილი და ამბავი მთლიანად იდეალურ სამყაროშია გადატანილი“, ხოლო რუსთაველის პოემაში „ყოველგვარ წინასწარ ჩანაფიქრზე აშენებული ტენდენციურობა დაძლეულ იქნა და მწერლობაში მთავარი ადგილი ცხოველმა სინამდვილემ და სინამდვილეში გამოვლენილმა ვნებებმა დაიჭირეს“.

ს. ჩიქოვანის აზრით, პოეზიაში ცხოვრების სინამდვილის შემოჭრამ და სარწმუნოების არტახებიდან მწერლობის განთავისუფლებამ ძირფესვიანად შეცვალა მხატვრული აზროვნების ფორმებიც. ფართო მკითხველთან დაახლოების საჭიროებამ გამოიწვია გარკვეული პოეტური კანონების შემუშავებაც, ზუსტი ფორმების დამკვიდრება. ამნაირად ქმინდნენ რენესანსის გენიალური პოეტები. რუსთაველის პოემა აქაც წინ უწერებს დასავლეთის რენესანსის ხანის პოეზიის შედეგებს.

ასეთია მოკლედ ს. ჩიქოვანის რუსთაველოლოგიური წერილის ძირითადი დებულებები.

წერილში წამოჭრილი ზოგიერთი საკითხი რუსთაველოლოგიურ ლიტერა-

ტურაში ადრეც გაუშუქებიათ. ავტორს, მისივე განცხადებით, კრიტიკული მოკვლევის განზრახვა არ ჰქონია, მხოლოდ იგი არც არავის ედავება და არც იმოწმებს, არ ეხება ე. წ. საკითხის ისტორიას. მიუხედავად ამისა, ს. ჩიქოვანის მიერ რუსთაველის პოემაზე გამოთქმული დაკვირვებანი გამოირჩევა აზრის სიცხოველითა და მაღალი გემოვნებით.

სიმონ ჩიქოვანს თავის ცნობილ პოემაზე „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ მუშაობისას ღრმად შეუღწავლია დიდი ქართველი პოეტის შემოქმედება და ცხოვრება. დავით გურამიშვილზე კრებულში დაბეჭდილია სამი წერილი. წერილები უმთავრესად „დავითიანის“ ტექსტის გაგებასა და ბიოგრაფიული საკითხების გარკვევას ემსახურება, მაგრამ მათში დავითის შემოქმედებაზე გამოთქმული მოსაზრებანი უდავოდ საყურადღებოა. სიმონ ჩიქოვანი მრავალ საინტერესო საკითხს არკვევს და დამაჯერებელ დასკვნებს აკეთებს.

ეყრდნობა რა „დავითიანის“ ტექსტს, ს. ჩიქოვანი მართებულად დაასკვნის, რომ დატყვევებისას დავითი ცოლიანი იყო, იგი ლამისყანაში ცოლოურს ყოფილა. პოეტი იშველიებს ლამისყანაში დარჩენილ ხალხურ გადმოცემასაც, რომლის მიხედვით დავითი გარაყანიძეების სიძედა მიჩნეული. სიმონ ჩიქოვანი ლიტერატურული საკითხების კვლევისას ხშირად მიმართავს ხალხურ საუნჯეს და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ნაწარმოებისა თუ მწერლის სახალხო ხასიათს. ასევე გულმოდგინედაა გარკვეული დ. გურამიშვილის ტყვეობის, მოსკოვში ჩასვლის, ომში წასვლისა და მისი დატყვევების თარიღები. პოეტი ძირითადად თვით „დავითიანის“ ტექსტს ეყრდნობა და პოეტურ სურათებში ეძებს სანდო ანალებს. აქ იგი ეყამათება დ. გურამიშვილის ცნობილ მკვლევარებს ა. ბარამიძეს, გ. ლეონიძეს, ს. ყუბანეიშვილს და გონებაამხ-

ზეყან ბარდაველიძე
პოეტის აღსარება

ვილურად ასაბუთებს თავის მოსაზრებებს. ამ თვალსაზრისით სამავალითოა ს. ჩიქოვანის მიერ დავითის დაღესტანში ტყვეობის ხანგრძლივობის გარკვევა. პოეტის აზრით დავითს ტყვეობაში გაუტარებია არა ერთი ან ორი წელიწადი, არამედ მხოლოდ ერთი ზაფხული. ამ დებულებას ვერ არღვევს პოემაში აღწერილი ქარ-ბუქი, ღრუბლით დაფარული მზე და სიცივე, რაც მაღალმთიანი დაღესტნის, ალპური ზონის დამახასიათებელი თვისებაა. აქ ს. ჩიქოვანი მოხდენილად იშველიებს გრ. ორბელიანის წერილებში აღწერილ დაღესტნის ზაფხულს: „აქ, ქუთისის მთაზე, ჯერ ისევ ცივა... თქვენ კი თბილისში, მგონია, ნატრულობთ სივარდეს“. ივლისში კვლავ იმეორებს: „დიდად ცივა აქა“. აგვისტოშიც სიცივეზე წერს: „რამდენიმე თბილი წინდები გამომიგზავნე, აქ ძალიან ცივა, სულ ღრუბელია და წვიმა“ და ა. შ.

სავსებით სწორია პოეტის მოსაზრება, რომ „დავით გურამიშვილმა პატრიოტული თემა ბიოგრაფიულად განიცადა და თვითეული ღირსიკული აღსარება ამ გრძნობაზე დაამყარა“, მაგრამ ვერ დავეთანხმებით პატივცემულ ავტორს, როცა წერს: პოემა „ქართლის ჭირი“ პირველი ქართული პატრიოტული ნაწარმოებიაო. „აბოს წამება“? „ვეფხისტყაოსანი“? თეიმურაზ პირველის „ქეთევანიანი“? შეიძლება ამ ნაწარმოებებში პატრიოტული მოტივი ძირითადი არ იყოს, მაგრამ მაინც საკმარისია იმისათვის, რომ „ქართლის ჭირის“ პრიორიტეტმა დაგვაეჭვოს.

ს. ჩიქოვანი ვრცლად არკვევს გურამიშვილის პოეზიის ხალხურ, დემოკრატიულ ხასიათს და დავითის პოეტიკის სათავესაც ხალხურობაში ეძებს. „გურამიშვილის პოეტური ფანტაზიის ფესვები ხალხურ პოეტურ აზროვნებაში უნდა ვეძიოთ, — აცხადებს პოეტი... იქაც კი, სადაც დავითი უცხოურ კილოს მიმართავს, ქართულია, ქართულ-ხალხურია და ჩამდგარია ქართული ხალხური პოეტური ენის სტიქიაში“. სიმონ ჩიქოვანის აზრით, დავით გურამიშვილს ქარ-

თველი კაცისათვის დამახასიათებელი ამქვეყნიური ცხოვრების სიყვარული უშველა გერღვია ქრისტიანული მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელი შეზღუდულობა.

საყურადღებოა პოეტის დაკვირვება დავით გურამიშვილის პოეტიკაზე, სახეებსა და მეტაფორულ სისტემაზე. ორიგინალურია ს. ჩიქოვანის განცხადება: „დავითიანიში“ წარმოადგენილ პერსონაჟებში მხოლოდ თვითონ დავითი ნამდვილი ხასიათი და მხატვრული სახე, დანარჩენები მხოლოდ სქეზები და უბრალო არდილებია“. ასევე საინტერესოა მოსაზრება დ. გურამიშვილის ეპიკურების შესახებ.

ავტორს პოემისა „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ ქართული კლასიკური მწერლობის ამ უდიდესი წარმომადგენლის სახე ასე წარმუდგება: „...დავითიანიში“ აღწერილი სამყაროს მიხედვით, მისი ავტორი წარმოგვიდგება, როგორც მხედარი, მეწისქვილე, მომკვლი, მწიგნობარი, მასწავლებელი და გამოგონებელი. ხალხის ნება და სული ამღერებულა მის პოეზიაში, მისი ღირსიკული გმირი მოქმედა, გაუტეხელი და გულკეთილი. იგი ქართული მიწის ფესვებზე ამოზრდილი მუხაა, ქარიშხალთან შეჯახებული და რტოებულეწილი“.

სიმონ ჩიქოვანი ქართულ კლასიკურ მწერლობას თავის განვითარებაში განიხილავს. იგი ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაში ეძებს თვისობრივად ახალ-მხატვრულ ფენომენს. ამიტომაც, რომ რუსთაველისა და გურამიშვილის შემდეგ, მის ყურადღებას „დიდი ღირსიკული განსჯისა და დაფიქრების“ პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია იქცევს.

„მერანის ავტორმა, — წერს პოეტი, — თითქმის სრულიად შეცვალა მაშინდელი ქართული ლიტერატურის ბუნება, ჩვენს პოეზიაში გამეფებული სასიმღერო კილოს ნაცვლად ლექსში ინტონაციური მხარე გაამდიდრა, მოსპო რიტმის ინერტული მდინარება და სიტყვაკაზმულ მწერლობაში თავისებური მო-

ნუმენტურობა დაამკვიდრა, უარყო ქართულ ხალიჩიკო პოეზიაში ადრე შემჩნეული გადამეტებული გრძნობადობა და ნაცვლად ამისა შთაგონებულ ფიქრსა და განსჯას დაუქვემდებარა თვითნებური ლირიკული მხილება, ქართულ ლექსში ახალი აქტიური ხასიათის რიტმი შემოიტანა და დახვეწილი მხატვრული გემოვნებით აამაღლა ჩვენი პოეტური კულტურა“. წერილი ამ დებულებას ასაბუთებს.

თუ გურამიშვილის პოეზიას ხიფათით სავსე თავგადასავალი ასაზრდოებდა, ბარათაშვილის „შინაგანი ცხოვრება, გარემოდან და ერის ცხოვრებიდან მიღებული შთაბეჭდილებები, ქართლის ბედის უკუდმართობაზე ფიქრი, სიყვარულის გრძნობა და სიჭაბუკის ვნებანი, გაცრუებული იმედები და მომავალზე შემუშავებული ოცნებები დიდი თავგადასავლური შემთხვევების მაგივრობას ასრულებდა და პოეტის გარეგნულად უბრალო ბიოგრაფიას საოცრად ამდიდრებდა“.

„პოეტმა პირადული ხმა ისე შეათავსა ერის ტკივილებთან, რომ იგი ქართველი ხალხის ხმად გადაიქცა“. ავტორის აზრით, სწორედ ამ მაღალმა მოქალაქეობრივმა, პატრიოტულმა შეგნებამ ისხნა ბარათაშვილი სულიერი დეპრესიისგან და საწუთროზე გულგატეხილ პოეტს „მერანი“ შეაქმნევინა.

ს. ჩიქოვანის აზრით, ბარათაშვილის პოეზიაში ბუნება ავტორის პირადი განცდების გამომხატველია, მისი ბიოგრაფიის ნაწილია. ამდენად, მისი პეიზაჟი წმინდა ლირიკული და პოეტურია. არაგვი და მტკვარი, მთაწმინდა და ფიქრის გორა, ყაბახი და კრწანისი, მდინარის ნაპირზე მდგარი ჩინარი — პოეტის სულიერი განწყობილების მხატვრული სურათებია. უდაბნოში მდგარი ტაძარი („უბოვე ტაძარი“) სიმონ ჩიქოვანს დვთაებრივი სიყვარულის მეტაფორულ სახედ მიაჩნია. იგივე აზრია გამოთქმული ლექსზე „აღმოხდა მნათი“. წერილის ავტორის მიერ ამ ორი ლექსის სატრფიალო მოტივით გააზრება შეიძლება საღაგოც იყოს, მაგრამ მისი

მსჯელობა მინც უადრესად ლოგიკური და დამაჯერებელია.

განსაკუთრებით საინტერესოა სიმონ ჩიქოვანის აზრი ბარათაშვილის პოეზიაში „მერანის“ მოტივის წარმოშობაზე. ამ საკითხს არაერთი მეკვლევა შეხება, რაც უპირატესად უცხოურ პოეზიაში ექსკურსებით განისაზღვრებოდა. სიმონ ჩიქოვანის მოსაზრება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ აქ მისი წერილის ერთ ადგილს მთლიანად ამოვიწერთ: „...მომძის სიყვარულით, მის დასახმარებლად ბედთან შეჯახებული მხედრის პიროვნების ამღერება ქართულ პოეზიაში რუსთაველმა დასავლეთელ პოეტებზე ადრე შეძლო... „ვეფხისტყაოსანში“ დაჯივრითობენ თეთრი და შავი მერნებით ტარიელი და ავთანდილი და მხედრული გაქანებით ბედის საზღვარს სძლევენ. შოთა რუსთაველი ამბობს: მეგობრისთვის თავდადებას სჭირია „ველთა რბენაო“. სწორედ ასეთ „ველთა რბენას“ თვლიდა საჭიროდ ნიკოლოზ ბარათაშვილი, რათა სიძნელე გზისა მოძმეს გადავიღებოდა. როდესაც ავთანდილი გაემგზავრა ტარიელის საძიებლად, „ცხენი გაქუსლა დეწითა, ვითა გავაზი გაფრინდა, არ — გაშვებული ხეწითა“ და გადაიჯივრითა ტყენი და ღრენი... ქართულ პოეზიაში პირველად „ვეფხისტყაოსანში“ გაღვებული სიტყვა „მერანიც“. „ტაიჭი მიუქს მერანსა, მიეფინების მზე ველად“ ანდა: „ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა, მერანი რამე შავია“. ლექსიკური მასალა „მერანისა“ ძლიერ დაახლოებულია შოთა რუსთაველის ქმნილების სიტყვიერ მასალასთან. „ვეფხისტყაოსანში“ ტარიელი ისე გაუჩინარდა თავისი მერნის საშუალებით, რომ „ჭვანდა ქვესკნელს ჩაძრომილსა, ანუ უცვად ანაფრენსა“, „ეძებდეს და ვერ ჰპოვებდეს კვალსა მისგან წანარბენსა. კვალი ძებნეს და უკვირდა ვერპოვნა ნაკვალევისა“, ე. ი. ტარიელი უგზოკვლოდ გამქრალა, რადგან ტარიელის მერანი მიაფრენდა თავის

ბეჭან ბარდაველიძე
პოეტის აღსაზრება

მხედარს უგზოუყვლოდ. ტარიელის აღ-
საწერად მომარჯვებული სტრიქონების
ნათესაობა ნიკოლოზ ბარათაშვილის
ლირიკულ ძახილთან — „მირბის, მი-
მაფრენს უგზოუყვლოდ ჩემი მერანი“,
შემთხვევითი არ უნდა იყოს. შოთა
რუსთაველის შემდეგ ბარათაშვილამდე
ქართულ პოეზიაში მერანზე ქროლვა
არც ერთ პოეტს არ უცდია“. ნათესაობა
რუსთაველთან მარტო ამით არ ამოი-
წურება: „ნიკოლოზ ბარათაშვილმა გა-
აცოცხლა ავთანდილის ანდერძში გამომ-
უღავენებული დიდი ზნეობრივი მოვალეობის
შეგნება და მოძმესათვის თავ-
დადება..

თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა
დამამხოზებულმან,
ღარბი მოვეკვე ღარბად, ვერ დამიტიროს
მშობელმან,
ვეღარ შემსუღრონ ვაზრდილთა და ვერცა
მისანდობელმან.

შევადაროთ ეს სტრიქონები მოძმის
დასახმარებლად უგზოუყვლოდ გაფ-
რნილი მხედრის ძახილს:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა
წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა
დამეცეს ცრემლი მწუხარის,
შაეი ყორანი გამითხრის საფლავს მდგლოთა
შორის ტიალი მინდვრის.

როგორც ეტყობა, ნიკოლოზ ბარათა-
შვილს მცირედ შეუსხვავებრებია და
განუმეორებია რუსთაველის სტრიქო-
ნები, რუსთაველის პოეტური ლექსი-
კითა და მეტაფორებით უსარგებლია.
„შავი ყორანი გამითხრის საფლავს...
მივალაღებენ სვავნი მყივარნი“ სავსე-
ბით ენათესავება რუსთაველის სტრი-
ქონს: „შენთვის მოკვადები, გავხლები
ყორანთა დასაყივარად“.

ასევე გონებამახვილურადაა გაანა-
ლიზებული ბარათაშვილის პოეზიისა და
შავთელისა და ჩახრუხაძის შემოქმედე-
ბის საერთო მომენტები, ხოლო ქარ-
თული ხალხური პოეზია ს. ჩიქოვანს
ბარათაშვილის შთაგონების პირველ-
წყაროდ მიაჩნია.

სიმონ ჩიქოვანი განსაკუთრებით ალ-
ნიშნავს ბარათაშვილის ლირიკის მო-
ნუმენტურობას, მისი პოეზიის უმთავრესი
სიათებელი პოეტური მეტყველების
სიზუსტეს და ფორმის შინაგან ჰარმო-
ნულობას.

ამ საკითხს ავტორი კვლავ უბრუნ-
დება და უფრო აზუსტებს ილია ჭავ-
ჭავაძის პოეტურ მემკვიდრეობაზე და-
წერილ წერილში.

ს. ჩიქოვანს მიაჩნია, რომ ილია ჭავ-
ჭავაძის პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვი-
ლის გენიალურ შემოქმედებას იმითაც
ენათესავება, რომ ილია ჭავჭავაძემ
სულის შინაგანი სიდიადე ლირიკულ
ლექსში გამოხატა და ამით ფორმის
მონუმენტურობასაც მიაღწია. ლირიკუ-
ლი ლექსის ასეთ სიმალემდე აყვანა
ქართულ პოეზიაში პირველად „გოგჩის
ტბის“ ავტორმა, ხოლო შემდეგ გრი-
გოლ ორბელიანმა (ლექსში „საღამო
გამოსალმებისა“) შეძლო. ბარათაშვილ-
მა და ილია ჭავჭავაძემ კი მცირე მო-
ცულობის ლექსებით მონუმენტურობის
ისეთი შთაბეჭდილება შექმნეს, რომ
მათი ლექსები არა მარტო სულის დამა-
ფიქრებელი სიმღერებია, არამედ არქი-
ტექტურულ ნაგებობათა შთაბეჭდილე-
ბასაც ქმნიან და, როგორც ავტორი
წერს, „ხუროთმოძღვრების ბრწყინვა-
ლე ძეგლებივით აღმართულან თაობა-
თა წარმოდგენაში“.

ს. ჩიქოვანს ილიას პოეზიის საპროგ-
რამო ნაწარმოებად „აჩრდილი“ მიაჩ-
ნია, რომლის მოტივები და მხატვრული
სახეები პოეტის შემოქმედებაში შემ-
დეგ მრავალგან იჩენს თავს.

ავტორის ყურადღება მიუქცევია
მყინვარის სახეს „აჩრდილში“ და, საერ-
თოდ, ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში.
„პოეტს მყინვარის სახე არ მოშორებია
შემოქმედებითი მუშაობის მთელ მან-
ძილზე და მყინვარი ბარელიეფივით
გამოკვეთილი ჩნდება და რამდენჯერმე
მეორდება მისი აღწერა „მგზავრის წე-
რილებში“, „გლახის ნამბობში“, „აჩრ-
დილსა“ და „განდვილში“. პოეტის ასე-
თი დაუინებელი ტრიალი ამ მწვერვა-
ლის გარშემო მოწმობს, რომ პოეტს

მყინვარი რაღაც დიდი, ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენის სახედ ჰქონდა ჩაფიქრებული“. ავტორი აიგივეებს „აჩრდილში“ გამოყვანილ მოხუცსა და მყინვარს, მოხუცი მყინვარის გასულიერებული ხატია; ორივე კი ძველი საქართველოს, ძლიერი საქართველოს სიმბოლოა.

ს. ჩიქოვანი „ქართლის ჳირს“, „ბედი ქართლისა“ და „აჩრდილს“ ერთ თემატურ რკალში აერთიანებს.

საგულისხმოა ავტორის მოსაზრება, რომ ილიას ლირიკული ლექსები „გუთნის დედა“, „ბაზალეთის ტბა“ და „ქართველის დედა“ „აჩრდილის“ განშტოებანია. ილია ჳავჭავაძის ლირიკული და ეპიკური შემოქმედება მთლიანი და ერთიანია, — აცხადებს ავტორი. ღრმად განცდილი ეროვნული გრძნობა, სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ პროტესტი, გმირის ძიების მოტივი ილიას პოეზიას ერთ თემატურ რკალად ჳკრავს.

სიმონ ჩიქოვანი ხაზს უსვამს ილია ჳავჭავაძის ნოვატორულ როლს ქართულ პოეზიაში. როგორც ცნობილია, ილიას ირანული პოეზია არ უყვარდა. იგი ფიქრობდა, რომ ირანულმა პოეზიამ ცუდი გავლენა მოახდინა ქართული მწერლობის განვითარებაზე. თავისი თავი კი ილიამ ე. წ. ევროპულ მიმართულებას მიაკუთვნა. სიმონ ჩიქოვანს ყურადღება მიუქცევია ამ საკითხისათვის და მის სწორ განმარტებას იძლევა. „ევროპეიზმი“ ილიასათვის იყო არა უბრალოდ დასავლეთ ევროპის ლიტერატურულ მიმდინარეობათა გავლენის ან მათთან სიახლოვის აღმნიშვნელი ტერმინი. „ევროპეიზმი“ შეიძლება წმინდა ნაციონალურ ნიადაგზე ყოფილიყო აღმოცენებული“... ეს ნიშნავდა ქართულ ლექსში აღმოსავლური პოეზიის გავლენის მოსპობას და მისთვის ეროვნული, ხალხური სულის დაბრუნებას. „ევროპეიზმის“ დამამკვიდრებლებად ქართულ პოეზიაში ილიას მიაჩნდა გურამიშვილი, გრ. ორბელიანი, ბარათაშვილი, ხოლო მათი შემოქმედების სა-

თავეს იგი „ვეფხისტყაოსანში“ ნედავდა.

ულარესად საინტერესოა ს. ჩიქოვანის წერილები „ილია ჳავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი“, „ილია ჳავჭავაძე და ქართული სალიტერატურო ენის განვითარება“, მაგრამ ამაზე აქ აღარ შევჩერდებით, რადგან ძნელია მიმოხილვითი ხასიათის სტატიაში ყველა წერილის დეტალური განხილვა.

„აკაკი წერეთელი თითქმის ერთი თემის პოეტია და ეს ერთი თემა, ბიოგრაფიულად განცდილი, სამშობლოს სიყვარულია“, — წერს სიმონ ჩიქოვანი და ასე ლაპიდარულად განსაზღვრავს მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლირიკის ამ უდიდესი წარმომადგენლის პოეზიის მთავარ თემას. ამ საკითხსაც ს. ჩიქოვანი უპირველეს ყოვლისა ბარათაშვილის პოეზიას უკავშირებს. მას სწამს, რომ „განთიადის ავტორმა შეთვისა ნიკოლოზ ბარათაშვილის ეროვნული ჳრახვები და თავისებურად განაგრძო „მერანის“ მიერ გათელილი პოეტური ცხოვრების გზა“. მეტიც: „...აკაკი წერეთლის ლირიკული სიმღერა უფრო ქართველი კაცის ხასიათის ანარეკლია და მისი სულის მელოდიურობის მაუწყებელი“. ეს ლირიკული სამყარო ისე უშუალოდ შესისხლხორცებია ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებას, რომ, როგორც პოეტი შენიშნავს, ეს ლექსები თითქოს ავტორის დაბადებამდე არსებობდით საქართველოში და აკაკი წერეთლის სიტყვებზე შეთხზულ სიმღერებს ოდითგან მღეროდით ქართველი ხალხი. ავტორი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს აკაკის პოეზიის უშუალო კავშირს ქართულ ხალხურ ჳეპირსიტყვიერებასთან, რაც გამოქვდავდა თუნდაც აკაკის პოეზიის მელოდიურობაში: „აკაკი წერეთელს სიყრმიდანვე შეჳყვარებია და თავისი პოეზიის თანამგზავრად გაუხდია სტვირი, ჩონგური, სალამური, ბუკი, ნაღარა, დაფდაფი და ჩანგი...“

ბექან ბარდაველიძე
პოეტის აღსარება

ხალხური მელოდიების სიყვარული აღ-
რიდანვე ჩაენერგა და მისი მახვილი
პოეტური სმენა თითქოს ხალხურ სიმ-
ღერებთან და საკრავებთან შეთანხმე-
ბით იქნა გამოთქმული. მისთვის
ჩონგურში ინახებოდა როგორც სახალ-
ხო საიდუმლოება, ისე ქართველთა გუ-
ლისთქმის კეთილზმონება. ასევე
ორგანულადაა შესული აკაკის პოეტი-
კაში მდიდარი ქართული საეკლესიო
მწერლობის ქართული ლექსიკა, მაგრამ
როგორც ავტორი შენიშნავს, „ეს საგა-
ლობლები და ლოცვები მიმართული
იყო არა ღმერთისადმი, არამედ სამ-
შობლოსადმი“. აკაკისათვის პოეტი იგი-
ვე მქადაგებელი თუ წინასწარმეტყვე-
ლი იყო და მას გარეგნობაც ხომ შესა-
ფერისი ჰქონდა. ასეთად დარჩა იგი
თაობების წარმოსახვაში.

საყურადღებო აზრი აქვს გამოთქმუ-
ლი ს. ჩიქოვანს აკაკის პოემების გამო.
მიუხედავად იმისა, რომ აკაკი წერეთ-
ლის პოემებში არის ყველაფერი ის,
რაც ეპიკურ ქანრს უნდა ახასიათებდეს,
აკაკი აქაც, უპირველეს ყოვლისა, ლი-
რიკოსია. „პოემებში გამოვლენილი მოქ-
მელი პირები (გარდა „გამზრდელის“
გმირებისა) ერთგვარი ფრესკული მანე-
რითაა დახატული, ეპიკურ ნაწარმოე-
ბებში თხრობითი მხარე შენელებულია
ლირიკული წილსვლებით. პოემების
შინაგანი დინამიკა მიღწეულია არა
თხრობითა და სიუჟეტის ეპიკური გან-
ვითარებით, არამედ ლირიკული თქმე-
ბითა და პოემებში ჩართული სიმღერე-
ბით. დასახელებულ პოემებში გაბნეუ-
ლია მრავალი ლირიკული ლექსი და
სიმღერა.. ეს ლირიკული ნაწყვეტები
განსაკუთრებულ სიცოცხლის ძალას
ანიჭებენ აკაკი წერეთლის ეპიკურ
ქმნილებებს“.

საინტერესოა აკაკი წერეთლის პოე-
ზიის სიმბოლურ სახეებზე დაკვირვება:
„ნამდვილი ისტორიული გმირები —
გიორგი სააკაძე, თამარი, ვახტანგ გორ-
გასალი, ერეკლე მეორე, ცოტნე დადი-
ანი, ქეთევან წამებული და არუსთველის
მიერ შექმნილი გმირები — ტარიელი,
ავთანდილი, ფრიდონი, ნესტანი, თინა-

თინი და ასმათი აკაკის წარმოდგენაში
თანაბარი სიცოცხლის მატარებელნი
იყვნენ“. „...ეს იმიტომ, — განაგრძობს
ავტორი, — რომ აკაკი წერეთელს „ვეფ-
ხისტყაოსანის“ პერსონაჟები მკაფიოდ
გამოკვეთილ ქართულ ხასიათებად მია-
ჩნდა. ეს აზრი გადაჭრით გაატარა
აკაკიმ თავის ცნობილ ლექციებში
„ვეფხისტყაოსანის“ შესახებ. აკაკის შე-
ხედულებებს თავის დროზე დიდი
ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდაო“, —
სამართლიანად დაასკვნის ს. ჩიქოვანი.

წერილი „გეა-ფშაველას ცხოვრების
ელფერი და მისი პოეტური შემოქმე-
დება“, როგორც სათაურიდანაც ჩანს,
ს. ჩიქოვანს ფართოპლანიან ნაწარმოე-
ბად ჩაუფიქრებია.

პოეტი ვაჟას მშობლიურ ჩარგალს
სწევვია. სახელგანთქმულ ქოხში ვაჟას
ცოლ-შვილთან საუბრის შემდეგ, იქვე,
ვაჟას სამუშაო ოთახში, მისთვის ლო-
გინი გაუშლიათ და მოუსვენებათ.
„მთელი დამე მესიზმრებოდაო, — წერს
ს. ჩიქოვანი, — ცის ლაქვარდზე აფრე-
ნილი არწივები, მთაში მოჩხრიალე ნა-
კადულები და მწვანე ბალახით დაფა-
რულ მთის ფერდობზე მომავალი
თეთრცხენიანი მხედარი“. სიზმარი ვა-
ჟას პოეზიით არის შთაგონებული. ვა-
ჟას პოეზია არის ამ საინტერესო წერი-
ლის შთაგონების წყაროც.

ვაჟას პიროვნებისადმი უსახლგრო
პატივისცემის გრძნობით, შეფარული
მღელვარებითაა მოთხრობილი გენია-
ლური ფშაველის ცხოვრების ამბავი.
შეურყენელი ბუნების წილში აღზრდას
იმთავითვე შეუმუშავებია ვაჟას შეუდ-
რეკელი ხასიათი და დიდ ფიზიკურ
ძალასთან შეზავებული უღრეკი კეთილ-
შობილება, ხოლო ვაჟაკობა და მამუ-
ლის სიყვარული მას სახელოვან წინა-
პართაგან მიუღია ანდერძად. თელავის
სასულიერო სასწავლებლის არაპედა-
გოგიურ რეჟიმს მასში ჯანყის სურვი-
ლი აღუძრავს და თვითგანვითარების-
თვის მიუყვია ხელი. ფიზიკური ვარ-
ჯიშობანი და სპარტანული ცხოვრება
მის ხასიათს სილაღეს მატებდა. გორის
საოსტატო სემინარიაში ვაჟას განათ-

ლება ფართო გზით წარმართულა. იგი აქ გაცნობია ძველ ბერძნულ ფილოსოფიას, ანტიკური და რენესანსის ხანის პოეტებს, ახალი საუკუნეების გერმანელ მოაზროვნეთა შრომებს, რუსი რევოლუციონერი დემოკრატების: გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის და დობროლუბოვის ნაწერებს. განუწყვეტელი ფიზიკური და გონებრივი ვარჯიშობა მთაში განმარტობულ პოეტს ღუნჭირ ცხოვრებას უმსუბუქებდა. ვაჟას უყვარდა თბილისის მიგარდნილ სარდაფებში ლხინი და რუსთაველის, ტოლსტოის, გოეთეს, სპინოზას და ჰეგელის ნაწერებზე საუბარი. მრავალშვილიანი იყო და ხვან-თესვისა და ნადირობის მოყვარული. შეგნებული ჰქონდა თავისი შემოქმედების ძალა და თანამედროვეთა შეფასება არ აკმაყოფილებდა. ღუნჭირმა ცხოვრებამ, დიდმა ფიზიკურმა და შემოქმედებითმა შრომამ ბოლოს გასტეხა ეს ჯან-ღონით სავსე, ჯანმრთელი ადამიანი და 1915 წლის 27 ივლისს იგი გარდაიცვალა. სიმონ ჩიქოვანის წერილი ვაჟაზე პოეტური ბიოგრაფიის ჩინებული ნიმუშია.

„ვაჟა-ფშაველას პოეზია, — წერს სიმონ ჩიქოვანი, — შინაგანი მიდრეკილებით და ვარეგნული იერით საოცრად ჰგავდა თავად ავტორის პიროვნებას, პოეტის სულიერ წყობას და ვარეგნულ მორთულობას... იგი მუდამ ჩოხა-ახალუხს ატარებდა, ბეწვნიანი ქული ეხურა და მხარზე თავისი ნაწერებით სავსე ზურჯინი მანდიკურად ჰქონდა გადაიდებული. ხოლო ეს ვარეგნულად სოფლური იერის მატარებელი კაცი სულში გოეთესებური პოეტური ზრახვებით იყო გამსჭვალული. მისი მძაფრი შთაგონება დიდ თემებს ეჭიდებოდა და სამყაროს წყობის საიდუმლოებას სწვდებოდა. ვაჟა-ფშაველას ლექსები და პოემებიც ვარეგნულად ფშაური ხალხური პოეზიის იერს თუ სამოსელს ატარებს, მაგრამ მის პოეზიაში გამოკვეთილი ხასიათები და ლირიკული მხილველანი ზოგადეროვნული და ზოგადხალხურია. ხოლო მის ეპიკურ სახე-

ებში აღბეჭდილი ვნებები შექსპირული სიღრმით და გაქანებით ხასიათდება.“ ს. ჩიქოვანი ნათელს ფენს ვაჟას პოეზიის ხალხურობას, მის ორგანულ კავშირს მთის ბუნებასთან, ამ პირველყოფილი ბუნების წიაღში აღმოცენებულ ხალხურ პოეზიასთან, მის სიახლოვეს ხალხური პოეტური აზროვნების ფორმებთან. ამასთანავე, „ჩვენი პოეტი დაუფლებული იყო დიდ, ზოგადპოეტურ კულტურას. ...სამყაროს პირველადი სილამაზის აღქმა პოეტის დიდი შთაგონებული ფიქრისა და განსჯის შედეგი იყო“. ბუნებაზე დაკვირვება, ხალხური პოეზიის მონაპოვართა გადამუშავება მისთვის მასალა იყო მალაღმბატრულ ნაწარმოებთა შესაქმნელად. აქ ს. ჩიქოვანი იმოწმებს თვით ვაჟას, რომელიც ამბობდა, რომ ასეთივე მუშაობა ჩაატარეს რუსთაველმა, გოეთემ, პუშკინმა, ესქილემ და პოეტური სიტყვის სხვა დიდოსტატებმა. ამიტომ, რომ ვაჟა-ფშაველას პოეზიის შესწავლა შეუძლებელია საქართველოს მთის პოეზიისა და ყოფა-ცხოვრების ცოდნის გარეშე. ს. ჩიქოვანი მთის ბუნება მიაჩნია ვაჟას პოეზიის აყვანად, მისი პოეტური სახეების პირველწყაროდ. იქ ეძებდა იგი სიცოცხლისა და აღსასრულის სიბრძნეს, თავისი პოეტური ფიქრის, მხატვრული აზროვნების საყრდენს. სწორედ ამიტომ უშუალოდ ბუნების თემაზე დაწერილი ლექსები ღრმა ფილოსოფიური აზრის მქონეა. აქ, ს. ჩიქოვანის სიტყვით, აზრის ელვარება და შინაგანი დრამატიზმი ზღვარდაუდებელია.

ს. ჩიქოვანი დაწვრილებით ანალიზებს ვაჟა-ფშაველას პოეზიის განუმეორებელ მეტაფორებსა და შედარებებს და დაასკვნის, რომ ამ მეტაფორებსა და შედარებებს უფრო ახლოს მიჰყავს მკითხველი ავტორის შთანაფიქრთან და პოეტურ აზრს ბარელიეფის სიმკვეთრით წარმოგიდგენს.


მართალია, ვაჟამ მრავალი ბრწყინ-

ბეჟან ბარდაველიძე
პოეტის აღსარება

ვალე ლირიკული ლექსი შესძინა მშობ-
ლიურ პოეზიას, მაგრამ მისმა ლანქე-
რივით მოვარდნილმა ნიჭმა უმთავრე-
სად პოეტურ ეპოსში „პოემა გამართ-
ლება“. იგი თითქოს „პოემებს და
ლექსებს კი არ წერდა, არამედ ხალ-
ხურ თქმულებებსა და ლეგენდებს
ჰქმნიდა“.

აკაკისა და ილიას გვერდით ძნელი
იყო ქართულ პატრიოტულ პოეზიაში
ახალი სიტყვის თქმა, მაგრამ „ბახტრი-
ონის“ ავტორმა ესეც შეძლო. აქ სრულ-
ყოფილად გამოვლინდა ვაჟას პატრი-
ოტული ზრახვები და ჰუმანისტური იდე-
ალი. „ამ პოემაში იგი მოყვასის მეხოტ-
ბეა იმდენად, რამდენადაც ეს მოყვასი
ხამშობლოს მოამაგეა და მისი დამცვე-
ლი... ლუხუმი, ზეზვა და კვირია, სანა-
თა და ლელა ვაჟას სიყვარულსა და
აღტაცებას იმსახურებენ, რადგან ისინი
არიან თავდადებული ქართველები და
ქეშმარიტი მამულიშვილები“.

სიმონ ჩიქოვანის აზრით, „გველის
მჭამელში“ თავისებურად „გროძოლებმა“
„ბახტრიონში“ წამოჭრილი პატრიოტუ-
ლი თემის დამუშავება“.. „ამ ნაწარ-
მოების შინაგანი პათოსი პატრიოტული
თემისაკენ არის მთლიანად გადახრი-
ლი“. სიმონ ჩიქოვანის მსჯელობა და-
მაჯერებელია და სათანადოდ არის
ილუსტრირებული. თუმცა შეიძლება
გადაჭარბებულად მოგვეჩვენოს ავტო-
რის კატეგორიული განცხადება: „ბახტ-
რიონი“ და „გველის-მჭამელიც“ ხამ-
შობლოს სიყვარულით შთაგონებული
ნაწარმოებებია და სხვა დიდი აზრისა
და იდეის ძიება ამ პოემაში ფუჭი და
უწყალო შრომაა“. ს. ჩიქოვანი ასევე
დაწვრილებით არჩევს „სტუმარ-მასპინ-
ძელსა“ და „ალუდა ქეთელაურს“,
მაგრამ, რაკი ამ ნაწილში ავტორი რაიმე
პრობლემატურ საკითხებს არ აყენებს,
ჩვენც მათ დაწვრილებით არ განვიხი-
ლავთ.



ჩამაზ უჩაძე

„შენთვის ჩამოვედ ბარადა“

უკვე რამდენიმე წელია, რაც ახალგაზრდა ქართველი პოეტი ქალის ნაწულ ქებურიას ლექსები რესპუბლიკის ყურნალ-გაზეთებში იბეჭდება. ამ უშუალო, გულთბილად დაწერილ ლექსებში მკაფიოდ იგრძნობოდა ხალხურ პოეზიასთან სიახლოვე. პოეტი ყოველთვის სადად, ნათელი სახეებითა და ფერებით გადმოსცემდა სათქმელს.

ყველა ეს თვისება უფრო მკაფიოდ, ზელშესახებად გამოვლინდა ნაწული ქებურიას ლექსების პირველ წიგნში: „შენთვის ჩამოვედ ბარადა“. ვერ ვიტყვით, რომ კრებულში მოთავსებული ლექსები თანაბარი ოსტატობით დაწერილი და ერთნაირი ღირსების იყოს, მაგრამ ხალასი პოეტური ცეცხლით გამთბარი სტრიქონები არცთუ იშვიათად გვხვდება. სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს პირველივე ლექსი „ნუ გაფრინდები“. ეს ლექსი გაზაფხულის მახარობელზე, მერცხალზე დაუწერია პოეტს. მეტად გულწრფელი და მიმზიდველია პოეტი ქალის ფიქრები, როცა იგი თბილი ქვეყნებისკენ გაფრენილ მერცხალს მიმართავს:

ეს ყვავილები გულის დამტრობი,
სხვა ყვავილებში არ შეგეცვალოს!

კიდევ სად ნახავ სხვა „ბიჭო სესეს“,
საით მიფრინავ, შავო მერცხალო?
ნუ მოსცილდები ამ მთების მესერს,
ეს მთები სხვაში არ შეგეცვალოს.

გახედე, თვალში სხივი ჩამდგარო,
შენც ავიკვიციდი, შავო მერცხალო,
აქ ყველა გული მოჰკავს ფანჯარას,
საკულე სხვაში ნუმც შეგეცვალოს!

ეს სიტობა და სინაზე მთელ წიგნს გასდევს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაწული ქებურიას ლექსებში მკაფიოდ ჩანს ხალხურ პოეზიასთან, კერძოდ, მთის პოეზიასთან სიახლოვე. ამ სიახლოვეს არსებითად ქმნის ინტონაცია და ის სიტყვიერი მასალა, რასაც პოეტი ზომიერად იყენებს. ხალხურ კილოზე დაწერილი კრებულის ერთ-ერთი საუკეთესო სატრფიალო ლექსი „განა ეს საკითხავია?“

ირემს რად უყვარს მთის წყარო,
მე — ვგ თვალეში უძირო.
ჩემო ლამაზო სიზმარო,
მომეზმანები უძილოდ.

წყაროში მთვარე ინთება,
ბარბაცებს, თითქოს მთვრალია...

მე ზომ აქ ვრჩები ყოველ ზამთრობით,
შენ სად მიფრინავ, ჩემო მერცხალო?

ჩამოირბინა ირემმა,
წყაროზე წყალი დალია.

მის გულში ცეცხლის ალია,
მის რქებზე სხივთა ხეავია.
ნუ მკითხავ, რატომ დალია, —
განა ეს საკითხავია?!

ამ პატარა ლექსში ყველაფერი სიყვარულით სავსე ადამიანის თვალთ არის დანახული. პეიზაჟი, მხატვრული სახეები და თვით ლექსის რიტმიც ზუსტად ეხამება განწყობილებას, კარგად გადმოსცემს ნაწარმოების აზრს.

ნაწული ქებურიას ერთ-ერთი კარგი თვისება—მეტრული მრავალფეროვნებაც არის. კრებულში მოთავსებული ლექსების უმეტესობა დაწერილია განსხვავებული ზომებით, რაც კარგ შთაბეჭდილებას ახდენს.

მეტად მუსიკალურია და ცოცხალი პოეტური სახეებით გამოირჩევა სამშობლოს სიყვარულზე დაწერილი ერთი უსათაურო ლექსი, რომელიც ამ სტროფით იწყება:

მე ის წვეთი ვარ ზღვისა,
ის ნაპერწკალი ცეცხლის,
შენი ვარ, განა სხვისა?
და გულიც შენთვის მეწვის.

ზოგჯერ პოეტი ბოლომდე გამართულად ვერ ამბობს სათქმელს, კარგად დაწყებულ სტროფს ცუდად აბოლო-

ებს. ერთ ლექსში („ღუმელი“) ნ. ქე-
ბურია წერს:



ღუმელი დიდი საუბარია,
ღუმელი დიდი მუსიკის ხმაა,
ღუმელი ენით უთქმელის თქმაა, —
დასიცხულ სულის მოთქმის დარია.

ეს სტროფი ნამდვილად კარგი იქნებოდა, რომ ბოლო სტრიქონიც ისევე იყოს დაწერილი, როგორც წინა სამია. მეოთხე სტრიქონში რიტმი გაძლიერების ნაცვლად ნელდება. წინა სტრიქონებით აღძრული ემოციაც კლებულობს.

კრებულში მოთავსებულ ლექსებში არის ძნელად გასაგები მხატვრული სახეები, გვხვდება გაუმართავი ფრაზები. ავტორი რომ მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს თავის ნაწერებს, ასეთი რამ არ გაეპარებოდა:

შენ ყოველ დღით თვალწინ გადმეარ,
შენ ცეცხლს მიტოვებ, როგორც აღმა მზე,
შენ ფოთოლივით დილაადრიან
ქარს არ აპყვები არც ერთ აღმართზე.

ნაწული ქებურიას თემატური შეზღუდულობაც უნდა ვუსაყვედუროთ. წიგნში მოქალაქეობრივ მოტივებზე დაწერილი ლექსებიც არის, მაგრამ პეიზაჟური ლირიკა განსაკუთრებით კარბადაა წარმოდგენილი. ვფიქრობთ, ავტორი შესძლებს ამ ხარვეზების დაძლევას.



რ. ტუპიანიძე

როგორ აღმოაჩინეს ამერიკა

შეიძლება არ არსებობს არც ერთი კარტოგრაფიული ძეგლი, რომელიც საფუძველს მოგვცემდა გვემტკიცებინა, რომ კოლუმბის პირველ ნაოსნობამდე ევროპაში არსებობდა აზრი, აღმოსავლეთ აზიის მდებარეობის შესახებ ახლო დასავლეთით.

ყველაზე განმსაზღვრელი, ზუსტ ციფრებში გამოხატული, კოლუმბის გამონათქვამი განედებში ძველი ქვეყნის სიდიდის შესახებ აღმოჩნდა კოლუმბის მეოთხე და უკანასკნელი ნაოსნობის (1502—1504) პატაკში, რომელიც დაწერილია სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე. აქ კოლუმბი საბოლოოდ და კატეგორიულად ეთანხმება მარინ ტიროსელს, რომ ძველი ქვეყნის სიდიდე უდრის 225°.

მაგრამ ნიშნავს თუ არა, რომ კოლუმბი ადრეც ამ აზრს ადგა? სრულიადაც არა. საქმე ისაა, რომ მესამე ნაოსნობის პატაკში, რომელიც დაწერილია არა უადრეს 1498 წლისა, კოლუმბი ამ საკითხზე იზიარებს პტოლემოსის აზრს, ხოლო ეს ანტიკური მეცნიერი, როგორც

ცნობილია, ძველი ქვეყნის სიდიდედ მიიჩნევდა დაახლოებით 180°.

ცნობილია, რომ კოლუმბი კითხულობდა პტოლემოსის „გეოგრაფიას“. ამ წიგნის ეგზემპლარი კოლუმბის შენიშვნებითურთ მოღწეულია ჩვენამდე. საკითხავია, როგორ მოხდა, რომ კოლუმბმა აღიარა მარინის კონცეფციის მართებულობა, თუ იგი იცნობდა პტოლემოსის ნაშრომს, სადაც დამაჯერებლადაა ნაჩვენები მარინის შეცდომა გაანგარიშებაში?

ამრიგად, კოლუმბის გამონათქვამები ძველი ქვეყნის ზომის შესახებ შეიცავს შეურიგებელ წინააღმდეგობებს.

მიუზბრუნდეთ კოლუმბის მეორე ნაოსნობის რამდენიმე ფაქტს.

1494 წელს კოლუმბის სამი ზომალდი ესპანიოლას ნაპირებიდან დასავლეთისაკენ, კუბისაკენ გაემგზავრა და შემდეგ კუნძულის სამხრეთ ნაპირებს გაუყვა დასავლეთის კურსით.

როცა კუბის აღმოსავლეთ ნაწილს მიადწია, კოლუმბმა ეკიპაჟს განუცხადა, ზომალდები სავების ქვეყანასთან დგანანო. საჭიროა აღინიშნოს, რომ ანტიკურ ეპოქაში, აგრეთვე შუა საუკუნეებ-

ში თვლიდნენ, რომ ეს ქვეყანა არაბეთის ნახევარკუნძულზე მდებარეობს. სხვა აზრი არც ლიტერატურაში, არც კარტოგრაფიაში არ გვხვდება, თუ ეს ასეა, ჩვენ უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ როცა კოლუმბმა განვლო მანძილი ესპანეთიდან კუბამდე (დაახლოებით 70°), თვლიდა, რომ მან არა მარტო გადასერა ოკეანე, არამედ გვერდით ჩაუარა მთელ აზიას და მიაღწია მის დასავლეთ ნაწილს.

საგების ქვეყნების შემდეგ კოლუმბის ხომალდები გაემართნენ კუბის სამხრეთ ნაპირის გასწვრივ დასავლეთისაკენ და მალე კოლუმბმა განაცხადა, რომ მიაღწიეს აღმოსავლეთ აზიას. გარდა ამისა, კოლუმბმა მოითხოვა, რომ მისი აზრი გაეზიარებინა ნაოსნობის ყველა მონაწილეს.

საკითხავია — როგორღა მოხდა, რომ კოლუმბმა ჯერ იფიქრა, თითქოს დასავლეთ აზიას მიაღწია, ხოლო შემდეგ კი აღმოსავლეთს. აქი დასავლეთის მიმართულებით მოძრაობდა?

მაგრამ ეს კიდევ არაა ყველაზე გასაოცარი. ორი წლის შემდეგ კოლუმბმა განაცხადა, რომ კუნძულ ესპანიოლაზე (ჰაიტი) მდებარეობს ოფირი. ეს ქვეყანა, რომელიც ძველი აღთქმის მიხედვით განსაკუთრებით მდიდარია ძვირფასი მეტალებით, XVI საუკუნის რუკებზე აღინიშნებოდა აღმოსავლეთ თუ სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკაში.

ამგვარად, თუ კოლუმბის სიტყვას ვერწმუნებით, ევროპიდან დასავლეთით მდებარეობს აღმოსავლეთი აფრიკა (ოფირი), უფრო დასავლეთით — დასავლეთი აზია, მერე ამავე მიმართულებით — აღმოსავლეთი აზია.

აი, როგორ ჩიხში მოვექცეთ, როცა შევეცადეთ პირდაპირი თუ ირიბი მონაცემების საფუძველზე დავგვედგინა კოლუმბის აზრი ძველი ჩიყუანის სილიდის შესახებ. რა იყო მიზეზი, რამაც აიძულა კოლუმბი გამოეთქვა ამგვარი პარადოქსული აზრი საარაკო სიმდიდრით განთქმული ქვეყნების განლაგების შესახებ? მიუხედავად იმისა, რომ კოლუმბის ნაოსნობის დროინდელ საბუთებს.

მეორე ექსპედიციისათვის სამხედრო დაიწყო მანინე, პირველი მოგზაურობიდან კოლუმბის დაბრუნებისთანავე.

ესპანეთის მთელ რიგ ქალაქებში გამოსცეს აღმირალის ხელმოწერილი წერილი, რომელშიც აღწერილი იყო პირველი ნაოსნობის შედეგები.

წერილი აღტაცებით ჰყვებოდა ზღაპრულ სიმდიდრეზე, რომელიც თითქოს აღმოაჩინა კოლუმბმა „ინდოეთის“ კუნძულებზე. წერილი იტყობინებოდა აგრეთვე, რომ ინდოეთს გამგზავრება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. გარდა ამისა, მკითხველებმა შეიტყვეს, რომ ჩინეთთან სავაჭროდ ხელსაყრელ ადგილზე ესპანელებმა დააარსეს სოფელი და ააგეს ციხე-სიმაგრე.

მრავალი გამოცემის წყალობით ეს წერილი ფართოდ გავრცელდა მთელს ესპანეთში. გარდა ამისა, პეროლდები კითხულობდნენ ესპანეთის ქალაქებსა და სოფლებში მეფის სედულებს, იტყობინებოდნენ სამეფო ფლოტილიის აღჭურვილობას, რომელიც „ინდოეთის აღმირალის“ კოლუმბის მეთაურობით „ინდოეთს“ უნდა გამგზავრებულიყო.

პროპაგანდამ და მონღოებამ შედეგი გამოიღო.

ექსპედიციაში მონაწილეობის მსურველნი მოსვენებას არ აძლევდნენ კოლუმბს. განზრახული იყო შეეგროვებინათ ათას ორასი კაცი. ოთხასამდე კაცი სიაში რომ ვერ მოხვდა, უჩუმრად მოთავსდა გემზე და ფლოტილიას გაჰყვა.

კოლუმბმა მეფე-დედოფალს შეატყობინა: „ყველანი სამსახურში მივიღეთ თავდების ქვეშ“. მათ იზიდავდა აღმოსავლეთის ქვეყნების ზღაპრული სიმდიდრე: „ისინი მიილტვიან, — წერდა კოლუმბი, — იმ რწმენით, რომ ოქროსა და სანელებლის შეგროვება ნიჩბით შეიძლება... პირდაპირ სანაპიროზე“.

ოკეანეში ფლოტილია სასტიკ ქარიშხალს გადააწყდა. მრისხანე ოკეანის წინაშე შიშს მალე დაერთო შიმშილი. მიმწოდებლებმა ხომალდზე წამხდარი სურსათი აზიდეს და ამის გამო ნაოს-

ნობის ბოლო კვირებში ხალხი თითქმის შიმშილობდა.

როგორც იქნა, ხომალდები ესპანიოლას მიადგნენ. ახალმოსულნი გულდაგულ ეძებდნენ დაბასა და ციხე-სიმაგრეს, რაზედაც ლაპარაკი იყო კოლუმბის წერილში. არც ერთი არ აღმოჩნდა უბრალოდ იმიტომ, რომ არც არასდროს დაუარსებიათ. მალე გაიჩვენა, რომ კუნძულზე დატოვებული მეზღვაურების რაზმი დაღუპულიყო. თვეზე მეტ ხანს მიცურავდა დამშეულ ესპანელთა ფლოტილია ესპანიოლას ჩრდილო სანაპიროს გასწვრივ და ეძებდა გადმოსაბარებლად ხელსაყრელ ადგილს. ულუფა განუწყვეტილად მცირდებოდა. ბოლოს კოლუმბმა ბრძანა ნაპირს მიდგომოდნენ, ნივთები გადმოეტვირთათ და კარგები გაემართათ. გახარებული კოლონისტები საქმეს ენთუზიაზმით შეუდგნენ, მაგრამ მალე წააწყდნენ საშინელ სიძინელებს. მშვიერი ესპანელები დააცხრნენ ადგილობრივ საკმელს, რომელიც ევროპელთათვის ძნელად მოსაწონებელი შეიქნა: დაიწყო კუჭ-ნაწლავის ეპიდემიური დავადება. თანაც ეს საკმელიც ცოტა იყო, რადგან ველურებს მარაგი არ გააჩნდათ. საკმლის ძებნაში ევროპელები სიხჯავდნენ ველური მცენარეების ნაყოფს. ბევრი მათგანი შხამიანი აღმოჩნდა.

ტროპიკულმა წვიმებმა გააუარესა მშვიერი ესპანელების ისედაც მძიმე მდგომარეობა. ესპანიოლას (პაიტი) ტროპიკული ტყის უჩვეულო, ნოტიო კლიმატი და აბეზარი მოსკიტები იწვევდა ტროპიკულ ციებასა და სხვა, იმ დროისათვის გამოუცნობ დავადებებს. ექიმმა არ იცოდა, როგორ ემკურნალა მათთვის. ეპიდემია მუსრს ავლებდა ესპანელებს.

ახალ ქვეყანაში ესპანელების მდგომარეობაზე ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის მოხსენებითი ბარათი, რომელიც კოლუმბმა დაწერა ესპანიოლაზე მოსვლის პირველსავე თვეებში და გადასცა ესპანეთში გასაბრუნებელი ხომალდების კაპიტანს. ეს იყო მუდარა-

დახმარებაზე. კოლუმბი წერდა უცხოურ დაავადებებზე, რაც თავს დაატყდა ესპანელებს, ემუდარებოდა მეფედოფალს, ეზრუნათ რაც შეიძლება მალე გამოეგზავნათ სურსათი: ჰურიდან და ხორციდან დაწყებული ბადავითა და ძმრით გათავებული. აღმირალი განსაკუთრებული დაქინებით მოითხოვდა ხორცს. ახალი ხორცი, ირწმუნებოდა კოლუმბი, ხალხს, ავადმყოფებს ფეხზე წამოაყენებსო.

გაიარა კვირებმა, მაგრამ ახალმოსულებს ესპანიოლას ტროპიკულ ტყეებში თვალითაც არ უნახავთ რაიმე სიმდიდრე. როცა დარწმუნდნენ, რომ ისინი მოატყუეს, გაბოროტებულმა კოლონისტებმა სამშობლოში გაბრუნების ნებართვა მოითხოვეს. კოლუმბმა, ბუნებრივია, უარი სთქვა. მალე კოლუმბმა ექსპედიციის მონაწილეთა შორის შეთქმულება აღმოაჩინა. შეთქმულებს უნდოდათ ხელთ ეგდოთ გემები და თვითნებურად დაბრუნებულიყვნენ ესპანეთში. კოლუმბი მკაცრად გაუსწორდა მათ. რამდენიმე მათგანი ჩამოახრჩვეს, ბევრი დააპატიმრეს. ამასთანავე ექსპედიციის მეთაურმა სიფრთხილისათვის ზომები მიიღო: ყველა გემიდან ჩამოხსნეს აღჭურვილობა და სანავიგაციო ხელსაწყოები გადაიტანეს ერთ-ერთ ხომალდზე და დარაჯად საიმედო ხალხი მიუჩინეს.

მდგომარეობა გამძაფრდა. კოლუმბსა და სასულიერო წოდებას შორის, რომელიც თან ახლდა ექსპედიციას, განხეთქილება მოხდა. საქმე ისაა, რომ შეთქმულებაში გარეული აღმოჩნდა ბერის, ბუილის ახლობლები. ბერმა მოითხოვა, არ დაესჯათ ისინი და იმუქრებოდა — მღვდელთმსახურებას შეეწყვეტო. კოლუმბი მუქარას არ დაერიდა და შეთქმულნი ჩამოახრჩვეს. მაშინ ბერმა ბუილმა მუქარა შეასრულა. საპასუხოდ კოლუმბმა ბერებზე სურსათის გაცემა შეწყვიტა. სასულიერო წოდება დაცხრა, მაგრამ ურთიერთობა

დ. ცუპერნიკი

როგორ აღმოაჩინეს ამერიკა

საბოლოოდ გაფუჭდა. უკმაყოფილებ-
დღითიდღე იზრდებოდა.

მაშინ, გვამცნობს ამ ამბების მონა-
წილე კუნეო, კოლუმბმა განაცხადა,
ესპანიოლაზე, კუნძულის შუაგულში
მდებარეობს „სიბაო“, სადაც, „რო-
გორც პტოლემეოსი გვაუწყებს, მდინა-
რეებში უამრავი ოქროაო“. უეჭველია
კოლუმბს „სიბანგო“ (იაპონია) ჰქონდა
მხედველობაში, რომელზედაც მარკო
პოლო წერდა. პტოლემეოსს ამ ქვეყნის
შესახებ ერთი სიტყვაც არ დაუძრავს,
რადგან ანტიკურ მეცნიერს არ გააჩნდა
არავითარი ცნობა აზიის მატერიკის
აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებზე.

მაღე კოლუმბმა „მართებული მარ-
შრუტი“ მისცა და ამ ქვეყნის საძებნე-
ლად გაგზავნა რაზმი. რაზმი ძლივსძლი-
ვობით იკვლევდა გზას აღამიანისაგან
ფეხდაუდებელ ტყეებში მანამ, სანამ
წვიმებისაგან ადიდებულმა მდინარემ
არ გადაუღობა გზა. რაზმი დაბაში ხელ-
ცარიელი დაბრუნდა. მაშინ კოლუმბმა
ესპანელებს განუცხადა, რომ რაზმს
ჯერ კიდევ არ მიუღწევია სიბაომდე,
რომელზედაც თითქოს პტოლემეოსი
წერდა. შემდგომ აღმირალმა განაცხა-
და, თითქოს ესპანიოლელმა ინდიელებ-
მა დაადასტურეს პტოლემეოსის ყველა
ცნობა: „მართლაც, მითითებულ სიბაოს
ქვეყანაში უდიდესი რაოდენობით მოი-
პოვება ოქრო“.

ამ საბაბით აღმირალმა „დიდი ზეი-
მი“ გამართა. ესპანელებმა თავიანთი
თვალთ ნახეს აღმირალის პატაკი მე-
ფე-დედოფლის მიმართ. კოლუმბი მათ
ატყობინებდა, რომ აღმოაჩინა უმდიდ-
რესი ქვეყანა სიბაო, სადაც მდინარეები
ოქროს ზოდებს მოაგორებდნენ. შემდ-
გომ კოლუმბი ირწმუნებოდა, რომ სულ
მოკლე ხანში ესპანეთში ჩამოზიდავს
იმდენ ოქროს, რამდენსაც ბისკაო რკი-
ნას იღებს.

ამ პატაკმა საოცარი ზეგავლენა მოახ-
დინა ავადმყოფ ესპანელებზე. კუნეო
წერს: „მიუხედავად საძაგელი ამინდისა,
ცული საკვებისა და კიდევ უარესი სას-
მელისა“, მთელს დაბაში ზეიმი ვაჟეფე-

ბულიყო. ყოველივე ეს, წერს კუნეო,
ჩაიდინა ოქროსადმი სიხარბემ.

კოლუმბმა სეზონური წვიმების
დაღებას დაუცადა და მერე თვითონ
გაუძღვა დიდ რაზმს სიბაოსაკენ. მისე-
ლისთანავე ბრძანა ფორტის გაშენება.
როგორც კი დროს მოახელებდნენ, ეს-
პანელები მდინარეებსა და ნაკადუ-
ლებში გაფაციცებით ეძებდნენ ოქროს.
კუნეო გვამცნობს: „მეგრჯერ გადავა-
ქოთეთ მითითებული მდინარეები, მაგ-
რამ ერთი ნამცეცი ოქროც კი ვერ ვი-
პოვეთო“.

მაშინ კოლუმბმა ესპანიოლელ კო-
ლონიტებს განუცხადა, რომ სიბაოელი
ინდიელების ნათქვამის თანახმად „ოქ-
როს ოლქი“ ძვეს სიბაოს მეორე მხა-
რეს, ოღონდ ოქროს ქვეყანაში, რო-
მელზედაც ყვებოდნენ ინდიელები.
კოლუმბს ესპანელები აღარ წაუყვანია.
იგი დაბრუნდა ფაქტორიაში, სადაც
შიმშილი და ავადმყოფობა მიქინვარებ-
და. კოლუმბმა მაღე დაავდო ესპანიო-
ლა და სამი ზომალდით დასავლეთის-
კენ, კუბის ნაპირებისაკენ გაეშურა.
სწორედ ამ საცდელი ნაოსნობის დროს
„აღმოაჩინა“ აღმირალმა სავთა ქვეყანა
და აზიის აღმოსავლეთი ნაპირი.

ამ ამბების ერთ-ერთი მონაწილე
ჰყვება, რომ ნაოსნობის პირობები გან-
საკუთრებით მძიმე იყო: დღეში სულზე
შვიდ უნცია პურს იძლეოდნენ, დანარ-
ჩენ საკვებს — თევზს — მეზღვაურები
თვითონ შოულობდნენ. ზომალდები ნე-
ლა მიცუტრავდნენ უცნობი მიწის სანაპი-
როს გასწვრივ. კუბის სამხრეთი ნაპირი
ჰაობიანი და უდაბურია, აქა-იქ ხვდე-
ბოდნენ ინდიელ მეთევზეთა სოფლებს.
მაგრამ რაც უფრო უსიხარულო იყო
სურათი, მით უფრო გასაოცარი იყო
კოლუმბის „აღმოჩენები“. როცა გადაწ-
ყდა, ზომალდები მიახლოვებოდა სანა-
პირო სოფელს, კოლუმბმა განაცხადა,
რომ სწორედ ესაა სახელგანთქმული
სავთა ქვეყანა (სავთა სამეფო). კოლუმბ-
მა ჰკითხა ადგილობრივ მცხოვრებს,
რა ერქვა ამ მიწას. და როგორც არწმუ-
ნებდა თავის თანამგზავრებს, მან უპა-
სუნა „სოვო“, რაც, კოლუმბის განმარ-



ტების თანახმად, სავთა სახელმწიფოს ნიშნავდა. მაგრამ ამ ქვეყანაში ღრმად შესვლა კოლუმბს არ უცდია, ზღვით განავრძო გზა დასავლეთისკენ. შემდეგ ხომალდები სამხრეთის მიმართულებით, კუნძულ იამაიკასკენ წავიდნენ და მერე ისევ კუბაზე დაბრუნდნენ. ხომალდები კუბის სამხრეთით, ჭაობიანი ნაპირის გასწვრივ მიტურავდნენ. ნაოსნობის მონაწილე ნაღვლიანად შენიშნა: „ყველგან ერთი და იგივეა“

ერთ ადგილას ადგილობრივ მცხოვრებლებთან ხანგრძლივი ლაპარაკის შემდეგ ევროპელებმა გაიგეს, რომ კუბა კუნძულია, ყოველმხრიდან ზღვა აკრავს. კოლუმბმაც ჩაწერა ეს ცნობები თავის დღიურში, მაგრამ როცა აღმირალმა ესპანოლოაზე დატოვებულ ფაქტორიაში დაბრუნება გადაწყვიტა, მან ეკიპაჟს განუცხადა, რომ კუბა სწორედ აზიის ნაპირია და რომ ხომალდები შორს აღარ არიან ჩინეთიდან.

ნაოსნობის მონაწილენი არ დაეთანხმნენ მას და მკვიდრთა სიტყვას იშველიებდნენ. ამტკიცებდნენ, რომ ეს კუნძულია. გამშაგებულმა აღმირალმა განაცხადა, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები „შუუგნებელი პირუტყვები არიან, ისინი მხოლოდ მიწის იმ ნაწილს იცნობენ, სადაც მათი სოფელი მდებარეობს“, და წარმოდგენაც კი არა აქვთ, რა არის ათიოდე ლიგას (სამოცდაათამდე კილომეტრი) იქით.

ერთ-ერთი რიგითი მონაწილის წერილიდან ვტყობილობთ, რომ ერთი „განსწავლული კაცი“, ვინმე დე ლუქსერნა, ჯიუტად არ ეთანხმებოდა კოლუმბს და ნაოსნობის მონაწილეთა უმრავლესობაც იმავე აზრს ადგა. კოლუმბმა პირდაპირ მუქარას მიმართა. მან განაცხადა, რომ ლუქსერნას ესპანეთში დაბრუნების ნებას არ მისცემდა.

აღმირალმა გადაწყვიტა მიეღო უფრო ეფექტური ზომები. ამის შესახებ ჩვენ ვგებულობთ ექსპედიციის ნოტარიუსის მიერ შედგენილი ოფიციალური აქტიბიდან. ეს აქტები ფრიალ საინტერესოა: „1494 წლის ივნისს კარაველის „ნინიას“ ბორტზე დონ ქრისტე-

ფორე კოლუმბმა, ოკეანის დიდმა აღმირალმა მიბრძანა მე, ნოტარიუსს, მთელი მეებთან ერთად ავსულოყავი სათითადად ყველა ხომალდზე და მეცნობებინა ეკიპაჟისა და დანარჩენ პირათთვის, რომლებიც ბორტზე იმყოფებოდნენ, რომ ეს მიწა წარმოადგენს მატერიკს — ინდოეთის დასაწყისს“. ნოტარიუსი განავრძობს, რომ მან ზუსტად შეასრულა აღმირალის მოთხოვნა, თან გააფრთხილა ისინი, რომ „ყველამ, ვინც კი ოდესმე იტყვის ამის საწინააღმდეგოს, ახლავე იცოდეს, რომ დაეკისრება ჯარიმა 10.000 მარავედის რაოდენობით, ანდა დაარტყამენ 100 როზგს და, გარდა ამისა, ენას მოსჭრიან“.

როცა ზემოხსენებული კუნეო კოლუმბთან პირისპირ დარჩა, მან ჰკითხა აღმირალს, რამ გამოიწვია ამგვარი მოქმედება. აღმირალმა ბავშვობის მეგობარს გაანდო, რომ ეს ზომები აუცილებელია, სხვანიარად ესპანეთში აღარ დაინტერესდებიან ახალაღმოჩენილი მიწებით.

აღმირალმა ესპანოლოაზე დაბრუნება გადაწყვიტა. როცა კოლუმბი ფაქტორიაში მივიდა, იქ სასოწარკვეთილება სუფევდა. აღმოჩნდა, რომ კოლუმბის იქ არყოფნის დროს მეფის მოხელეებმა და სასულიერო პირებმა ხელთ იგდეს ხომალდი და ესპანეთში გაიქცნენ. კუნეოს თქმით, მაშინ ფაქტორიაში „მრავლად იყო ავადმყოფი და მშვიერი კაცი“.

კოლუმბმა აცნობა დარჩენილთ, რომ მან ბოლოს და ბოლოს აღმოაჩინა აზიის ნაპირები და რომ მალე იგი გაგზავნის იქ ორ გემს თავისი ძმის ბართლომეს უფროსობით. „ბატონმა აღმირალმა განაცხადა, — გვამცნობს იქ მყოფი კუნეო, — რომ იპოვის ჩინეთს“. ოღონდ კოლუმბს ხომალდები არსადაც არ გაუგზავნია; მართალია, მან მალე „მიაკვლია“ ოქროვან ოფირს და ესეც სასწრაფოდ აცნობეს ესპანეთს, მაგრამ ეს ქვეყანაც, როგორც სავთა სამეფო და

დ. ცუკერნიკი
როგორ აღმოაჩინეს ამერიკა



აღმოსავლეთი აზია, კოლუმბმა უყუ-
რადღებოდ დატოვა.

ამასობაში კუნეო ახალი მიწებიდან
ევროპაში დაბრუნდა და თავის პატ-
რონს მოახსენა, რომ ახალი მიწები
კომერციის თვალსაზრისით საინტერე-
სო არაა, რადგან იქიდან ესპანეთში
ჩამოყვანილი მონები უძლეურნი ვა-
დდემოკლენი არიან. ახალი მიწების
სხვაგვარად გამოყენებაზე ის სიტყვა-
საც არ ძრავს.

კოლუმბის მტკიცებას, რომ მან 1494
წელს აღმოაჩინა აზიის მატერიკი, სა-
ფუძვლად გეოგრაფიული მოსაზრება კი
არ ედო, არამედ ახალ მიწებზე თანა-
მედროვეთა უარყოფითი აზრის დაძლე-
ვის სურვილი. მოკლედ რომ ვთქვათ,
ცნობები აზიასა და მის განძზე, რაც
თითქოს აღმოაჩინეს სულ ახლოს, და-
სავლეთით, მისტიფიკაცია იყო. მისტი-
ფიკაცია გამიზნული იყო ხალხის ასამ-
ხედრებლად ზღვისგაღმა მიწების და-
საპყრობად. პალოსის მცხოვრებთა გად-
მოცემით, კოლუმბმა მთელი თევების
მანძილზე ვერ შეაგროვა ხალხი სამი პა-
ტარა კარაველისათვის.

ხალხის მიზიდვა რომ უზრუნ-
ველყოთ, გადაწყვიტეს მოტყუებით
ემოქმედათ. გამოაცხადეს, რომ ხომალ-
დები მემართებიან აზიის უმდიდრესი
ქვეყნებისაკენ, რომლებიც შუა საუკუ-
ნეებში განთქმული იყვნენ აურაცხელი
სიმდიდრით: ძვირფასი მეტალებით,
სანელებლით, ნელსაკმეველითა და ა. შ.
ნაოსნობის მონაწილეებს აზიის ქვეყ-
ნებში უცბად გამდიდრება აღუთქვეს.

ეს ფანდი მარჯვე გამოდგა: საჭირო
რაოდენობის ხალხი შეგროვდა.

როცა კოლუმბის პირველი ხომალ-
დები კარიბის ზღვის კუნძულებს მიაღ-
გნენ, ნაოსნობის მონაწილენი გაჭილე-
ბული დარჩნენ იმით, რაც იქ დახვ-
დათ. მათ ნახეს ადამიანისაგან ფეხდა-
უდგმელი სუბტროპიკული ტყეები, სა-
დაც ცხოვრობდნენ ბარბაროსობის უმ-
დაბლეს საფეხურზე მდგომი ტოჩები.
შედარებით მრავალრიცხოვანი იყო
არაუაქის, ანუ ტაინის ტომები, რომლე-
ბიც ესახლნენ დიდ ანტილზე — ესპა-

ნიოლაზე (პაიტი), კუბაზე, პორტო-
რიკოსა და იამაიკაზე.

მათი მეურნეობის ძირითადი სახე
პრიმიტიული მიწათმოქმედება იყო:
მოჰყავდათ იუკა, ბატატი და ა. შ.
წარმოების იარაღად იყენებდნენ სიმბა-
რისათვის თავწამწვარ ხის ჯოხებს, ხა-
ნაც ხის ერქვანს. კუნძულის ფაუნა
განსაკუთრებული სიღარიბით გამოირ-
ჩეოდა, ამის გამო იგი მკვიდრთა მეურნე-
ობაში უმნიშვნელო როლს თამაშობდა;
მესაქონლეობას სულ არ იცნობდნენ.
მათს ხორცეულის ულუფაში შედიოდა
მღრღნელები, ქიები, ობობები და
ხელიკები.

ევროპელებმა იქ ვერავეთარი სიმ-
დიდრე ვერ იპოვნეს.

1493 წელს კოლუმბს აუჯანყდნენ და
ფლოტილია ვადაზე აღრე გაბრუნდა
ესპანეთისაკენ.

ნაოსნობის მონაწილენი, რომლებიც
ესპანეთში დაბრუნდნენ, ცუდად ახა-
სიათებდნენ ახალ მიწებს.

ესპანეთის მთავრობა იმედოვნებდა,
რომ შემდგომ მაინც გამოჩნდებოდა
მდიდარი ქვეყნები. ამიტომ მიიღეს
გადაწყვეტილება — გაეგზავნათ დიდი
ექსპედიცია და მტკიცედ დაფუძნებუ-
ლიყვნენ ახალ მიწებზე. საჭირო შიქნა
დიდი რაოდენობით მოეგროვებინათ
ისეთი ხალხი, რომელიც მზად იქნე-
ბოდა გადაესერა მრისხანე და უცნობი
ოქვანე.

პირველი ნაოსნობის მონაწილეთა
ნაამბობი ახალი მიწების შესახებ სერი-
ოზულ დაბრკოლებად იქცა. ესპანეთის
მთავრობა მაშინდა მიხვდა, რომ ახალი
მიწების შესახებ სიმართლის გავრცე-
ლება სერიოზულად შეუშლიდა ხელს
კოლონური საქმიანობის ფართოდ გაშ-
ლას.

„ბოროტ“ ხმებს რომ ბოლო მოღე-
ბოდა და სარისკო წამოწყებისათვის
ახალი ხალხი და საშუალებანი მიეზი-
და, ესპანეთის მთავრობამ გამოიყენა
და განავითარა ის მეთოდი, რომლითაც
ისარგებლა პირველი ფლოტილიის
გამგზავრების დროს. გამოაცხადეს, რომ
კოლუმბის ხომალდებმა აღმოაჩინეს

„ინდოეთი“, სადაც მიაკვლიეს ოქროს, სანელებლისა და ა. შ. საარაკო რაოდენობას. ამ მისტიფიკაციამ, როგორც ვნახეთ, მართლაც გასწია საშსახური მეორე ექსპედიციის (1493 წელი) მომზადებაში.

მთავრობა ვარაუდობდა, რომ თუ ახალაღმოჩენილ მიწებზე მისვლისას შეპირებულ სიმდიდრეს ვერ ნახავდნენ, მალე გამდიდრების რწმენას მაინც შეინარჩუნებდნენ — ზღაპრულად მდიდარი აზია ხომ აქვია...

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ 1494 წელს ესპანოლაზე მეორე ექსპედიციის მისვლისას, როცა მოსულეს თავს დაატყდათ მოულოდნელი უბედურება, ხოლო სიმდიდრე ვერ იპოვეს, კოლუმბმა ათასნაირ ხერხს მიმართა, რათა თავისი ხალხი გაემხნევებინა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ხერხები არ იყო გამჭირახობას მოკლებული, მაგრამ საშინელ პირობებს, უცნაურ დაავადებებს, უღმობელ შიმშილს, მოსკიტებს თავისი გაჰქონდათ.

ესპანოლადან გამოგზავნილმა წერილებმა ესპანეთს მიაღწია. წერილებში ლაპარაკი იყო ესპანელ ახალმოსახლეთა სავალალო მდგომარეობაზე, შეიცავდა მუდარას, რომ სამშობლოში დაბრუნების ნება დაერთოთ.

1494—1496 წლებში ვიღაც-ვიღაცეებმა მოახერხეს ესპანოლადან სამშობლოში დაბრუნება. მხილველის სიტყვით, მათ „ვერაფერი ჩამოიტანეს, გარდა ამბებისა უბედურებაზე, ტანჯვასა და გაცრუებულ იმედებზე“. ისინი საშინელი სანახავი იყვნენ, თანამედროვენი შეაძრწუნა მათმა შესახედაობამ. ერთ-ერთი მნახველი წერს: „ისინი დაბრუნდნენ დავადებულნი, დაუძლეურებულნი და მიცვლებულეს უფრო მოგაგონებდნენ, ვიდრე ცოცხალ ადამიანებს... მეფეს რომ ჩემთვის ინდოეთი ეჩუქებინა, ხოლო ამას იქამდე მივეყვანე, რომ მეც ამ ხალხს დავმსგავსებოდი, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავბედავდი იქ გამგზავრებას“.

1496 წელს თვით ესპანეთში გამოაშკარავდა ესპანეთის მთავრობის მის-

ტიფიკაცია. ამავე წელს ესპანეთში მობრუნებული კოლუმბი თავის ქმარ ბართლომეს წერდა: „ყველა ეს წამოწყება ისე გახმაურებულა, რომ გაოცდები“.

ამის შედეგად აღნიშნული წლის ბოლოს უკვე აღარავის უნდოდა ახალაღმოჩენილ მიწებზე გამგზავრება. სიძნელები, რასაც კოლუმბი წააწყდა პირადი შემადგენლობის შერჩევისას, ჭეშმარიტად დაუძლეველი იყო. ჯერ კიდევ 1496 წლის ზაფხულში გადაწყვიტეს მესამე ფლოტილის გაგზავნა, როცა აუცილებელი შეიქნა ესპანოლაზე დაარსებული ფაქტორიის ძლიერ გამეჩხრებული პირადი შემადგენლობის შევსება. ექვსი თვის განმავლობაში კოლუმბი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ხალხი მიეზიდა, მაგრამ ამაოდ. „ამ საქმეს ისეთი ცუდი სახელი აქვს გავარდნილი, — უბატაკა მან სამეფო კარს, — რომ არავის არ სურს წამოსვლა“.

მაშინ კოლუმბმა ამგვარ ხერხს მიმართა. რამდენიმე მეზღვაურს, რომლებმაც კოლუმბთან ერთად მოიარეს ახალი ქვეყნის მიწები, გულუბვი გასამარჯელო მისცა, რათა მათ სახალზოდ მოეთხროთ, თითქოს ისინი თანახმანი არიან „ინდოეთში“ დასახლებაზე. აღმირალი ვარაუდობდა, რომ ეს კარგი მოსატყუარი იქნებოდა საქმეში ჩაუხედავი კაცისათვის.

გარდა ამისა, კოლუმბმა მოაწყო სპეციალური, „სარეკლამო“ სერიზობა... იგი სევილიისა და ესპანეთის სხვა ქალაქების ქუჩებში დაატარებდა ოქროს მძივებით მორთულ ინდიელს. ამ ინდიელის შესახედაობას და, განსაკუთრებით, მის მორთულობას, უნდა ემოქმედა ესპანელების წარმოსახვაზე. მაგრამ არც ამ ხრიკმა გაჭრა. გავიდა კიდევ ნახევარი წელი და კოლუმბმა გადაწყვიტა მიემართა უკიდურესი ზომისათვის, სახელდობრ, პირადი შემადგენლობა დაეკომპლექტებინა დამნაშავეე-

დ. ცუკერნიკი
როგორ აღმოაჩინეს ამერიკა

ბით, თანაც მათთვის ხელსაყრელი პირობებით.

ამ წინადადებაზე კოლუმბს მეფე ფერდინანდმა და იზაბელამ თანხმობა განუცხადეს: 1497 წლის 22 ივნისს პატიმართა და კატორღელთა საყურადღებოდ გამოქვეყნდა მეფის ორი მოწერილობა. სიკვდილმისჯილთ ჰპირდებოდნენ, რომ თუ ისინი „ინდოეთში“ ორ წელს დაპყობდნენ, შეიწყალდნენ, მიუტევებდნენ და ესპანეთში დაბრუნების ნებას მისცემდნენ, ხოლო კატორღამისჯილთ „ინდოეთში“ ერთი წლით ყოფნა კატორღის ორ წლად ჩაეთვლებოდათ. ეს ფაქტი არსებითად იმას მოწმობს, რომ ხალხის თვალში „ინდოეთი“ კატორღაზე ნაკლები არ იყო. გავიდა კიდევ ერთი წელი, ვიდრე მესამე ექსპედიციის შედგენა ნაწილობრივ მაინც მოხერხდებოდა.

ესპანეთის მთავრობა დილემის წინაშე აღმოჩნდა: ან უარი უნდა ეთქვათ ახალი მიწების ექსპანსიაზე მხოლოდ იმიტომ, რომ იქ წამსვლელი ხალხი ვერ მოაგროვებს, ანდა კიდევ უფრო უნდა გაეძლიერებინათ მისტიფიკაცია. ესპანეთის სამეფო კარი ვარაუდობდა, რომ მომავალში მაინც აღმოჩნდებოდა მდიდარი ქვეყნები (როგორც ცნობილია, ეს ვარაუდი კიდევ გამართლდა). კოლუმბი ამის ნიმუშად ასახელებდა პორტუგალიას, რომელმაც მხოლოდ ხანგრძლივი ძიების შედეგად, რაც თავიდან უნაყოფო ჩანდა, მიიღო საარაკო ბევარი თავისი ზღვისგადაღმა სამფლობელოებიდან.

1496 წლის შემდეგ ესპანეთის მთავრობამ ზღვისგადაღმა ექსპანსიის გასაშლელად მრავალ ხერხს მიმართა. ამ პოლიტიკის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი გამალებული მისტიფიკაცია იყო. უპირველეს ყოვლისა, გაძლიერდა ნაკადი მეფის სედულებისა, რომლებიც დაჟინებით ჩააგონებდნენ ხალხს, რომ ახალი მიწები სწორედ ინდოეთია, ხოლო ამ მიწების მცხოვრებნი ინდიელებად იწოდებიან.

სამავალითოდ მოვიყვანთ რამდენიმე ფრაზას 1497 წელს გამოქვეყნებულ

სამეფო კანცელარიის დოკუმენტში: „აგრეთვე უნდა გაიგზავნოს ხსენებული ინდოეთში ინსტრუმენტები შრომის იარაღები, რომელსაც თქვენ, ადმირალო, საჭიროდ მიიჩნევთ ხსენებულ ინდოეთში სამუშაოდ, აგრეთვე წერაქვები, თოხები (ამას მოსდევს ინსტრუმენტების ჩამოთვლა. — დ. ც.), რომლებიც გამოდგება ხსენებულ ინდოეთში. აგრეთვე ხსენებულ ინდოეთში დატოვებულ ძროხებს უნდა მივუმატოთ ოცი უღელი მუშასაქონელი და ცხენები ხსენებულ ინდოეთში მუშაობისათვის“.

ადვილი შესამჩნევია, რომ აქ სიტყვა „ინდოეთი“ იხმარება მაშინაც, როცა ამის საჭიროება არაა. ამას და ამის მსგავს საბუთებს ჰეროლდები ხმამალა კითხულობდნენ ესპანეთის ქალაქებსა და სოფლებში. მათი ზემოქმედების ძალა დიდი იყო. ყველა დარწმუნდა, რომ ახალმოჩენილი მიწები აზიაა. რახან ეს საბუთები მრავალრიცხოვანი იყო, მეფის ბელმოწერა ესვა და მათ აუცილებლად კითხულობდნენ ესპანეთის ყველა კუთხეში.

ახალმოჩენილ მიწებს ახლა უფრო მიმზიდველად აღწერდნენ, ვიდრე მანამდე. კოლუმბის ხელიდან 1498 წელს გამოსული და მთელს ესპანეთში გავრცელებული დოკუმენტი ხალხს ჩააგონებდა და უმტკიცებდა, ახალმოჩენილი ქვეყნები მიწიერი სამოთხის კარებთან მდებარეობსო.

რაზე აგებდნენ თავიანთ ვარაუდს მისტიფიკატორები, რომ ახალი მიწები — აზიაა? ისინი იყრდნობოდნენ იმდროინდელ მეცნიერებაში საყოველთაოდ მიღებულ თვალსაზრისს დედამიწის სფერულობის შესახებ. დასავლეთის მხრიდან აზიამდე მიღწევის თეორიული შესაძლებლობაც აქედან გამომდინარეობდა.

მაგრამ, როგორც დავინახეთ, იმდროინდელი გეოგრაფიული წარმოდგენები ეწინააღმდეგებდა იმ მტკიცებას, თითქოს აზია ახლო დასავლეთით მდებარეობდა. იმიტომ იყო, რომ საქმეში ჩახედული ხალხი, რომელთაც ხელთ ჰქონდათ

იმ მანძილის სავარაუდო მონაცემები, რაც კოლუმბის ხომალდებმა განვლეს, დასცინოდნენ კოლუმბის მტკიცებას, ვითომც მან აზიას მიაღწია.

სევილიაში კოლუმბსა და ადგილობრივ მცხოვრებ ბერნალდესს შორის საყურადღებო დავა გაიმართა. უკანასკნელი გვიამბობს, რომ 1496 წელს მის სახლში სტუმრად იმყოფებოდა კოლუმბი. შესანახად მიბარებულ დოკუმენტებში ბერნალდესმა ამოიკითხა, რომ თითქოს კუნძული კუბა წარმოადგენს აზიის მატერიკის დასაწყისს, ჩინეთის ნაპირს.

კოლუმბის დოკუმენტებში ნათქვამიაო, ამბობს ბერნალდესი, რომ თითქოს „ჩინეთის სანაპირონი“ ესპანეთის დასავლეთით 1200 ლიგაზე (დაახლოებით შვიდი ათასი კილომეტრი) მდებარეობსო. ამაზე იგი შენიშნავს: „ჩემი აზრით, კიდევ რომ განვლოს მან 1200 ლიგა სფეროზე ზღვით თუ ხმელეთით, სულ ერთია, იქამდე (ჩინეთამდე, — დ. ც.) მაინც ვერ მიაღწევს; მე ეს უფთხარი და დაუღსაბუთე მას (კოლუმბს, — დ. ც.), როცა იგი კასტილიაში ჩამოვიდა... რამდენადაც იგი ჩემი სტუმარი იყო“.

განათლებული ხალხი სკეპტიკურად ეკიდებოდა ესპანეთის მთავრობის განცხადებას, ვითომც კოლუმბის მიერ აღმოჩენილი ქვეყნებია სწორედ აზია, ვინაიდან ეს ვერსია ეწინააღმდეგებოდა მეცნიერების მაშინდელ მიღწევებს. განათლებულ პირთა სკეპტიკურობა მეტად ართულებდა მთავრობის ამოცანებს, ზოგჯერ მათ ცდას უნაყოფოს ხდიდა, მშრალზე ტოვებდა. მოვიგონოთ, რომ მეორე ნაოსნობის მონაწილეთა უმრავლესობა ეთანხმებოდა არა კოლუმბს, არამედ „კაცს განსწავლულს ლუქსერანს“. აღმირალი იძულებული გახდა მკაცრი მუქარისათვის მიემართა, რომ როგორმე არ გახმაურებულყო მისთვის არახელსაყრელი აზრი. მოკლედ, მისტიფიკატორებს ხელს უშლიდა გეოგრაფიული მეცნიერების აზრი ძველი ქვეყნის სიდიდის შესახებ. აუცილებელი იყო ესპანეთის მთავრობას

მეცნიერული დასკვნებისათვის დაებრისპირებინა გარკვეული ცრუმეცნიერული დასკვნები და ამით გაექარწყლებინათ, ან შეესუსტებინათ მაინც განსწავლული ხალხის მსჯელობის „მაგნე“ შედეგი.

ამგვარი, რამდენადმე დამაჯერებელი დასკვნები გამოიძებნა. ეს დასკვნები პირველად გაჩნდა კოლუმბის IV ნაოსნობის პატაკში, რომელიც გამოქვეყნდა ესპანეთსა და იტალიაში 1505 წელს. ამ პატაკში კოლუმბი ძველი ქვეყნის სიდიდეზე პტოლემეოსის აზრის წინააღმდეგ ილაშქრებს და ამტკიცებს, რომ გამართლდა მარინ ტიროსელის კონცეფცია.

მარინის სიმართლეს კოლუმბი ამტკიცებს თავისი გამოცდილების, ზღვაოსნის გამოცდილების საფუძველზე. იგი ამბობს, რომ თითქოს 1494 წელს თავისი ხომალდებით მანძილი განვლო 9 ასტრონომიულ საათში, რაც თითქმის უტოლდება 135°.

ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ოკუპენას სიდიდეზე მარინის აზრის დასამოწმებლად კოლუმბი იშველიებს მარტოოდენ თავის გამოცდილებას, თავის პრაქტიკას. ჩვენი ვარაუდით, როცა კოლუმბი ამ პატაკს წერდა, მას არ ეგულებოდა არავინ, ვინც ამ აზრს მხარს უჭერდა, თორემ უსათუოდ მოიხსენიებდა, დაასახელებდა მასაც. მისი დაჟინება და მარტო საკუთარი გამოცდილების დამოწმება, ჩვენი აზრით, გამომდინარეობს იქიდან, რომ კოლუმბმა ვერ ნახა სხვა დამამტკიცებელი საბუთები.

ასე „გააბათილა“ კოლუმბმა პტოლემეოსის კონცეფცია და „დაამტკიცა“ მარინის კონცეფციის მართებულობა.

კოლუმბის მტკიცებით, აზია მდებარეობს 135°-ზე ევროპის დასავლეთით. როგორიღაა მანძილი? გავიანგარიშოთ კანარის კუნძულების განედზე, ვინაიდან ესპანეთის ექსპედიციები დასავლეთისკენ ამ განედზე მიცურავ-

დ. ცუკერნიკი
როგორ აღმოაჩინეს ამერიკა

და. აქ 135° უტოლდება 13.275 კილომეტრს. ამასთან, ახალდმოჩენილი მიწები, სულ შორეულსაც თუ ჩავთვლით (პანამის ყელი, რომელსაც კოლუმბის ხომალდები IV ექსპედიციის დროს მიადგნენ), მდებარეობს კანარის კუნძულების დასავლეთით 70°-ზე (კუბა, რომელიც მიჩნეული იყო აზიად, უფრო ახლოს — 60°-ზე).

ამრიგად, ცენტრალური ამერიკის მიწები კანარის კუნძულის მერიდიანიდან დაშორებულია მხოლოდ 6900 კილომეტრით. სხვაობა 13 275-სა და 6900-ს შორის კოლოსალურია. თვით ისიც კი, ვინც აღიარებს მარინის კონცეფციის მართებულობას, ვერ დაიჯერებს, რომ ახალი ქვეყანა აზიაა. მაშ რა არის საჭირო, რომ ეს მაინც ირწმუნონ? აუცილებელია გრადუსის ახალი ზომის დადგენა. მაგრამ რანაირად, თუკი ანტიკური ხანიდან მოკიდებული ცნობილია დედამიწისა და დედამიწის გრადუსის სიდიდე? უნდა განაცხადო, რომ ადრინდელი წარმოდგენები დედამიწის გრადუსის სიდიდეზე და, ამის კვალობაზე, დედამიწის სიდიდეზე, მცდარი იყო. კოლუმბიც სწორედ ასე მოიქცა. მან განაცხადა: „მე ვამტკიცებ, რომ მსოფლიო არც ისე დიდია, როგორც ჩვეულებრივ მიაჩნიათ. ვამტკიცებ, რომ გრადუსი ეკვატორზე 56 $\frac{2}{3}$ მილს უტოლდება (თქმა არ უნდა, მხედველობაში აქვს რომაული მილი. ეს ნიშნავს, რომ გრადუსი უდრის დაახლოებით 84 კილომეტრს. — დ. ც.) ყოველივე ეს მალე ისე გამოჩნდება, როგორც ზღლის გულზე“.

ასეთია ის გეოგრაფიული „თეორია“, რომელსაც იმიტომ მისცეს მსვლელობა, რომ განემტკიცებინათ ვერსია — ვითომც ახალი მიწები აზიას ეკუთვნოდა.

დოკუმენტები, რომელთა მეშვეობითაც გაავრცელა ესპანეთის მთავრობამ მისთვის საჭირო აზრები და ცნობები ახალი მიწების შესახებ, დიდი ზელოვნებით იყო შედგენილი. სერიოზული, საქმიანი ტონი და მრავალრიცხოვანი, თითქოსდა უყურადღებოდ აქა-იქ

გაფანტული გეოგრაფიული და გეოგრაფიული დეტალები, აგრეთვე ნიერების ავტორიტეტის მოშველიდოკუმენტებს დამაჯერებელს ხდიდა.

მეფე-დედოფლისადმი ფლოტილის ხელმძღვანელის „პატაის“ გამოქვეყნების მეთოდი, უნდა ვაღიაროთ, ძალიან შედეგიანი იყო. აბა, ვის მოუვიდოდა აზრად, რომ კოლუმბი გაბედავდა და მეფე ფერდინანდისა და დედოფალ ისაბელას წინაშე იტრუებდა?

წიგნის ბეჭდვა გასაქანს იძლეოდა დიდი რაოდენობით გავრცელებულიყო მისტიფიცირებული დოკუმენტები.

დაბეჭდილ „პატაკებთან“ ერთად ავრცელებდნენ მისტიფიცირებულ დოკუმენტებსაც. მათ შორის ყველაზე ცნობილია „ექიმ ჩანკას“ ბარათი სევილიის მთავრობისადმი და „კოლუმბის წერილი რომის პაპის სახელზე“.

მაგრამ იმ დროს ყველაზე დიდი მნიშვნელობა მაინც მეფის სედულუებს ჰქონდა: მაცნეები ესპანეთის დასახლებული პუნქტების მოედნებსა და ბაზრებზე მთელი ხმით კითხულობდნენ მას.

ამასთანავე ყოველგვარი ზომები იქნა მიღებული, რომ ახალი მიწებიდან ესპანეთში არ შემოეღწია გადასახლებულთა წერილებს. მალე მისტიფიცირებული დოკუმენტები ძირითად, თითქმის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა, რომელიც შეიცავდა ცნობებს ახალ მიწებზე.

1502 წლისათვის ესპანეთის მთავრობის დაყენებამ თავისი შედეგი გამოიღო. როგორც სევილიელი როდრიგო დე სანტაელია წერს, „მრავალი მდინებით და უფრო მნიშვნელოვანი ხალხი ფიქრობს, რომ ანტილია, ანუ ის კუნძულები, რომლებიც ახლახან აღმოაჩინეს ჩვენი ღვთისმოსავი მეფისა და დედოფლის დავალებით, მდებარეობს ინდოეთში“.

იგივე თანამედროვე ადასტურებს, რომ 1503 წელსაც გრძელდებოდა განათლებული ხალხის უნდობლობა კოლუმბის ნაამბობის მიმართ (უფრო ადრე იგი გამომქდევნდა 1494 წელს კოლუმბისა და ლუკასერნას პაექრობისას

და ბერნალდესთან დავის დროს 1496 წელს). თვით კოლუმბიც კი აღიარებდა, რომ ესპანეთი მას არ ენდობოდა. 1500 წელს იგი წერდა: „ჩემზე ისეთი ხმები დადის, ეკლესიები და ჰოსპიტლებიც რომ ავაგო, მაინც მხეცის ბუნაგს დაუძახებენ. ამჟამად არ მოიძებნება კაცი, მე რომ არ მაძაგებდეს“.

ახლა ისევ იმ ძირითად მოსაზრებებს მივუბრუნდეთ, რომელიც კოლუმბმა აღძრა იმისათვის, რომ განემტკიცებინა აზრი, თითქოს აზია დასავლეთიდან უფრო ახლოს იყო: 1) მარინ ტიროსელის კონცეფციას ძველი ქვეყნის სიდიდის შესახებ; 2) დედამიწის გრადუსის სიდიდეს.

ანტიკური გეოგრაფის მარინის თვალსაზრისზე დაყრდნობა არაა მთლად ხელსაყრელი, რადგან ამ გეოგრაფის შეხედულებანი ცნობილია მხოლოდ პტოლემოსის „გეოგრაფიიდან“, სადაც ეს შეხედულებები დამაჯერებლადია უარყოფილი. პტოლემოსის წიგნს კარგად იცნობდნენ XV საუკუნის დასასრულსა და XVI საუკუნის დასაწყისში. გარდა ამისა, როგორც ვნახეთ, XIII-XVI საუკუნეების გამოცდილება ეწინააღმდეგება მარინის ციფრებს.

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, მისტიფიკატორებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ „მეცნიერული“ შეხედულებანი თანამედროვე მეცნიერების ავტორიტეტებიდან მოდიოდეს. და სავსებით ბუნებრივია, თუ ამ მიზნით გამოდგებოდნენ მხოლოდ... მიცვალებულები. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო უსიამოვნება.

გავიხსენოთ ტოსკანელის წერილი და რუკა. აქ გადმოცემული გეოგრაფიული დებულებები სავსებით ემთხვევა იმ დებულებებს, რაც კოლუმბმა მეოთხე ნაოსნობის პატაჟში გამოთქვა. ტოსკანელის წერილი და კოლუმბის ის დოკუმენტები, რომლებიც გამიზნული იყო გასაჯრცელებლად (კოლუმბის წერილები სანტანქელისა და სანჩისის და სხვათა სახელზე), წყლის ორი წვეთითი წააგავს ერთმანეთს. ამ საბუთებში აოწერილია ზღაპრული სიმდიდრე აზიის

ქვეყნებისა, რომლებიც თითქოს დასავლეთში აღმოაჩინა კოლუმბმა, ოქროს შემცველ მდინარეთა სიმრავლე, ლეზლის, ნელსაკმეველის სიუხვე და ა. შ.

ესპანეთის მთავრობის მისტიფიკაციის ხასიათის დადგენა, მისტიფიკატორული დოკუმენტების ძირითადი თეზისებისა და ხრიკების გახსნა, აგრეთვე ტოსკანელის წერილის ფორმისა და სულისკვეთების კოლუმბის დოკუმენტებთან დამთხვევის ფაქტი დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ ვინ შეთხზა ისინი. კვლევა-ძიება ადასტურებს, რომ ტოსკანელის წერილი და რუკა შედგენილია 1503—1506 წლებში აღმირალთან დაახლოებული პირის მიერ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა ყალბმა კარტოგრაფიულმა მასალამ, სადაც თვალნათლივ, „მოგზაურთა გამოცდილებაზე“ დაყრდნობით მტკიცდება, რომ ძველ ქვეყანას უკავია 230°, ხოლო დასავლეთის ახალი მიწები ეკვრის აღმოსავლეთ აზიას. ცნობილია, რომ ბართლომე კოლუმბი, აღმირალის ძმა, აქტიურად ავრცელებდა ამგვარ რუკებს.

ფანტასტიკურ მონაწირობა ტალღამ წალეკა ნაოსნობის რიგით მონაწილეთა მართალი ცნობები. ამაში არსებითი როლი შეასრულა პროპაგანდის ახალმა საშუალებამ — წიგნმა. ესპანეთის მთავრობამ ეს შესაძლებლობა მარჯვედ გამოიყენა თავისი მიზნებისათვის. ესპანელი მოგზაურების „პატაჟების“ და „წერილების“ შინაარსი ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა. შორეულ, საოცარ ქვეყნებში არაჩვეულებრივ მოგზაურობათა ამბებს დიდი გასავალი ჰქონდა (ამ ლიტერატურას ახლაც გამუდმებით ბეჭდავენ).

ზემოთ დასმული იყო კითხვა: რამ გამოიწვია გეოგრაფიულ შეხედულებათა გარდატეხა? რომელმა მოგზაურობამ. რა გამოცდილებამ, რა ახალმა ფაქტებმა აიძულა კარტოგრაფები უარ-

დ. ცუკერნიკი
როგორ აღმოაჩინეს ამერიკა

ეყოთ ძველი ქვეყნის გრძელული სიდიდის აღრინდელი, ჭეშმარიტებასთან ახლოს მდგომი თვალსაზრისი?

კოლუმბისა და სხვა ესპანელი ზღვაოსნების მტკიცებამ, რომ დასავლეთით აღმოაჩინეს აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, აიძულა კარტოგრაფები დაფიქრებულიყვნენ და გადაესინჯათ თავიანთი შეხედულებები.

XVI საუკუნის დასაწყისში კოლუმბის ჩანაწერებიდან კარტოგრაფებმა ვაიგეს, რომ მან მოიკვლია აზიას ევროპიდან დასავლეთით 135°-ზე. კოლუმბი თავს დებდა გაანგარიშებათა სიზუსტეზე და აცხადებდა, რომ ვაზომებები გაეთებულია შეღამებისას, ბნელში, როცა შესაძლებელია გრძელის სწორად განსაზღვრა. გარდა ამისა, როცა ახალი მიწებისა სიმშვენიერზე წერდა, ადმირალი თავის შთაბეჭდილებებს კი არ ჰყვებოდა, არამედ იმეორებდა აღმოსავლეთ აზიის შესახებ პტოლემეოსის, მარკო პოლოსა და სხვა ავტორთა წიგნებიდან ამოკრებილ იმ ცნობებს, რომლებშიც ამ მიწებზე იყო ლაპარაკი (წყარობებს ცხადია, არ ასახელებდა). როცა ევროპელმა კარტოგრაფებმა ნახეს, რომ ცნობები ახალი მიწების შესახებ, რომლებიც კოლუმბის სიტყვით, ევროპიდან 135° აღმოჩნდა, ემთხვეოდა ცნობებს, რომლებიც მათ იცოდნენ გეოგრაფთა ნაწერებიდან, აგრეთვე აზიაში ნამდვილად ნამყოფ მოგზაურთაგან (მაგალითად, იგივე მარკო პოლო), არ შეეძლოთ ეპვი შეეტანათ კოლუმბის მტკიცებათა სისწორეში.

ასე მოიქცა, მაგალითად, სილვანუსი 1511 წელს. მისი რუკის მიხედვით, რომელიც თან ერთვოდა პტოლემეოსის „გეოგრაფიის“ რომაულ გამოცემას, ჩინეთი გადაჭიმულია აღმოსავლეთით 225°-მდე. სილვანუსი განმარტავს, თუ რატომ მოიქცა ამგვარად: „მე დავრწმუნდი, რომ პტოლემეოსის ტექსტი მთლიანად ემთხვევა იმ აღწერას, რასაც ზღვაოსნები გვაწვდიან, ხოლო რიცხვები ძალზე შორდებიან ერთმანეთს. ეს რომ ვნახე, გავასწორე რიცხვები, რომლებიც (პტოლემეოსის

ტექსტში) ადვილად შეიძლებოდა დამახინჯებულიყო, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება“. სილვანუსმა გაუსწავლა პტოლემეოსს იმ მონაცემების მიხედვით, რასაც იძლეოდნენ თანამედროვე ზღვაოსნები, ე. ი. იმ ცნობების მიხედვით, რომელთაც ხალხით ავრცელებდა ესპანეთის მთავრობა და, ამრიგად იგი სიცრუის მსხვერპლი გახდა. ასევე მოიქცნენ სხვა ქვეყნის კარტოგრაფებიც, როგორც ამას რუკები ადასტურებენ, და ეს სავსებით ბუნებრივია.

ესპანელმა მისტიფიკატორებმა მოგვიანებით სიცრუე კიდევ უფრო გააძლიერეს და მათ მიერ გავრცელებულ რუკებზე ძველმა ქვეყანამ დაიკავა 240°, 260°-იცი კი, ხოლო ამერიკა გამოსახული იყო აზიის გაგრძელებად. მისტიფიკაციის ევოლუციის კვალს ვპოულობთ აგრეთვე XVI საუკუნის ოციანი-სამოციანი წლების რუკებშიც.

როგორც ზემოთ იყო თქმული, XVI საუკუნის ოციანი და სამოციანი წლებში ევროპულ კარტოგრაფიაში ბატონობს აზრი, თითქოს ახალი ქვეყნის მიწები წარმოადგენს აზიის მანამდე უცნობ ნაწილს.

ამ გარემოებამ განსაკუთრებულად საჭირო როლი შეასრულა ამერიკის აღმოჩენის ტრადიციული კონცეფციის ჩამოყალიბებაში, ვინაიდან ამან უდიდესი გავლენა მოახდინა ინფორმირებულ, საქმეში ჩახედულ მემატრიანებზედაც კი. ძალზე დამახასიათებელია ზღვაოსანის ვაჟის, ფერდინანდ კოლუმბისა და ჟამთაღმწერლის ლას კასას მაგალითი. იმ დროს, როცა ისინი თავიანთ ქრონიკებს წერდნენ (XVI საუკუნის ოცდაათიანი - ორმოცდაათიანი წლები), გეოგრაფიულ მეცნიერებაში განუკითხავად ბატონობდა შეხედულება, რის მიხედვითაც ძველ ქვეყანას უკავია 250° გრძედებში და აზიის აღმოსავლეთი ნაპირი ებჯინება ახალ ქვეყანას.

კოლუმბის დოკუმენტების გაცნობისას ისინი წააწყდნენ „ტოსკანელის

წერილს და რუკას, სადაც ლაპარაკია აზიისაკენ დასავლეთის გზის მიზანშეწონილობაზე, ვინაიდან ის დაახლოებით დედამიწის გარშემოწერილობის ერთ მესამედს უდრის. წერილს ესვა თარიღი — 1474 წლის 25 ივნისი.

ამ ფაქტიდან მათ, ბუნებრივია, დაასკვნეს: ძველი ქვეყნის სიდიდე დედამიწის გარშემოწერილობის ორ მესამედს რომ უტოლდება, არსებობდა XV საუკუნეში, კოლუმბამდე. კოლუმბის დოკუმენტების შემდგომმა გადასინჯვამ, სადაც დაჟინებით მეორდება, თითქოს მისი მიზანი დასავლეთის გზით აზიის მიღწევა იყო, მემატრიანეებს განუმტკიცა აზრი, რომ ეს მართლაც ასე იყო, ხოლო კოლუმბის IV ნაოსნობის პატაკის გაცნობისას, სადაც გადმოცემულია იგივე გეოგრაფიული შეხედულებანი, რაც ტოსკანელის წერილში, თვით დეტალების დამთხვევამდეც კი, ბუნებრივი იყო გაეკეთებინათ დასკვნა: კოლუმბის გადაწყვეტილებაში — ეძებნა დასავლეთის გზა აზიისაკენ, მთავარი როლი შეასრულა ტოსკანელი. კოლუმბმა გაიზიარა მისი თვალსაზრისი და ესპანეთს თავისი გეგმა შესთავაზა.

გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ის მემატრიანეები, რომელთაც ხელი არ მიუწვდებოდათ კოლუმბის საგვარეულო არქივზე, როგორც არიან, მაგალითად, ოვიედო და ჰომრა. მათ მატრიანეებში უფრო ნაკლებია კოლუმბის მისტიფიკაციის კვალი. სამაგიეროდ ცნობები კოლუმბის ნაოსნობის შესახებ შეკვეცილად აქვთ, უხვადაა უსწორობა და უხეში შეცდომები. ამდენად, კოლუმბის ნაოსნობის და ამერიკის აღმოჩენის ისტორიის მკვლევარებზე ამ ავტორებმა სულ მცირე გავლენა მოახდინეს.

ახალი და უახლესი ხანის მკვლევარებს პირველ რიგში ხელთ მოხვდათ კოლუმბის პატაკები, მეფის სედულები და ა. შ., ესე იგი, მისტიფიცირებული დოკუმენტები. ეს საგნებით კანონზომიერია: ეს დოკუმენტები განკუთვნილი იყო გასავრცელებლად და ამიტომ,

ბუნებრივია, დაცულია არქივებში. XIX საუკუნეში, როცა დაიწყო ამერიკის აღმოჩენასთან დაკავშირებული მენტების გამოქვეყნება, პირველად სწორედ ეს დოკუმენტები იქნა მიკვლეული და გამოცემული. ეს მაშინ, როცა პირად წერილებს, აგრეთვე თანამედროვეთა სხვა მოწმობებს, რომლებმაც ერთეული ეგზემპლარობით მოაღწიეს, არ ეძლეოდა რაიმე მნიშვნელობა. ისინი მხოლოდ XIX საუკუნის დასასრულს გამოსცეს. მაშინ აღმოჩნდა, რომ თანამედროვეთა ბევრი ცნობა მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა ესპანეთის მთავრობის, კოლუმბის და ზღვასიქითური ექსპედიციის სხვა მესვეურთა დოკუმენტებს.

შეპირისპირებისას, ბუნებრივია, წამოიჭრა კითხვა: ვის დავუჯეროთ — სამეფო კანცელარიის ოფიციალურ საბუთებს, ფლოტილიის ხელმძღვანელს თუ რომელიმე უცნობ თანამედროვეს? პასუხი თითქოს მარტივი იყო. მკვლევარები უპირატესობას მუდამ კოლუმბისა და სხვა ოფიციალურ პირთა დოკუმენტებს ანიჭებდნენ, ხოლო მათი თანამედროვეების წერილებს უბრალო ყურადღებასაც კი არ აქცევდნენ. მით უფრო, რომ საქმეში ჩახედული მემატრიანეების თხზულებების ძირითად კვანძებში შეინიშნება იმასთან დამთხვევა, რაც ნათქვამია სამეფო კანცელარიის საბუთებსა და კოლუმბის პატაკებში.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ თანამედროვე მეცნიერებს არ შესწევს უნარი აღადგინოს ამერიკის აღმოჩენის ნამდვილი სურათი? ვფიქრობთ, ასეთი მოსაზრებისათვის საფუძველი არ არსებობს. საქმე ისაა, რომ მისტიფიკაციისა და იმ ფანდების საგულდაგულო ანალიზის შემდეგ, რომელთა მეოხებითაც მისტიფიკაცია განხორციელდა, მრავალი საბუთი, რომელიც დაკავშირებული

დ. ცუკერნიკი
როგორ აღმოაჩინეს ამერიკა

ლია ამერიკის აღმოჩენასთან, ახლებურად წარმოისახა: გამოჩნდა ახალი ხაზე-ბი, ახალი შინაარსი.

კერძოდ, ეს შეეხება ისეთ მნიშვნელოვან წყაროს, როგორცაა კოლუმბის ნაოსნობის დღიურები. დღიურებში შეინიშნება, ერთი მხრივ, გაფართოებული, უდავოდ მისტიფიცირებული ფენები, რომლებიც შეტანილია ზემოაღწერილი მდგომარეობის გამო. სპეციფიკური ენობრივი შეცდომები, იმ მოვლენების მოხსენიება, რასაც ადგილი ჰქონდა მოგვიანებით, საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ დღიურები გადაუშუშავებიათ, თანაც ძირფესვიანად. ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ სწორება ჩატარებულია ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში თვით კოლუმბის მიერ და რომ მისი მიზანი იყო მისტიფიცირებული ელემენტების დაწერვა. ის დოკუმენტები მზადდებოდა დასაბუქდად. გარდა ამისა, დღიურიდან გულდაგულ იღებდნენ ცნობებს, რომლებიც არ იყო ხელსაყრელი კოლუმბისათვის, კერძოდ ისეთებს, რომლებიც ნაოსნობის მსვლელობაში სხვა პირთა დამსახურებას ზრდიდა, ხოლო კოლუმბის დამსახურებას აკნინებდა.

ცნობილია, რომ იძულებითი უმოქმედობის დროს, მაგალითად, გადაყენებისას (1500—1502) და უკანასკნელი ნაოსნობიდან დაბრუნების შემდეგ (1502—1504) კოლუმბი ამზადებდა დიდ წიგნს. იგი ამბობდა, ეს წიგნი იულიუს კეისრის „კომენტარებს“ ემგვანებაო. მართლაც, კოლუმბის დღიურებში ჩვენ ვპულობთ რომელი მხედართმთავრის ამ სახელგანთქმული წიგნის გავლენის კვალს.

მეორე მხრივ, დღიურში გვხვდება ფაქტები, რაც ნებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ გადაუშუშავება ბოლომდე არ მიუყვანიათ. ჯერ ერთი, ყველა დღიურის ამა თუ იმ ნაწილში გვხვდება ურთიერთგამაბათილებელი მტკიცება (ზოგიერთ მათგანს ჩვენ ზემოთ გავეცანით, როცა ვცდილობდით დაგვედგინა პირველი ნაოსნობის გეოგრაფიული მიზანი). მისტიფიცირებულ

დოკუმენტებში კი მსგავსი წინააღმდეგობანი არ გვხვდება. ამ მისტიფიცირებული დოკუმენტების ბუნება გვსწორიცხავს შინაგან წინააღმდეგობებს. მეორეც, დღიურებში დაცულია მრავალი ცნობა, რომელსაც იმ დროს და შემდეგაც საიდუმლოდ ინახავდნენ (მაგალითად, ზოგიერთი კუნძულის მდებარეობა, ხომალდების კურსი და ა. შ.).

ამგვარი ფაქტები გვიჩვენებენ, რომ საქმე გვაქვს ბოლომდე გადაუშუშავებელ, ანუ ბოლომდე წაუხდენელ დოკუმენტებთან. დღიურების საგულდაგულო ანალიზმა, სანდო ადგილების შემდგომ შეტანილობაზე გამოცალკევებამ დიდი გარჯა მოითხოვა, მაგრამ ვაგვიმართლა კიდევ — მოვიპოვეთ ძვირფასი მასალა კოლუმბის ნაოსნობის, ნაწილობრივ, მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი დრამატული ეპიზოდის — მისი პირველი ნაოსნობის კემპარიტი სახის აღსადგენად.

მისტიფიკაციის, მისი ხასიათის და საშუალების დადგენამ, რის მეოხებითაც იგი განახორციელა კოლუმბმა და ესპანეთის მთავრობამ, საშუალება მოგვცა ახლებურად გავვეგო სხვა წყაროების შინაარსიც, რაც ამერიკის აღმოჩენას ეხება.

ამ თვალსაზრისით გავანალიზოთ მოტივები, რითაც ხელმძღვანელობდა კოლუმბი, როცა პირველი ნაოსნობა მოაწყო. მისი პატაკებისა და მისი ხელიდან გამოსული დოკუმენტების გაცნობისას არ შეიძლება არ დავასკვნათ, რომ მის გეგმას საფუძველად უბადაღებული „კოლუმბის გეოგრაფიული თვალსაზრისი“ (უფრო სწორად, დაბნეულობა) უდევს. იგივე აზრი, ოღონდ უფრო დამაჯერებელი ფორმით, ჩვენ ვნახეთ უფრო ავტორიტეტულ ესპანელ მემბტიანეთა თხზულებებში.

რამდენადაც ვიცით ამ ვერსიის წარმომავლობა, მას უკუვაგდებთ და ვეძებთ სხვა მიზეზებს, რათა ავსნათ, თუ რატომ არჩია კოლუმბმა ოკეანეზე დასავლეთით ეცურა.

იმავე ესპანელ მემბტიანეებთან „თე-



ორიული“ მიზნების გვერდით ვპოულობთ, მათი აზრით, ცნობებს რაღაც სხვა მოტივებზე, რამაც უბიძგა მას მიეღო თავისი გადაწყვეტილება. მემატია-ნეები ლაპარაკობენ რაღაც ბუნდოვან ხმებზე, თითქოს კოლუმბმა ცნობები დასავლეთით მდებარე მიწების შესახებ ვიღაც მეზღვაურებიდან მიიღო, რომლებიც იქ ყოფილან ადრე, კოლუმბამდე.

ამ ხმების რამდენადმე სრულ შინაარსს ვხვდებით ლას კასასთან. მათ შესახებ იგი გვატყობინებს; როგორც რაღაც გადმოცემაზე, კურიოზზე: გინდ დაიჯერე, გინდ არა. ის წერს, რომ ხმების მიხედვით ერთხელ, როცა კოლუმბი კუნძულ მიიდერაზე ცხოვრობდა (XV საუკუნის ოთხმოციანი წლები), ამ კუნძულს მიადგა პორტუგალიური ხომალდი, რომელზედაც ცოცხალ მკვდარი, ქანცაწყვეტილი ხალხი იყო. ისინი ჰყვებოდნენ, რომ მათი ხომალდი ქარიშხალმა გაიტაცა შორს, დასავლეთისაკენ, ატლანტიკაში, რომელიდაც კუნძულებისაკენ, რომ ოკეანეზე დიდი ხნის ხეტილის შემდეგ ძლივს მოახერხეს მაიდერაზე მოხვედრა. ლას კასასი შემდეგ აგრძელებს, რომ ამ ხომალდის კაპიტანი კოლუმბის სახლში ცხოვრობდა და სიკვდილის წინ გადასცა შენიშვნები, რომელიც ამ საბედისწერო ნაოსნობის დროს გაუტყობებია; აგრეთვე რუკა, სადაც აღნიშნული იყო ის მიწები, რომელზედაც მისი ხომალდი მოხვდა.

ამ ფაქტების გადმოცემის შემდეგ ლას კასასი დასძენს: „აი, რას ამბობდნენ, აი, როგორი იყო აზრი და ჩვენს შორის, პირველი ნაოსნობის მონაწილეთა შორის მიჩნეული იყო ჭეშმარიტებად, და ამან გაუღვივა ქრისტიანთა კოლუმბს ეს გადაწყვეტა, როგორც ნამდვილი საქმე“.

ჟამთააღმწერელის ვერსია, რომელიც თანამედროვეთა აზრს გამოხატავს, მხედველობაში არ მიუღიათ შემდგომი დროის მკვლევარებს. რადგან თვით ლას კასასი არ იყო ამაში დარწმუნებული. არსებითად, მემატიაინის ეს ცნო-

ბე წარმოადგენს „მეუმოწმებელ ნაპიბობს და უტყუავდებლად კიდევ, რეკოლუმბის პირველი ნაოსნობის არ დაემოწმებინა მისი ძირითადი პუნქტები.“

შევედრეთ ამ ნაოსნობის ანალიზს. ნაოსნობის დღიურში თვალში გვეცემა, რომ არც მარშრუტის არჩევისას, არც უზარმაზარ, თითქმის უცნობ ოკეანეზე ცურვისას, არ დაუწყიათ ჭოჭმანი. კოლუმბის ხომალდები პირენეის ნახევარკუნძულიდან გაემართნენ კანარის კუნძულებისაკენ, იქიდან კი განაგრძეს გზა დასავლეთისაკენ სწორედ კანარის კუნძულების განედზე. მოძრაობისათვის ამ განედის არჩევამ კოლუმბის პირველ ფლოტილას საშუალება მისცა მთელ გზაზე, თვით კარიბის ზღვის კუნძულებამდე, აღმოსავლეთიდან გამუდმებით მჭროლავი პასატებით და მისგან წარმოქმნილი ოკეანის დინებით ესარგებლა. ახალი ქვეყნებისაკენ მიმავალი ფლოტილისათვის ეს მარშრუტი ძალზე ხელსაყრელი იყო. მოგვიანებითაც, რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში, იაქინიანი გემები, რომლებიც სამხრეთ ან ცენტრალურ ამერიკაში ანტილის კუნძულების გავლით მიემართებოდნენ, სწორედ ამ მარშრუტით სარგებლობდნენ.

ბუნებრივია კითხვა: შემთხვევითია თუ არა ეს მარშრუტი?

მოსალოდნელი იყო, რომ სრულიად უცნობ ოკეანეზე ფლოტილია ივლიდა მხოლოდ დღე-ღამის ნათელ საათებში, ღამით ან შეჩერდებოდა, ან სვლას შეანელებდა, მიიღებდა სიფრთხილის ყველა ზომას, რომ რომელიმე უცნობ მიწას ან კუნძულს არ წაწყდომოდა. სინამდვილეში კი განსაზოვრულ მომენტამდე, სახელდობრ, სანამ „უცნობი“ მიწის სანაპიროებს არ შიადგნენ, ხომალდები დღისითაც და ღამითაც სრული სიჩქარით მიიკურავდნენ, თითქოს ზღვაოსნები დარწმუნებული იყუ-

დ. ცუკერნიკი
როგორ აღმოაჩინეს ამერიკა

ნენ, რომ არავითარი მოულოდნელობის შიში არ უნდა ჰქონოდათ.

ზღვაოსნის შვილი ფერდინანდ კოლუმბი და ჟამთააღმწერელი ლას კასასი განსვენებული ადმირალის დოკუმენტებში წააწყდნენ ინსტრუქციებს, რომლებიც მან გემების კაპიტნებს კანარის კუნძულების დატოვებამდე დაუბრუნა. პაკეტზე აღნიშნული იყო, რომ ის მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გაეხდნათ, თუ გემებს ქარიშხალი გათიშავდა. ამ ინსტრუქციებში, როგორც ადმირალის ვაჟი და ლას კასასი წერენ, ნათქვამი იყო, რომ კანარის კუნძულებიდან 700 ლიგის შემდეგ დამით აღარ ეცურათ.

ციფრი, რომელიც მოყვანილია ინსტრუქციაში — 700 ლიგა (4150 კილომეტრამდე) კანარის კუნძულებიდან დასავლეთით, ჩანს, წინასწარ განაგარიშებული იყო. ფერდინანდ კოლუმბი ამას ასე ხსნის: მამამისი „არ ელოდა მიწის გამოჩენას მანამ, სანამ 750 ლიგას (დაახლოებით 4450 კილომეტრი. — დ. ც.) არ გაივლიდნენ კანარის კუნძულებიდან დასავლეთით“. ანალოგიურ განმარტებას ვბოლობოთ ლას კასასთანაც.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ორივე მემბრანე, რომლებიც კოლუმბის არქივით სარგებლობდნენ, ამბობენ, რომ კაპიტნებისათვის განკუთვნილ საიდუმლო ინსტრუქციაში სწერია ციფრი 700 ლიგა, და ორივე ამტკიცებს: კოლუმბს სჯეროდა, რომ მიწა გამოჩნდებოდა კანარის კუნძულების დასავლეთით 750 ლიგაზე. მხოლოდ უმნიშვნელო სხვაობა თუ შეინიშნება ციფრებს შორის. მაგრამ ეს გასაგებია. კოლუმბმა კაპიტნების ინსტრუქციებში ციფრი 50 ლიგით (300 კილომეტრამდე) შეამცირა სიფრთხილის გამო: ხომალდების მიერ განვლილი მანძილის გამოთვლისას შეცდომის შესაძლებლობა არ იყო გამორიცხული. აქი ინსტრუქციებში ნათქვამია, რომ 700 ლიგის შემდეგ შეიძლება განაგრძონ სვლა, ოღონდ მხოლოდ ნათელ საათებში და აღარ დაიძრნენ უშუალოდ შემდეგ.

ციფრი 750 ძალზე საყურადღებოა საქმე ისაა, რომ იმ მანძილის განსაზღვრა შეუძლებელია, რომელიც ჰყოფს კარიბის ზღვას ადმოსავლეთ კუნძულებს კანარის ჯგუფის დასავლეთი კუნძულებიდან, საიდანაც გაემგზავრა ფლოტილია, დაახლოებით ამ ციფრს იძლევა. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ ადგილი აქვს უბრალო დამთხვევას.

ვარაუდი, რომ კოლუმბს გააჩნდა სარწმუნო მონაცემები იმ მიწების შესახებ, საითკენაც მიდიოდა, დადასტურებას ბოლობოთ იმაშიც, რომ, როგორც პირველი ნაოსნობის დღიურიდან ირკვევა, ფლოტილიის ხელმძღვანელებს ხელთ ჰქონდათ რუკა, რომელზედაც, როგორც თქმულია დღიურში, „ამ ზღვის“ კუნძულები იყო აღნიშნული.

უცნობი რუკის შესახებ ცნობები პირველად დრამატულ პირობებში გაჩნდა:

1492 წელს, კანარის კუნძულებიდან ფლოტილიის გამგზავრებისთანავე ხომალდების ეკიპაჟს შორის თავი იჩინა მღვღვარებამ. მეზღვაურებს მოუსვენრობა დაეტყოთ, ესპანეთში დაბრუნებასაც კი მოითხოვდნენ. ნაოსნობის დღიურში ამის შესახებ ნათქვამია: „ხალხმა დრტივნა იწყო, რომ ზღვა აქ უცნაურია და აღარ იძვრის ქარი, რომელიც ხელს შეუწყობდა ესპანეთში დაბრუნებას“.

მღვღვარება ხომალდზე, თუ დღიურის მიხედვით ვიმსჯელებთ, მოხდა 22 და 23 სექტემბერს, მაგრამ მაშინვე დაიბრუნა.

მაგრამ ნაოსნობის მონაწილენი და სხვა თანამედროვეები ერთხმად ამბობენ, რომ საქმე მოავგარეს ძებნა პინსონებმა, განსაკუთრებით უფროსმა — მარტინ ალონსო პინსონმა. ვადამწყვეტ მომენტში კოლუმბი მ. ა. პინსონმა დაიცვა. მან კოლუმბი სიკვდილს გადაარჩინა და დაიყოლია მეზღვაურები, რომ ცურვა განეგრძოთ.

დღიურის ჩანაწერებში, რომელიც დათარიღებულია 25 სექტემბრით, ვბოლობოთ ცნობას იმის შესახებ, რომ სწორედ იმ დღეებში, როცა წარმოიშვა

მღელვარება მეზღვაურებს შორის, კოლუმბმა პინსონს გადასცა რაღაც რუკა, რომლის შესახებ ნათქვამია, რომ მასზე აღნიშნული იყო „ამ ზღვის“ კუნძულები.

პინსონისათვის რუკის გადაცემას, ჩვენის აზრით, პირდაპირი კავშირი აქვს ხომალდებზე მომხდარ მღელვარებასთან. ამ დროს კოლუმბმა გადაწყვიტა საქმის კურსში შეეყვანა ეკიპაჟის გვლენიანი წევრები, განეგრძო ცურვა და ამგვარად თავიდან აეცილებინა ექსპედიციის კრახი. იგი ამტკიცებდა, რომ მას რუკაც კი აქვს, რომელზედაც აღნიშნულია „ამ ზღვის“ კუნძულები. ბუნებრივია, ეს რუკა აჩვენა თანამგზავრთაგან ყველაზე ავტორიტეტულს — მ. ა. პინსონს, მით უფრო, რომ დანარჩენ ორ ძმასაც ფლოტილიაში მნიშვნელოვანი პოსტები ეჭირათ.

იმის შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა გაუსწორდა ამბოხებას, ფლოტილიამ განაგრძო სვლა დასავლეთით, ნაწილობრივ სამხრეთ-დასავლეთით.

ახლა ყურადღება მივაპყროთ იმ გარემოებას, რომელიც დაკავშირებულია ოკეანეში 33 დღის ცურვის შემდეგ პირველი კუნძულის აღმოჩენასთან. ჩვენს ხელთაა ნაოსნობის მონაწილის განსაკუთრებით ძვირფასი ცნობები. ის გვამცნობს იმ ამბებს, რომელიც მოხდა ახალი ქვეყნის პირველ კუნძულზე ფლოტილიის მიდგომა წინა დღეს: „ხუთშაბათს, 10 ოქტომბერს (აქ ტექსტში შეცდომაა. 11 ოქტომბერს მოხდა ეს ამბავი. — დ. ც.) მესაჭემ

პედრო ნონიომ ასე უთხრა აღმირალს: „სენიორ, აღარ დავიძვრებით, რადგან თქვენი წიგნის თანახმად (იკითხე: თქვენი ჩანაწერების მიხედვით. — დ. ც.) მე-16 ლიგითა ვარ დაშორებული მიწისაგან, ან სულ დიდი, 20-ით“. ამან აღმირალი ძალზე გაახარა და სთქვა, რომ ეს ამბავი შეეტყობინებინათ კრისტობალიო კარისა ხალომენტოსათვის: „პინტას“ მესაჭისათვის... და აი, იმ ხუთშაბათს ღამით გამოჩნდა მთვარე და სველიელმა მეზღვაურმა, რომელსაც ხუან როდრიგო ბერმეხო ერქვა,

მარტინ ალონსო პინსონის ზემოხსენებული ხომალდიდან შენიშნა თეთრი მეჩეჩი და როცა თვალი მოავლო. დაინახა მიწა და იმწამსვე ეცა ბალისტას და გაისროლა. „მიწა, მიწა!“ და მათ შეაჩერეს ხომალდები პარასკევის 11 ოქტომბრის (12 ოქტომბერი. — დ. ც.) დადგომამდე“.

ამგვარად, პირველი ექსპედიციის მონაწილისაგან ვტყობილობთ, რომ ფლოტილიის ხელმძღვანელობას გააჩნდა ჩანაწერები და ამ ჩანაწერებში იყო ცნობები იმ კუნძულების მდებარეობის შესახებ, რომლებსაც პირველი ექსპედიცია მიაღვა. ეს ჩანაწერები, როგორც კოლუმბს ეკუთვნოდა, ბუნებრივია, ხელთ ჰქონდა მეწინავე კარაველის მესაჭეს.

როგორც ვხედავთ, ძველი ქვეყნიდან დასავლეთით, ახალი მიწებისაკენ გაზვარების ყველა ვითარება იძლევა იმ მოსაზრების საფუძველს, რომ კოლუმბის ფლოტილია ბრმად კი არ იკვლევდა გზას, არამედ მას ხელთ ჰქონდა რაღაც ცნობები იმ კუნძულების განლაგების შესახებ, რომლისკენაც ისინი მიემართებოდნენ; ჰქონდათ აგრეთვე ცნობები აქეთურ მარშრუტზე.

ახლა ყურადღება მივაპყროთ ექსპედიციის უკან დასაბრუნებელ მარშრუტს. დაბრუნების პრობლემამ, როგორც ადრე ვნახეთ, დააფიქრა ექსპედიციის რიგითი წევრები ჯერ კიდევ მაშინ, როცა ფლოტილიამ ის-ის იყო დააგდო ძველი ქვეყნის ნაპირები და დასავლეთისაკენ გაეშურა ოკეანეზე გადასაცურავად. იმ კურსის წყალობით, რომელიც აიღეს კანარის კუნძულების განედზე, ფლოტილია სარგებლობდა იმ ადგილებში გამოღმებით მქროლავი პასატებითა და აგრეთვე პასატებით გამოწვეული ზღვის განუწყვეტელი დინებით. ამ კეთილსასურველმა მდგომარეობამ კოლუმბის მიერ გაუთვალისწინებელი უსიამოვნებანი წარმოიშვა. როცა ფლოტილია კანარის კუნძულებს

დ. ცუკერნიკი
როგორ აღმოაჩინეს ამერიკა

დაშორდა, ნაოსნობის მონაწილეებმა იფიქრეს (სრულიად სამართლიანადაც), აღმოსავლეთის გამოდმებული ქარები და ზღვის დინება, რაც ასე ხელსაყრელია დასავლეთისაკენ მგზავრობისათვის, უკან დაბრუნებისას გადაულახავ წინააღმდეგობად იქცევაო. მათი წარმოდგენით, ქარისა და დინების წინააღმდეგ ცურვა ისე გაჭიანურდებოდა, რომ სურსათი და წყალი შემოაკლდებოდათ.

ერთადერთი კაცი, რომელიც ინარჩუნებდა სიმშვიდესა და უშფოთველობას, კოლუმბი იყო. მას სიკვდილით ემუქრებოდნენ, თუ დაუყოვნებლივ არ მოაბრუნებდა ხომალდებს. კოლუმბი, თანამედროვის ცნობით, ამშვიდებდა მეზღვაურებს, არწმუნებდა, რომ ფლოტილია უკანაც ზურგქარის მეშვეობით დაბრუნდებოდა. და, მართლაც, კოლუმბის ყველაზე დიდი საიდუმლო ეს იყო. მან კარგად იცოდა აქეთობის მარშრუტი — მარშრუტი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, რომელიც იმდროინდელ პირობებში აგრეთვე ხელსაყრელი აღმოჩნდა.

ფლოტილის არც უცდია აქეთობას ეცურა იმ განედებზე, რომლითაც ის დასავლეთისაკენ მიდიოდა. ამის ნაცვლად გულდაგულ აიღო ჩრდილო-დასავლეთის კურსი და ორ კვირაზე ცოტა მეტ ხანში (16 იანვრიდან 2 თებერვლამდე) ებრძოდა ჩრდილო-აღმოსავლეთის პირქარს და ხანდახან ამოვარდნილ სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარს და დაჟინებით მიიწევდა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ამ კურსის წყალობით ორი კვირის შემდეგ გამოდმებული დასავლეთის ქარებისა და მისგან წარმოშობილი დინების ზონაში მოხვდა. შემდეგ ხომალდებმა აღმოსავლეთისაკენ გაუხვიეს და დიდი სიჩქარით უმოკლეს ვადაში, 2 თებერვლიდან 15 თებერვლამდე მიაღწიეს აზიის კუნძულებს, ე. ი. ძველი ქვეყნის დასავლეთით დასახლებულ ფორპორტს.

ამ შემთხვევაშიც, როგორც ვხედავთ, უყოყმანოდ და შეუტყდარად იქნა გამოყენებული პირენეის ნახევარკუნძულზე დასაბრუნებლად ხელსაყრელი

მარშრუტი. ეს ფაქტი, თქმა არ უნდა ყველაზე საინტერესოა კოლუმბის ველ ნაოსნობაში. გავიდა შემდგომი ული წლები, ათეულმა, ასეულმა, ათასეულმა ხომალდებმა დასერეს ატლანტის ოკეანე, მაგრამ იალქნიანი ფლოტილისათვის უკეთესი მარშრუტი არ გამოჩენილა.

ახალი ქვეყნიდან ევროპისაკენ კოლუმბის ფლოტილის სვლის ანალიზისას გვაოცებს ფლოტილის ხელმძღვანელთა გულდაჯერება, რომ ხომალდები რომელიმე უცნობ მიწას არ წააწყდებიან. როგორც იქითობისას, ახლაც ხომალდები დღისითაც და ღამითაც მაქსიმალური სისწრაფით მოძრაობდნენ.

დღიურის მონაცემების მიხედვით გამოვიანგარიშეთ მანძილი, რომელიც განვლო კოლუმბის ხომალდებმა დღისით თუ ღამით. აღმოჩნდა, რომ 1493 წლის 17 იანვრიდან 13 თებერვლამდე ხომალდებმა დღის საათებში განვლეს 1619 მილი, ხოლო ღამით 1896 მილი, ე. ი. ღამით გაიარეს 277 მილით მეტი, ვიდრე დღისით.

ცხადი ხდება, რომ კოლუმბი იმდენად კარგად იყო ინფორმირებული არჩეული მარშრუტის ავტორიანობის შესახებ, რომ ზედმეტად მიაჩნდა რაიმე სიფრთხილზე.

ამრიგად, ესპანელი მემატინეების ცნობები იმაზე, რომ კოლუმბის მიერ განზრახულ პირველ ნაოსნობას საფუძვლად დაედო ატლანტის ოკეანის გაღმა მანამდე უცნობ მიწებზე ნამყოფი რომელიღაც მეზღვაურების ცნობები, რომლებმაც მას გადასცეს ახალი მიწების რუკა, აგრეთვე მოგზაურობის დროს გაკეთებული ჩანაწერები, დადასტურებებს პოულობს კოლუმბის დღიურში და პირველი ნაოსნობის მონაწილის გადმოცემაში. კოლუმბის ამ ნაოსნობის დროს რომ ადგილი არ ჰქონია გზის ბრმად ძებნას, მარშრუტის არჩევისას ყოყმანს და რომ მიღწეულ იქნა ოკეანეში ღამით ხომალდის მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე — ამ გარემოებასაც იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ

კოლუმბს ჰყავდა წინამორბედნი, ან წინამორბედი, რომელთა ცნობებითაც სარგებლობდა, როცა ახალი ქვეყნისაკენ გაემართა.

ფერდინანდისა და იზაბელას ერთ-ერთი წერილიდან ირკვევა, რომ ჯერ კიდევ გამგზავრებამდე ჰქონდა კოლუმბს უტყუარი ცნობა იმისა, რასაც ნახავდა ახალი ქვეყნის კუნძულებზე. 1494 წლის 11 სექტემბრის საიდუმლო მიწერილობაში მეფე-დედოფალი ვესტინდოეთში მყოფ კოლუმბს სწერდნენ: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყველაფერი, რაზედაც თქვენ იმთავითვე გვეუბნებოდით, უმრავლეს შემთხვევაში მართალი აღმოჩნდა, თითქოს თქვენ ეს ყველაფერი გენახოთ მანამ, სანამ ჩვენ გვეტყოდით (ე. ი. სანამ დასავლეთისკენ ნაოსნობის გეგმას შემოგვთავაზებდითო. — დ. ც.).“

ამდენად, ჯერ კიდევ პირველი ფლოტილის გამგზავრებამდე კოლუმბს არა მარტო ამ კუნძულების ადგილმდებარეობის შესახებ ჰქონდა ცნობები, არამედ იცოდა კიდევ, რას იპოვიდა ამ მიწებზე, როგორ შეიძლებოდა ამ მიწების გამოყენება. მისი წინადადების განხილვისას ამაზე იყო მსჯელობა ესპანეთის სამეფო კარზე.

ყველა საბუთი იმის შესახებ, რომ კოლუმბს წინამორბედი ჰყავდა, აღე-

ბულია დიდი ხნის წინათ გამოქვეყნებული წყაროებიდან. ჩატარებული სხვადასხვა კვლევის დროს ჩვენ არ გვისარგებლია არც ერთი დოკუმენტი, რომელიც ცნობილი არ იყო XIX საუკუნიდან დაწყებული რომელიმე გამოჩენილი მკვლევარისათვის. ჩვენი თვალსაზრისი გაჩნდა ცნობილი ტექსტების სხვაგვარად ამოკითხვის წყალობით. ახლებური წაკითხვა შესაძლებელი გახდა მას აქეთ, რაც დადგენილ იქნა, რომ კოლუმბისა და სხვა ესპანელი ზღვაოსნების ნაოსნობასთან დაკავშირებული მრავალი, ფრიად საჭირო დოკუმენტი კარგად მოფიქრებული და საგულდაგულოდ შენიღბული მისტიფიკაციის შედეგია.

ჩვენ მხოლოდ ქობა ავუწიეთ იმ ფარდას, რომელიც ამერიკის აღმოჩენისა და დაპყრობის ნამდვილ ისტორიას ფარავს. მისტიფიკაცია სულაც არ შემოფარგლულა იმ მოკლე პერიოდით, როცა ექსპედიციის სათავეში კოლუმბი იდგა. გაცილებით გვიანდელი დოკუმენტებისა და მათიანების გაცნობა გვიჩვენებს, რომ მისტიფიკაცია გრძელდებოდა შემდეგაც, ოღონდ კოლონიური ექსპანსიის მიმდინარეობისას იცვლებოდა ამოცანები; მათთან ერთად იცვლებოდა მისტიფიკაცია და გამოიყენებოდა ახალი, გაცილებით უფრო სრულყოფილი ხერხები.

თარგმნა ნათელა ულენტა





ნარკვევი

— ალო, ალო! ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობაა?

— დიახ! — ბულალტერი სალაპარაკოდ ემზადება და სათვალეს ისე მონდომებით იხსნის, გეგონებათ, ეს კაცი სხვანაირად ერთ სიტყვასაც ვერ დასძრავსო.

— თბილისიდან გაწუხებთ, თავმჯდომარე გვინდოდა!

— არ გახლავთ, ბატონო.

— მთავარი აგრონომი?

— არ არის, ბატონო.

— პარტორგანიზაციის მდივანი სად არის?

— არც ის გახლავთ.

— სად არიან?

— მინდორში. დარეკეთ საღამოს ცხრა საათიდან.

ბულალტერი ყურმილს დებს და საანგარიშოს უბრუნდება...

მწვანე „ვილისი“ გრივლით შევიდა კოლმეურნეობის კანტორის ეზოში. მანქანიდან კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი მურთაზ ნატროშვილი გადმოვიდა და სირბილით აუყვა კიბეებს. თავ-

მჯდომარის კაბინეტი გამოკეტილი დახვდა, ეს წინასწარ იცოდა, მაგრამ მაინც მოსინჯა. ვერც პარტორგანიზაციის მდივანი ნახა, ესეც წინასწარ იცოდა.

ბულალტერიაში შეიხედა. მთავარი ბულალტერი თამადასავით იჯდა მიჯრით მიწყობილი მაგიდების ბოლოში, ფანჯარასთან. წინ ყვავილებით სავსე ლარნაკი და უშველებელი საანგარიშო ედგა.

— თავმჯდომარეს ხომ არ შემოუფელია? — შუა კარებში იკითხა მურთაზმა. ბულალტერმა სათვალე მოიხსნა და თავი გაიქნია.

— კი მაგრამ, აკი თელაწყალზე უნდა ყოფილიყავ.

— თვითმფრინავი არ მოგვცეს, ასე მოახსენეთ ნიკოს, მე შირაქში წავალ, თუ იქაც ვერაფერს გავხედი, მერე წნორში ვიქნები აეროდრომზე.

მურთაზი საჭკეს მიუჯდა და პატარა მანქანა მალე მტვერში გაეხვია. შირაქამდე ბარე ორმოცი კილომეტრია, გზა წითელწყარომდე მიხვეულ-მოხვეულია, მერე კი ასფალტიანი და სწორი.

ცივგომბორის თავზე პატარა, სულ პატარა ღრუბელი დასკუბდა, მერე გაიწია, აიფხორა. „მანც საიდან გამოტყვრება ხოლმე ამ სუფთა ცაზე, სასუქს დაღუპავს...“ მურთაზმა გეზი შეცვალა და თელაწყალზე ამოჰყო თავი. ბრიგადის წევრები მინდვრის თავში შეზვიანულ სასუქთან იდგნენ, ხელები შუბლზე მოჭრდილათ და ცაში იყურებოდნენ, იქ კი, თვითმფრინავის ნაცვლად, შავი ღრუბელი ჯიქურ მოიწვიდა წინ. მურთაზმა მანქანა დაამუხრუჭა.

— წვიმა იქნება? — შეეკითხა ბრიგადირს.

— რა ვიცი, შეიძლება იყოს, შეიძლება არა.

— რა ვუყოთ სასუქს?

— უნდა ავილოთ.

— შენ გგონია ასე აჯობებს? აღებაში ბევრს დაგკარგავთ, მანქანა გაუშვით, ბრეზენტები ამოიტანოს, კარგად გადახურეთ და ირგვლივ საწრეტები გაუქეთ. მე კი მგონია, წვიმა არ იქნება.

— შენ პირს შაქარი.

— პური არა გაქვთ? — შაქარზე მოაგონდა მურთაზს, მთელი დღე რომ არაფერი ეჭამა.

ბრიგადირმა ჩანთიდან შოთი პური ამოიღო. აგრონომმა ყუა მოტეხა. ერთი ჩაკბიჩა და დანარჩენი საჭესთან პატარა უჯრაში შედო.

— შირაქში მივდივარ, შეიძლება ჯაფარიძელებმა გვათხოვონ თვითმფრინავი, მეტი გზა არ არის. გადახურვა არ დაგავიწყდეთ!

წითელწყაროში მურთაზმა სიდნაღის საწარმოო სამმართველოს ენტომოლოგი რუსუდან ბუჩუკური მოძებნა.

— ასე მუშაობა არ იქნება, ბოლოს და ბოლოს თვითმფრინავების დაჭირავების საქმე უნდა მოგვარდეს, თორემ, აბა, რასა ჰგავს ეს, შეგვპირდნენ, სასუქი მინდორში დაგყარეთ, ამოდენა ხალხი მოვაცდინეთ და, აი, წვიმასაც აპირებს.

— ახლა სადღა მიდიხართ? — ჰკითხა ენტომოლოგმა.

— შირაქში. ჯაფარიძელებს უნდა ვთხოვო, შევხვეწო. სულ ორი საათის

საქმეა, იქნება გვათხოვონ, თქვენც წამოწყევით!

რუსუდანს უარი არ უთქვამს. წითელწყაროდან გავიდა თუ არა, მურთაზმა სიჩქარეს უმატა, ბოლმა ახრჩობდა. ის კი არა, პირდაპირ აეროდრომზე უნდა მისულიყო და ერთი კარგად გამოელანძღა ის მფრინავი, მაგრამ ამით რა გამოვიდოდა? სასუქი გაფუჭდებოდა და ხვალის გეგმაც ჩაიფუშებოდა.

— თელაწყალზე 945 ჰექტარზე გვითესია ხორბალი, შირაქში 2982 ჰექტარზე, ქვიშიან წყალსა და მწარე წყალზე 595-ზე. მერე ამდენ ჯეჯილს რომ სასუქი დავუგვიანოთ, იცით რა მოხდება? რუსუდანს ელიმება. მურთაზმა იცის, რომ რუსუდანსაც კარგად ახსოვს ყოველივე ეს, მაგრამ მანც განაგრძობს:

— რა მოხდება და, ჰექტარზე ორ ცენტნერ მარცვალს მანც დაგკარგავთ. არა, ერთი თვითმფრინავი ბოლოს და ბოლოს უნდა იყიდოს კოლმეურნეობამ, ნამდვილად უნდა იყიდოს. ვერ მოვუვლით თუ?

— ჯაფარიძელებს თუ დამთავრებულნი არ ექნათ საქმე, როგორ გათხოვებენ მანქანას?

— ისინი დუსტს აფრქვევენ, თანაც იგი მანქანებით მოაქვთ საწყობიდან, ჩვენ კი მთელი 100 ტონა სასუქი გვრჩება წვიმაში. 100 ტონა აზოტი! ჰმ, მოდი და ენდე ახლა მფრინავებს.

— იქნებ რაიმე შეემთხვათ, არა უშავს, ჯაფარიძელები დაგვეხმარებიან.

— თქვენი იმედი მაქვს.

შირაქის ველზე ნიაგი მძლავრობდა. ჯეჯილი ლივლივებდა. ცივგომბორიდან წამოსულ ღრუბელს აქამდეც მოედწია. შორს, ჰორიზონტზე, თვითმფრინავი გამოჩნდა და მალე თვალს მიეფარა. გზის მარცხნივ, მოშორებით, ორი სატვირთო მანქანა იდგა. მურთაზმა იქით აიღო გეზი. მანქანებთან თეთრ მტვერში ამოგანგლული მუშები ნიჩბებით აქუჩებდნენ დარჩენილ დუსტს.

— გამარჯობათ! — მანქანიდან გაღ-

ივერი ტაბიძე
მამლები ყივიან შირაქში

მოსვლისთანავე მიესალმა მურთაზი კოლმეურნეებს.

— ღმერთმა გავიმარჯოს.

— თქვენი ბრიგადირი სად არის?

— მანქანას გაჰყვა, ახლავე მობრუნდება.

— ბევრი დაგრჩათ?

— ალბათ საღამომდე მოვრჩებით.

მურთაზმა რუსუდანს გადახედა და გაჩუმდა.

ჯაფარიძელები მალი-მალ ახედავდნენ ცას. ბოლოს დუსტით დატვირთული მანქანაც მოვიდა. ჩასკვნილი ბრიგადირი მსუბუქად გადმოხტა კაბინიდან და თავაზიანად მიესალმა სტუმრებს.

— მალე მორჩებიან? — ვერ მოითმინა მურთაზმა.

— ერთი რეისილა დაგვრჩა.

— მერე?

— მერე აზოტი უნდა შევიტანოთ სხვა ნაკვეთზე! — დამშვიდებით უთხრა ბრიგადირმა.

— აზოტი სადა გაქვთ?

— მოვიტანო, შე კაი კაცო! — ისევ მშვიდად მიუგო ბრიგადირმა.

— პირდაპირ გუებუნებით, თვითმფრინავი უნდა გვათხოვოთ, ნახეთ, წვიმას აპირებს, აზოტი მინდორში გვიყრია.

— თვითმფრინავი? თვითმფრინავი, ძმაო, ურემი კი არ არის. თანაც ეს მარტო ჩვენზე როდია დამოკიდებული, თავმჯდომარეა, აეროდრომი, მფრინავები.

ამასობაში თვითმფრინავი გუგუნით დაფრინდა მინდორზე, ერთ ხანს ადგილზე იტრიალა და მერე ავტომობილთან დადგა.

— არის? — თავი გამოჰყო კაბინიდან მფრინავმა.

— აბა, ბიჭებო! — ბრიგადირი უსიტყვოდ გაშორდა სტუმრებს, — ეს ერთი რეისილა და მერე, აბა, ჰა!

— ცოტა დაუჩქარეთ, ჩვენი ძრავები ტრაქტორისა და კომბაინის საწვავით კი არ მუშაობს! — მეათედ აფრთხილებენ მფრინავები.

კოლმეურნეებმა იციან, რომ მფრინავები „სხვანაირი“ ხალხია და მათთან შეკამათებას თავს არიდებენ, თვითმფრინ-

ავზე რომ ცუდი წამოგცდეს — მორჩა მერე სათოფედ არ გაგეკარებიან.

— ცოტა დაბლა უნდა დავუჭიროთ მანქანა, ბრიგადირო, ძალიან თხლად ეფრქვევა, დუსტი კიდეც დაგჭირდებათ! — ახლოს მივიდა ბრიგადირთან პირველი მფრინავი, — ამ ხალხს რა უნდა?

— თვითმფრინავი გვათხოვეთ.

— რაო?

— სასუქი მინდორში გვიყრიაო.

— მინდორშიო? აი, დავამთავრებთ და წავალთ, ჯერ არ გაწვიმდება! — მფრინავმა ცას შეხედა, — საით უნდა?

— თელაწყალზე 100 ტონა სასუქი ჰქონიათ გარეთ. ჩვენს თავმჯდომარეს უნდა შევატყობინოთ.

— აი, ამ რეისს მოვრჩებით და თქვენთან მოვიდვართ, — კაბინიდან გადმოსძახა მფრინავმა მურთაზს.

მოტორი ამუშავდა, თვითმფრინავი დაიძრა, სიჩქარეს უმატა და ქორივით შესრიალდა სივრცეში.

მურთაზი ხარბად შესცქეროდა ჰაერში მონავარდე მანქანას და გონებაში რეისებად ანაწილებდა იმ 100 ტონა აზოტს, თელაწყალზე რომ ეყარა. ვინ იცის, ბიჭებმა იქნებ კიდეც გადახურეს და საწრეტებიც გაუკეთეს. ჰმ, რა ტყუილად ჩაუვლით შრომა. აი, ახლა რომ აქ ტელეფონი იყოს... ისე, ძალიან საჭირო კია მინდორში ტელეფონი. უფრო მეტად საჭიროა, ვიდრე, მაგალითად, აბანოში ან გასტრონომიულ მაღაზიაში.

— მაშ, ჩვენ წავედით, ბრიგადირო! — სთქვა რუსუდანმა.

— ჰო, რა გაეწყობა, თუკი მფრინავი საქმეს მორჩება...

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკო მამაიაშვილი შირაქში უთენია ამოსულიყო და საწყობებს ათვლიერებდა.

მესამე ბრიგადის ბრიგადირი აბრამ ლეკაშვილი გაოცებული უყურებდა თავმჯდომარეს, ამ შუა ივნისში რაღა დროს საწყობების შემოწმებაო.

ბრიგადირებს, პლატონ ტოკლიკიშვილსა და ვასილ ბოსტოლანაშვილს რამდენიმე მექანიზატორთან ერთად ღამე აქ

გაეთით და ახლა სასუქების შემტან მანქანებთან ტრიალებდნენ.

— თელაწყულიდან არაფერი ისმის, სასუქი ცის ქვეშ ხომ არ დატოვეს იმ ოჯახაშენებულებმა, — დინჯად სთქვა თავმჯდომარემ და ჯირკიდან წამოძვრა.

შოფერი მიხვდა, რომ თავმჯდომარე თელაწყალზე წავიდოდა და მანქანა აამუშაო.

— წყობების შეკეთება ხვალიდანვე უნდა დაიწყოთ, თორემ ხომ ხედავთ რა მალე შემოდის პური, — ნიკომ მხერა მოავლო შირაქის უკიდევანო ველს, — ალბათ ახლების აშენებაც დაგვჭირდება, სასუქის შეტანას დღეს მორჩებით, არა, ბრიგადირო?

— დღეს, — მიუგო აბრამ ლეკაშვილმა.

— საღამოს კანტორაში მოხვალთ, საწყობებზე უნდა მოვილაპარაკოთ!

თელაწყლის მინდვრებს ქორივით დასტრიალებს თვითმფრინავი. მანქანის ბოლოდან წვრილ სვეტად გამოდის აზოტის ფხვნილი, მერე იგი იშლება და ეფრქვევა ნიადაგს. მურთაზი და ბრიგადირი ნიკა მაძლარაშვილი მუხლამდე მოსულ ჯეჯილში დაალაგებენ.

— მგონი, სიმაღლეს უნდა დაეუკლოთ, აქ მეტი სასუქია საჭირო, დაახლოებით 200 კგ. ჰექტარზე, — ამბობს მურთაზი.

— უნდა დაეუკლოთ.

— მეორე რეისზე გააფრთხილე მფრინავი.

— მაშ, ასე! მე ისევ შირაქში მივდივარ, აზოტის შეტანას ამთავრებენ, უნდა ვნახო, მერე ისევ წნორში ჩავალ თვითმფრინავის საკითხზე. საღამოს სად უნდა წახვიდე?

— საღამოს? აკი დღეს აგროქიმიის წრის მეცადინეობააო, — გაიოცა ნიკამ.

— ჰო, ეგრეა, მეგონა არ გახსოვდა, სხვებსაც მოაგონე.

ნიკამ ხარბად გააყოლა თვალი ჯეჯილიდან სწრაფად, თითქმის სირბილით გასულ ახალგაზრდა კაცს.

— ჯერ კიდევ კარგად არ იციან ჩვენში სასუქის ყადრი, დიახ, არ იციან. გლეხი ფრთხილად ეკიდება ყოველგვარ

ნიახლეს. სანამ თავისი თვალთ არ ნახავს შედეგს, მანამ ვერ დარწმუნდება, ჰოდა, შედეგიც მალე იქნება. გახსნაკი, გაისად სულ სხვა საქმეა, გამოცდილება ც ვეჭნება, თვითმფრინავებიც იქნებიან, სასუქებიც მეტი მოხვადება.

ბავშვობიდანვე იტაცებდა მურთაზს სიყვითლეშეპარული ჯეჯილი, უყვარდა თავთავებით დამძიმებულ ყანაში გავლა, ხარბად ისუნთქავდა მიწისა და მწიფე თავთავის სურნელს. ეს სურნელება უფრო მიმზიდველი, უფრო ძლიერია ახლა, ვიდრე ამ ათიოდე წლის წინათ იყო, მურთაზს თავისი წვლილიც მიუძღვის ამ საქმეში. დიახ, ეს სურნელება მან მთელი სოფლის მშრომელებთან ერთად დაამკვიდრა აქ, თელაწყალზე, ტარბიანაში, შირაქში, ოლეზე.

ახალგაზრდულმა ცდუნებამ სძლია მურთაზს და ხმამაღლა წამოიწყო ყრმობისდროინდელი სიმღერა. მერე სოფლისაკენ აიღო გეზი, მანქანა თავისი სახლის ჭიშკართან გააჩერა და სულმოუთქმელად აირბინა კიბე. პატარა გოგონას ტკბილად ეძინა პატარა საწოლში.

— იტირა?

— იტირა, — უთხრა მეუღლემ.

— რა მინდაო?

— მამა მინდაო!

მურთაზი საწოლზე დაიხარა და ნაზად აკოცა ჩვილს პაწია მუხლზე.

— სულ მამას ჰგავს, — სერიოზულად სთქვა მამამ და ახლა ფუნჩულა ლოყაზე აკოცა ბავშვს.

— ფრთხილად, მურთაზ, არ გააღვიძო! კიდევ უნდა წახვიდე?

— ჰო, უნდა წავიდე, დღეს სასუქების შეტანა ამთავრდება შირაქში.

— საღამოს ხომ მობრუნდები?

— საღამოს?

— ჰო, საღამოს.

— საღამოს აგროქიმიის წრის მეცადინეობა გვაქვს, ვეცდები ადრე მოვიდე.

მურთაზმა სახელდახელოდ ისაძილა.

ივერი ტაბიძე

მამლები ყვირიან შირაქში

კოლმეურნეობის კანტორის ორსართუ-
ლიანი შენობა ახმაურდა. მრავალტირა-
ჟიანი გაზეთის რედაქტორის ოთახში
მურთაზი ზის და კონსპექტებს ჩაჰკირ-
კიტებს, აქვეა არტელის პარტიული კო-
მიტეტის მდივანი ბაილო ჯანაშვილი,
გაზეთის რედაქტორი სიმონ კობიაშვი-
ლი, თამაჯლომარის მოადგილე გივი ბი-
კაშვილი.

— მგონი ყველანი მოვიდნენ, — ამ-
ბობს ბაილო ჯანაშვილი.

— მაშინ დავიწყეთ!

ოთახში შემოდიან კოლმეურნეები,
ბრიგადირები, ხანში შესულები, შუახ-
ნისანი, ახალგაზრდები.

მურთაზი სიას კითხულობს. მეცადი-
ნეობას წრის ოცდაშვიდივე წევრი ეს-
წრება. დღეს რიგით მეათე მეცადინეო-
ბას ატარებს აგროქიმიის შემსწავლელი
წრის ხელმძღვანელი მურთაზ ნატრო-
შვილი. თემა — „ფოსფორიანი სასუქე-
ბი და მათი გამოყენება“. ახალგაზრდა
აგრონომი დინჯად ესაუბრება მსმენე-
ლებს მინერალური სასუქების, კერძოდ,
ფოსფორის როლსა და მნიშვნელობაზე,
მისი ნიადაგში შეტანის წესებზე.

გასილ ბოსტოლანაშვილი აგრონომს
ეკითხება:

— ჩვენ ფოსფორიანი სასუქებს ვიყე-
ნებთ ნიადაგის ძირითადი დამუშავებისა
და თესვისწინა დამუშავების დროს.
რამდენად მიზანშეწონილია ამ სასუქე-
ბის შეტანა საშემოდგომო ნათესებში?

— ეს კარგ ეფექტს იძლევა. გამოკვე-
ბისათვის უნდა გამოვიყენოთ როგორც
ფხვნილისებური, ისე მარცვლისებური
სუპერფოსფატი, მაგრამ უნდა გვახსოვ-
დეს ისიც, რომ უკეთესია მარცვლისე-
ბური სუპერფოსფატი. საერთოდ, საშე-
მოდგომო ნათესების გამოკვება კარგ
შედეგს იძლევა. ჩვენი მეზობელი სოფ-
ლის, ქვემო მადაროს კოლმეურნეობაში
საშემოდგომო ჯეჯილების მინერალური
სასუქით გამოკვებამ 5,2 ცენტნერით
გაზარდა საჰექტარო მოსავლიანობა.
შარშან ჩვენმა ბრიგადამ, — ამბობს
ბრიგადირი, — ჰექტარზე 22,13 ცენტ-
ნერი მოიწია. წილს კიდევ უფრო მეტს
ვვლით. მთელი ნათესი გამოკვებეთ

აზოტით. ვფიქრობთ, ჰექტარზე 27
ცენტნერამდე მარცვალი მივიღოთ.

— მე მახსოვს, — დაიწყო მეგობრე-
ობის ბრიგადის ხელმძღვანელმა ხეთისო
გომელაურმა, — ამ რამდენიმე წლის
წინათ რაიონის ხელმძღვანელობამ გვაი-
ძულა რკინიგზის სადგურიდან გაგვე-
ტანა კუთვნილი ფოსფორი. ჩვენ მითი-
თება შევასრულეთ და სასუქი დაყვარეთ
იქვე, მინდორში, სადაც მოსავალი არას-
დროს აცილებია 10-12 ცენტნერს. რა
მოხდა? აქ თურმე ჰექტარზე 36 ცენტ-
ნერი ქერი მოუწევიათ. აი, რა შესძლე-
ბია სასუქს.

ბევრმა გამოთქვა აზრი. მურთაზმა
აცნობა, რომ განზრახულია აგროქიმიუ-
რი ლაბორატორიები შეიქმნას სოფელ
ზემოქედსა და წითელწყაროში, რაც
დააჩქარებს კარტოგრაფების შედგენას
მთელი ფართობისათვის.

— ახლა კი მე უნდა შეგეკითხოთ.

— ბრძანეთ!

— ვინ მეტყვის როგორი კლიმატია
ჩვენს რაიონში?

— ზომიერი, თბილი და ნახევრად-
მშრალი, კონტინენტალური, — დაუ-
ფიქრებლად სთქვა გურამ ჭილიტა-
შვილმა.

— გურამ, შენ არ გეკითხები. სასო-
ფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუ-
დენტმა ასეთი წვრილმანი ისედაც უნდა
იცოდეს. კიდევ ერთი შეკითხვა: რა და
რა ტიპებად იყოფა ჩვენი კოლმეურნეო-
ბის სახნავი ნიადაგები? ამაზე საკმაოდ
ვილაპარაკეთ. ახლა კი ნიშნები უნდა
დაგიწეროთ.

— ნიშნები? ბავშვები ხომ არა
ვართ, კაცო, ჰა, ჰა, ჰა, — გაიცინა პლა-
ტონ ტოკლიკიშვილმა.

— აბა, პლატონ, მიპასუხე!

მძიმედ წამოდგა სკამიდან ეს ვიება
ვაჟაკი. უშველებელი ხელები წინა სკა-
მის სახურავზე ჩამოაწყო.

— რა გაეწყობა, რახან ასეა, მე
„ხუთიანი“ უნდა მივიღო: ჩვენი კოლ-
მეურნეობის მიწები იყოფა ხუთ ტიპად:
1. საშუალო სიღრმის შავმიწა ნიადაგე-
ბი, — გამოტუტებული, თიხნარიანი,
2. ისეთივე, მხოლოდ სუსტად გამოტუ-

ტებული, 3. მცირე სიღრმის შავმიწა ნიადაგები — კარბონატული და სუსტად გამოტუტებული, 4. მცირე სიღრმის შავმიწა ნიადაგები — კენჭნარზე. 5. რუხი ყვეისფერი თიხნარი ნიადაგები.

— ყოჩაღ! აბა, ვასილ, რა მინერალურ სასუქებს საჭიროებენ ჩვენი მიწები?

ვასილ ბოსტოლანაშვილი არ მოელოდა კითხვას და ოდნავ დაიბნა, ცოტა იფიქრა და მერე რიხით სთქვა: — ნიადაგის გაუმჯობესებისათვის ჩვენი მიწები მოითხოვენ პირველ რიგში ფოსფორმჟავა და კალიუმის სასუქებს.

— სწორია! მორიგ მეცადინეობაზე გამოკითხავთ შხამქიმიკატების გამოყენების წესებს.

მურთაზმა იმ საღამოსაც ვერ მიუსწრო დაძინებამდე ბავშვს.

კარგა ხანია დამთავრდა ჯეჯილის გამოკვება, ნათესებში ჰერბიციდების, ბზუალას საწინააღმდეგო ჰექსაქლორანისა და სხვა ქიმიური ნივთიერებების შეტანა. პური დამწიფდა. ნიკო მამაიას შვილმა ერთ საღამოს გამგეობის წევრები შეკრიბა.

— ზეგ თელაწყალზე მკას ვიწყებთ. ხვალვე კიდევ ერთხელ შევამოწმოთ მანქანებისა და საველე საწყობების მზადყოფნა. გუშინ, მაგალითად, კიდევ არ ჰქონდათ დამთავრებული თვითმავალი კომბაინის რემონტი. ზეგ კი მკა იწყება.

— ხვალ დილით კომბაინი მზად იქნება, — სთქვა პარტიული კომიტეტის მდივანმა ბაიდო ჯანაშვილმა, — ახლა, რაც შეეხება დაქირავებულ ავტომანქანებს, მათთვისაც უნდა დავაწესოთ ჯილდო.

— დიახ, ეს ძალზე საჭირო საქმეა, — მოეწონა თავმჯდომარეს ბაიდოს აზრი, — ისინი ჩვენს შორის გარიყულე-ბივით როდი უნდა იყვნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენი რამ არის დამოკიდებული მათზე. უნდა დავაწესოთ ფულადი ჯილდო საუკეთესო შოფერებისთვის. ამას განვიხილავთ საერთო კრებაზე. ხვალიდანვე უნდა შევუდგეთ გორის, წითელწყაროსა და წნორის ავტოსატ-

რანსპორტო კანტორებთან მოლაპარაკებას. 60 ავტომანქანა სტარტზე უნდა იდგეს. მოსავლის აღება ერთია, მაგრამ არ მოვადუნოთ ყურადღება ნაწვერალის ხვნის ხარისხზე, — ნიკომ მურთაზს გადახედა, — შარშან იყო ასეთი შემთხვევები.

— ყველაფერი კარგად იქნება, მხოლოდ თელაწყალზე ჯერ ხვნას ვერ დავიწყებთ, ბევრ ადგილას ნიადაგი სველია, თანაც... — არ დაამთავრა მურთაზმა.

— თანაც რა?

— თანაც ნაქერალზე სიმინდის დათესვა საჭიროდ არ მიმაჩნია.

— რათა, კაცო?

— იმიტომ რომ, იქ ნიადაგი არ შრება და შარშანაც ვერ მოასწრო სიმინდმა გაზრდა. ჩემი აზრით, სჯობს ის ნაკვეთი დავასვენოთ, ნაწვერალის მეტი რა გვაქვს. — ნიკომ ცოტა იფიქრა, ელვის სისწრაფით გაიანგარიშა გონებაში ყველაფერი, აწონა-დაწონა.

— მართალი ხარ, — ეს სთქვა მხოლოდ.

მურთაზი მთელი ერთი კვირა იმტვრევედა თავს ამ საკითხზე. ბულალტერიც ჩარია საქმეში, იანგარიშეს, თუ რა ზარალს გამოიწვევდა იმ რამდენიმე ჰექტარი ფართობის შემოდგომამდე ხელუხლებლად დატოვება. თავმჯდომარემ კი სულ ხუთიოდე წუთში გადაჭრა საკითხი...

შირაქში ზემომაჩხანელებს პატარა სოფელი აქვთ. აქ დგას ერთი ორსართულიანი შენობა და მრავალი საცხოვრებელი სახლი, სადაც ხვნისა და მოსავლის აღების პერიოდში კვირაობით და ზოგჯერ თვეობით ცხოვრობენ მექანიზატორები, ბრიგადირები. აქვეა პურის საწყობები, სამზარეულო, საცხოობი და ყველაფერი, რაც ადამიანს სჭირდება ნორმალური ცხოვრებისათვის. მკის დროს აქ მექანიზატორებს, ბრიგადირებს ცოლ-შვილიც მოჰყავთ. პატარები-სათვის შირაქის ველი თავისებური აგარაკია, მოზრდილები კი დიდებს ეხმარებიან.

ივერი ტაბიძე

მამულები ყვიანი შირაქში



თელაწყალზე პურის აღება წარმატებით დამთავრდა. ახლა შირაქში აგუგუნდნენ მინდვრის ხომალდები. პირველი ბრიგადის მექანიზატორმა ვანო ნასრაშვილმა 246 ჰექტარზე აიღო მოსავალი და 500 ტონა მარცვალის გამოღწეა. საღამოს მურთაზი პლატონ ტოკლიკაშვილს ეწვია „საველე ბინაში“. თან უცხო კაცი ახლდა.

— ხენას აგვიანებენ შენი მექანიზატორები, პლატონ!

— ახლა იქიდან მოვდივარ, საქმე გამოსწორდება.

— ეს კაცი რესპუბლიკური გაზეთის კორესპონდენტია, გაიცანი.

უცხო კაცმა საქალაქე მაგიდაზე დადო.

— სასიამოვნოა, — პლატონი ცდილობდა ხმადაბლა ელაპარაკა, მაგრამ ვერ მოახერხა, ისევ დევივით დაიბუხუნა — დაბრძანდით, აქ ჩემი „აგარაკია“.

კორესპონდენტი დაჯდა და საქალაქე გაშალა. პლატონი მეორე ოთახში გავიდა და ქალებს უჩურჩულა: — სტუმარი გვეწვია, ღვინო კი გვაქვს, მაგრამ... აღელვებული პლატონი ქალებმა დაამშვიდეს. იგი ოთახში დაბრუნდა.

— რამდენ ჰექტარზე გითესიათ პური?

— 900 ჰექტარზე, — დაუფიქრებლად მიუგო პლატონმა.

— თქვენი აზრით, რამდენი უნდა მოიწვიოთ ჰექტარზე?

— ოცზე მეტი იქნება.

კორესპონდენტი გამალებით იწერს ნაამბობს და ეტყობა, ძალზე კმაყოფილია, რომ ასეთ ენაწყლიან კაცს შეხვდა. პლატონი შეკითხვების გარეშე მოყვა ყველაფერს, რაც კორესპონდენტს აინტერესებდა, დაწყებული ხენიდან, დამთავრებული მოსავლის აღებით.

— ერთი ეს მითხარი, გეთაყვა, — კორესპონდენტმა სიტყვა შეწყვიტა და ფანჯარასთან მივიდა, ხორბლით დატვირთული აგტომანქანები ღრიალით ამოდინდნენ აღმართზე.

— ეს გახლავთ ინტენსიფიკაციის პირველი წლის პირველი მოსავალი, პლატონის ბრიგადის ხვავია, — აუხსნა მურთაზმა სტუმარს.

— ახლა სად მიაქვთ?

— კალოზე, იქ გაანიავენ, შემდეგ ბელღებში.

კორესპონდენტმა ბევრი საინტერესო მასალა ჩაიწერა. იგი დილიდან დაპყვებოდა მურთაზს და აშკარად ეტყობოდა დაღლა, შუბლიდან ოფლს მალიმალ იწმენდდა. შარვალი და ფეხსაცმელები მტერით ჰქონდა დაფარული.

მაგიდაზე ღვინო, ცხელი პურები და მოხარშული ხორცი გაჩნდა. ნახევარი საათის შემდეგ კორესპონდენტი წამოდგა, მაგრამ ჩამოართვა ხელი პლატონს. მურთაზი და კორესპონდენტი მანქანაში ჩასხდნენ. სოფელ არბოშიკში თავმჯდომარე შემოხვდათ. მურთაზმა მანქანა შეაჩერა.

— წინმხენელები ხომ ყველა ტრაქტორს უკეთია? — იკითხა თავმჯდომარემ.

— ყველას.

— კარგია. მე ახლა წნორში მივდივარ, აგტოსატრანსპორტო კანტორის უფროსი უნდა ვნახო. თქვენთან დიდ ბოდიშს ვიხდი, უნდა მიგატოგოთ, ხვალ უსათუოდ ვნახავთ. ისე, ხომ არაფერი დაგვიწუნეთ? — ეშმაკურად გაუღიმა ნიკომ კორესპონდენტს.

— პირიქით, ბევრი რამ საინტერესო გავიცი.

— მაშ ასე, ხვალამდე.

— ნახვამდის.

მურთაზმა სტუმარი შინ მიიყვანა. ბავშვს ახლაც ეძინა. ივანშემს და მერე ყველა დაწვა. მურთაზი საწოლში ტრიალებდა: ტყუილი უთხრა თავმჯდომარეს. ტრაქტორები არ უნახავს. თუმცა უწინმხენელოდ როგორ დაიწყებდნენ ხენას, ვერ დაიწყებდნენ, ბრიგადირები იქ არ არიან? მაგრამ ტყუილი მაინც ტყუილია, არ უნახავს, იქნებ ყველას არცა აქვს წინმხენელი? ეშმაკმა დალაზგროს, მერე რა, ეგ რა ტყუილია, წინმხენელის გარეშე რომელი სულელი დაიწყებდა ხენას, თუმცა ნიკო ხომ დაინტერესდა, ესე იგი, მოსალოდნელია ასეთი რამ. ახლა თორმეტი საათია, სტუმარს სძინავს, მანქანა გარაქმია. მურთაზს ახლა საკესთან ჯდომა არაგზით არ შეუძლია, დაღლი-

ლია, ძალიან დადლილია, თავის წამო-
წევაც კი არ უნდა.

მურთაზი და კორესპონდენტი ერთ
ოთახში არიან. მურთაზს ესმის სტუმ-
რის უდარდელი ფშვინვა და თითქოს
ეძინება, მაგრამ თვალეები ღია აქვს,
უწინმხენელო ტრაქტორები ელანდება.
ჰმ, ტყუილი უთხრა თავმჯდომარეს.
უნდა წავიდეს, მაგრამ რომ არ შეუძლია?
კოლმეურნეობის შოფერსაც სძინავს.
მურთაზი წამოდგა და სკამს დაეჯახა.
სტუმარი საწოლიდან წამოიწია.

— არაფერია, მე შირაქში უნდა წავი-
დე, თქვენ იძინეთ.

— შირაქში?

— დიახ, საჩქარო საქმე გამომიჩნდა.
კორესპონდენტი ადგა.

— მეც წამოვალ.

— როგორ გეკადრებათ, თქვენ დღეს
ისედაც დაიღალეთ.

— არა, წამოვალ, მე ყველაფერი მაინ-
ტერესებს.

— როგორც გენებოთ!

სასწრაფოდ ჩაიცვეს. მურთაზი მეორე
ოთახში გავიდა და ცოლს გამოელაპა-
რაკა, მერე ქუჩაში გავიდნენ. — შოფე-
რი აქვე ცხოვრობს. თუ გავაღვიძე...

მამლებმა პირველად იყვილეს. მურ-
თაზი რკინის ჭიშკარში შევიდა და
ფრთხილად დაიძახა.

— ომარ!

— ომარ! — ცოტა აუწია ხმას.

ხუთი წუთის შემდეგ აივანზე თვალე-
ბის ფშვინვით გამოვიდა ბიჭი.

— შირაქში უნდა წავიდეთ!

ომარი უსიტყვოდ შებრუნდა ოთახში და
ისევ გამოვიდა. გარაქში გაიქცა, მანქანა
გამოიყვანა და წავიდნენ. დილის სამ
საათზე შირაქში იყვნენ.

ტრაქტორები ბრიალა თვალეებით
მიარდვედნენ ზნელს, ებრძოდნენ მიწას,
გლეჯდნენ უშველელ ბელტებს. მიწი-
სა და საწვავის გამაბრუებელი სუნი
იდგა შირაქის ველზე. მურთაზს უძილო-
ბა აღარ აწუხებდა. იგი გახარებულ შეს-
ცქეროდა მტრედისფერ ცას, თვალის-
მომჭრელ შუქს, ლაბლაბა ბელტებს. მან-

ქანა კალიასავით ხტოდა ორმოებზე და
უმოწყალოდ ანჯღრევდა მგზავრებს.

— რა კარგი ვქენით, რომ წამოვე-
დით, — ამბობს კორესპონდენტი.

— დიახ, ამიტომაც ვერ გითხარით
უარი.

მგზავრები მანქანიდან გადმოვიდნენ.
მურთაზი ტრაქტორის შუქზე დადგა და
ხელი ასწია.

— რომელი ხარ? აბა ერთი გადმოდი
ტრაქტორიდან. ოო, არჩილა ხარ? ხომ
არ გეძინება, ბიჭო?

— რა დამაძინებს, დიდებული ამინ-
დია. კი მაგრამ, თქვენ რატომ არ გძი-
ნავთ? — გაიკვირვა არჩილ ნატროშვილ-
მა.

— ამინდი, — სთქვა მურთაზმა, მერე
კვალში ჩაიჩოქა და ხნულის სიღრმე
გასინჯა.

— კარგია. უწინმხენელოდ ხომ არა-
ვინ მუშაობთ, ბიჭო!

— არა.

— აბა, ყოჩაღად იყავი. აქ კიდევ ვინ
ხნავს?

— აი იქ გურამ ტოკლიკაშვილია;
შორს რომ ტრაქტორი ჩანს, ცაცო
ნატროშვილისაა, ჩემს გვერდით ილო
გოგილაშვილია, შემდეგ იორამ სამადა-
შვილი. ერთი სიტყვით, მეოთხე ბრიგა-
და სულ აქა ვართ.

გურამი ყურადღებით დააკვირდა უც-
ხო კაცს.

— ეს კაცი კორესპონდენტია, თუ
ცუდად იმუშავებ, გაზეთში დაგხა-
ტავს, — ხუმრობის ხასიათზე დადგა
მურთაზი.

მურთაზმა ყველა ტრაქტორი მოინა-
ხულა. მამლებმა კვლავ იყვილეს.
შინ დილით მობრუნდნენ.

პატარა გოგონა გაღვიძებული დაუხვ-
და. მამამ საწოლიდან აიტაცა ბავშვი.

— წუხელი იტირა?

— იტირა, — სთქვა მეუღლემ.


— რა მინდაო?

— მამა მინდაო.

მურთაზმა ბავშვზე საწოლში ჩასვა.

— სულ მამას ჰგავს, არა?

— სულ.



ავსტრია

კარლ ლიბკნეხტის შვილი—მხატვარი

ამასწინათ ვენის „ახალგაზრდა თაობის გალერეაში“ სახვითი ხელოვნების გამოფენაზე წარმოადგინეს კარლ ლიბკნეხტის შვილის, ფერმწერისა და გრაფიკოსის რობერტ ლიბკნეხტის ნამუშევრები.

რობერტ ლიბკნეხტი ნაცისტებმა აიძულეს დაეტოვებინა გერმანია. მას შემდეგ იგი პარიზში ცხოვრობს. ამჟამად სამოც წელსაა მიღწეული.

ცნობილმა ავსტრიელმა მხატვარმა აკსელ ლესკოშეკმა რობერტ ლიბკნეხტის შემოქმედება ასე დაახასიათა: „ლიბკნეხტი ჭეშმარიტად ადამიანური მხატვარია, ამაზე ნათლად მეტყველებს გამოფენაზე წარმოდგენილი ნაწარმოებები, მისი ჰუმანიზმი ღრმად სოციალურია“.

ლესკოშეკის აზრით, ლიბკნეხტის მრავალრიცხოვანი გრაფიკული ქმნილება, პორტრეტი და სურათი ბრწყინვალედაა შესრულებული, საინტერესო არის კომპოზიციურად და შინაარსობრივად. მხატვრის მთელი შემოქმედება რეალისტური და ამდენად ვეგლასათვის გასაგებია.

„სამწუხაროდ, — წერს ლესკოშეკი, — გამოფენაზე არ იყო წარმოდგენილი რობერტ ლიბკნეხტის ჩანახატები ციკლიდან „როსა ლუქსემბურგი“. დამთავლებულბემა მხოლოდ კატალოგში ნახეს დიდი რევოლუციონერი ქალის პორტრეტები“.

ბირმა

აშხაღაბენ ეროვნულ კადრებს

ბირმის დედაქალაქ რანგუნში გაიხსნა უცხო ენათა ინსტიტუტი. როგორც ბირმის შურნალი „ფორვარდი“ იუწყება, ინსტიტუტის სტუდენტები ისწავლიან რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და იაპონურ ენებს. მომზადდება მთარგმნელებისა და ფილოლოგების ეროვნული კადრები.

ბულგარეთი

მწიარალი ქალების შემოქმედების შესახებ

ბულგარეთის ყოველკვირეული შურნალის „ნაროდნა კულტურას“ ლიტერატურულმა მიმომხილველმა შურნალში გამოაქვეყნა წერილი ბულგარელი მწერალი ქალების შემოქმედებაზე.

ბოეტმა ქალმა ელიზავეტ ბაგრიანამ გამოსცა ახალი ლექსების კრებული „ნაპირიდან ნაპირისაკენ“. კრებულში შეტანილი ნაწარმოებები უმღერის ბულგარელი ხალხის შემოქმედებით შრომას, ახალშენებლობებს, მშრომელ ადამიანებს. ლიტერატურული კრიტიკის მაღალი შეფასება დაიმსახურა ბაგრიანას „პოემამ „კერამიკული უვერტიურა“.

ახლანან გამოვიდა აგრეთვე დორა გაბეს, ბლაგა დიმიტროვას და ვასილკა ზინკოვას პოეტური კრებულები. როგორც ლიბკნეხტის შემოქმედების მიმომხილველი წერს, აღნიშნული კრებულები სოციალისტური ბულგარეთის დღევანდელ ცხოვრებას ედღ-

ნება. ლიანა დასკალოვკამ მუშახტეთა ქალაქ პერნიცე დაწერა პოემა „მიყვარს ეს ქალაქი“. პოემაში დიდი სიყვარულით, სიბოთით და გულწრფელობითაა ნახსენები ბულგარელი ხალხის ბელადი გიორგი დიმიტროვი.

ვერა მუტაფჩიევის ისტორიული რომანი „წარსული დღის მატანე“ ეხება XVIII საუკუნეს. მასში ასახულია ბულგარეთის აღორძინების ხანის მოღვაწეთა ცხოვრება და საზოგადოებრივი საქმიანობა.

საბჭოთა კავშირში მოგზაურობასა და საბჭოთა მწერლებთან და პოეტებთან შეხვედრებზე მოგვითხრობს ლიანა სტეფანოვას ნარკვევების წიგნი „შეხვედრები“.

გღრ

პროლეტარული კულტურის სინფინდისა და პარტიული ბისსამის

გამოცემლობა „დიც-ფერლაგმა“ გამოსცა ნ. ს. სრუშჩოვის სამტომეული. მასში შეტანილია საბჭოთა მთავრობის მეთაურის მიერ წარმოქმული სიტყვები და ინტერვიუები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ. წინასიტყვაობა დაწერა ვალტერ ულბრახტმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა სამტომეულში განსაკუთრებით გამოიყოფს იმ ადვოკატებს, სადაც ნ. ს. სრუშჩოვი მწერლებს მოუწოდებს აქტიურ ბრძოლისაკენ ახალი ცხოვრების ასაშენებლად, ახალი საზოგადოების ადამიანის აღსა-

ზრდელად. გაზეთი „ნოიეს ლიონი“ ნ. ს. ხრუსოვის სამტომეოლის გამოცემისადმი მიძღვნილ სპეციალურ სტატიაში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ევრდნობა რა ხელოვნებისა და ლიტერატურის გაგების ლენინური მოძღვრებას, ნ. ს. ხრუსოვი პრინციპული პოზიციებიდან იცავს პროლეტარული კულტურის სიმწინდესა და პარტიულობას. „ხრუსოვის გამოცემა გერმანიის სოციალისტური ეროვნული პარტიის VI ყრილობაზე, — ნათქვამია სტატიაში, — განსაკუთრებით ძვირფასია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებისათვის“.

პლაპატი — სბარძოლო იბარალი

ჟურნალ „ბილდენდე კუნსტის“ კორესპონდენტი იუწყება, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნების აკადემიაში მოეწეო გღრის სახალხო არჩევნებისადმი მიძღვნილი პლაკატების გამოფენა. მნახველები განსაკუთრებით დაინტერესა ისტორიულმა განყოფილებამ, სადაც წარმოდგენილი იყო ვაიმარის რესპუბლიკის წლების გერმანიის კომუნისტური პარტიის წინასწარჩენილი პლაკატები.

ცნობილი მხატვარმა ჯონ ხარტფელდმა იმ დროს პლაკატ რევოლუციური ბრძოლის მახვილ პოლიტიკურ იარაღად აქცია.

პლაკატების ახლანდელი გამოფენა მოვითხოვს გერმანელი მშრომელების დიდ მიღწევებზე ახალი ცხოვრების შექმნაში, მოუწოდებს მათ იყვნენ სოციალისტური საზოგადოების აქტიური მშენებლები. „კარგი პლაკატი, — წერს ჟურნალის კორესპონდენტი, — მილიონობით ადამიანს უზრუნველბას აპრობის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენებისაკენ, ადვილებს მათს გონებას ღრმა აზროვნებისა და აქტიური მოქმედებისათვის“.

„ანდრეას ლენცის ქალაქ-ღმინი“

გამოცემლობა „პაულ ლისტფერლაგმა“ გამოსცა სტეფან გეიმის ისტორიული რომანი „ანდრეას ლენცის ქალაქ-ღმინი“. პროლოგში მწერალი მოკლედ ლაპარაკობს ამერიკელ სერუანტ ანდრეას ლენცზე. იგი დაიღუპა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების უამ. 1944 წლის დასაწყისში სტეფან გეიმმა, ლენცთან ერთად, ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მანევრების დროს შემთხვევით აღმოაჩინა ანდრეას ლენცის ბაბუას საფლავი. სერუანტის ბაბუა იყო გერმანიის 1848 წლის რევოლუციის მონაწილე. რევოლუციის დამარცხების შემდეგ იგი იძულებული შეიქნა გაქცეულიყო ამერიკაში, სადაც სამხრეთ და ჩრდილოეთ შტატებს შორის ბრძოლის დროს მოჰკლეს. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ სერუანტ ლენცის ქვრივმა მწერალმა განაღდა ბაბუა ლენცის წერილები, შენიშვნები, რუკები და სხვა ქალაქები. როგორც ავტორი პროლოგში წერს, ამ მასალების გამოქვეყნებით შეიქმნა რომანი.

„ანდრეას ლენცის ქალაქ-ღმინი“ ისტორიული რომანია და მასში გერმანიის 1848 წლის რევოლუციისა ასახული. რომანის გმირები არიან მარქსი და ენგელსი, აგრეთვე სხვა ისტორიული პიროვნებები. ხუთი წელი მუშაობდა სტეფან გეიმი ამ რომანზე. „მე დამანტერესა გერმანიის რევოლუციის თემამ, — განაცხადა მწერალმა ჟურნალ „ნოიე ბერლინერ ილუსტრირტეს“ კორესპონდენტთან საუბარში, — ამ რევოლუციის მრავალი პრობლემა თანამედროვეობას ეხმარება“.

რომანის გამოქვეყნების შემდეგ მწერალი ესაუბრა ყოველკვირეული ჟურნალის „ნონტაგის“ კორესპონდენტს და მოულოდნელად გამოუტყდა, რომ პროლოგში მოთხრო-

ბლი ამავი გამოგონილია. ნამდვილში არც ამერიკელი სერუანტი და არც მისი ბაბუა არ არსებულან. „მოუხედავად ამისა, წიგნი ისტორიულად მართალია, თუმცა ყველაფერი ისე არ მომხდარა, როგორც რომანშია აღწერილი“, — განაცხადა მწერალმა.

ვიეტნამი

პიესის ავტორები მუშები და გლეხები არიან

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის თეატრალური მუშაკების ასოციაციამ მოაწყო კონკურსი საუკეთესო პიესებზე. როგორც ვიეტნამის პრესა იუწყება, ცნობილ დრამატურგებთან ერთად, კონკურსში მონაწილეობა მიიღეს არამოთხვისონდელმა ავტორებმა — მუშებმა, გლეხებმა, ჯარისკაცებმა და პედაგოგებმა.

რამდენიმე პრემირებული პიესის ავტორები უბრალო მუშები და გლეხები აღმოჩნდნენ. ეს პიესები მწადლდება დასაღმეულად.

ინდოეთი

ფილმი პრემ ჩანდის რომანის მიხედვით

როგორც ინდოეთის პრესა იუწყება, რეჟისორმა ტრილოკ ჯეტლმამ პრემ ჩანდის რომანის მიხედვით დაამთავრა ახალი მხატვრული ფილმის გადაღება. გაზეთ „ჰინდუსტან ტაიმის“ კორესპონდენტის აზრით, ფილმი შექმნილია „საუკეთესო ეროვნულ ტრადიციებზე“, მასში დიდი სიმართლით არის ასახული ინდოეთის სოფლის ცხოვრება, მისი მოსახლეობის მძიმე ზეგარი. ეკრანზე ცოცხლდებიან ინდოელი მკითხველების საყვარელი რომანის გმირები. ფილმმა კრიტიკის მაღალი შეფასება დაიმსახურა. განსაკუთრებით აღნიშნა ის ფაქტი, რომ ფილმში ნიჭიერი ახალგაზრდობა მონაწილეობს.

შონ ო'კეინის სჯარბ მომავლის

გამოვიდა დიდი ირლანდე-ელი დრამატურგის შონ ო'კეინის ავტობიოგრაფიის უკანასკნელი ტომი სათაურით „წიხის ჩასვლა და მწუხრის ვარსკვლავი“. წიგნი გამსჭვალულია დიდი ოპტიმიზმით. ადგილი უორკერის“ კორესპონდენტი ენაუბრა მწერალს. ო'კეინმა განაცხადა, რომ იგი მუდამ იყო და არის საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობარი. ბირთუაზიული ვაჭრობის საბჭოთა კავშირს რაღაც „ცოდვებს“ მიაწერენ, ღაპარაკობენ მხოლოდ კომუნისტების ნაკლოვანებებზე და ვერ ამჩნევენ კაპიტალისტურ ქვეყნებში გამეფებულ სიღატაკსა და სასოწარკვეთას.

„საბჭოთა კავშირი ასწორებს თავის ნაკლოვანებებს, ან კი როგორ შეედრება ეს ნაკლოვანებანი ჩვენი საზოგადოების ღრმა, ღია ჭრილობებს, — თქვა ო'კეინმა, — მე ეჭვი არ მებარება, რომ ინგლისშიც იქნება სოციალიზმი. ახლა მე უფრო მეტად ვარ კომუნისტი, ვიდრე ოდესმე ვყოფილვარ“.

როგორც ვაჭოთები იუწყებიან, ო'კეინის მეგობრები მუშაობენ მწერლის ცხოვრების ამსახველ ფილმზე. დრამატურგის როლს შონ კონერი განასახიერებს.

იტალია

„შაბერი, რომლითაც სუნთქავ“

ნიკიერმა ახალგაზრდა მწერალმა, ყოფილმა მუშამ, ლუიჯი დავიმი ჯერ კიდევ პირველი მოთხრობების კრებულით „ვიკიანა — კროსი“ ააღაპარაჟა მეთხველები.

ამასწინათ ტურინის გამომცემლობა „ეინაულმა“ გამოსცა დავის ახალი მოთხრობების წიგნი — „შაერი, რომლითაც სუნთქავ“. კრებულში თავმოყრილია დავის მიერ უკანასკნელ ხანებში დაწერილი მოთ-

ხრობები. ერთ-ერთ მოთხრობა („სავენაზე მიწები“) ვაღმოცემულია ქალაქელი მუშის შთაბეჭდილებები. ამ მუშამ ორკვირიანი შვებულება სოფელში გაატარა და დარწმუნდა, რომ გლეხკაცის შრომა მუშის შრომამზე არანაკლებ მძიმე ყოფილა.

მოთხრობა „წავის“ გმირები მოხუც მამას სოფელში ტოვებენ და ქალაქში მიემგზავებიან სამუშაოსა და ზედნიერების საქმენელად. „ლუიჯი დავის შემოქმედება, — წერს შურნალ „ვიე ნუვეს“ რეცენზენტი, — მითხველს შესაძლებლობას აძლევს გავიწინა ქალაქისა და სოფლის ცხოვრებას. უკანასკნელი წიგნი მწერლის უდავო გამარჯვებაა“.

ტანდა

ღამოუკიდებელი თეატრი

...ქალაქ ტორონტოს ერთ-ერთი საფარბოკო შენობის სარდაფში, სცენის წინ, სკამები ჩამუწყრივებიან. აქ, ამ კეთილმოწყობულ შენობაში სპექტაკლებს დგამს ღამოუკიდებელი თეატრალური დასი „უორკოპ პროდაქშანი“.

როგორც ვაჭოთ „კანადიენ ტრიბუნის“ თეატრალური მიმოხილველი იუწყება, ამასწინათ ამ დასმა დადგა ჯექ უინტერის ახალი პიესა „კომპიენის წინ“. პიესა მიღვნილია უნაღარკისადმი.

პიესის გმირი ქალი არა ზგავს იმ უნაღარკს, დასავლეთის ფილმები და სპექტაკლები რომ ზატავენ. უინტერის უნაღარკი უბრალე გლეხის ქალია, მისი მეტყველება ხალხური იუმორით არის სავსე.

მიმოხილველის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჯექ უინტერის თავის პიესაში არა თუ მკაცრად აკრიტიკებს მტაცებელურ ომს, არამედ ამოთრახებს მათ, ვინც ვიწროგეგისტური პოლიციებიდან დასცილის მაღალი იდეალებზე მეოცნებე ადამიანებს.

„ეს სპექტაკლი თეატრალური დასის გამარჯვებაა. მიუხედავად მძიმე მატერიალური ხელმოკლეობისა, დასავლეთის ქვეყნების თითქმის ყველა თეატრალური კოლექტივი რომ განიცდის, „უორკოპ პროდაქშანი“ კეთილსინდისიერად ემსახურება ჭეშმარიტ ხელოვნებას, — დასკვნის მიმომხლებელი.

კვიპროსი

თავისუფლებიწმინდობარი კუნძულის ლიბერატორა

თითქმის სამი ათასი წლის ისტორიის მქონე კვიპროსის ლიბერატორა ისწრაფვის საბერძნეთის ლიბერატორასთან კავშირისათვის. სწორედ საბერძნეთში იბეჭდება კვიპროსელი მწერლების ნაწარმოებები. კვიპროსზე არ არის საკუთარი გამომცემლობები, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ინგლისელი კოლონიზატორების მშაკერულ ანტისახალხო პოლიტიკას.

კუნძულზე სულ ასამდე ლიბერატორი თუ იქნება, ისინი გავრთიანებული არიან ორი ყოველთფორი შურნალის „კიპრიაკა ქრონიკას“ და „პნევმატიკა კიპროსის“ ვარშემო. პირველ შურნალში უმეტესად ახალგაზრდა მწერლები თანამშრომლობენ. უურნალი მეთხველებს აცნობს ეროვნული და მსოფლიო ლიბერატორის ახალ ნაწარმოებებს, აქვეყნებს მასალებს კუნძულის კულტურულ ცხოვრებაზე — ფოლკლორზე, თეატრზე, კინოზე, სახეთ ხელოვნებაზე. „კიპრიაკა ქრონიკას“ რედაქცია მოთავსებულია ერთ-ერთი თანამშრომლის ბინაში. შურნალის მთელი შემოსავალი მის ბეჭდვას ზმარდება. მეორე შურნალი „პნევმატიკა კიპროს“ უმეტესად კლასიკური დრამატურგის პრობლემებს აშუქებს.

კვიპროსელი ლიბერატორები მონაწილეობენ ქვეყნის საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ცხოვრებაში, აქტიურად იბრ-

ძვიან თავიანთი სამშობლოს
ეროვნული დამოუკიდებლობი-
სათვის.

მონღოლეთი

ნორჩი პოეტები

წიგნის მალაზიების თაროზე
გამოჩნდა ლექსების კრებული
სათაურით „ჩემს დღესას“. მისი
ავტორი ტუმენშარგალი მხო-
ლოდ 15 წლისაა. იგი სკო-
ლაში სწავლობს და უღიან-
ბატორის პიონერთა სასახლის
ლიტერატურული წრის წევ-
რია.

ნორჩი პოეტის პირველი
ლექსი 1961 წელს დაიბეჭდა
და მას შემდეგ სისტემატურ-
რად ქვეყნდება. ტუმენშარგა-
ლის მრავალი ლექსი და სიმ-
ღერა შეიყვარეს ახალგაზრდა
მკითხველებმა. მისი პოეტური
ნაწარმოებების პირველ კრე-
ბულში შევიდა საბჭოთა კოს-
მონავტებისადმი მიძღვნილი
ლექსები — „ჩემს ძმას ტი-
ტოვს“, „გაგარინს“, აგრეთვე
გმირული კუბისა და აფრიკე-
ლი თანატოლებისადმი მიძღვ-
ნილი პოეტური სტრიქონები.

„ტუმენშარგალის ლექსები
გვხიბლავენ მუსიკალობით,
პოეტური უშუალოებით, ბავშ-
ვთა სამყაროს თავისებური გა-
გებით. — წერს გაზეთ „სოფელ
უტბა ზოხიოლის“ რეცენზენ-
ტი, — ნორჩი პოეტის წიგნს
უშვებულად დიდი წარმატება ექ-
ნება ჩვენს პატარა მკითხვე-
ლებში და არა მარტო პატა-
რებში“.

უნგრეთი

პოეზიის ძველანა

უნგრელი პროფესორული
პოეტის ატილა იუტეფის და-
ბადების თარიღი სადღესასწა-
ულად აღინიშნა, როგორც
უნგრული პოეზიის დღე.

უნგრეთის მწერალთა კავ-
შირმა ჩაატარა დიდი საზეიმო
საღამო. ლიტერატურათმცოდ-
ნეებმა მიკლოჩ საბოლჩი და
მიხაი ცინემ ილაპარაკეს უნ-
გრული პოეზიის მიღწევებზე.
შემდეგ პოეტებმა წაიკითხეს

ახალი ლექსები და ავტორგრა-
ფებით დაურიგეს თავიანთი
წიგნები მკითხველებს. პოეზი-
ის დღესთან დაკავშირებით
გამოვიდა გამოჩენილი პოეტე-
ბის კრებულები. მრავალმა
ჟურნალმა და გაზეთმა სპე-
ციალურად დამატებები მიუძღ-
ვნა პოეზიის წიგნს.

„ჩვენს ქვეყანაში უყვართ
მოთხრობები, ნოველები და
რომანები, — წერდა იმ დღეს
გაზეთი „ნესპახადშაგი“, —
მაგრამ უნგრეთი მაინც სა-
მართლიანად ითვლება პოეზი-
ის ქვეყნად. უნგრელებს ყვე-
ლაზე მეტად პოეზია უყვართ
და ამიტომაც უწოდებენ მას
ლიტერატურის „ამაღლებულ“
ჟანრს. ახალი საუკუნის, სო-
ციალისტური საუკუნის პოე-
ზიის წინაშე დგას პასუხსაგე-
ბი ამოცანა — სოციალისტუ-
რი საზოგადოების მშენებელი
ადამიანის სულიერი ჩაოყა-
ლიბება. გვწამს, რომ ჩვენი
პოეტები ღირსეულად შეას-
რულებენ ამ დიდ ამოცანას.“

პოლონეთი

ფილემები ცისფერი მკარანისათვის

პოლონეთის ტელესტუდიამ
პოლონეთის სახალხო რესპუბ-
ლიკის ოცი წლისთავთან და-
კავშირებით მოაშწადა რამდენ-
იმე დოკუმენტალური და
მხატვრული ფილმი. თავის-
უფლების პირველი საათები,
ფაშისმზე გამარჯვება, აღდგე-
ნითი სამუშაოები, სოცია-
ლისტური მშენებლობის მიღ-
წევები, — ყოველივე ეს თავ-
მოყრილია სათანებვერ ი ა ნ
ფილმში „მოგონებების წუთი“.
„ამ სატელევიზიო ფილმს საი-
უბნელო დღებში უნგრე-
ნებთ“, — განაცხადა გაზეთ
„ტრიბუნა ლიუდუს“ ფურც-
ლებზე რეჟისორმა ეტი ბოსა-
კმა.

„მაღე პოლონეთის ტელე-
სტუდია შექმნის ყოველ კვი-
რაში უჩვენოს მკაჟრებელს
ახალი სატელევიზიო ფილ-
მი“, — სთქვა „ეკრანის“ კო-

რესმონდენტმა ბარბარა კაზ-
მერჩაქმა.

კინემატოგრაფისტებმა დასუ-
მარბეთი ყოველწლიურად პო-
ლონეთში რამდენიმე ათეულ
ფილმს გადაიღებენ. მათ შო-
რის იქნება პოლონური და
მსოფლიო ლიტერატურის სა-
უკეთესო ნაწარმოებების მი-
ხედვით დაღებულნი, ჟურნა-
ლისტების მიერ სხვადასხვა
ქვეყნებში მოგაზარობის დროს
გადაღებული, აგრეთვე ისტო-
რიული, სათავგადასავლო და
მეცნიერულ - ფანტასტიკური
ფილმები.

ამასწინათ პოლონელმა ტე-
ლემკაჟურებლებმა ნახეს პირ-
ველი ფილმი მეცნიერულ-
ფანტასტიკური სერი ი დ ა ნ.
ფილმს „გუბერნატორი“ ჰქვია.
მისი დამდგმელი რეჟისორია
სტანისლავ კოკეში. ფილმის
გმირები არიან გამოგონებე-
ლი პროფესორი და პლანეტა
მარსის „მეცხოვრებლები“.

ცოტა სხვაგვარად არის ჩა-
ფიქრებული იმავე სერიის
ფილმები „დოცენტი სამლე-
რი“ და „პირველი პავლიო-
ნი“. მათს გადაღებაზე მუშა-
ობს რეჟისორი იანუშ მევსკი.
ორივე ფილმს აერთიანებს
პროგრესული მეცნიერის, პრო-
ფესორ ფოსის სახე. ფოსი წი-
ნაღმდგეა იმისა, რომ ჩვენი
საუკუნის უდიდესი მეცნიე-
რულ-ტექნიკური აღმოჩენები
კაცობრიობის საზიანოდ გამო-
იყენონ.

თადეუშ კულისვიჩის შემოქმედება

როდესაც ბერთოლდ ბრეტ-
მა თავისი პეისის „კავკასიური
ცარცის წრისათვის“ თადეუშ
კულისვიჩის მიერ შესრულე-
ბული ნახატები ნახა, სთქვა,
რომ ეს ნახატები „გაიძულე-
ნებ ახლებურად აღიქვა სამყა-
რო“. გამოჩენილი გერმანელი
დრამატურგის ეს სიტყვები,
„ტრიბუნა ლიუდუს“ მიმო-
ხილველის აზრით, შეიძლება
გავაყრცილოთ დღევანდელი
პოლონეთის ერთ-ერთი ყვე-
ლაზე პოპულარული გრაფი-
კოსის — თადეუშ კულისვი-
ჩის მთელ შემოქმედებაზე.

ამასწინათ მოწყობილ კული-
სევიჩის ნამუშევრების გამო-
ფენას, სადაც წარმოდგენილი
იყო მხატვრის 34 წლის შემ-
ოქმედებითი შრომის შედეგი,
სენსაციური წარმატება ჰქონ-
და. აქ გამოფენილი 400 ნამუ-
შევარი კულისევიჩის შემოქ-
მედებითი ცხოვრების სხვა-
დასხვა პერიოდს განეკუთვნე-
ბა. 30-იანი წლების მემამუ-
ლურ-ბურჟუაზიულ პოლონე-
თში კულისევიჩმა ნახატების
ციკლით „შღეშბარკი“ (სახელ-
წოდება წარმოდგება კარპატე-
ბის ფერდობზე მდებარე პატა-
რა სოფლის სახელიდან) გაბე-
დულად ასახა პოლონური სოფ-
ლის უმწეო მდგომარეობა.

არაჩვეულებრივად შთამ-
ბეჭდავი ნახატების ციკლში
„ვარშავა 1945 წელს“, კული-

სევიჩმა გადმოსცა ომისა და
ოკუპაციის გულშემწარავი სუ-
რათები, ნანგრევებაღქცული
ვარშავის ქუჩები.

ომისშემდგომ წლებში კუ-
ლისევიჩი ფუნჯით ემსახურე-
ბოდა ომით მიყენებული ტრი-
ლობების მოშუშებისა და ქვე-
ყნის აღდგენის საყოველთაო-
სახალხო საქმეს.


გაშოფენაზე წარმოადგინეს
სახლდარგარეთ შოგჯაურობის
შთაბეჭდილებებით შექმნილი
მხატვრის ისეთი ნაწარმოებები,
როგორცაა „ინდოეთი“, „ვე-
ნეცია“, „ბრაზილია“, „ვენე-
ციის ყურე“ და სხვ.

„კულისევიჩის ნახატები
არის ფერადი, — წერს რე-
ცენზენტი, — და ეს პარადოქსი
კი არ არის, არამედ მხატვრის
დიდი ოსტატობის აღიარებაა.

კულისევიჩის აუცილებლად უნ-
და დაეწყო ფერებში ხატვა,
რასაც მოითხოვდა მისი მიზნის
განვითარების ლოგიკა“.

ახსიათებს რა მხატვრის
მთელ შემოქმედებას, რეცენ-
ზენტი განაგრძობს: „კულისე-
ვიჩი გამოჩენილი მხატვარია,
მისი ხელოვნება ღრმავინაარ-
სიანი და ჭეშმარიტად ჰუმან-
ური ხელოვნებაა. კულისევი-
ჩის შემოქმედების ცენტრში
დგას ადამიანი მთელი თავისი
დიდებულებით. მხატვრის ხე-
ლოვნების ძალა ექსპრესიულ
დამკვირვებლობასა და ფორ-
მის იშვიათ კეთილშობილება-
ში მდგომარეობს“.

თადეუშ კულისევიჩის გამო-
ფენაზე ბევრი იყო ფართო
საზოგადოებისათვის უცნობი
ნამუშევრებიც.



მხატვრული რედაქტორი ტიტე შეყილაძე ტექნიკური რედაქტორი მელვა შონია

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლემანოვის პროსპ. № 91.

ცაღლაფონები: რამაძეძორის — 5-08-75, პ/შ მდივნის — 5-08-86, განყოფილებაზის: პრი-
ტიკისა და გუბლიცინტიკის — 5-08-85, პოეზიისა და პროზის — 5-08-85.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/IX-64 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით
ფორმათა რაოდენობა 13,7 შეკვ. № 955. უე 04566. ქალაქის ზომა 70X108. ტირაჟი 8 000.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



სადღეგრძელო იყოს მისი,
ვინც შიშმა ვერ გაჰხარა.
აფდგეთ ფეხზე, ჩვენ თბილისი
ვადღეგრძელოთ კალარა!

ვადაქტიონი



ფოტოგრაფია ოთარ თურქიასი,



შემოღობა

მოქანდაკე ვლერ კაკაბაძე

30

გვ. 60 კმ.

საქართველოს
ლიტერატურის
კავშირები

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„**ციკარი**“

ИЗДАТЕЛЬСТВО

„**ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕბა**“

ИНДЕКС 76236